

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ბაკ. გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

პროკოპი კესარიელი

საიდუმლო ისტორია

კველი ბერკულიძან სურგენა, შუსაპალი და
კომენტარები დაურთო
. ი ნ თ ე ზ რ ე მ ი კ ე მ



„მეცნიერება“
თბილისი
1989

წინამდებარე წიგნი შეიცავს VI საუკუნის ცნობილ ბიზანტიელ ისტორიკოსის პროკოპი კესარიელის „საიდუმლო ისტორიის“ ანუ ე. წ. „ანეკდოტას“ პირველ სრულ ქართულ თარგმანს, წინასიტყვაობას და კომენტარებს. პროკოპის ეს თხზულება უნიკალური ძეგლია, რამდენადაც იუსტინიანეს სიცოცხლეში გამოსაქვეყნებლად არ იყო გამიზნული და განსხვავებით ავტორის სხვა თხზულებათაგან, შეულამაზებლად და მძაფრად, კრიტიკულად გვისუბრათებს ბიზანტიის იმპერატორის იუსტინიანე, I-ის პიროვნებას, მის მოღვაწეობას და სამეფო კარს. ამ თვალსაზრისით ეს ნაწარმოები ძვირფასი წყაროა VI საუკუნის ბიზანტიის ისტორიის შესწავლისათვის.

რედაქტორი ისტ. მეცნ. დოქტ. ნ. ლომოური

რეცენზენტები ფილოლ. მეცნ. კანდიდატები
ნ. მახარაძე
თ. დოლიძე

წინასიტყვაობა

ადრებიზანტიური საისტორიო მწერლობის თვალსაჩინო წარმომადგენლის პროკოპი კესარიელის შემოქმედება იმთავითვე ისტორიკოსთა განსაკუთრებული ყურადღების საგანი იყო. ბიზანტიის ისტორიის მკვლევარნი მას ერთხმად აღიარებენ VI საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ისტორიკოსად.

ამგვარი ინტერესი პროკოპის შემოქმედებისადმი გამოწვეული უნდა ყოფილიყო, ერთის მხრივ, მისი ნაწარმოებების ენციკლოპედიური მრავალფეროვნებით, მეორეს მხრივ კი — მათი წინააღმდეგობრივი ხასიათით, ორაზროვანი დამოკიდებულებით იუსტინიანეს ეპოქის ისტორიული სინამდვილისადმი. პროკოპი კესარიელის პიროვნება თავის თავში აერთიანებს იმპერატორის სადიდებლად შექმნილი ოფიციალური ისტორიის ეპითაღმწერელსა და სრულიად საწინააღმდეგო შინაარსის, საიდუმლოდ დაწერილი ნაშრომის „*Ἀντίρρησις*“-ს ავტორს. ამ თხზულებამ ხანგრძლივი დროის მანძილზე გამოიწვია აზრთა სხვადასხვაობა მეცნიერთა შორის და დღესაც პრობლემურია.

სირთულე პროკოპი კესარიელის შემოქმედებისა გულისხმობს მისი მსოფლმხედველობის წინააღმდეგობრიობას როგორც პოლიტიკურ, ისე კულტურულ-რელიგიური ასპექტით. ეს კი, თავის მხრივ, განპირობებული უნდა ყოფილიყო ადრებიზანტიური პერიოდის სოციალურ-პოლიტიკური და საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების პარადოქსულობით¹. პროკოპი კესარიელის თხზულებები, მათში გამოვლენილი, თითქოსდა ერთმანეთის გამომრიცხველი შეხედულებებით, ერთი მხრივ, კონსერვატულობითა და რომაული იდეალებისადმი ერთგულებით, მეორე მხრივ კი — უსაზღვრო პატრიოტიზმით, რელიგიური გულგრილობით და ამავე დროს ღვთიური განგების ფანატი-

¹ როგორც ს. ავერინცევი წერს, „Историк литературы стоит перед парадоксом. Византийский вкус, византийский стиль—это узел предельных противоположностей, не исключающих, но напротив обуславливающих друг-друга“— С. С. Аверинцев. Запад-восточный генезис литературных канонів византийского средневековья. Типология и взаимосвязи средневековых литератур Востока и Запада. М., 1974, 155.

კური რწმენით — ტიპური ნიმუშებია ადრეშუასუკუნეების ისტორი-
ოგრაფიული ტრადიციისა². ამ ტრადიციის გათვალისწინებით გასაჯე-
ბი ხდება ჩვენი ისტორიკოსის მსოფლმხედველობის წინააღმდეგობრი-
ობა. ეს წინააღმდეგობები ქვეყნის პოლიტიკურ და კულტურულ
ცხოვრებაში ერთ მთლიანობას ქმნიდნენ, ავსებდნენ ერთმანეთს და
ეს სინთეზი ერთნაირად ვლინდებოდა ლიტერატურაში, ხელოვნებასა
თუ ისტორიოგრაფიაში.

ბიოგრაფიულ ცნობებს ისტორიკოსის ცხოვრებისა და მოღვაწე-
ობის შესახებ, პირველ რიგში, მისივე ნაშრომებიდან³ და გარეთვე მი-
სი თანამედროვე თუ მომდევნო ხანის ისტორიკოსების — აგათია მი-
რინელის, იოანე ეპიფანელს, მენანდრეს, სვიდას და სხვათა — თხზუ-
ლებებიდან ვგებულობთ.

პროკოპი დაიბადა პალესტინის კესარიაში, V საუკუნის ბოლოს
ან VI საუკუნის დასაწყისში (490 და 507 წლებს შორის)⁴. იყო წარ-
ჩინებულთა საზოგადოებიდან. იმ ფაქტმა, რომ პროკოპი პალესტინის
უძველესი ქალაქიდან იყო, მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობა
გამოიწვია პროკოპის ეროვნული კუთვნილების თაობაზე⁵, მაგრამ
რომელი ერის წარმომადგენელიც არ უნდა ყოფილიყო, მთავარი მა-
ინც ის არის, რომ პროკოპი ბერძნული კულტურის და ტრადიციების
ქემშარიტი მემკვიდრე იყო⁶. მან ბრწყინვალე განათლება მიიღო ჯერ
თავის მშობლიურ ქალაქში, ხოლო შემდეგ სწავლა განაგრძო მახლო-
ბელ ბეირუთში, სადაც იურიდიულ მეცნიერებათა ცნობილი სკოლა
არსებობდა⁷. რიტორი და სოფისტი — ასე უწოდებდნენ პროკოპის გვი-
ანი პერიოდის მწერლები⁸, რითაც ხაზს უსვამდნენ მის განსწავლუ-
ლობას.

² Культура Византии, IV—первая половина VII в., под ред. З. В. Удаль-
цовой, М., 1984. 273.

³ ეს ცნობები თავმოყრილი აქვს Dr. Felix Dahn. Procopius von Casa-
rea. Ein Beitrag zur Völkerwanderung des sinkenden Römerthums, Berlin,
1865, 12—31.

⁴ ს. ყაუხჩიშვილი. გეორგია. II, 1965, 38.

⁵ З. В. Удалцова. Идеино-политическая борьба в ранней Визан-
тии. М., 1974, 147. ზოგიერთი ავტორი პროკოპის სირიელად თვლის (იხ.
Ш. Диль. Юстиниан и византийская цивилизация VI в., 1908, VI), ზოგი-
ერთს კი ეს აზრი საკამათოდ მიაჩნია (O. Veh. Zur Geshichtsschreibung und
Weltauffassung des Procop von Caesarea. I. Bayreuth. 1951, 4).

⁶ I. A. S. Evans. Procopius. New-York, 1972, 17.

⁷ ს. ყაუხჩიშვილი. ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია, — ისტორია,
1973, 71.

⁸ Suidae. Lexicon. V. II. A. 1853, 442.

527 წელს პროკოპი კესარიელს კონსტანტინოპოლში ვხედავთ. იგი ცნობილი სარდლის ველისარიოსის მდივანია, მოგვიანებით კი იურიდიული მრჩეველის საპატიო თანამდებობას იკავებს. პროკოპი თან ახლდა ველისარიოსს ლაშქრობების დროს სპარსეთში, აფრიკაში, იტალიაში. 542 წელს კი კვლავ კონსტანტინოპოლში ჩამოდის და დიდი ენთუზიაზმით იწყებს „ისტორიების“ წერას⁹. როგორც „სპარსელებთან ომის“ შესავალში ამბობს, პროკოპის მიზანია დავიწყებისაგან იხსნას ის არაჩვეულებრივი მოვლენები, რომელთა მომსწრეც თვითონ ყოფილა, მით უფრო, რომ ძველი ისტორიის არც ერთი სხვა მოვლენა არ შეედრებოდა მათ თავისი მნიშვნელობით. იუსტინიანესა და ველისარიოსის მოღვაწეობით აღფრთოვანებულმა პროკოპიმ შეიღწიეწიეში (πολεμικά, მათზე ბუშაობა პროკოპიმ 550 წლის დასასრულს) გვიამბო სპარსეთის, აფრიკის და იტალიის ომების ამბები (ომი სპარსელებთან: De bello persico, წიგნები I—II; ომი ვანდალებთან: De bello vandalico, წიგნები III—IV; ომი გუთებთან: De bello gothico, წიგნები VI—VII), მერვე წიგნში კი, რომელიც მან მოგვიანებით დამატა თავის ნაშრომს, აღწერილი აქვს 550—554 წლების ამბებზე მთლიანად¹⁰. როგორც ჩანს, სწორედ ამის გამო პროკოპამ ამ წიგნს ნაირნაირი, მრავალფეროვანი უწოდა¹¹.

პროკოპი კესარიელის მეორე ნაშრომი — ტრაქტატი „შენობათა შესახებ“ — *περὶ ἀειδικίας* (De aedificiis) — არის პანფირიკი, რომელიც პროკოპიმ იუსტინიანეს სამშენებლო მოღვაწეობას მიუძღვნა და რომელიც იძლევა მეტად საინტერესო ინფორმაციას იუსტინიანეს ეპოქის შესახებ. ამ თხზულებაში. ბრწყინვალე არქიტექტურის ძეგლების აღწერის გარდა¹², შესანიშნავად არის გადმოცემული მესოპოტამიის, სირიის, მცირე აზიის, ბალკანეთის, სამხრეთ აფრიკის ბუნებრივი პირობები. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ის ეთნოგრაფიული მასალა, რომელსაც ისტორიკოსი საქართველოს (სვანეთი, შავიზღვისპირეთი), სომხეთის და ყირიმის შესახებ გვაწვდის. ერთი სიტყვით, ეს ნაშრომი გეოგრაფიული, ტოპოგრაფიული,

⁹ პროკოპის ბიოგრაფიის შესახებ იხ. აგრეთვე: H. Hunger. Die Hochsprachliche profane Literatur der Byzantiner. I. Bd, München, 1978. 291—300; B. Rubin. Prokopios von kaisareia eine Zeitzeugen-gestalt der ostromischen Leschichtschreibung.—Forschungen und Fortschritte. 23, 1955, 80—252.

¹⁰ *Ш. Дилс* *Цит. соc.*, VII.

¹¹ ს. ყაუხჩიშვილი, ბიზანტიურა ლიტერატურის ისტორია, 72.

¹² აქ განსაკუთრებით საინტერესოა წმინდა სოფიის ტაძრის აღწერილობა, იხ. Av. Cameron. Procopius and the Church of S. Sophia.—Harvard Theological Review. 58, 1965. 161 ff.

ტომონიმიური ხასიათის ძვირფას ცნობებს შეიცავს, როგორც ვარაუდობენ, ამ თხზულების დაწერის გამო პროკოპი შეიძლება დააჯილდოვოს და ქალაქის პრეფექტადაც დანიშნეს. ასეთი ვარაუდის საფუძველია 562 წლის თარიღით მოხსენებული პრეფექტი— ვინმე პროკოპი¹³. მითუმეტეს, რომ სვიდა თავის ლექსიკონში მას „illustri“ ტიტულით მოიხსენიებს¹⁴. ამის შემდეგ მისი ცხოვრების შესახებ არავითარი ცნობა არ მოგვეპოვება.

სულ სხვა ხასიათისაა პროკოპის მესამე თხზულება, ეგრეთ წოდებული „საიდუმლო ისტორია“, რომელიც პირველად აღმოაჩინა ჯა ამავე სახელწოდებით გამოსცა ვატიკანის ბიბლიოთეკის მცველმა ნიკოლოზ ალემანიმ 1623 წ.¹⁵ თავისი ორიგინალური შინაარსის გამო ამ ნაწარმოებმა მოიპოვა დიდი პოპულარობა და უფრო მეტი ყურადღება მიიპყრო, ვიდრე პროკოპის სხვა თხზულებებმა. ჩვენთვის უცნობია, რა უწოდა ავტორმა ამ შრომას ან საერთოდ დაასათაურა თუ არა იგი. პირველად ლექსიკოგრაფი სვიდა მოიხსენებს მას თავის ლექსიკონში: *ἡ ἀξιόμηναι Ἀνέκδοτα* („ეგრეთ წოდებული გამოუქვეყნებელი“) სახელწოდებით და მიიჩნევს მას „ომების“ მეცხრე წიგნად. რომელშიც მოცემულია მძაფრი კრიტიკა იუსტინიანესა და თეოდორას, ველისარიოსისა და მისი ცოლის ანტონინას საქმიანობისა¹⁶. როგორც ჩანს, თხზულების მიზანია ინფორმაციით გააღიდროს პროკოპის გამოქვეყნებული შრომები. ავტორი ფიქრობდა საიდუმლო ისტორიის გამოქვეყნებას მომავალში და თხზულებაც ძირითადად გოთვალისწინებულია მკითხველთა შემდგომი თაობებისათვის, მაგრამ „საიდუმლო ისტორიის“ დასასრულს ნათელი ხდება, რომ მასზე მუშაობის დასრულებისას იმპერატორი იუსტინიანე ჯერ კიდევ ცოცხალია და თხზულების გამოქვეყნება პროკოპის არ დასცალდა.

დღეისათვის „საიდუმლო ისტორიის“ სანდოობის საკითხი, რომელსაც განსაკუთრებული გულისყურით ეკიდებოდნენ იურისტები, თვლიდნენ რა, რომ პროკოპი პოლიტიკური კონცეფციის გამო ებრძოდა იუსტინიანეს¹⁷, დადებითადაა გადაჭრილი. ისტორიკოსის თხზულებათა ისტორიულ-ფილოლოგიურმა კვლევამ გვიჩვენა, რომ „საა-

¹³ H. Hunger. Die Hochsprachliche..., T. 252.

¹⁴ Suidae. Lexicon. 442.

¹⁵ Procopii Caesariensis, Viri illustris 'Ανέκδοτα Arcana historia. Gui est liber nonus historiarum. Ex Bibliotheca Vaticana Nicolaus Allemanus protulit, latine reddidit, notis illustravit. Lugduni 1623.

¹⁶ Suidae. Lexicon. 442.

¹⁷ Karl Krumbacher. Geschichte der byzantinischen litteratur. Procopios. München, 1897, 230. Ш. Д и л ь Ц и т. соч., X—XI.

დუმლო ისტორიის“ ავტორი ნამდვილად პროკოპი კესარიელია¹⁸, მაგრამ საკითხი თუ რამდენად შეესაბამება სიმართლეს „საიდუმლო ისტორიაში“ ასახული ამბები, დღესაც აქტუალურია და არ კარგავს თავის მნიშვნელობას.

პირველი პრობლემა წამოიჭრება შესავალშივე, რადგან „საიდუმლო ისტორიის“ დასაწყისი სიტყვები საოცრად ჰგავს იმ სიტყვებს. რომლითაც იწყება მერვე წიგნი „ომებისა“¹⁹. მართალია, ისინი ზუსტად არ იმეორებენ ერთმანეთს, მაგრამ მათ აქვთ ერთი და იგივე აზრი. როგორც VIII წიგნის შესავალში, აქაც პროკოპი აცხადებს, რომ მან უნდა შეცვალოს თავისი წერის მანერა (επιποθε) და ამიერიდან დაწვრილებით და თანმიმდევრობით აღწეროს ყველაფერი. რაც კი ხდებოდა რომაელთა ქვეყანაში. მერვე წიგნში ნათელია, თუ რისი გაკეთება სურდა პროკოპის და შესავალიც კარგად მიესადაგება წიგნს, მაგრამ იგივეს ვერ ვიტყვით „საიდუმლო ისტორიის“ შესახებ. შესავალი სიტყვა არ შეესაბამება ნაწარმოების ხასიათს, რადგან ან ნაწარმოებში არ არის მოვლენათა თანმიმდევრული აღწერა; აქ ფაქტიურად მხოლოდ იმ ინფორმაციის ვხვდებით, რომელსაც პროკოპი თავის სხვა გამოქვეყნებულ შრომებში მალავდა. თხზულებაში „ომების შესახებ“ ის ობიექტურად აღწერდა მოვლენათა მიმდინარეობას და გონებამახვილი ადამიანისათვის სტრიქონებს შორის ტოვებდა წასაკითხს, „საიდუმლო ისტორიაში“ კი პროკოპის თვითონ გამოაქვს საკმაოდ მკაცრი განაჩენი, ზოგჯერ უსამართლო და შეზღუდული²⁰ შესავლის დანარჩენი ნაწილი სავსეა სენტიმენტებით; ისინი ნახესხებია ისტორიოგრაფიული ტრადიციებიდან²¹. პროკოპი ცდლობს გაამართლოს თხზულების დაწერის აუცილებლობა და მიგვითითებს იმ მორალურ მიზანზე, რომელიც მას ამოქმედებდა: „მზად ვარ მომხდარი ამბების ჩამოთვლაზე ხელი ავიღო, — ამბობს იგი, — რადგან ჩემი ნაამბობი არც სანდო იქნება და არც დასაჯერებელი მომავალი თაობებისათვის. მეორეს მხრივ კი, როცა დიდი დრო გაივლის, ძველი ამბების მსმენელი თავისებურად გაიზარებს გაგონილს და ვშიშობ, ზღაპრების შემთხვევლად და ტრაგიკული სპექტაკლის დამდგმელად არ მიმიჩნოს“²².

„საიდუმლო ისტორია“ არის ერთადერთი წყარო, რომელიც მო-

¹⁸ A. W. de Groot. Untersuchungen zum byzantinischen Prosarhythmus (Prokopios van [sic] Cäsarea). Groningen. 1918; K. Kumaniecki. Zu Prokopios Anekdota und die Echtheitsfrage BZ 27(1927). 19—21.

¹⁹ Proop. De bello Gothico VIII, 1.

²⁰ K. Krumbach'er. Op. cit. 230.

²¹ იქვე. 230; I. A. S. Evans. Procopius. 86.

²² პროკოპი. საიდუმლო ისტორია, I, 4.

გვითხრობს სენსაციურ ამბავს თეოდორასა და იუსტინიანეზე. პროკოპი გვაცნობებს, რომ თეოდორას მამა ცირკში მსახურობდა დათვებარს. მეთვალყურედ. თეოდორა კი თეატრის მსახიობი იყო და ამორალურ ცხოვრებას ეწეოდა, სანამ იუსტინიანეს გაჰყვებოდა ცოლად. თითქოს მან აიძულა გუთების მეფე თეოდატე მოეკლა დედოფალი ამალასუნთა და მრავალი სხვა, ჩვენ ყოველივეს „საიდუმლო ისტორიიდან“ ვგებულობთ. თეოდორას რეპუტაცია ბიზანტიურ სამყაროში მრავალგვარია. IX საუკუნის ბოლოდან ტრადიციულად მას მოიხსენიებენ, როგორც ბრძენს, უმანკოსა და გარეგნულად მშვენიერს, ხშირად აღარებდნენ წმინდა ელენეს, კონსტანტინე დიდის დედას. სავარაუდოა, რომ ეს ცნობები მონოფიზიტურმა ეკლესიამ შემოინახა. როგორც ცნობილია, თეოდორა მათი მოკავშირე იყო. XIII საუკუნის სირიული გადმოცემის თანახმად თეოდორას მამა, რელიგიური მრწამსით, მონოფიზიტი იყო. როცა იუსტინიანემ ქალიშვილის ხელი სთხოვა, მან თითქოს პირობა ჩამოართვა მომავალ სიძეს, რომ იგი არასდროს აიძულებდა თეოდორას მიეღო ქალკედონის გავრცელებული დოქტრინა²³.

საყოველთაოდ აღიარებულ აზრს დედოფლის სილამაზეზე იზიარებს პროკოპიც. თხზულებაში „შენობათა შესახებ“, რომელიც დედოფლის გარდაცვალების შემდეგ არის დაწერილი, ხოტბას ასხაპა მის გარეგნობას²⁴. ზოგიერთ მკვლევარს მიაჩნია, რომ პროკოპი გაზვიადებულად აღწერდა დედოფლის სილამაზეს, რათა მეტი შთაბეჭდილება მოეხდინა თავის მკითხველზე²⁵. სვიდა, განიხილავს რა „საიდუმლო ისტორიას“. ასკენის, რომ პროკოპი ცდილობდა განეცვიფრებინა მკითხველი თავისი აღმოჩენებით. თეოდორას წარსულის შესახებ (იუსტინიანესთან ქორწინებამდე), პროკოპის თხზულების გარდა, ცნობებს გვაწვდის ერთი სირიული წყარო, სადაც თეოდორა მოიხსენება, როგორც საეკვო მორალის ქალი²⁶. გარდა ამისა, ამ ფაქტს ამჟღავნებს თავად იუსტინიანეს კოდექსთა კრებულიც²⁷. პროკოპი „საიდუმლო ისტორიაში“ ამტკიცებს, რომ იუსტინიანემ აიძულა ბიძამისი, იმპერატორი იუსტინე, დასაშვები გაეხადა მაღალი წრის მამაკაცებისთვის ქორწინება მსუბუქი ყოფაქცევის ქალებთან²⁸. შეიძლება თეოდორა მართლაც იყო მეძავი გათხოვებამდე, მაგრამ ისიც შეიძლება დაეუშვათ, რომ პროკოპი ფაქტებს აზვიადებს. თეოდორა შეიცვალა

²³ Ш. Д и л ь, Цит. соч. 49.

²⁴ I. A. S. Evans. Procopius. 87.

²⁵ იქვე.

²⁶ Ш. Д и л ь, Цит. соч. 45.

²⁷ Cod. Justinianus. 5, 4. 12—31.

²⁸ პროკოპი კესარიელი, საიდუმლო ისტორია, IX. 51.

მორალის მხრე მას შემდეგ. რაც იუსტინიანეს შეხვდა. ბიზანტიური ტრადიციის მიხედვით გათხოვებამდე იგი ცხოვრობდა ერთ პატარა სახლში და დროის უმეტეს ნაწილს მატყლის დართვაში ატარებდა, როგორც ძველი დროის რომაელი მატრონა²⁹. რაც შეეხება დედოფალ ამალასუნთას მკვლევლობას. „საიდუმლო ისტორიის“ ავტორი-გვაუწყებს, რომ თეოდორამ ვინმე პეტრეს დაავალა წასულიყო იტალიაში და ამალასუნთა მოეკლა, პეტრემ კი თითქოს რაღაც ხრიკებით დაითანხმა თეოდატე და მას ჩაადენინა ეს ბოროტება³⁰. წიგნში „ომი გუთებთან“ პროკოპი გვაუწყებს, რომ როცა პეტრე იტალიაში ჩავიდა, ამალასუნთა უკვე მკვდარი იყო³¹. თანამედროვე ისტორიკოსები თვლიან, რომ „საიდუმლო ისტორიაში“ მოთხრობილი ამბავი სინამდვილეს არ ჰგავს, თუმცა, მეორეს მხრივ, მთლიანად მოგონილიც არ უნდა იყოს, რადგანაც სწორედ იმ დროს, როცა ამალასუნთა მოკლეს, თეოდორა ოსტგუთების ტაძარში რაღაც მისტერიაში იღებდა მონაწილეობას. ამ ამბავს ვიგებთ დედოფალ გუდელინას წერილიდან თეოდორასადმი, რომელიც შემწყნარებლობით დამოკიდებულებას გამოხატავს დედოფლის მიერ ჩადენილი რაღაც საქციელისადმი³², მაგრამ ეს ფაქტი შეიძლება მკვლევლობას სულაც არ ეხებოდეს. პროკოპი ყოველთვის მზად იყო დაეჭვებინა ყველაფერი, რაც დედოფლის ვერაგობას გამოამჟღავნებდა. მართალია, ის სინამდვილეს აღწერდა, მაგრამ მის აღწერილობაში ყველგან თავს იჩენს გაღიზიანებული პიროვნების მიკერძოებული ხედვა. პროკოპი ერთნაირად უარყოფითად განიხილავს თეოდორას ყოველ მოქმედებას. ისტორიკოსო მაშინაც აღშფოთებულია. როცა თეოდორა მფარველობს მოღალატე ცოლებს³³ და მაშინაც, როდესაც იგი მოსანანიებლად მონასტერში აგზავნის ხუთას იაფფასიან კაზას. პროკოპი თანაუგრძნობს მათ და აღნიშნავს, რომ ზოგიერთმა მათგანმა ვერ გაუძლო ამ სისასტიკეს და თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე³⁴.

„საიდუმლო ისტორია“ დაწერილია აშკარა სიძულვილით მოქმედი გმირების მიმართ, თუმცა ეს სიძულვილი ველისარიოსის მიმართ უფრო შეცოდებას ჰგავს: „დადიოდა ველისარიოსი ბიზანტიონში, როგორც ერთი ვინმე მდაბიო; მარტოსულს. ფიქრებით დამძიმებულს. და ნაღვლიანს სიკვდილის ემინოდა მზაკვართაგან“³⁵ — წერს ავტო-

²⁹ მას შემდეგ რაც დედოფალი გახდა, იმ ადგილას თეოდორამ წმ. პანტელეონის სახელობის ეკლესია ააგებინა.

³⁰ საიდუმლო ისტორია, XVI, 5—6.

³¹ Procop. De B. G, V, 4.

³² I. A. S. Evans, Procopius. 89.

³³ პროკოპი კესარიელი. საიდუმლო ისტორია, XVII. 24.

³⁴ იქვე. XVII, 5, 6.

³⁵ იქვე. IV, 15.

რ. თხრობის მსვლელობაში აწკარა ხდება, რომ ეს გრძნობა სიძულვილსა ავტორს გაცილებით მეტი ჰქონდა ანტონინას მიმართ, ხოლო იუსტინიანესა და თეოდორასადმი კულმინაციას აღწევს.

თანამედროვე ისტორიკოსები ცდილობდნენ სხვადასხვანაირი ახსნა მოუძებნონ პროკოპის ამგვარ მიკერძობულობას. ერთნი გვთავაზობენ მოსაზრებას, თითქოს პროკოპი რომელიღაც მწვალებლობას მიმდევარი იყო და კონფესიურ ნიადაგზე უპირისპირდებოდა იუსტინიანეს. რომელიც. მისი აზრით, მართლმადიდებლურ დოგმატიკაში სცოდავდა.

მეორენი მიიჩნევენ, რომ პროკოპის უკმაყოფილება გამოწვეული იყო მისი წარუმატებლობით სასახლის კარზე, თუმცა ამას კატეგორიულად ვერ ამტკიცებენ ზუსტი ბიოგრაფიული ცნობების უქონლობის გამო. თავად „საიდუმლო ისტორია“ უფრო მეტ მასალას გვაწვდის ავტორის ფსიქოლოგიური პორტრეტის შესაქმნელად, ვიდრე მისი ბიოგრაფიის შესავსებად.

როგორც „საიდუმლო ისტორიიდან“ ვგებულობთ, 543 წელს ველისარიოსი პატივყარილი იყო და მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა. მეგობრებსა და ახლობლებს მასთან ყოველგვარი ურთიერთობა. თუნდაც ყველაზე უმნიშვნელო. აკრძალული ჰქონდათ³⁶, საფიქრებელია. რომ პროკოპი ამ აკრძალვას ანგარიშს არ გაუწევდა და ამის გამო სასახლის კარზე, ველისარიოსის შერისხევასთან ერთად, მის მრჩეველსაც ათვალწუნებდნენ. ამიტომ, ალბათ, პროკოპის წინსვლა სახელმწიფოს ბიუროკრატიულ აპარატში შეწყდა, ხოლო მისი ძველი პროფესია (რიტორისა) იუსტინიანემ თავისი რეფორმების წყალობით გამოუსადევარი გახადა და გააუფასურა³⁷. სავარაუდოა, რომ ამ რთულ ვითარებაში პროკოპი მთელ იმედებს კვლავ ველისარიოსზე დაამყარებდა. მით უფრო, რომ, მისი აზრით, ველისარიოსის ერთადერთი უბედურება საკუთარი ცოლის წინაშე უძლურება იყო. პროკოპი არსად არ ცნობს ქალის უპირატესობას ქმრის წინაშე, — ქმარზე ცოლის გავლენას იგი მხოლოდ გრძნეულებით ხსნის, და იმედოვნებს, რომ ოცტგუთების წინააღმდეგ ლაშქრობაში (544 წ.) ველისარიოსი გაიმარჯვებს და პირველი შესაძლებლობისთანავე დასჯის როგორც თავის მეტოქეს, ასევე მოღალატე ცოლს და ყველას, ვინც კი მას დევნიდა და აფიწროვებდა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ არსებული რეჟიმის მოწინააღმდეგეებს ველისარიოსის იუსტინიანეს წინააღმდეგ გალაშქრების იმედი ჰქონდათ, თუმცა ამის შესახებ თხზულების ავტორი მინიშნებითაც კი არაფერს ამბობს და ჩვენც მხოლოდ ვარაუ-

³⁶ საიდუმლო ისტორია. IV, 15.

³⁷ იქვე. XXVII, 3, 4, 5.

დის გამოთქმა შეეგომლია. ველისარიოსმა კი ამჯერადაც გაუტრუა იმედი თავის მომხრეებს, მათ შორის პროკოპისაც³⁸.

„საიდუმლო ისტორია“ მდიდარ ცნობებს შეიცავს იუსტინიანეს ცხოვრებაზე. თხზულების ავტორი დიდი გულმოდგინებით ცდილობს ახსნას ის მოვლენები, რომელმაც ღარიბი ილირიელ გლეხთა 'ტამაი-მავალი განადიდა და კეისართა მემკვიდრედ აქცია. პროკოპი დაწვრილებით გვიამბობს მის წარმომავლობაზე, ხასიათზე, ზნე-ჩვეულებებსა და მისწრაფებებზე, მის ცოლზე (სწორედ მისი საშუალებით ცდილობს პროკოპი ღრმად ჩასწვდეს იუსტინიანეს შინაგანი სამყაროს საიდუმლოებას³⁹) და ბოლოს იმ საოცარ ცვლილებებზე სოციალურ-პოლიტიკურ და კულტურულ-რელიგიურ ცხოვრებაში, რომელმაც შეძრა მთელი იმდროინდელი სამყარო.

იუსტინიანე I (Flavius Petrus sabbatius Justinianus) დაიბადა 482 წლის ახლო ხანებში, ღარიბი გლეხის ოჯახში, ზემო მაკედონიის სოფელ ტაურისიაში. ბედერიანას ზახლობლად. მისმა ზიკამ იუსტინემ, რომელსაც წვილი არ ჰყავდა, აღსაზრდელად დედაქალაქში თავისი დისწული ჩამოიყვანა და მართალია, თვითონ წერაკითხვის უცოდინარიც კი იყო, მაგრამ რადგანაც კარგად ჰქონდა შეგნებული განათლების ფასი, დისწული ძველი ბერძნული და რომაული კულტურის მდიდარ ტრადიციებზე აღზარდა და ბრწყინვალე განათლება მიიღებინა.

იუსტინიანემ თავისი დაუმრეტელი ენერჯის, ძლიერი გონებისა და მოხერხების წყალობით, ბიძანისი — იმპერატორი იუსტინე — ისეთი ზეგავლენის ქვეშ მოაქცია, რომ ჯერ მის თანამართველად (518 წ.), ხოლო შემდგომ ტახტის კანონიერ მემკვიდრედ შეიქმნა და როდესაც ღრმადმოხუცებული იუსტინე მიიცვალა (527 წლის 1 აგვისტო), სახელმწიფოს ერთპიროვნული განმგებელი გახდა. ტახტზე ასვლისას იუსტინიანე 45 წლისა იყო და რომის იმპერიას თითქმის ნახევარი საუკუნე (38 წელი, 7 თვე და 13 დღე) მართავდა⁴⁰.

იუსტინიანეს ფანტიკური მისწრაფება იყო რომის იმპერიას აღორძინება და ამ საქმეს მიუძღვნა მან მთელი თავისი მოღვაწეობა. იგი შრომობდა დღედაღამ: ხელმძღვანელობდა დევიზით: „იმპერატორს არასდროს არ სძინავს“, პირადად მონაწილეობდა უამრავ საქმეში, ადგენდა ბრძანებებს, აწარმოებდა გაცხოველებულ მიმოწერას, ერეოდა თავისი მხედართმთავრებისა და მინისტრების წვრილმან საქმიანობაშიც კი, ცხოვრობდა უბრალოდ, ცოტას ჭამდა და სუამ-

³⁸ საიდუმლო ისტორია. IV. 41.

³⁹ იქვე. X, 3.

⁴⁰ J. A. S. Evans, Procopius, 15.

და. მისი ნახვა ხელმისაწვდომი იყო ყველასათვის; ყველას აოცებდა შრომის უნარი და ენერჯით.

დაშლის პირას მისული იმპერიის ხსნა და მისი შემდგომი აღორძინება შეუძლებელი იყო რადიკალური ღონისძიებების გარეშე ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში. იუსტინიანემ შეზღუდა დიდკაცობის უფლებები და მოახდინა ხელისუფლების ცენტრალიზაცია: გააძლიერა არმია და ბიუროკრატიული აპარატი; ძველი რომაული სამართლის საფუძველზე შექმნა ახალი სამართლებრივი კოდექსი (პირველი რედაქცია 529 წელს. მეორე — 534 წელს).

იუსტინიანე აქტიურად ერეოდა საეკლესიო ცხოვრებაშიც. ეკლესია მან. ფაქტურად. სახელმწიფოს დაუქვემდებარა. იგი ღრმად მორწმუნე და ღვთისმეტყველების კარგი მცოდნე იყო; ეხმარებოდა მონასტრებს: ებრძოდა მონოფიზიტებს და წარმართებს (529 წელს დახურა ათენის უნივერსიტეტი, რომლის ტრადიციები პლატონთან და არისტოტელესთან იღებდა სათავეს და კვლავ წარმართულ საფუძველზე არსებობდა).

იუსტინიანე ახორციელებდა აქტიურ საგარეო პოლიტიკას; ეწეოდა დაპყრობით ომებს ჩრდილოეთ აფრიკაში (535—555 წწ). და ესპანეთში (554 წ.). ამ ლაშქრობების შედეგად მთელი ხმელთაშუა ზღვის აუზი ბიზანტიის იმპერიის ქვეშევრდომი გახდა.

ზემოაღნიშნული ცნობები, რომელთაც, იუსტინიანეს ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ოფიციალური ისტორიოგრაფიის გარდა, პროკოპი კესარიელის თხზულება „საიდუმლო ისტორია“ გვაწვდის, სინამდვილეს ასახავენ. შემდგომი თაობები იუსტინიანეს დამსახურებულად მოიხსენებდნენ ძველებური დიდებით და იმედს გამოთქვამდნენ. რომ თავისი საქმით იმპერატორი ღმრთის სასუფეველში დაიმკიდრებდა ადგილს¹¹. მაგრამ, როგორც ერთხელ უკვე აღვნიშნეთ, „საიდუმლო ისტორიის“ აღმოჩენამ თავდაპირველად ექვის ქვეშ დააყენა როგორც იუსტინიანეს დამსახურება იმპერიის წინაშე, ასევე მისი როლი ბიზანტიის ცივილიზაციის ისტორიაში.

ამ თხზულებაში პროკოპი კესარიელის მიერ იუსტინიანეს ძაგებას საზღვარი არა აქვს. იგი დახასიათებულია, როგორც უარყოფითი თვისებების მქონე მბრძანებელი. იმპერატორის სახე მთლიანად მითოლოგიურ საფარშია გახვეული. ჰიპერბოლიზაცია აქ განსაკუთრებულ სიმძაფრეს აღწევს. იუსტინიანე წარმოდგენილია უკეთურ ზებუნებრივ არსებად, რომელიც თეოლოგიური ტერმინოლოგიით შეიძლება ანტიქრისტიესთან გავაიგივეოთ¹². ეს თეორია უფრო დამაჯერებ-

¹¹ Ш. Дитя. Цит. соч. 35—36.

¹² B. Rubin. Das Zaitalter Justinianus. Berlin, 1960, 203 — 17; 440, 454.

ბელი რომ გახადოს, პროკოპის მოჰყავს მთელი რიგი მაგალითებისა. თხრობას იგი იუსტინეს ჯარში სამსახურის დროს მომხდარი უჩვეულო ამბით იწყებს⁴³, შემდეგ ავითარებს აზრს, თითქოს იუსტინიანე დედამისის რომელიღაც უხილავი დემონისაგან ჩაესახა⁴⁴, რამდენიმე მსახური თითქოს იმის მოწმეც იყო, თუ როგორ მოსცილდებოდა ხოლმე იუსტინიანეს სხეულს თავი და გარკვეული დროის შემდეგ კვლავ შეუერთდებოდა⁴⁵. განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენს ერთი ბერის მტკიცება, თითქოს მას, იუსტინიანესთან დარბაზობაზე შესულს, სამეფო ტახტზე ეშმაკი დახვდა აღხევებული⁴⁶. ჩამოთვლილი მაგალითები და პროკოპის თხზულებაში მოთხრობილი სხვა ამბები, რომლებიც იუსტინიანეს შინაგანი ბუნების დახასიათებას ეძღვნება, წარმოადგენენ მტკიცებას სატანასთან მის წილნაყარობაზე. პროკოპის აზრით, იუსტინიანე ზებუნებრივი ბოროტი ძალის ხელდასხმით იყო მოვლენილი დედამიწაზე. „ეშმაკის მოციქულს“ ძალა შესწევდა ემოქმედა არა მარტო ადამიანთა ბედის მსვლელობაზე, არამედ გამოეწვია სტიქიური უბედურებანი (მიწისძვრა, წყალდიდობა, შავი ჭირა და ა. შ.). ამას ხელს უწყობდა ეგრეთ წოდებული უნივერსალური ოსტაქი, რომელიც ნაწარმოებში განუყრელად უკავშირდება იუსტინიანეს მოქმედებას⁴⁷. იუსტინიანეს კავშირს ზებუნებრივ ძალასთან პროკოპი აღნიშნავს აგრეთვე თხზულებაში „შენობათა შესახებ“⁴⁸, მაგრამ აქ მოცემული დახასიათება რადიკალურად უპირისპირდება იმ სურათს, რომელიც ისტორიკოსმა დაგვიხატა „საიდუმლო ისტორიაში“. თხზულებაში „შენობათა შესახებ“ იუსტინიანე გამოყვანილია, როგორც ღვთის მიერ წარმოგზავნილი დედამიწაზე, რომელსაც საიმპერატორო მისიის შესასრულებლად კავშირი ჰქონდა ღმერთთან: „საიდუმლო ისტორიაში“ კი ისტორიკოსმა შეცვალა წარმოდგენა ღვთიურ ბასილევსზე და იგი დიამეტრულად საწინააღმდეგო ძალად — ანტიქრისტედ — გაიზრა.

შეიძლება კი უსიტყოდ ვენდოთ ყველაფერს, რასაც პროკოპის „საიდუმლო ისტორია“ გვამცნობს? „შენობათა შესახებ“ თხზულებასთან „საიდუმლო ისტორიის“ შედარებისას ვხვდებით მრავალ ერთი შეხედვით. ერთმანეთის გამომრიცხავ ფაქტს:

⁴³ საიდუმლო ისტორია. VI. 5—10.

⁴⁴ იქვე, XII, 18—19.

⁴⁵ იქვე, XII, 20—22.

⁴⁶ იქვე, XII, 24—26.

⁴⁷ იქვე, XII, 14—17.

⁴⁸ P r o c o p . De Aedificiis.

1. „საიდუმლო ისტორიაში“ ავტორი ამტკიცებს, რომ იუსტინიანე იყო ეშმაკი, ფლიდი, ორპირი, მეგობრებთან ორგული, მტერთან დაუნდობელი. ვერ ძღებოდა სისხლითა და ფულის სიყვარულით⁴⁹. თხზულებაში „შენობათა შესახებ“ კი გვეუბნება, რომ იუსტინიანე განსაკუთრებული გულმოწყალებით გამოირჩეოდა⁵⁰.

2. „შენობათა შესახებ“ მოგვითხრობს იმ დიდი საქმიანობის შესახებ, რომელსაც იუსტინიანე აწარმოებდა ბარბაროსების შემოსევებისაგან იმპერიის დასაცავად⁵¹, „საიდუმლო ისტორიიდან“ კი რადიკალურად საწინააღმდეგო აზრის გამოტანა შეიძლება: თითქოს იუსტინიანეს ერთადერთი სურვილი ამოძრავებდა — როგორმე გაელატაკებინა ქვეყანა და ამის გამო ბარბაროსებს ურიგებდა მთელ ქონებას⁵².

გარდა აშკარა ფაქტობრივი წინააღმდეგობისა, ამ ორ თხზულებაში ვხვდებით ერთი და იმავე ფაქტის მიმართ ორგვარ დამოკიდებულებასაც:

1. „საიდუმლო ისტორიაში“ პროკოპი აღწერს, თუ როგორი დაუნდობლობითა და სისასტიკით უსწორდებოდა იუსტინიანე მწვალებლებსა და წარმართებს⁵³. „შენობათა შესახებ“ კი გვაუწყებს, რომ ლეთისმოსავი ხელმწიფე მართლმადიდებლობის დამცველი და ერთგული იყო⁵⁴. აქ საქმე გვაქვს ერთი და იგივე ფაქტის ორ მხარესთან: ერთი მხრივ მართლმადიდებლობის ინტერესების დაცვასთან, ხოლო მეორე მხრივ — სისასტიკესთან კონფესიურად მოწინააღმდეგე სარწმუნოებრივი დაჯგუფებისადმი. განსხვავება ერთი და იგივე მოვლენის სხვადასხვანაირი შეფასებისა იმაში მდგომარეობს, რომ პროკოპი ერთ შემთხვევაში („შენობათა შესახებ“) ცდილობს წინა პლანზე წამოსწიოს მოვლენის პოზიციური მხარე — ერთგულება მართლმადიდებლობისადმი, მეორე შემთხვევაში კი („საიდუმლო ისტორია“) ყურადღებას ამახვილებს ამავე მოვლენის ნეგატიურ მხარეზე — სისასტიკეზე მართლმადიდებლობის მტრებისადმი.

არსებითად, ამ ორ თხზულებაში აღწერილია ერთი და იგივე მოვლენა. „საიდუმლო ისტორიაში“ პროკოპი კი არ ტყუის, არამედ ცდილობს უარყოფითი შეფასება მისცეს იუსტინიანეს მოქმედებას.

⁴⁹ საიდუმლო ისტორია. VIII. 24—26, XI. 13—32.

⁵⁰ Procop. De aed. I, 1, 15—16.

⁵¹ იქვე. IV, 3, 23—24.

⁵² საიდუმლო ისტორია. VIII. 5—6.

⁵³ იქვე. XI, 23.

⁵⁴ იქვე, V, 7, 1—16.

2. ანალოგიურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როდესაც პროკოპი ეხება იუსტინიანეს სამშენებლო მოღვაწეობას.

„სიაღუმლო ისტორიაში“ პროკოპი სასტიკად გმობს იუსტინიანეს მიერ საზღვაო მშენებლობებში ფულის უაზრო ფლანგვას, „შენობათა შესახებ“ კი აღფრთოვანებული აღწერს ჯებირების მშენებლობას, ნავსადგურების კეთილმოწყობას და სხვა⁵⁵.

როგორც ზემოაღნიშნული მაგალითებიდან ჩანს, პროკოპი ორივე თხზულებაში ერთსა და იმავე ფაქტებს აღნიშნავს, ეს ფაქტები არსებობდნენ და ისტორიკოსიც წარმოადგენდა მათ, ოღონდ მკვეთრად საწინააღმდეგო შეფასებით. ერთსა და იმავე პიროვნებას ან რაიმე მოვლენას იგი ხან გაზვიადებულად აქებდა და ხან დაუნდობლად ამაგებდა. მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა ამ საკითხის გარშემო; ერთნი ფიქრობენ, რომ პროკოპის სიძულვილი დამყარებული იყო სენატორული არისტოკრატის წარმომადგენლის განწყობაზე ნოვატორი იმპერატორის მიმართ, რომელმაც თავისი რეფორმებით შეზღუდულა მისი წრის უფლებები⁵⁶, ხოლო მეორენი კი თვლიან, რომ ასეთი გადაჭარბებული ქება (ზოგიერთი მკვლევარი „მლიქვნელობასაც“ კი უწოდებს) მომდინარეობდა სასახლის კარზე მოღვაწე დაწინაურების მოლოდინში მყოფი ისტორიკოსის უსაზღვრო პატივმოყვარეობიდან⁵⁷.

იუსტინიანესადმი პროკოპის ასეთი გარეებული დამოკიდებულების ახსნა, ჩვენი აზრით, უწინარეს ყოვლისა, მის პიროვნებებში უნდა ვეძიოთ. ერთის მხრივ, პროკოპის ოპოზიცია უნდა განვიხილოთ, როგორც ბრალდება შემარჯვენე კონსერვატორისა, რომელსაც პირადი დაინტერესება ჰქონდა. იმპერატორის ნოვატორობა შეეხო სენატორთა უფლებებს და ამდენად, პროკოპისაც: იმპერატორმა შეამცურა ვეჟილ-რიტორთა შემოსავალი და ამდენად, შემოსავალი შეუმცირდებოდა პროკოპისაც. მეორე მხრივ, პროკოპი, რომელიც აქტიურად მოღვაწეობდა სასახლის კარზე და მაღალი მდგომარეობის მოსაპოვებლად იღვწოდა, წერდა ისტორიას, სადაც იმპერატორის სახელს განადიდებდა.

ამ რთულ საკითხს მეტი სინათლე მოჰფინა პროკოპი კესარეელის მსოფლმხედველობის ერთ მთლიანობაში გააზრებამ, ეს კი საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ მიზეზთა მიზეზი პროკოპის, როგორც პიროვნების, ასევე მისი შემოქმედების, გარეებისა გამოწვეული იყო იმ რთული პროცესებით, რომელიც VI საუკუნის ბიზანტიის სოცია-

⁵⁵ Procop. De aed. I, II. 18—20.

⁵⁶ J. A. S. Evans, Procopius. 95.

⁵⁷ Э. В. Удальцова. Идеино-политическая борьба..., 161.

ლერ-პოლიტიკურ და რელიგიურ-ფილოსოფიურ ცხოვრებაში მიმდინარეობდა⁵⁸.

„საიდუმლო ისტორიის“ დასათარიღებლად სხვა არავითარი წყარო არ მოგვეპოვება თვით ამ ნაწარმოების გარდა. ავტორი რამდენიმე ადგილას აღნიშნავს, რომ იუსტინიანეს მეფობიდან 32 წელია გასული. მკვლევართა ერთსულოვანი აზრით, პროკოპი იუსტინიანეს მეფობას ითვლის არა 518 წლიდან, როდესაც იგი იუსტინეს თანამმართველი იყო, არამედ 527 წლიდან, ამრიგად, „საიდუმლო ისტორია“ დაწერილი უნდა იყოს 558—59 წლებში⁵⁹. ამავე დროს უკავშირდება პროკოპის მეორე თხზულებების — „შენობათა შესახებ“ — დაწერაც.

გამოდის, რომ პროკოპი ერთდროულად მუშაობდა იუსტინიანეს განმადიდებელ და განმაქიქებელ თხზულებებზე. მკვლევართა შორის ერთხანს გავრცელებული იყო ექვი, რომ ეს ორი თხზულება არ შეიძლებოდა ერთდროულად დაწერილიყო მათში აღწერილი მოვლენებისადმი ავტორის წინააღმდეგობრივი დამოკიდებულების გამო. ამიტომ ფიქრობდნენ, თითქოს პროკოპი იუსტინიანეს მეფობას იუსტინესთან თანამმართველობის ხანიდან (518 წლიდან) ითვლიდა, და მასასადამე, „საიდუმლო ისტორია“ „შენობათა შესახებ“ თხზულებაზე ცხრა წლით ადრე უნდა დაწერილიყო (550 წ.)⁶⁰. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, შემდგომმა ძიებამ დაადასტურა ამ ორი თხზულების თანადროულობა.

მართლაც, „საიდუმლო ისტორია“ გადმოგვცემს უმეტესწილად იმასვე, რასაც თხზულება „შენობათა შესახებ“. განსხვავება ძირითადად ფაქტებისადმი ავტორის დამოკიდებულებაშია. თუ ერთი თხზულება („შენობათა შესახებ“) გადაჭარბებით აფასებს იუსტინეს მოღვაწეობას, მასში დადებითი მხარეების აღმოჩენას და ხაზგასმას ცდილობს, მეორეში — პირიქით. ცინიკურად აფასებს მას.

დედაარსი „საიდუმლო ისტორიისა“ ის არის, რომ ავტორი მოუთმელად მოელის იუსტინიანეს სიკვდილს, მაგრამ იგი მოელის იუს-

⁵⁸ იქვე, 173—196.

⁵⁹ J. A. S. Evans. The Dates of the Anecdota and the De Aedificiis of Procopius.—Classical Philology vol. 64 (1969).

⁶⁰ იქვე.

ტინიანეს ბუნებრივ სიკვდილს და არა აჯანყების შედეგად მის დამხობას. „საიდუმლო ისტორია“ არ შეიცავს აჯანყებისაკენ მოწოდებას. მისი პროტესტის ტონი არის ძველი მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ფილოსოფიური ტრადიციის — ცინიზმის — რემინისცენცია. ცინიკოსებმა დახვეწეს სიტყვის თავისუფლება. მათ ჰქონდათ გამოცდილება ტირანიასთან სიტყვიერი ოპოზიციისა. სწორედ ამის ნაკვაღევი შეგვიძლია ამოვიცნოთ „საიდუმლო ისტორიაშიც“. მისი ავტორი ოპოზიციამა იუსტინიანესთან, როგორც ტირანთან; ხატავს მას სატანის მოციქულად; მაგრამ რადგან იუსტინიანეს დროს ბიზანტიაში არ იყო სიტყვის თავისუფლება, პროკოპი თავის პროტესტს გამოხატავს გამოუქვეყნებელ პამფლეტში, რომლის არსებობაც შეიძლებოდა სცოდნოდა მხოლოდ რამდენიმე სანდო პირს⁶¹.

დიდა „საიდუმლო ისტორიის“ მნიშვნელობა იუსტინიანეს ეპოქის შესწავლის საქმეში. ოფიციალური საისტორიო წყაროები (მათ შორის პროკოპის სხვა თხზულებები) ყოველთვის როდი გვაწვდიან პირუთენელ ცნობებს თანადროულობაზე, „საიდუმლო ისტორია“ აზუსტებს მათში მოყვანილ მრავალ ფაქტს, კრიტიკული პოზიციიდან აშუქებს იმპერატორის მოღვაწეობას, საინტერესო ცნობებს გვაწვდის სასახლის ინტრიგების შესახებ, რომლებიც არ შეიძლებოდა ასახულიყო ოფიციალურ ისტორიოგრაფიაში.

თუმცა ობიექტურ მკვლევარს გადაჭარბებული ეჩვენება „საიდუმლო ისტორიის“ კრიტიკული პათოსი, მაგრამ იგი მაინც ძვირფასი საისტორიო წყაროა. მისი შეჭერება პროკოპის სხვა თხზულებებთან საშუალებას გვაძლევს აღვადგინოთ შეუფერადებელი, ტენდენციებისაგან თავისუფალი, ისტორიული სინამდვილე.

ქართული ისტორიოგრაფიისათვის პროკოპის ზემოაღნიშნული თხზულება იმითაც არის საინტერესო, რომ აქ, მისთვის დამახასიათებელი უარყოფითი შეფასებით, არის მოთხრობილი სპარსელ-ბიზანტიელთა ლაზიკის ტერიტორიაზე ომების ზოგიერთი ეპიზოდი, განსხვავებული ინტერპრეტაცია აქვს მიცემული ვაჭრობის მონოპოლიას ეგრისში და ა. შ. ყოველივე ეს მკვლევარს საშუალებას აძლევს უფ-

⁶¹ J. A. S. Evans. Procopius. 1972, 100-110.

რო ყოველმხრივი და ობიექტური წარმოდგენა შეიქმნას იმ ისტორიულ მოვლენებზე, რომლებიც VI საუკუნეში საქართველოში ხდებოდა.

თარგმანი შესრულებული გვაქვს ი. ჰაურის გამოცემიდან: I. Haury. Procopii Caesariensis opera omnia. III. Lipsiae 1913; ამავე გამოცემის ახალი გადამუშავებულ-შესწორებული პუბლიკაციიდან, რომელიც განაზოცილა C. Wirth-მა (Leipzig, Bd, III 1963), შედარებულია უახლესი ბერძნულ-გერმანულ გამოცემასთან O Ven, München, Bd-1. Anekdot, 1961. ბერძნულ-რუმინული გამოცემა—Historia arcana (Anekdot). ed. H. Mihăescu. Bukarest, 1972—ჩემთვის მიუწვდომელი აღმოჩნდა.

პროკოპი კესარიელი

საიდუმლო ისტორია

I. 1. ტომით რომაელებს რაც აქამდე ბრძოლებში თავს გადახდათ, მე ისე აღვწერე, როგორც ძალა შემწვედა, საქმეთა მსვლელობას მოხერხებულად ვუკავშირებდი დროსა და ადგილს, მაგრამ ამიერიდან ჩემს თხრობას სხვა გზით წარემართავ. ახლა უკვე დაწვრილებით აღვწერ ყველაფერს, რაც რომაელთა მმართველობის დროს ხდებოდა. 2. ჩემს მიერ სიმართლის დამალვის მიზეზი ის იყო, რომ ამ საქმის ჩამდენი ადამიანები ისევ ცოცხლები იყვნენ და გარემოება მოითხოვდა, ასე მეწერა. ვერ დავემალეოდი გარშემო მყოფ მრავალ მეთვალყურეს და ვერც საზარელ სიკვდილს დავალწევედი თავს, რადგან ჩემს დასაცავად არც ახლობლებს და არც ნათესავებს არ აღმოაჩნდებოდათ სიმამაცე. 3. სწორედ ამის გამო იძულებული ვიყავა, ჩემს წინა თხზულებებში მრავალი რამ დამეფარა. ამ მოთხრობაში კი უნდა ავხსნა იმის მიზეზები, რაზეც აქამდე ვლუმდი, რაც უწინ არ ვამეღაგენე.

4. შევუღდექი თუ არა იუსტინიანეს და თეოდორას განვლილი ცხოვრების აღწერის მეტად რთულსა და მძიმე საქმეს, მზად ვარ მომხდარი ამბების ჩამოთვლაზე ხელი ავიღო, რადგანაც ჩემი ახლანდელი ნაამბობი შთამომავალთ არც სანდოდ მოეჩვენებათ და არც სარწმუნოდ. გარდა ამისა, დიდი დრო რომ გაივლის, ძველი ამბების მსმენელი თავისებურად გაიზარებს გაგონილს და ეშიშობ. მითების შემთხვევლად და ტრაგედიების დამდგმელად არ მიმიჩნიოს. 5. მიუხედავად ამისა, გამბედაობა მყოფნის ამ მძიმე საქმეს შევუღდე, რადგან ჩემს მოთხრობას მრავალი მოწმე ჰყავს, თავისი დროის ამბავთა მცოდნე და მომსწრე მომავალი თაობის ადამიანებისათვისაც სანდონი იქნებიან.

6. მაგრამ მაინც ხშირად სხვა აზრი შემიპყრობდა ხოლმე და დიდი ხნის მანძილზე მაწვალებდა. ვფიქრობდი, რომ მომავალი თაობებისათვის უსარგებლო იქნებოდა ყოველივე, რადგან უმჯობესად მიმაჩნდა, მომავალში არ სცოდნოდათ დაწვრილებით ეს სამარცხვინო საქმენი. ამასთან, ტირანებიც მოსმენილის მიმართ შურით აღივსებოდნენ. 7. ცნობილია, რომ ძლიერთა უმრავლესობა უგუნურების გამო წინამორბედთაგან უფრო ადვილად ითვისებს ცუდს, წინაპართა შეცდომებს იოლად და ყოველგვარი ძალდატანების გარეშე იმეორებს, 8. მაგრამ ამ ამბების აღწერა შემდეგ მე მაინც გადავწყვიტე, რათა

მომდევნო მმართველთათვის აშკარა ყოფილიყო, რომ ვერც ისინი და-
ღწეულნი იყვნენ თავს გასამართლებას ჩადენილი ცოდვებისათვის, მსგავ-
სად იმ ადამიანებისა, რომელთაც უკვე მიეზლოთ სამაგიერო. იმის შემ-
დეგ კი, რაც ისტორიაში შევა მათი საქმიანობა და ცხოვრების წესი,
მომავალი ტირანები უფრო ფრთხილნი იქნებიან უკანონობის ქმნაში.
9. თუ არა იმდროინდელ მწერალთაგან დატოვებული ძეგლები, აბა,
ვის ეცოდინებოდა მომდევნო თაობათა შორის სემირამისის¹ თავაშვე-
ბული ცხოვრება, ან სარდანაპალისა² და ნერონის³ სიგიჟე. გარდა ამი-
სა. ვინც იგივე უნდა განიცადოს ტირანთაგან, თუ ასეთია მისი ბედი,
განა უმჯობესია არ იქნება, თავად ჰქონდეს მოსმენილი ყველაფერი.
10. უიღბლოებს ხომ სჩვევიათ, თავი ინუგეშონ, რომ არა მხოლოდ
მათ შემთხვევით ეს უბედურება. სწორედ ამის გამო, პირველად ველ-
სარიოსის⁴ მიერ ჩადენილი სამარცხვინო საქმეებით და სასიყვარულო
თავგადასავლებით დავიწყებ, შემდეგ კი თავიდან ბოლომდე გამოვანაშ-
კარავებ იუსტინიანესა და თეოდორას გარყვნილებას.

11. ველისარიოსს ჰყავდა ცოლი, სახელად ანტონინა⁵, იგი მე
ადრეც მოვიხსენიე. მისი მამა-პაპა მეჭინბეები იყვნენ, ბიზანტიონსა
და თესალონიკეში მსახურობდნენ. დედა კი ერთი იმთავანი იყო,
თეატრში რომ გამოდიოდნენ და სიძვით ირჩენდნენ თავს. 12. თვითონ
ანტონინაც თავდაპირველად ავხორცულ ცხოვრებას მისდევდა, მის-
ნობაც წინაპართაგან კარგად შეესწავლა და, ამ საქმეში დახელოვნე-
ბული, ყველაფერს აკეთებდა, რასაც მოისურვებდა. ჯერ დაინიშნა ღა
შემდეგ კი ველისარიოსის ცოლიც გახდა, უკვე მრავალშვილიანი დე-
და. 13. იმთავითვე შოღალატე ცოლი იყო. გულმოდგინედ მალავდა
ხოლმე თავის ოინებს, მაგრამ უმაღაედა არა ახლობლებს (ოჯახის
წევრებისა კი არ ეშინოდა, არც სამარცხვინო საქმისა, რომელსაც ჩა-
იდენდა ხოლმე; ქმარიც მრავალი მჩხიბაობით ჰყავდა შეკრული),
არამედ მხოლოდ დედოფალს, რომლისგანაც იგი რაღაცაში იყო ექვ-
მიტანილი. მართლაც, ძალზე განრისხებული იყო მასზე თეოდორა
და კბილებს ილესავდა. 14. მაგრამ შემდეგ, როცა ანტონინამ საჭირო
მომენტში დედოფალს ხელი გაუშარათა, ამით მისი კეთილგანწყობაც
მოიპოვა. ჯერ სილბერიოსის⁶ მოკლა, რა გზით, ამას ქვემოთ მოგახსენ-
ებთ⁷, შემდეგ, როგორც უკვე ვიამბეთ, იოანე კაპადოკიელს⁸ მოუ-
ლო ბოლო. ამის შერე კი ანტონინას გაუქრა შიში და უკვე აღარაფერს
ძალაუდა, ყოველმხრივ სცოდავდა და არავისი ერიდებოდა.

15. ველისარიოსის სახლში ერთი თრაკიელი ჰაბუეი ცხოვრობ-
და სახელად თეოდოსი, წინაპართაგან მიღებული რწმენის თანახმად
ევნომიელად წოდებული. 16. ერთხელ, როცა ველისარიოსმა ლივია-
ში ზღვით გამგზავრება გადაწყვიტა, მან თეოდოსი წმინდა ნათლის-
ლებით მონათლა და, რაკი ნათლია გახდა, იშვილა კიდევ იგი ცოლ-

თან შეთანხმებით და ყველა ქრისტიანული წესის დაცვით. წმინდა ალექსის მიხედვით, ანტონინამ თეოდოსი ჯერ შეილივით შეიყვარა, დიდი მონღომებით ზრუნავდა მასზე და გვერდიდან არ იშორებდა, 17. მაგრამ მოგზაურობის დროს გახელებით შეუყვარდა და დაუოკებელი ვნებებით აღესილმა განაგდო ღეთის შიშიცა და ყოველგვარი სირცხვილიც კაცთა წინაშე. პირველად იგი მალულად ხედებოდა თეოდოსის, ბოლოს კი ახლობლებს და მსახურებსაც აღარ ერიდებოდა. 18. იგი, ვნებებით შეპყრობილი და გახელებული, აშკარა სიყვარულისათვის ვერავითარ დაბრკოლებას ვერ ხედავდა და ველისარიოსს, რომელმაც მათ კართაგენში დანაშაულის დროს მიუსწრო, თავი მოატყუებინა, 19. როცა ველისარიოსმა ისინი მიწისქვეშა სარდაფში იპოვა, განრისხდა, ანტონინა კი არ დაიბნა და უშიშრად უთხრა: აქ ჭაბუკთან ერთად ძვირფასი ნადავლის გადასამალად მოვედი, რათა ბასილევსმა ვერაფერი შეიტყოსო. 20. ასე მოხერხებულად მოისაზრა ანტონინამ სათქმელი, ველისარიოსმა კი თუმცა დაინახა, რომ თეოდოსის შეხსნილი ჰქონდა ქამარი, რომელიც ფართო შარვალს უმაგრებდა, არ შეიმჩნია და მათ საშუალება მისცა, რაც შეიძლება მარჯვედ მოეტყუებინათ იგი, რადგან ქალის სიყვარული იძულებულს ხდიდა, ეს არჩევანი გაეკეთებინა. 21. ანტონინას ავხორცობა კი დღითიდღე იზრდებოდა და საზიზღარ სახეს იძენდა. ამ საქმეთა თვითმხილველნიც ხმის ამოღებას ვერ ბედავდნენ. როცა ველისარიოსმა სიცილია დაიპყრო, ღირსეულად⁹ ერთმა მხევალმა, სახელად მაკედონიამ, ბატონს სასტიკი ფიცი ჩამოართვა, რომ ქალბატონთან მას არასდროს გაამხელდა და ყოველივე უამბო. ორი ყრმა მონა მოწმედ მოუყვანა, ისინი ორივე საძინებელ ოთახში ემსახურებოდნენ ქალბატონს. 22. შეიტყო რა ეს ამბავი, ველისარიოსმა თავისი ამალიდან რამდენიმე ერთგული კაცი შეარჩია და თეოდოსის მოკვლა უბრძანა. თეოდოსის კი წინასწარ შეატყობინეს ყოველივე და ისიც ეფესოსაკენ¹⁰ გაიქცა. 23. მხლებელთა უმრავლესობამ იცოდა, რომ ველისარიოსს ერთობ ცვალებადი ხასიათი ჰქონდა და დედაკაცის გულის მოგებას უფრო ცდილობდნენ, ვიდრე მისი ქმრის ერთგულებას. სწორედ ამიტომ მაშინვე გაუმჟღავნეს ანტონინას მათთვის მინდობილი საიდუმლო საქმე. 24. კონსტანტინე¹¹ კი, რომელიც ხედავდა, როგორ იტანჯებოდა ველისარიოსი იმის გამო, რაც მოხდა, თანაუგრძნობდა მას და უთხრა: „მე უმალ ქალს მოვკლავდი, ვიდრე ჭაბუკს“. 25. როცა ანტონინამ ეს ნათქვამი შეიტყო, ძალზე განრისხდა მასზე, მაგრამ არაფერი გაუმხელია, რომ სიძულელი მის მიმართ მტრობის ყამს გაემჟღავნებინა. 26. იგი ნამდვილ მორიელად იყო დაბადებული, სჩვეოდა ბოლმის გულში ტარება. ცოტა დრო რომ გავიდა, რაღაც შელოცვებით და აღერსით ქმარი დაარწმუნა, რომ მის მიმართ წაყენებული ბრალდება უსამართლო

იყო და ველისარიოსმაც უყოყმანოდ უკან იხმო თეოდოსი, ხოლო მაკედონია და ყმა ბიჭები მეუღლეს გადააბარა, 27. ანტონინამ, როგორც ამბობენ, მათ ყველას, პირველყოვლისა, ენები დასჭრა, შემდეგ ნაკუწ-ნაკუწ ააჩეხინა, ტომრებში ჩააყრევინა და უშიშრად ზღვას მისცა. ამ უწმინდურ საქმეში ერთმა მსახურმა გაუმართა ხელი, სახელად ევგენიოსმა. რომელმაც უწინ ყოვლად საზარლად მოკლა სილბერიოსი. 28. მცირე ხნის შემდეგ ცოლის ჩაგონებით ველისარიოსმა კონსტანტინესაც მოუღო ბოლო. სწორედ ამ დროს მოხდა პრესიდია-სა და მისი ხმლების ამბავი, რაზედაც წინა თხზულებებში გიამბეთ¹². 29. ველისარიოსს კონსტანტინეს გადარჩენა ეწადა, მაგრამ ანტონინამ მანამდე არ მოისვენა, სანამ იმ სიტყვებისთვის სამაგიერო არ მიუზღო, თუ როგორ, სწორედ ახლახან მოგახსენეთ. 30. ამის გამო ველისარიოსმა ბასილევსისა და მრავლი სახელოვანი რომაელის ზიზიდი დაიმსახურა.

31. ეს ამბავი ასე წარიმართა: თეოდოსიმ უარი განაცხადა იტალიაში დაბრუნებაზე, სადაც ამხანად ველისარიოსი და ანტონინა იმყოფებოდნენ, ვიდრე ფოტიოსს¹³ არ დაითხოვდნენ. 32. თავად ფოტიოსი, ბუნებით გულდრძო, ყოველთვის მზად იყო მტრობისათვის, თუ ვინმე მასზე გავლენიანი აღმოჩნდებოდა, თუმცა თეოდოსის მიმართ სამართლიანად ახრჩობდა ბოლძა, ის შვილი იყო, მაგრამ მის სიტყვას ანტონინა არაფრად აგდებდა, თეოდოსის კი უდიდესი გავლენა ჰქონდა და დიდძალი სიმდიდრეც მოიპოვა. 33. ამბობენ, რომ კართაგენისა და რავენის სასახლეებიდან ასი კენტენარიონი¹⁴ გაიტაცა. მხოლოდ თეოდოსის ჰქონდა უფლება, ეწარმოებინა იქაური საქმეები. 34. როგორც კი ანტონინამ თეოდოსის გადაწყვეტილებას შეიტყო, ახლა შვილს დაუგო მახე, ვერაგული სიკვდილისათვისაც კი გაიმეტა. მანამდე არ მოისვენა, სანამ მიზანს არ მიადწია. ფოტიოსმა დედის ხრიკებს ვეღარ გაუძლო და ბიზანტიონში გაემგზავრა. თეოდოსი კი მასთან იტალიაში ჩამოვიდა. 35. მოყირკებული სასიყვარულო დროსტარებით და ქმრის სიბრძევეთ გაბეზრებული, ანტონინა მცირე ხნის შემდეგ ორივე მამაკაცის თანხლებით ბიზანტიონში გაემგზავრა. 36. იქ კი თეოდოსის ამ ურთიერთობისა შეეშინდა და გუნება-განწყობა შეეცვალა იგი მიხვდა, რომ სიახლოვის დაფარვა უკვე შეუძლებელი იყო. ქალს ვნებების დაოკება აღარ შეეძლო და აღარც ამ ურთიერთობას მალავდა, დაუფარავად ცხოვრობდა მასთან და არც იმას უკაღრისობდა, რომ მისთვის მრუში ეწოდებინათ. 37. ამიტომ თეოდოსი ეფესოში დაბრუნდა, წესისამებრ აღიკვეცა და ბერად შედგა. 38. მაშინ კი სულ გადაირია ანტონინა, თალხი ჩაიცვა და ჩვეულებრივ ცხოვრების წესი სამგლოვიაროდ შეცვალა. შინიდან არ გადიოდა და გამუდმებით ტიროდა, თანაგრძნობას მოითხოვდა ქმრისგან და მოს-

თქვამდა, თუ რა ძვირფასი, ერთგული, მამებელი, მოყვარული და ძლიერი ადამიანი დაკარგა, ქმარი კი თანადგა. 39. ბოლოს ისიც აიძულა, მასთან ერთად ეგლოვა. მოსთქვამდა ეს უბედურიც და თეოდოსის უკან მოუხმობდა. 40. შემდეგ სასახლეში წავიდა, მეფეს და დედოფალს თხოვნით მიმართა, იძულებით დაებრუნებინათ იგი. ვინც მისი ოჯახისათვის შეუცვლელი იყო ახლაც და მომავალშიც. 41. მაგრამ თეოდოსიმ გადაჭრით უარი განაცხადა დაბრუნებაზე, მიზეზად უტყუარი საბაბი მოიღო, რომ შეურყეველი იყო ბერთა ცხოვრების წესი. 42. თეოდოსი ცრუობდა, ველისარიოსი სასწრაფოდ უნდა წასულიყო ბიზანტიონიდან, ის კი ფარულად ჩავიდოდა ანტონინასთან და ასეც მოხდა.

II. 1. ამასობაში ველისარიოსი ფოტიოსთან ერთად ხოსროს წინააღმდეგ სალაშქროდ გაემგზავრა. ანტონინა კი დარჩა; ადრე ჩვეულებრივ, სხვაგვარად იქცეოდა ხოლმე. 2. ლაშქრობისას მუდამ თან დაჰყვებოდა ქმარს, მარტოდ არასდროს ტოვებდა, რომ მისი ხიბლისგან განთავისუფლებული გონს არ მოსულიყო და მისგან თავი არ დაეძვრინა. 3. თეოდოსი კი მასთან თავისუფლად რომ ჩასულიყო, გადაწყვიტა ყველანაირად შეეშალა ხელი ფოტიოსისათვის. 4. ამიტომ ველისარიოსის ზოგიერთი თანამგზავრი დაარწმუნა, ყველა ხელსაყრელ შემთხვევაში დაეცინათ და შეურაცხყოფა მიეყენებინათ მისთვის. თავად კი თითქმის ყოველდღე წერილს სწერდა ველისარიოსის, გაუთავებლად ცილს სწამებდა და აღიზიანებდა შვილს. 5. ამის გამო ყმაწვილი იძულებული შეიქმნა, დედის წინააღმდეგ ემოქმედა და იგი ქმართან დაებეზღებინა. როცა ერთხელ ვილაც კაცი ჩამოვიდა ბიზანტიონიდან და ამბავი ჩამოიტანა, თეოდოსი ფარულად იმყოფება ანტონინასთან და იქ დიდ ღროსტარებაში არისო, ფოტიოსმა იგი დაუყოვნებლივ ველისარიოსს მიჰგვარა და ნამბობი ყოველი სიტყვა თავისი ყურით მოასმენინა. 6. ველისარიოსმა ეს რომ შეიტყო, საშინელი რისხვით აღიძრა, ფოტიოსს ფერხითი ჩაუვარდა და შევედრა, შური ეძია მისი ესოდენი დამცირებისთვის, რომელსაც იგი არ იმსახურებდა: „ო, საყვარელო შვილო ჩემო, — ეუბნებოდა იგი, — არავინ იცოდა, ვინ იყო მამაშენი, ძუძუთა ბავშვი იყავი, როცა მან თავისი დღენი გალია და წუთისოფელს დაემშვიდობა. ღარიბი იყო და არაფერი დაგრჩენია მისგან. 7. მე აღგზარდე. შენმა მამინაცვალმა, ახლა იმხელა ხარ, რომ შეგიძლია დამიცვა ამ უსამართლობისაგან, მითუმეტეს, ჩემი წყალობით მიადღწიე იპატოსის წოდებას² და იმდენი ქონება მოიპოვე, შეგიძლია მამად, დედად და ყველა ნათესავად მე გამომაცხადო. კაცურო კაცო, სამართალი ჰქმენ. 8. ადამიანები ერთმანეთს სიყვარულს საქმით უმტკიცებენ, და არა ნათესაობით. 9. ახლა შენი დრო დადგა, შენ უნდა დამეხმარო. ოჯახის დანგრევასთან ერთად დიდ

შიმდირესაც ვკარგავ. დედაშენმა საშინლად შეირცხვინა ხალხში თავი. 10. ამასთან. იმაზეც იფიქრე, რომ ცოლების ცოდვები მარტო ქმრებს კი არ უტეხს სახელს, არამედ უმეტესად შვილებსაც ედებათ ჩირქად: რადგან ბუნების ძალით შვილები მშობლებს ჰგვანან, ისინი მთელი ცხოვრება დაატარებენ ამ შერცხვენილ სახელს. 11. ყოველივე ამის მიუხედავად, მე მაინც მიყვარს ჩემი ცოლი, შურისძიება რომ შევძლო ჩემი ოჯახის დამაქცევებზე, ანტონინას არაფერს დავუშავებდი, მაგრამ თუ თეოდოსი დაუსჯელი დარჩება, მაშინ პასუხს ვერაფერზე ვაგებ“.

12. ფოტიოსმა მოისმინა ეს სიტყვები და ყველანაირი დახმარება აღუთქვა, შიშობდა კი — რაიმე ხიფათს არ გადაჰყროდა, რადგან ველისარიოსი, სუსტი ნებისყოფის გამო, ცოლის წინაშე უმწეო იყო. ამასთანავე მაკედონიის უბედურუბაც მას თვალწინ ედგა. 13. სწორედ ამიტომ მათ მტკიცე ქრისტიანული ფიცი დადეს, რომ არასდროს მიატოვებდნენ ერთმანეთს, სიკვდილის ფასადაც რომ დასჯდომოდათ. 14. ამ საქმის დაუყოვნებლივ შესრულება მათ ნაჩქარევი ეჩვენათ. მხოლოდ როცა ანტონინა ბიზანტიონიდან მათთან წამოვიდოდა, თეოდოსი კი ეფესოში დაბრუნდებოდა, სწორედ მაშინ იქნებოდა დროული ფოტიოსის ეფესოში ჩასვლა, სწორედ მაშინ იგდებდა ხელთ იგი გაუქირვებლად თეოდოსის და მთელ მის ქონებას. 15. და ისინი ჭარბით სპარსეთის ქვეყანაში შეიქრნენ, ბიზანტიონში კი იოანე კაპადოკიელს ის ამბავი შეემთხვა, რაზედაც აღრე მოგახსენეთ. 16. მაშინ მე მხოლოდ შიშის გამო ვარჩიე დუმილი, ანტონინამ უბრალოდ კი არ მოაჭყუა იოანე და მისი ქალიშვილი, არამედ ქრისტიანობაში მიღებულ ათასგვარი ფიცით შეჰფიცა და დაარწმუნა, რომ მათ წინააღმდეგ გულში ავი ზრახვა არ ედო. 17. ეს რომ აღასრულა, მეტად დარწმუნდა დედოფლის მეგობრობაში, თავისი მოწინააღმდეგეების შიში აღარ ჰქონდა, თეოდოსი ეფესოში გაამგზავრა, თვითონ კი აღმოსავლეთისაკენ დაიძრა. 18. ველისარიოსმა ის იყო სისაყვანონის⁸ ციხე-სიმაგრე დაიპყრო, შეატყობინეს, ანტონინა გვიახლოვდებაო; ამის გამო მან ყველაფერზე ხელი აიღო და ჯარს უკან დახევა უბრძანა. 19. ბანაკში სხვა ამბავიც მოხდა, რაც აღრეც მაქვს მოთხრობილი და რამაც უბიძგა ველისარიოსს, უკან დაეხია, ანტონინას ჩამოსვლამ კი, რალა თქმა უნდა, უფრო დააჩქარა ეს ამბავი. 20. მაგრამ, როგორც ამ წიგნის დასაწყისში აღვნიშნე, ამ მოქმედებათა ყველა მიზეზის აღნუსხვა მაშინ ძალზე საშიშად მიმაჩნდა. 21. რომაელები ადანაშაულებდნენ ველისარიოსს, რომ ოჯახური საქმეები სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს ინტერესებზე წინ დააყენა. 22. მართლაც, მას, ცოლზე განრისხებულს, იმთავითვე სურდა, შორს არ ყოფილიყო რომის სახელმწიფო საზღვრებიდან; როგორც კი გაიგებდა, ანტონინა ბიზანტიონიდან გამოემ-

ზზავრაო, იგი შაშინვე უკან დაბრუნდებოდა, თეოდოსის შეიპყრობდა და მასზე შურს იძიებდა. 23. ამიტომ ველისარიოსმა არეთას⁹ და მის თანამებრძოლებს მდინარე ტიგრისის გადალახვა უბრძანა, ისინი კი ისე მოიქცნენ, სათქმელადაც არ ღირს: შინისკენ იქცეეს პირი, ხოლო თვითონ ისიც ეძნელებოდა, ერთ დღემდე სავალი გზა რომ აშორებდა რომაელთა სახელმწიფო საზღვრებს. 24. სისაერანონის ციხე-სიმაგრემდე ტვირთმსუბუქი მოგზაურისათვის, რომაელთა სახელმწიფო საზღვრებიდან ქალაქ ნისიბინის¹⁰ გავლით, ერთ დღეზე ცოტა მეტი სავალია. 25. ველისარიოსს თავიდანვე ჯარიანად რომ გადაელახა ტიგრისი, შეეძლო ასირია გაეძარცვა და ყოველგვარი დობროლების გარეშე მისულიყო ქალაქ ქტესიფონამდე⁷. ამგვარად, იგი გადააჩენდა როგორც ანტიოქიელ, ასევე ტყვედ ჩავარდნილ მრავალ სხვა რომაელს, რომლებიც იქ იმყოფებოდნენ, და სამშობლოში უვნებლად დააბრუნებდა. ველისარიოსს უდიდეს დანაშაულად ეთვლება ისიც, რომ ხოსრო კოლხიდიდან ისე დაბრუნდა შინ, ხიფათსაც არ გადაყრია. ახლავე გაუწყებთ როგორ მოხდა ეს ყველაფერი.

26. როდესაც ხოსრო, კავადის ძე, კოლხიდის ქვეყანაში შეიქრა და მრავალი რამ მოიმოქმედა, რაც აღრე აღვწერ⁸, პეტრაც⁹ აიღო. ამ ლაშქრობაში მიდიელთა ჯარიდან მრავალი მებრძოლი დაიღუპა, როგორც ბრძოლაში, ასევე არახელსაყრელი ადგილობრივი პირობების გამო. ლაზიკე¹⁰, როგორც უკვე ითქვა, კლდოვანი და ძნელადსავალი ქვეყანაა. 27. ამას გარდა, ჯარში ჭირი გაჩნდა და მრავალი ადამიანი დაიღუპა, ცალკე წიშშილი უმოკლებდა სიცოცხლეს. 28. ამავე დროს სპარსეთიდან ჩამოსულები იტყობინებოდნენ, რომ ველისარიოსმა ქალაქ ნისიბინის მახლობლად ნაბედის¹¹ დამარცხების შემდეგ გზა განაგრძო, სისაერანონის ციხე-სიმაგრეს შემოერტყა და აიღო, ბლესქამენი და რეაასი სპარსელი ცხენოსანი ტყვედ ჩაიგდო, რომაელთა ჯარი კი საარკნოზთა¹² მთავრის არეთას მეთაურობით ტიგრისის გადასალახავად და აღრე დაულაშქრავი იქაური სამთავროების მოსაოხრებლად და გასაძარცვად გაგზავნა. 29. ამასობაში ხოსრომ ჰუნთა¹³ ჯარი გაგზავნა რომაელებს დაქვემდებარებული არმენიელების წინააღმდეგ იმ იმედით, რომ ბრძოლით გართულ იქ მყოფ რომაელებს ვერაფერი შეეტყოთ იმის შესახებ, რაც ლაზიკეში ხდებოდა. 30. სხვები იუწყებოდნენ რომ არმენიაში ამ ბარბაროსებს რომაელთა ჯარი ვალერიანეს¹⁴ მეთაურობით დაუხვდათ და იქ გამართულ ბრძოლაში მათი უმრავლესობა გაწყდა. 31. ლაზიკეში თავსდატეხილი ათასი უბედურებით¹⁵ გაწამებულმა სპარსელებმა ეს ამბავიც რომ წყიტყვეს, შეშინდნენ, სადმე მტრის ჯარს არ გადაპყროდნენ, ცოლ-შვილისა და სამშობლოს უნახავად არ ამოწყვეტილიყვნენ ამ მთიან და გაუვალ

ქვეყანაში. მიდიელთა¹⁶ ჯარის რჩეულნი მზად იყვნენ სახელმწიფო გა-
 ლატრიალება მოეხდინათ, რადგან ხოსროს ადანაწიულებდნენ და სა-
 ყველურებდნენ, რომ დაარღვია ფიცი და ყველა ხალხისთვის საერ-
 თო კანონი. რომაელთა სამფლობელოში შეიჭრა იმ დროს, როცა სა-
 ზავო ხელშეკრულება იყო დადებული და ამით შეურაცხყო უძველე-
 სი და ყველაზე უფრო ღირსეული სახელმწიფო, რომლის დამარცხება-
 ბრძოლაში მას არ შეეძლო. 32. შემფოთებული ხოსრო ამ უბედურე-
 ბისაგან თავის დასაღწევად ასე მოიქცა: ხალხს წაუკითხა წერილი,
 დედოფალმა თეოდორამ ძაბერგანს რომ მისწერა. 33. წერილში ეწე-
 რა: „ძაბერგან, მე შენ ჩვენი ინტერესების დამცველ და ერთ-ერთ
 უერთგულეს ადამიანად მიმაჩნისარ, ვფიქრობ, ჩემი შენდამი მოწყა-
 ლება ჯერ კიდევ ჩვენთან ნენი ელჩობის დროიდან არის ცნობილი. 34.
 ჩემი შენდამი დამოკიდებულება გამართლებული იქნება, თუ მეფე
 ხოსროს შთაავონებთ მშვიდობიანად განეწყოს ჩვენი სახელმწიფოს-
 შიმართ. 35. ამის სანაცვლოდ წენ მრავალ სიკეთეს მიიღებ ჩემი ქმრი-
 საგან, რომელიც ჩემს დაუკითხავად ნაბიჯსაც არ გადადგამს“: 36.
 ხოსრომ ეს წერილი რომ წაიკითხა, დიდგვაროვან სპარსელებს დამცი-
 ნავად გადახედა და ჰკითხა შეიძლება თუ არა სახელმწიფოდ მივიჩ-
 ნიოთ ის ქვეყანა; რომელსაც ქალი განაგებსო, და ამ სიტყვებით და-
 აცხრო მათი აღმფოთება. 37. ლაზიკედან ხოსრო მაინც დიდი სიფრ-
 თხილით წავიდა, ეწინოდა ველისარიოსის ჯარს გზად არ გადაჰყოლა.
 მაგრამ, რადგანაც მტერი არსად ჩანდა, იგი შინ ბედნიერი დაბრუნდა.

III. 1. როცა ველისარიოსი რომაელთა ქვეყანაში დაბრუნდა,
 ბიზანტიონიდან ჩამოსული ცოლი დაუხვდა ველისარიოსი მას უპატი-
 ვოდ ეპყრობოდა და არაერთხელ დააპირა ბოლო მოეღო მისთვის,
 მაგრამ, როგორც მე ვფიქრობ, რალაც მგზნებარე ენებათლელვისაგან
 უღონოქმნილი მოულოდნელად მოღებოდა ხოლმე. 2. ამჴობენ, ჯა-
 დოქრობით მონუსხული უმალ ცოლის მონამორჩილი ხდებოდა. ამ
 დროს კი ფოტიოსი სასწრაფოდ ეფესოში გაემგზავრა, ანტონინას
 ერთ-ერთი საჭურისი, სახელად კალიგონე, რომელიც შუამავლის
 როლს ასრულებდა ქალბატონთან, შეიპყრო, ბოკილი დაადო და თან
 წაიყვანა, ფოტიოსმა გზაში იგი აწამა და ანტონინას ყველა საიდუმ-
 ლო ათქმევინა. 3. თეოდოსიმ კი ყოველივე შეიტყო და თავი შეაფარა
 იონანე მოციქულის ტაძარს, რომელიც იქ უწმინდესად ითვლება და
 განსაკუთრებულად მიაგებენ პატივს. 4. მაგრამ ფოტიოსმა მოისყიდა
 ეფესოს მღვდელმთავარი ანდრია, და ხელთ იგდო თეოდოსი, თეოდო-
 რამ უმალ წეიტყო ყოველივე, რაც ანტონინას შეემთხვა, მეტად შე-
 წუხდა მეგობრის გამო, და ამიტომ ველისარიოსი ცოლთან ერთად
 ბიზანტიონში იხმო. 5. როგორც კი ფოტიოსმა ეს ამბავი წეიტყო, თე-
 ოდოსი კილიკიაში გაგზავნა, სადაც შუბოსნები და ფაროსნები გამო-

ზამთრებას აპირებდნენ. თან გამცილებლებს უბრძანა, ეს კაცი საიდუმლოდ ჩაეყვანათ იქ და ფარულად ჰყოლოდათ დამწყვედელი საპატიმროში, ისე, რომ ვერავის გაეგო მისი ადგილსამყოფელი. თვითონ კი კალიგონე წამოიყვანა, თეოდოსის სიმდიდრე წამოიღო და ბიზანტიონში გამოემგზავრა. 6. მაშინ დედოფალმა ყველას ნათლად დაანახა, რომ ვინც მისი კეთილდღეობისთვის სისხლში ხელის გასვრასაც არ მოერიდებოდა, ჯილდოდ დედოფლისაგან ასეთსავე ბინძურ თანადგომას დაიმსახურებდა. 7. რადგან ანტონინა ცოტა ხნის წინათ მის ერთ კაპადოკიელ მტერს ჩაუსაფრდა და ვერაგულად გასცა, სამაგიეროდ დედოფალმა მრავალი უდანაშაულო ადამიანი მას ხელთ ჩაუვდო და დასაღუპად გაიმეტა. 8. ველისარიოსის და ფოტიოსის ზოგიერთი ახლობელი უმოწყალოდ აწამა, მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ისინი მეგობრულად იყვნენ განწყობილი ამ ორი ადამიანისადმი. ყველაფერი ისე მოაწყო, რომ დღესაც არ ვიცით, რით დასრულდა მათ თავს დატეხილი უბედურება. სხვები, იგივე მიზეზით, იძულებით გაასახლა. 9. ფოტიოსის ერთ-ერთ თანამგზავრს, სახელად თეოდოსის, რომელიც მას ეფესოში თან ახლდა, მიუხედავად იმისა, რომ სენატორის წოდება ჰქონდა, ქონება ჩამოართვა, მიწისქვეშა ბნელ ჭურღმულში ჩააგდო და ყელზე გამობმული მოკლე თოკით ბაგას ისე მიაბა, რომ მოძრაობაც კი არ შეძლებოდა. 10. მუდმივად ძელზე გამობმულს უნდა ეკმა, დაეძინა და ყველა სხვა მოთხოვნილებაც ასე დაექაყოფილებინა, ყროყინილა აკლდა, რომ მთლად სახედარს დამსგავსებოდა. 11. ამ მდგომარეობაში დაჰყო ამ კაცმა არაუმცირეს ოთხი თვისა, სანამ მელანქოლიამ არ შეიპყრო და საბოლოოდ ჰკუდიდან არ შეიშალა. როცა დილეგიდან გამოუშვეს. სულ მალე მოკვდა. 12. თეოდორამ ველისარიოსი თავისი ნების წინააღმდეგ აიძულა ანტონინას შერიგებოდა. რაც შეეხება ფოტიოსს, მეტად დამამცირებლად მოექცა, უბრალო მონასავით ზურგი და მხრები მათრახით აუჭრელა და თან უბრძანებდა, თეოდოსის ადგილსამყოფელი გაემხილა. 13. ფოტიოსი, იმთავითვე სუსტი ჯანმრთელობით, არც უხეშ მოქცევას და ტანჯვა-წამებას იყო ჩვეული და თავის თავზეც მუდამ დიდი მონღომებით ზრუნავდა. მიუხედავად წამებისა, ბოლომდე ერთგული დარჩა თავიანი სიტყვის და ველისარიოსის საიდუმლო არ გაუმხელია. 14. მცირე ხნის შემდეგ ყველაფერს სინათლე მოეფინა. 15. თეოდორამ, როგორც კი კალიგონეს მიაგნო, იგი ანტონინას გადასცა, თეოდოსი კი ბიზანტიონში გამოიძახა და ჩამოსვლისთანავე სასახლეში გადამალა. მეორე დღეს ანტონინა დაიბარა და უთხრა: 16. „ძვირფასო პატრიცია, გუშინ ერთი ისეთი მარგალიტი ჩამივარდა ხელში, რომლის მსგავსი ადამიანის თვალს ჯერ არ უნახავს, შენ, ალბათ, ერთი სული გაქვს ნა-

ხო, ახლავე გაჩვენებ. 17. ანტონინამ არ იცოდა საქმის ვითარება და დედოფალს დაბეჯათებით სთხოვა მარგალიტის ჩვენება, თეოდორამ ერთ-ერთი საქურისის ოთახიდან თეოდოსი გამოიყვანა. 18. სიხარულისაგან თავზარდაცემული ანტონინა ადგილზე გაშეშდა, ხოლო გონს რომ მოეგო, მადლიერებით სავსემ, დედოფალს თავისი მხსნელი, კეთილისმყოფელი და მბრძანებელი უწოდა. 19. დედოფალი თეოდოსის სასახლეში ფუფუნებით აცხოვრებდა და დიდ დროსტარებაში ჰყავდა. ამასთანავე, იქაღნებოდა კიდევ, რომ მოკლე ხანში მას რომაელთა მთავარსარდლად გახდიდა. 20. მაგრამ სამართლიანმა ბედმა იმარჯვა, თეოდოსი დიზინტერიით გახდა ავად და გარდაიცვალა. 21. თეოდორას სასახლეში იღუმალი მიწისქვეშეთი ჰქონდა მოწყობილი, მიუღდგომელი და ისეთი ბნელი, რომ დღეს ღამისგან ვერ გაარჩევდი. 22. ამ ხნის განმავლობაში დედოფალს ფოტიოსი იქ ჰყავდა დამწყვდეულად. ბედი ფოტიოსს ორჯერ დაეხმარა გაქცევაში. 23. პირველად მან ღვთისმშობლის ტაძარს შეაფარა თავი, რომელსაც ბიზანტიონელები უწმინდესად თვლიან და თავყანს სცემენ. ფოტიოსი პირდაპირ საკურთხეველში შევიდა და წმინდა ტრაპეზთან მოკალათდა, მაგრამ თეოდორამ იქიდან ძალით წამოიყვანა და უკან დააბრუნა. 24. მეორედ ფოტიოსმა წმინდა სოფიის ტაძარს მიაშურა და, ყველასათვის მოულოდნელად, საღვთო ემბაზში ჩაჯდა, რომლის წინაშეც ყველა ქრისტიანი მოწიწებით იხრის ქედს და თავყანსა სცემს. 25. მაგრამ თეოდორამ ეს დაბრკოლებაც გადალახა და ფოტიოსი იქიდანაც ძალით გამოათრია; მისთვის ხომ აკრძალული ადგილი არ არსებობდა. მას შეეძლო შეეღახა ყველაზე წმინდა და ხელშეუხებელი და ეს არაფრად მიაჩნდა. 26. ერი და სამღვდელოება შიშით ძრწოდა მის წინაშე და ყველგან გზას უთმობდნენ, 27. ფოტიოსმა სამი წელი ვაატარა ჭურღმულში, ბოლოს სიზმარში ზაქარია წინასწარმეტყველი გამოცხადა, ამბობენ, ამ საქმეში დახმარება აღუთქვა და გაქცევა უბრძანაო. 28. ამ ხილვით გამხსნევებული იქიდან ისევ გაიქცა და ფარულად იერუსალიმში ჩავიდა. მას ათასობით მღვდარი დაეძებდა და თუმცა ყმაწვილს ხანდახან ხვდებოდნენ კიდევ, ფოტიოსი მაინც ვერაფერს შეიცნო. 29. იგი ბერად აღიკვეცა², იერი შეიცვალა და თეოდორას რისხვას თავი დააღწია. 30. ველისაროსმა კი დაივიწყა თავისი ფიცი და არაფერი უღონია, რათა შური ეძია ეგზომ უღვთოდ წამებული ადამიანის დასაცავად. ამიტომაც, და ეს ბუნებრივია, მთელი შემდგომი ცხოვრების განმავლობაში, ღმერთი აღარ სწყალობდა მას სამხედრო საქმეებში. მცირე ხნის შემდეგ იგი მიდიელთა და ხოსროს წინააღმდეგ საბრძოლველად წავიდა, რომლებიც უკვე მესამედ შემოიჭრნენ რომაელთა მიწა-წყალზე, მაგრამ თავი აქაც შეი-

ცხვინა. 31. თავიდან ფიქრობდა, დიდი საქმე მოიმოქმედა, რომ ბრძოლის ველი სახელმწიფოს საზღვრებიდან გადაიტანა. მაგრამ შემდეგ, როცა ხოსრომ მდინარე ევფრატი გადალახა და ხალხმრავალ ქალაქი კალინიკე³ აიღო, ველისარიოსი მტერს არათუ დაედევნა, თავი დაიმშვიდა და წინააღმდეგობა არ გაუწევია, რის შედეგადაც ათასობით რომაელი ტყვედ ჩავარდა. მაშინ კი დაიბადა ეკვი, რომ ველისარიოსი ყოველივე ამას განზრახ სჩადიოდა, არჩევანი ერთი უნდა ყოფილიყო, იგი ან შიშის გამო დარჩა უმოქმედოდ, ან წინასწარ ჰქონდა განზრახული ღალატი.

IV. 1. სწორედ იმ დროს მას სხვა უსიამოვნებაც შეემთხვა, ჰირი, რომლის შესახებაც ადრეულ თხზულებებში მოგახსენეთ¹, მთელ ბიზანტიონს მოედო. ბასილევსი იუსტინიანეც მძიმედ დაავადდა, ასე რომ, ხმაც კი დაირხა, მოკვდაო. 2. ამ ჰორმა ყველა კუთხე-კუნძული მოიარა და რომაელთა სამხედრო ბანაკსაც მიაღწია, აქ კომეთაურებმა მოილაპარაკეს და შეთანხმდნენ, რომ არავის მისცემდნენ უფლებას ბასილევსი ჯარის მონაწილეობის გარეშე აერჩიათ. 3. მაგრამ იუსტინიანე მკირე ხნის შემდეგ გამომჯობინდა და ჯარის მეთაურებმა ერთმანეთს დაუწყეს დაბეზლება. 4. სარდლები, პეტრე და იოანე, მეტსახელად „ფაგასი“ („მსუნაგი“) ამტკიცებდნენ, თითქოს თავისი ყურით მოესმინათ ველისარიოსისა და ვუზეს საუბარი იმის შესახებ, რაც მე ახლახანს გაიამბეთ. 5. თეოდორამ გადაწყვიტა, რომ ველისარიოსისა და ვუზეს საუბარი მის საწინააღმდეგოდ იყო მიმართული. 6. მყისვე ყველანი ბიზანტიონში გამოიძახა და ამ საქმის გამოძიება დაიწყო. შემდეგ მოულოდნელად ვუზე მიიწვია საქალებოში, თითქოსდა მეტად მნიშვნელოვან საქმეზე სათათბეოდ. 7. სასახლეს მიწისქვეშა ჯურღმული ჰქონდა, მტკიცე კედლებიანი და ისეთი მიხვეულ-მოხვეული, გეგონებოდა ტარტაროსის სამყოფელიაო. ვინც თეოდორას დაუპირისპირდებოდა, უმეტესწილად, აქ მოათავსებდნენ და ზედამხედველსაც მიუჩენდნენ ხოლმე. 8. სწორედ ვუზესაც ამ უფსკრულში უკრეს თავი. ეს კაცი, რომელმაც იპატოსის თანამდებობას მიაღწია, ამიერიდან უგზო-უკვლოდ დაიკარგა და მისი ბედი ყველასათვის იღუმალებით მოცული გახდა. 9. წყვილიაღში იჯდა, დღეს ღამისაგან ველარ არჩევდა და არც გვერდით ჰყავდა ვინმე, რომ ეკითხა. 10. კაცი, რომელიც ყოველ ცისმარე დღე პურს უგდებდა, ისე ხვდებოდა, როგორც უტყვი უტყვის. 11. ყველა ფიქრობდა, რომ ვუზე უკვე დიდი ხნის მკვდარი იყო. ვერავინ ბედავდა კითხვას ან მის ხსენებას-მხოლოდ, როცა ორი წელი და ოთხი თვე გასრულდა, თეოდორამ ეს კაცი შეიბრალა და გამოუშვა. 12. ვუზეს ყველა ისე უყურებდა, როგორც მკვდრეთით აღმდგარს, მაგრამ იგი უკვე ნახევრად ბრმა იყო და ძალზე დაუძლურებული.

13. აი. ყოველივე, რაც ვუზეს შეემთხვა. ხოლო ველისარიოსი, თუმცა ცილსმწამებლებმა ვერაფერი დასწამეს, მეფემ, დედოფლის შეგონებით, მაინც გაათავისუფლა თანამდებობიდან და მის მაგივრად აღმოსავლეთის ჯარების სარდლად მარტინე დანიშნა. ზოგიერთ წინამძღოლს და სასახლის საკურთხის მან უბრძანა, ერთმანეთს შორის გაეყოთ ველისარიოსის შეიარაღებული მცველები: შუბოსნები და ფაროსნები. ბრძოლაში გამოცდილნი და საუკეთესონი მსახურთა შორის. 14. წინამძღოლებმა და საკურთხისებმა კენჭისყრა მოაწყვეს მცველების გასანაწილებლად და კიდევ გაინაწილეს იარაღიც და სხვაეც ყველაფერი, რაც გააჩნდათ. ყოველი მათგანი ცდილობდა როგორმე ეჯობნა სხვისთვის. 15. ველისარიოსის მეგობრებსა და აგრეთვე ბევრ სხვასაც. რომელთაც იგი აღრე ეხმარებოდა და მფარველობდა, აეკრძალათ მასთან მიმოსვლა. 16. სანახაობა მჭიმე და თვალისათვის დაუჩქარებელი იყო. დადიოდა იგი, როგორც ერთი ვინმე მდაბიო. მარტოსულს, მუდამ ფიქრებით დამძიმებულსა და ნაღვლიანს, სიკვდილისა ეშინოდა მზაკვართაგან. 17. დედოფალმა შეიტყო, რომ ველისარიოსს აღმოსავლეთში დიდი განძი ჰქონია შენახული. იქ სასახლის ერთ-ერთი საკურთხისი გაგზავნა და ყველაფრის ერთიანად წამოღება უბრძანა. 18. ანტონინას, როგორც უკვე ვთქვი, ქმართან განხეთქილება ჰქონდა, დედოფალთან კი ერთობ ახლობლობდა და მეგობრობდა, ვინაიდან ჯერ დიდი დრო არ იყო გასული მას შემდეგ, რაც მისი გულისათვის იოანე კაპადოკიელი დაღუპა. 19. ამის საპასუხოდ თეოდორამ გადაწყვიტა ანტონინასთვის ესიამოვნებინა, ყველა ღონისძიება იხზარა, რათა გაეგრცვლებინა ხმა, თითქოს ცოლმა ქმრის გამო შენდობა ითხოვა უაამ დიდი უბედურებისაგან გამოიხსნა. ასე რომ, ეს საცოდავი არა მართო შეურიგდებოდა. ცოლს, არამედ დაემონებოდა კიდევ, როგორც თავის მხსნელს და გადამრჩენს. 20. ეს კი ასე მოხდა. ერთხელ. ჩვეულებისამებრ, დილაადრძან ველისარიოსი თავისი გასაცოდავებული, მცირერიცხოვანი ამალის თანხლებით სასახლეში მივიდა. 21. მეფე და დედოფალი მას გულცივად შეხვდნენ, ამასთანავე, ექმყოფი ნაძირალებისგანაც ბევრი დამცირება მიიღო და შეშფოთებული საღამო ხანს შინისაკენ გაეშურა. გზაში გამუდმებით აქეთ-იქით იცქირებოდა, ყურადღებით აკვირდებოდა ყოველ გამვლელს, თითქოს ყოველ მათგანში თავისი მკვლელი უნდა ამოეცნო. 22. ასეთი შიშით შეპყრობილი სახლში შევიდა და საწოლზე ჩამოჯდა, მარტო იყო, გონება წართმეოდა, აღარც კაცური აზრი უტრიალებდა თავში, ოფლში იწურებოდა, შიშისაგან ცახცახებდა, თავზარდაცემულს ვაჟკაცობის უკანასკნელი მისხალი წართმეოდა, მონასავეთ ერთადერთი ფიქრი უღრღნიდა ტვინს, როგორმე გადაერჩინა საკუთარი სიცოცხლე. 23. ანტო-

წინამ, ვითომ არაფერი იცოდა, რა ხდებოდა ან რა უნდა მომხდარიყო, რაღაცის მოლოდინში ბოლთას სცემდა გამალებით, თან ისე იქცეოდა, თითქოს მუცლის გვრემა კლავდა. ერთმანეთს კვლავ უნდობლად უმზერდნენ. 24. სწორედ ამ დროს, მზის ჩასვლისას, სასახლიდან ვინმე კვადრატე მოვიდა, სადარბაზოს კარიდან მოულოდნელად შემოვიდა, შიდა ოთახის კარებთან დადგა და გამოაცხადა, რომ ის დედოფლისაგან იყო გამოგზავნილი. 25. ველისარიოსს ეს რომ შემოესმა, ხელ-ფეხი ძლივს მოითრია, საწოლზე პირალმა გადაწვა, განაჩენის მოსასმენად გამზადებულს, საბოლოოდ გამოეცალა ყოველგვარი ძალა. 26. თუმცა მოსულ კვადრატეს ჯერ კიდევ არ ეჩვენებინა დედოფლის წერილი, რომელიც შემდეგს იუწყებოდა: 27. „ძვირფასო, როგორც მოიქეცი ჩვენს წინაშე, კარგად მოგეხსენება, მაგრამ მე დიდად დავალებული ვარ შენი ცოლისაგან, ასე რომ, გადაწყვიტე, ყველა შენი ცოდვა შეგინდო, მისთვის მიჩუქნია შენი სიცოცხლე. 28. ამიერიდან მშვიდად იყავი შენი ქონების და კეთილდღეობის გამო. მაგრამ, ყოველივე ამის სანაცვლოდ, როგორ მოექცევი შენს ცოლს, რას მოიმოქმედებ, ყველაფერს შევიტყობთ“. 29. ველისარიოსმა ეს რომ გაიგო, სიხარულით ცას ეწია, მაშინვე წამოხტა და ცოლს ფერხთით ჩაუვარდა, სურდა იმავე წუთს დაემტკიცებინა თავისი მორჩილება, 30. წვივებზე ხელი შემოხვია, ტერფებს უკოცნიდა მას, თავისი სიცოცხლის მხსნელს უწოდებდა და ამტკიცებდა, რომ ამიერიდან ის მხოლოდ ქმარი კი არა, მისი მონა იქნებოდა. 31. მეფემ და დედოფალმა ველისარიოსის ქონებიდან ოცდაათი ოქროს კენტენარიონი მიითვისეს, დანარჩენი კი პატრონს დაუბრუნეს.

32. აი, რა გადახდა ველისარიოსს, მთავარსარდალს, რომელსაც სულ მცირე ხნის წინ ბედმა წილად არაგუნა გელიმურზე² და ვიტვიგისზე³ გამარჯვება მოეპოვებინა და ტყვედ ჩაეგდო ისინი. 33. უკვე კარგა ხანია იუსტინიანესა და თეოდორას მოსვენებას არ აძლევდა ამ ადამიანის სიმდიდრე, რომელიც თავისი სიდიადითა და სიუხვით მეფის სასახლესაც დაამშვენებდა. 34. მათ ეკვი აღედრათ, რომ ველისარიოსმა გელიმერისა და ვიტვიგისის ხაზინის უდიდესი ნაწილი გადაძალა და თვითონ დაეპატრონა, ხოლო რაღაცა მცირე ამ განძიდან, აღნიშვნის ღირსიც რომ არ იყო, ბასილევსს მიართვა. 35. მაგრამ იძულებული იყვნენ თავი შეეკავებინათ. რადგან ველისარიოსის წინააღმდეგ რაიმე ხელშესახები საბუთი არ ჰქონდათ, ამასთანავე, ითვალისწინებდნენ ამ ადამიანის დამსახურებას და ხალხის აღლევებას ერიდებოდნენ. 36. მაგრამ, როდესაც თეოდორამ შეამჩნია, რომ იგი, შიშს აყოლილი, მახეში გაბმულიყო, შეეცადა ხელის ერთი მოსმით გამხდარიყო მთელი მისი ქონების ბატონ-პატრონი. 37. მათ გადაწყვიტეს კანონიერი ქორწინებით დანათესაებოდნენ ერთმანეთს, ვე-

3. პროკოპი კესარიელი

ლისარიოსის ქალიშვილი, მამისერთა იოანინა, დედოფლის შვილი-
შვილს ქალიშვილის მხრიდან, ანასტასიოსს დაენიშნა. 38. სამაგიეროდ,
ველისარიოსი მოითხოვდა, მისთვის აღედგინათ აღრინდელი
მდგომარეობა და კვლავ აღმოსავლეთის ქარების მთავარსარდლად
დაენიშნათ, რათა რომელთა ჯარი ხოსროსა და მიდიელთა წინააღმდეგ
სალაშქროდ გაეყვანა. მაგრამ ანტონინამ გადაჭრით უარი განაცხადა,
ამბობდა, რომ არ უნდოდა კვლავ ენახა ის ადგილი, სადაც ასე
შეურაცხყო ქმარმა.

39. ამის გამო, ველისარიოსი სამეფო საჯინიბოებს უფროსად
დანიშნეს და ხელმეორედ გაგზავნეს იტალიაში. როგორც ამბობენ,
მან ბასილევსს აღუთქვა, რომ ამ ომისათვის ფულს კი არ მოითხოვდა,
არამედ საბრძოლო სამზადისისათვის საჭირო ყველა ხარჯს თვითონვე
გაილებდა. 40. ფიქრობდნენ, რომ ველისარიოსის ზემოთ მონათხრობი
საქციელი ცოლის მიმართ და ბასილევსთან მისი გარიგება ომის თაობაზე
თავისებური რეაქცია იყო იმ განსაცდელზე, რომელიც მან ბიზანტიონში
გამოიარა. ფიქრობდნენ აგრეთვე, რომ როგორც კი ველისარიოსი ქალაქის
კედლებს გასცდებოდა, მაშინვე იარაღს დასტაცებდა ხელს და რაღაც
ვაჟკაცურს მოიმოქმედებდა, როგორც ცოლის, ასევე ყველა მათ წინააღმდეგ,
ვინც სდევნიდა და ავიწროებდა. 41. მაგრამ იგი ყოველივეს, რაც თავს
გადახდა, უაზრობად რაცხდა. დაივიწყა და არაფრად ჩააგდო ფოტიოსისთვის
და სხვა ახლობლებისთვის მიცემული ფიცი. ცოლისადმი კვლავ რაღაც
ვნებიანი სიყვარულით აღიძრა, აწრდილივით თან დაჰყვებოდა, თუმცა
ანტონინა უკვე სამოცი წლისა იყო. 42. იტალიაში ჩასული ველისარიოსი
ყოველ დღე მარცხდებოდა მტერთან, აშკარა იყო, რომ ღმერთს იგი მოძულე-
ბული ჰყავდა. 43. ძველად, როცა იგი თავად ადგენდა საბრძოლო
გეგმებს ვიტიგისისა და თეოდატეს წინააღმდეგ. თუმცა, ერთი შეხედვით,
განუხორციელებელი ჩანდა, უმრავლეს შემთხვევებში გამარჯვებით
მთავრდებოდა, ხოლო, როცა ის მეორედ ჩავიდა იტალიაში, შეიქმნა
აზრი, რომ მისი საბრძოლო გეგმები თუმცა საუკეთესო იყო, რადგან
ომის საქმეში დიდი გამოცდილება ჰქონდა, მაგრამ მის შესრულებაში
ხელს უშლიდა მრავალი უბედური შემთხვევა, რომელიც მას თან
სდევდა, და ამის გამო ყოველი მისი მოქმედება უაზრო ჩანდა. 44. ასე
რომ, ადამიანებზე კი არ არის დამოკიდებული მათი გეგმების შესრულება,
არამედ ყოველივეს ღვთის განგება მართავს. ხალხი ამას, ჩვეულებრივ,
ბედისწერას უწოდებს, რადგანაც არ იციან. თუ რა მიზეზით მოხდა
ყოველივე იმის საწინააღმდეგოდ, რაც სხვაგვარად უნდა წარმართულიყო.
45. ყოველივეს, რაც, მათი აზრით, ალოგიკურია, ბედისწერა ჰქვია,
მაგრამ დაე, ყველამ ისე იფიქროს. როგორც სურს.

V. 1. როდესაც ველისარიოსი მეორედ ჩავიდა იტალიაში. იქ-
დან თავლაფდასხმული დაბრუნდა უკან, რადგან ძლიერი სიმაჯრე
არსად ჰქონდა როგორც წინა თხზულებებში ნოვითხრობდით! ხუთი
წლის მანძილზე მიწაზე მყარად ფეხი ვერსად მოიკიდა და მთელი ეს
დრო ნაპირთან ცურვაში გაატარა. 2. ტოტილა² გააფთრებით დაეძებ-
და, ღია მიწოდორში ეწადა მასთან შეხვედრა. მაგრამ ვერსად გადააწ-
ყდა, სიმძღალე დაუძღლებოდა ველისარიოსს და მასთან ერთად მთელ
რომაელთა ლაშქარს. 3. ამიტომ დაკარგულიდან ვერაფერი დაიბრუნა
უკან: პირიქით. რომიკ ხელ-დან გაწოცალა და შეიძლება ითქვას,
სხვაეც ყოველგვ. რაც გააჩნდა. 4. იმ ხნის განმავლობაში. რაც ბასი-
ლესი არაფერს აძლევდა, საზიზლარი გამომძალველი, ხარბი და ანგა-
რებიანი გამგებელი გახდა. იტალიელებს, რავენასა და სიცილიის
მცხოვრებლებს აბუჩად იგდებდა, დაწესებულზე დიდ გადასახადი³
აწერდა, თითქოს განვლილი ცხოვრების საზღაურად, და ვინც ხელში
ჩაუვარდებოდა, ყველაფერს აკადრებდა, რასაც მოისურვებდა. 5. ასე-
ვე ლანძღავდა პეროდინეს⁴. და მისგან ფულის გამოძალვას ცო-
ლობდა. 6. ის კი განაწყენდა, რომაელთა ჯარს ზურგი შეაქცია და თა-
ვის ჯარიანად სპოლიიციოსს⁵ ჩაბარდა, ტოტილასა და გუთებს შეუერთ-
და. 7. ხოლო იმის თაობაზე. თუ რატომ მოხდა, რომ ველისარიოსი
ვიტალიანეს დისშვილს იოანესაც ეჩხუბა, რის გამოც რომაელები
დიდ ზარალში ჩავარდნენ. ახლავე გაუწყებთ.

8. დედოფალს მთელი გულით სძაგდა გერმანე⁶ და არც მალავდა
ამას, ამის გამო სხვებმაც ათვალწუნეს იგი და არავის სურდა მასთან
დანათესავეება. სანამ დედოფალი ცოცხალი იყო, (გერმანეს) შვილები
დაუქორწინებელი დაურჩა, თუმცა ბასილესთან ახლო ნათესაობა
აკავშირებდა. მისი წარმტაცი ქალწული. თვრამეტი წლის იუსტინა.
ჯერ გათხოვილი არ იყო. 9. ამიტომ, როცა ველისარიოსმა იოანე ბი-
ზანტიონში გააგზავნა. გერმანე იძულებული იყო მოლაპარაკებოდა მას
(იოანეს) დამოყვრების თაობაზე. თუმცა ღირსებით მასზე დიდად
აღმატებული იყო. 10. რადგან ეს საქმე ორივეს ქვეაში დაუჭდა.
ერთმანეთს მტკიცედ შეჰფიცეს, რომ ყოველივეს ქორწინებით დაა-
რულებდნენ⁷, თუმცა ერთმანეთს არ ენდობოდნენ. იოანეს მხოლოდ
განდიდება ამოძრავებდა, ამიტომ გერმანეს ქორწინების კეთილად
დაგვირგვინების იმედი არ ჰქონდა. 11. განრისხებული თეოდორა მათ
გასაცურებლად და საქმის ჩასაშლელად ყოველ ღონეს ხმარობდა და
არაფერს უკადრისობდა. 12. თავდაპირველად ორივე მხარეს აშინებ-
და, მაგრამ რადგან ვერც ამით გადაათქმევინა ჩანაფიქრი, იოანეს პირ-
დაპირ სიკვდილით დაემუქრა. 13. ამის გამო, როცა იოანე ხელახლა
ჩავიდა იტალიაში, ველისარიოსთან შეხვედრა ანტონინას ბიზანტიონ-

ში გამგზავრებამდე ვერ გაბედა. რადგან სწორედ მისი მხრიდან მოელოდა ვერაგობას და ამიტომაც ფრთხილობდა. 14. სამართლიანად ექვობდნენ. რომ დედოფალმა ანტონინას დაავალა იოანეს მოკვლა. ვინც იცოდა ანტონინას ხასიათი და ისიც, რომ ველისარიოსი მთლად მის ხელთ იყო. ეწინააღმდეგებოდა მისი და ეწინააღმდეგებოდა იოანესაც. 15. ასე რომ, რომაელთა ისედაც უკუღმად დატრიალებული საქმეები საბოლოოდ დაემხო.

16. ასე დასრულდა ველისარიოსის ბრძოლა გუთუზთან, იგი სასწარკვეთილი ბასილევს შეევედრა. რომ მისთვის ნება დაერთო სასწრაფოდ გასცლოდა იტალიას. 17. როდესაც ბასილევსმა მისი თხოვნა შეიწყნარა, გახარებული უმალ გაშორდა იქაურობას, დაემშვიდობა რომაელთა ჯარს და იტალიას, რომლის უმეტესი ნაწილი მტრის ხელში დატოვა. ველისარიოსი ჯერ ისევ გზაში იყო, როცა ალყაშემორტყმული პერუსისა? საბოლოოდ დაამარცხა მტერმა და მრავალი უბედურება დაატეხა თავს, რის შესახებაც უკვე ვიცით. შინ დაბრუნებულ ველისარიოსს ახლა სხვა უსიამოვნება შეემთხვა.

18. დედოფალი თეოდორა დაბეჭითებით ცდილობდა, რომ ველისარიოსის ქალიშვილი თავისი შვილიშვილისთვის მიეთხოვებინა და ამის გამო ხშირი წერილებით თავს აბეზრებდა ქალის მშობლებს. 19. ისინი ცდილობდნენ როგორმე თავიდან აერიდებინათ თეოდორასთან დამოყვრება და ქორწილს თავიანთ დაბრუნებამდე დებდნენ. მაგრამ როდესაც დედოფალმა ისინი გამოიძახა, მათ თავი იმართლეს, თითქოს ჯერ არ შეეძლოთ ბიზანტიონში ჩასვლა. 20. თეოდორას სურდა თავისი შვილიშვილი გაეხადა ველისარიოსის ქონების ბატონ-პატრონად, იცოდა რომ ველისარიოსს სხვა შვილი არ ჰყავდა და ქალიშვილი იყო მთელი მისი ქონების ერთადერთი მემკვიდრე, მაგრამ ანტონინას ჩაურევლად მოქმედებას მაინც ვერ ბედავდა, შიშობდა, მისი სიკვდილის შემდეგ ანტონინას სამეფო კარისათვის არ ეღალატა. თუმცა აქამდე ერთგული იყო, ურთულეს საქმეებში უმართავად ხელს და არც მათ შორის არსებული პირობა დაურღვევია, თეოდორა მაინც უღირსად მოიქცა. 21. ყმაწვილი ქალწულს უკანონოდ დაუახლოვა, როგორც ამბობენ, თეოდორამ აიძულა შვილიშვილი, გაეუპატიურებინა გოგონა. რათა უკვე ნამუსახდილ ქალთან ქორწინება დაბრკოლების გარეშე შემდგარიყო. ასე რომ, თვით ბასილევსიც კი ვერ ჩაშლიდა ამ საქმეს. 22. როდესაც თეოდორამ საქმე ისე მოაწყო, როგორც ჩაფიქრებული ჰქონდა, ანასტასიოსს და ქალიშვილს ერთმანეთი ვნებრიანად შეუყვარდათ და ამ ყოფაში გაატარეს არაუმცირეს რვა თვისა. 23. დედოფლის გარდაცვალების შემდეგ. ბიზანტიაში დაბრუნებულმა ანტონინამ, შეგნებულად დამალა მისთვის მიყენებულა

შეურაცხყოფა, თეოდორას შთამომავალთან დანათესავებაზე უარი განაცხადა და შვილი აიძულა საყვარელ მამაკაცზე უარი ეთქვა, 24. ამის გამო ხალხი უსინდისო ქალის სახელი დაიგდო, ხოლო როცა ახლად დაბრუნებულ ველისარიოსს ყოველგვარი ძალდატანების გარეშე მიაღებინა მონაწილეობა ამ უწყმინდურობაში, მაშინ კი ყველასათვის ნათლად გამომჟღავნდა ამ კაცის სახე. 25. საქმის არსი ისაა, რომ როდესაც ველისარიოსმა ფოტიოსისთვის და სხვა ახლობლებსათვის მიცემული ფიცი გატეხა, ყველამ შეუნდო, 26. რადგან მიზეზად იმას კი არ მიიჩნევდნენ, რომ ველისარიოსი ერთიანად ემორჩილებოდა ცოლს, არამედ ფიქრობდნენ, რომ მან ფიცი გატეხა დედოფლის შიშით. 27. მაგრამ, როცა თეოდორა გარდაიცვალა. როგორც უკვე მოგახსენეთ, ველისარიოსს არც ფოტიოსისათვის და არც სხვა ახლობლებისთვის არაფერი გაუკეთებია და ყველასათვის ცხადი შეიქმნა, რომ ცოლი იყო მისი ბატონი, ხოლო მაჰანკალი კალიგონე ბრძანებელი. მაშინ კი საბოლოოდ დაკარგეს ამ კაცის იმედი, დასცინოდნენ, ლანძღავდნენ და შეშლილად აცხადებდნენ. აი, რა ცოდვები ჰქონდა ველისარიოსს, თუ სიმართლეს ვიტყვით.

28. წინა თხზულებებში საკმარისად ბევრი ვიამბეთ იმის შესახებ¹⁰, თუ რა შეცდომები დაუშვა ლივიაში¹¹ სერგიუსმა. ბაქხუსის ვაჟმა¹², მართლაც, ის იყო მთავარი დამნაშავე რომაელებს საქმეები რომ უკულმა წაუვიდათ. მან ლევანებს¹³ ჯერ სახარებით შეჰფიცა, შემდეგ დაარღვია ეს ფიცი: ოთხმოცი ელჩი ყოვლად უმიზეზოდ დალუბა. ახლა ამის შესახებ სრულიად დაუფარავად უნდა ვთქვა. ეს ხალხი ყოველგვარი ბოროტი განზრახვის გარეშე მოვიდა სერგიუსთან და არც თავად ეპარებოდა მათში ეკვი. მაგრამ სერგიუსმა არად ჩაავდო ფიცით შეკვრა, ისინი სუფრასთან მიიწვია და ყოვლად უნამუსოდ დახოცა. 29. ამის გამო დაიღუპა სოლომონი¹⁴, რომელითა ჯარი და ყველა ლივიელი. 30. სოლომონის სიკვდილის შემდეგ, როგორც უკვე ვთქვი, სწორედ სერგიუსის გამო, არც ერთ სარდალს, არც ერთ მებრძოლ ჯარისკაცს აღარ სურდა ბრძოლის ველზე ვაეწირა თავი. 31. ყველაზე მეტად იგი იოანეს¹⁵, სისინიოლას ვაჟს სძულდა და ამის გამო იყო, რომ ლივიაში არეობინდეს ჩამოსვლამდე ბრძოლაში მონაწილეობას არ იღებდა. 32. სერგიუსი აზიზი, ბრძოლისათვის გამოუსადეგარი კაცი იყო, ასაკითაც და ხასიათითაც ძალზე უწიფარი, ამასთან, უზომოდ შურიანი და ტრაბახა. ფუფუნებით ცხოვრობდა და ერთთავად გაფუყული დაიარებოდა. 33. რადგანაც ის ანტონინას, ველისარიოსის ცოლის შვილიშვილის საქმროდ ითვლებოდა, დედოფალს არ სურდა მისი დასჯა ან თანამდებობიდან განთავისუფლება, თუმცა ხედავდა, რომ ლივია მის ხელში იღუპებოდა. მათ ასევე დაუსჯელი დატოვეს სერგიუსის ძმა სოლომონი, რომელ-

მაც პეგასიოსი მოკლა. თუ როგორ მოხდა ყოველივე, ამას ახლავე გაუწყებთ.

34. როდესაც პეგასიოსმა სოლომონი ლევათებისაგან გამოიყარა და ბარბაროსები შინ დაბრუნდნენ, სოლომონი, მისი გამომსყიდველი პეგასიოსი და რამდენიმე ჯარისკაცი კართაგენისკენ წამოვიდნენ. გზაში პეგასიოსმა შენიშნა, რომ სოლომონი უწყესოდ იქცეოდა და უბრა. გასვოდეს. რომ სულ ცოტა ხნის წინათ ღმერთმა მტრისგან გამოგისხნაო. 35. სოლომონი განრისხდა, რომ იგი შეურაცხევს, როგორც უბრალო ტყვე და პეგასიოსი გაშინვე მოკლა. ასე გადაუხადა მადლობა თავის მსხენლს. 36. როცა სოლომონი ბიზანტიონში ჩამოვიდა. ბასილევსმა გაანთავისუფლა მკვლელობის ბრალდებისაგან იმ მიზეზით, რომ მან მოკლა რომაელთა სახელმწიფოს მოღალატე. 37. ხოლო დასტურად, რომ ამ დანაშაულისთვის სასჯელი არ ელოდა, სჯანჯებო სიჯელი უბოძა. სოლომონმა, როგორც კი სასჯელს თავი დააღწია. აღმოსავლეთისაკენ აიღო გეზი, სამშობლოსა და ნათესავების მონახულება სურდა. 38. მაგრამ ღვთის ხელი მისწვდა მას ამ გზაზე და დაიღუპა. აი, ყოველივე, რაც სოლომონსა და პეგასიოსს შეემთხვათ.

VI. 1. ახლა კი მოგიხსრობთ, როგორი ადამიანები იყვნენ იუსტინიანე და თეოდორა და როგორ მიიყვანეს დაღუპვამდე რომაელთა სახელმწიფო. 2. როცა ბიზანტიონში ლეონს¹ ეპყრა ხელისუფლება, სამმა ახალგაზრდა ილირიელმა² გლეხმა — ზიმარქოსმა, დიტიბისტო³მა და იუსტინემ⁴ — სილარიბისაგან თავის დასაღწევად გადაწყვიტა სამხედრო სამსახურში შესულიყო. 3. ისინი ბედერიანადან⁵ ფეხით ჩამოვიდნენ ბიზანტიონში. მხარზე ტყაპურკი ჰქონდათ გადაკიდული, რომელშიც ორცხობილა გამოეხვიათ, რიგით ჯარისკაცებად ჩაირიცხნენ ჯარში. ბასილევსმა კი ისინი სხვებისგან სილამაზით გამოარჩა და სასახლის მცველებად დანიშნა. 4. მოვეიანებით, როდესაც საშელო ტახტი ანასტასიოსმა⁶ დაიკავა, ბრძოლა დაიწყო ისავრიელებთან⁷, რომელთაც იარაღს მოჰკიდეს ხელი და ბასილევსის წინააღმდეგ აღდგნენ. 5. ბასილევსმა ღირსეულად მომზადებული ჯარი გაგზავნა მათთან საბრძოლველად იონანეს სარდლობით, რომელსაც მეტსახელად „კირტოსი“ („კუზიანი“) ერქვა. მან რაღაც დანაშაულისათვის იუსტინე დილეგში ჩააგდო და გადაწყვიტა მეორე დღესვე დაესაჯა იგი. მაგრამ ღამით სიზმარში რაღაც გამოცხადება იხილა და განაჩენის აღსრულება ვეღარ გაბედა. 6. სარდალი მოგვიანებით ყვებოდა, რომ სიზმარში უზარმაზარი ტანის, ადამიანის მსგავსი ვიღაც ესიზმრა. 7. მან ამ კაცის განთავისუფლება უბრძანა დღისით რომ დააპატიმრა. გავიძეებულმა ყურად არ იღო სიზმრისეული ხილვა. 8. მეორე ღამეს იგივე სიტყვები ჩაესმა, რაც წინა ღამეს გაიგო, თუმცა ბრძანების შესრუ-

ლებას არც ამჯერად აპირებდა. 9. მესამედ კი ლამის აჩრდილი წარს-
დგა მის წინაშე და გააფრთხილა, რომ თვითონვე სასტიკად დაისჯე-
ბოდა, თუ არ შეასრულებდა მის ბრძანებას. ამასთან დასძინა, რომ მო-
მავალში, თუ იგი განრისხდებოდა, უსათუოდ იუსტინესა და მის ნა-
თესავეებს დაიხმარდა.

10. ასე გადაურჩა იუსტინე სასჯელს, დროთა განმავლობაში კი
იგი გაძლიერდა და დაწინაურდა კიდევ. 11. ბასილევსმა ანასტასიო-
სმა იგი სასახლის მცველთა უფროსად დანიშნა. 12. ხოლო როცა ანას-
ტასიოსი გარდაიცვალა, იუსტინემ ძალაუფლებით ისარგებლა და
ბასილევსი გახდა. უკვე ხანშიშესული იყო, ცალი ფეხი სამარეში ეღ-
ვა. განაღდება სავსებით არ გააჩნდა, ამბობენ, წერა-კითხვაც არ იყო-
დაო. სსკავსი შემთხვევა რომაელთა სახელმწიფოში არასდროს მო-
ხდარა. ჩვეულებად იყო, რომ ბასილევსი საკუთარ კრებულს აუგენჯა
ხოლმე და დადგენილებებს მათზე დაყრდნობით აქვეყნებდა. მას კი
არც დადგენილების გამოტანა შეეძლო და არც საქმის წარმართვა.
13. ვინმე პროკლე, რომელიც კენკის ყრის წესით იყო არჩეული კვეს-
ტორის⁷ თანამდებობაზე, ყველაფერს თვითნებურად აკეთებდა.
14. მაგრამ იპისთვის, რომ ბასილევსის პირადი ხელმოწერით დამტკა-
ცებული საბუთები ჰქონოდათ, ვისაც ეს საქმე ეხებოდა, შეჰდევნი მოი-
ფიქრა: 15. პატარა ხის დაფაზე ოთხი ასოს გამოსახულება ამოჭრეს,
რომელიც ლათინურად ნიშნავს „წაფიკითხე“, საწერ-კალამს მელანში
აწობდნენ. ჩვეულებრივ, როგორც წერდა ხოლმე ბასილევსი, და
იუსტინეს აწვდიდნენ. 16. დაფას საბუთზე დებდნენ, ბასილევსის ხელს
ხელთ იჭერდნენ და საწერ-კალამს ამოჭრილ ასოებზე დაატარებ-
დნენ. ასე რომ, მელნით ხდებოდა დაფის ამოჭრილი ადგილების და-
ფარვა, კარისკაცნი კმაყოფილნი იყვნენ, რომ ამ ხერხით ბასილევსს
ხელმოწერა შეეძლო.

17. აი, როგორი იუსტინე ჰყავდათ რომაელებს. ცხოვრობდა ის
ქალთან. სახელად ლუპიცინა. იგი, ბარბაროსთა ტომიდან, მონად
ჰყავდა ნაყიდი; სიბერის ჟამს კი ეს ქალი დედოფალი გახდა.

18. თავისი ხელკვეითებისთვის იუსტინეს არც ცუდის გაკეთება
შეეძლო და არც კარგის, ბუნებით ბრიყვს, არც წესიერი საუბარი
ეხერხებოდა და უხეობითაც გამოირჩეოდა 19. მისი ძმისშვილი იუს-
ტინიანე ჯერ ისევ ახალგაზრდა კაცი იყო, როცა მთელი ძალაუფლება
ხელთ იგდო და რომაელთა ისეთი უბედურების მიზეზად იქცა, რომ-
ლის წსგავსი მთელი არსებობის მანძილზე არავის სმენია. 20. არაფ-
რად უღირდა უსამართლოდ ადამიანთა სიკვდილით დასჯა. სხვისი ქო-
ნების მიტაცება. უმიზეზოდ ათასობით ადამიანის გაწყუჩება. 21. მას
არ ზიანდა საჭიროდ დაეცვა, რაც დაკანონებული იყო, მუცამ ყვე-

ლაფერი ახლებურად სურდა, ერთი სიტყვით, შეიძლება ითქვას, რომ ის იყო დიდებული დამაქცეველი იმისა, რაც ადრე ჯარად იყო აწყობილი. 22. შავმა ქირმა, რომლის შესახებაც ადრეულ თხზულებებშიც მოგახსენებთ. მთელი დედამიწა მოიცვა, მრავალი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. მაგრამ ბუერცი გადაურჩა სიკვდილს ან საერთოდ არ დაავადებულა. 23. ამ ადამიანისგან თავის დაღწევა კი რომაელისთვის შეუძლებელი იყო, ეს იყო ღვთის რისხვად მოვლენილი მთელი ერისთვის და ამ რისხვისგან დაზღვეული არავინ იყო. 24. ზოგიერთნი ყოველგვარი მიზეზის გარეშე დახოცა, სხვები სრულიად ჯაღატაკა და უფრო უბედურები გახადა, ვიდრე მკვდრები, ისინი სიკვდილსაც არად ჩაადგებდნენ. ოღონდ დასრულებულიყო მათი აუტანელი მდგომარეობა. დანარჩენებს კი ქონებაც წაართვა და სულიც ამოხადა. 25. მაგრამ მისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა მარტო რომაელთა ხელისუფლების დაქცევა. მან ლოცვა და იტალია მხოლოდ იმ მიზეზის გამო დაიპყრო. რომ აღრინდელი ხელქვეითების მსგავსად, იქაური ხალხიც დაეღუპა. 26. ჯერ ათი დღეც არ იყო გასული, რაც ძალაუფლება მიიღო, როცა სასახლის უფროსი საჭურისი ამანტიოსი და მასთან ერთად ზოგიერთი სხვაც ყოვლად უმიზეზოდ სიკვდილით დასაჯა, მხოლოდ იმიტომ. რომ ამანტიოსს რამდენიმე უხეში სიტყვა წამოსცდენოდა მღვდელმთავარ იოანეზე¹⁰. 27. ამ საქციელის გამო იუსტინიანემ ხალხში საყოველთაო სიძულვილი და ზიზღი დაიმსახურა. ყოველივე ამის შემდეგ, მან ტირანი ვიტალიანე¹¹ მოიწვია, წინასწარ აღუთქვა სრული უსაფრთხოება და მასთან ერთად მიიღო მონაწილეობა ქრისტიანულ მისტიკებში. 28. ხოლო მცირე ხნის შემდეგ, იმის გამო, რომ ეჭვი გაუჩნდა მის მიმართ, განრისხებულმა, ვიტალიანე და მისი ნათესავეები სასახლეში ერთიანად ამოწყვიტა, და არც უფიქრია. რომ მტკიცე ფიცი ჰქონდა დადებული და უღირსად იქცეოდა.

VII. 1. როგორც წინა თხზულებებში მოგიხსენებდით¹, ხალხი ოდითგანვე ორ ჯგუფად იყოფოდა². იუსტინიანემ თავისკენ ვენეტების პარტია მიიმხრო. რომლებიც ადრეც ეხმარებოდნენ მას და გარშემო ყველაფერი აურ-დაურია. ამის გამო რომაელთა სახელმწიფო დაცემის გზას დაადგა. 2. მაგრამ ყველა ვენეტი როდი ემორჩილებოდა ამ ადამიანის ნება-სურვილს. მას უსიტყვოდ მხოლოდ სტასიოტები³ ასრულებდნენ. 3. მაგრამ, როცა საქმე შორს წავიდა, მათაც აღმოაჩნდათ კეთილგონიერება: უფრო ნაკლებად სცოდანდნენ, ვიდრე ამის შესაძლებლობა ჰქონდათ. 4. ვერც პრასინების ის ნაწილი, რომლებიც სტასიოტებს მიეკუთვნებოდნენ, ინარჩუნებდნენ სიმშვიდეს; როგორც შეეძლოთ არკვევდნენ წესრიგს, მაგრამ ვენეტებისაგან განსხვავებით. ყოველი მათგანი პასუხს აგებდა ხოლმე დანაშაულისათვის. 5. ეს გამუდმებული დევნა პრასინებს უფრო მეტად აღიზიანებდა და

აგულიანებდა. ჩვეულებრივ. უსამართლოდ დაჩაგრულა ადამიანებო უფრო მეტ უგუნურობას სჩადიან ხოლმე. 6. მაშინ. როცა იუსტინიანე ვენეტებს აგულიანებდა და დაუფარავად მოუწოდებდა მათ ემოქმედათ, რომის ხელისუფლებას საფუძველი უშალეს მწვერვალამდე შეერყა, თითქოს მიწისძვრა მოხდა. ან წარღვნა დაიწყო, ან თითქოს ყოველი მისი ქალაქი მტერმა დაიპყრო და გაანადგურა. 7. ყველგან და ყველაფერში უწესრიგობა სუფევდა, არაფერი დარჩენილა უცვლელად. სახელმწიფო წეს-წყობილებას კანონებაც შეიცვალა და სრულად გადასხვაფერდა.

8. უპირველეს ყოვლისა, სტასიოტებმა შეიცვალეს თმის ვარცხნილობა, რომლის მსგავსი რომაელთაგან არავის ჰქონია. 9. წვერულვაშს აღარ იპარსავდნენ და სპარსელებივით იზრდიდნენ. 10. თავზე თმებს შინ საფეთქლებამდე იჭრიდნენ, უკან კი თავისუფლად უშვებდნენ, ისევე. როგორც მასაგეტები¹. ვარცხნილობის ასეთი ფორმა ჰუნებსაც ჰქონდათ.

11. შემდეგ ყველამ საკიროდ მიიჩნია მდიდრულად მოერთოთ ტანსაცმელი; უფრო მდიდრულად, ვიდრე ეს მათ ღირსებასა და მდგომარეობას შეეფერებოდა. 12. მაგრამ ყოველივეს შეძენა, რა თქმა უნდა, შესაძლებელი იყო მხოლოდ არაწესიერი გზით. ქიტონის სახელოს მაჯა ძალზე ვიწრო ჰქონდა. ხოლო აქედან მზრებამდე, ორავე სახელო ძალზე განიერდებოდა. 13. და როცა თეატრებსა თუ იპოდრომებზე ისინი ყვირილს ასტეხდნენ, ხელებს იქნევდნენ. ან როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე. ვიღაცით აღფრთოვანებას გამოხატავდნენ. ტანსაცმლის ეს ნაწილი ბუნებრივად ზემოთ იწვედა. მათ სურდათ სულელი ადამიანები დაერწმუნებინათ, რომ ლამაზი და ძლიერი სხეულები ჰქონდათ და იძულებულნი იყვნენ ასეთი განიერი ტანსაცმელი ჩაეცვათ, ვერ ხვდებოდნენ, რომ ასეთი ჩაცმულობით უფრო აჩენდნენ თავიანთ სიმჟლეს. 14. სამხრეულების, შარვლების და ფეხსაცმლის უმეტესი ნაწილი, როგორც სახელწოდებით, ასევე გამოყენებით, მათ ჰუნებისაგან ჰქონდათ ნასესხები.

15. ლამლამობით, თავდაპირველად თავისუფლად დადიოდნენ შეიარაღებულნი. დღისით კი გვერდზე ჰქონდათ მოგდებული ორღესული მახვილი, რომელსაც ტანსაცმლის ქვეშ მალავდნენ. შებრნდებისას ისინი ჯგუფ-ჯგუფად იკრიბებოდნენ, სიმშორის² წევრებს მოედნებსა და ჩიხებში ძარცვავდნენ, გზად შეიხვედრთ კი ტანსაცმელს, ქამრებს, ოქროს ბალთებს და ყველაფერს. რაც თან ჰქონდათ, ართმევდნენ. 16. ზოგიერთებს არა მარტო ძარცვავდნენ, არამედ კლავდნენ კიდევ, რომ მათ არ შესძლებოდათ ვინმესთვის ეთქვათ იმის შესახებ. რაც თავს გადახდათ. 17. მათი ეშინოდა ყველას. მათ შორის იმ ვენეტებ-

საც. რომლებიც სტასიოტებს არ ეკუთვნოდნენ, რადგან ეს უკანას-
 კნელნი არც მათ იწოდებოდნენ. 18. ამის გამო უკვე მრავალი ატარებდა
 სპილენძის ბალთებსა და ქაბრებს, აღარც თავიანთი წოდების წესაფე-
 რის მდიდრულ ტანსაცმელს იცმევდნენ. რათა ლამაზად ჩაცმის სიყუა-
 რულით არ დაღუპულიყვნენ და მზის ჩასვლამდე სახლებს აფარებდნენ
 თავს. 19. რადგან ბოროტება საკმაოდ დიდხანს გრძელდებოდა, ხ.ი-
 ლო ხალხის მმართველობის სათავეში მდგომი დამნაშავეებს არავე-
 თარ უკრადლებას არ აქცევდა. როგორც მსგავს შემთხვევებში ხდე-
 ბა ხოლმე. მათი თავხედობა სულ უფრო და უფრო იზრდებოდა.
 20. დანაშაული, რომელსაც თავისუფლად სჩადიოდნენ ხოლმე, უსაზ-
 ლერო ხდებოდა, რადგან დამნაშავეებად აღიარებულნი არაფრად მიიჩ-
 ნევდნენ ჩადენილ ცოდვებს და არც გამოსწორებას ფიქრობდნენ.
 21. რადგან ბუნების ძალით ადამიანთა უმრავლესობა იოლად თანხმდე-
 ბა. რომ დანაშაული ჩაიდინოს 22. ასე იქცეოდნენ ვენეტები. სტასი-
 იტების მოწინააღმდეგეთა ერთი ნაწილი მათ მხარეზე გადავიდა, რა-
 თა ჩადენილი დანაშაულისათვის არც მათ ეგოთ პასუხი, სხვანი კი გა-
 იქნენ და სხვადასხვა ადგილებს შეაფარეს თავი. მრავალი დატყვე-
 ვებული ადამიანი იღუპებოდა მოწინააღმდეგეთა ხელით ან კანო-
 ნის დამცველთაგან ისჯებოდნენ. 23. თანდათანობით სხვა ახალგაზრ-
 დებაც შეუერთდნენ ამ დაჯგუფებებს (ჰეტერიები), ადრე ისინი
 არასწროს ეწეოდნენ ამგვარ საქმიანობას, მაგრამ მათ ახლა ძალაუფ-
 ლების მოპოვებისა და ძალადობის დაუსჯელად ქმედების პურვი-
 ლი იზრდებოდა. 24. შეუძლებელია რაიმე ისეთი სამარცხვინო საქციე-
 ლი დავასახელოთ. როგორც არ მომხდარა იმ ხანებში, მაგრამ დაჰ-
 ნაშავე. ჩვეულებრივ. დაუსჯელი რჩებოდა, 25. ისინი, პირველყოფილ-
 სა. თავიანთ მოწინააღმდეგეებს ანადგურებდნენ. შემდეგ კი იმათაც
 ხოცავდნენ, ვინც მათ არ მტრობდა. 26. ზოგიერთებმა ამით ისარგე-
 ლეს. ისინი მოისყიდეს და საკუთარ მტრებს მიუსიეს, თუმცა ეს ხალ-
 ხი მათთვის საერთოდ უცნობი იყო, მათ მაინც უმოწყალოდ უსწორ-
 ებოდნენ პრასინების სახელით, 27. და ეს ყველაფერი ფარულად
 კი არ ხდებოდა, ღამით, არამედ დღისით-მზისით, ყველას დასაბა-
 ხად. ჭალაქის ნებისმიერ კუთხეში ყველაზე გამოჩენილი ადამიანების
 თვალწინ ჩადიოდნენ ამ უხამსობას. 28. რა საჭირო იყო დაფარვა იმი-
 სა. რაც გაიცხვას იმსახურებდა, თუკი მას არ ახლდა სასჯელის ში-
 ში. უფრო მეტიც. ეს იყო თითქოს საკუთარი ძალისა და ვაჟკაცობის
 გამოვლენა — მოკლდნენლად მოეკლათ. ერთის დაკვრით. ნებისმიე-
 რი შენხვედრი. ამგვარ ყოფაში ცხოვრების იმედი აღარავის რჩებო-
 და 29. სიკვდილის შიშით შთაგონებულნი ყველაფერს ეჭვით ეკადე-
 ბოდნენ. და ფიქრობდნენ, რომ მათი სიცოცხლის გადასარჩენად არ
 არსებობდა უხიფათო ადგილი და საამედო დრო. რადგანაც ხალხი

დღესასწაულების დროს ყველაზე წმინდა და საპატიო ტაძრებში ყოველგვარი მიზეზის გარეშე იღუპებოდა. აღარც მეგობრების სჯეროდათ და აღარც ნათესაეების, უმეტესობა ხომ სწორედ ახლობლების ბოროტი განზრახვით იღუპებოდა.

30. არავინ იყო განმკითხავი, უბედურება მოულოდნელად ატყდებოდათ თავს და მშველელი კი არსად ჩანდა. 31 კანონებს და დადგენილებებს ძალა არ ჰქონდა, ყველგან უწესრიგობა სუფევდა და ძალადობა ბატონობდა, სახელმწიფო წყობილება დაემსგავსა ტირანიას. მაგრამ ისეთს კი არა, რომელიც უკვე განმტკიცდა, არამედ ისეთს, რომელშიც ყოველ დღე ყველაფერი იცვლებოდა და თავიდან იწყებოდა. 32. თავად სახელმწიფო მეთაურებს დაშინებული ადამიანის აზროვნება დასჩემდათ, შაში ერთი ადამიანის წინაშე, მომწესხავად მოქმედებდა მათზე. მოსამართლენი. რომელთაც განაჩენი გამოჰქონდათ საკამათო საკითხებზე, ისე კი არ სჯიდნენ. როგორც თვითონ ეჩვენებოდათ სამართლიანად და კანონიერად. არამედ იმის მიხედვით, თუ როგორი დამოკიდებულება ჰქონდათ მოკამათეებს სტასიოტთა იმ დაჭვავებასთან, რომელთაც უპირატესობა ჰქონდათ, მტრული თუ მეგობრული. მოსამართლე, რომელიც უგულებელყოფდა მათ ბრძანებას სიკვდილით ისჯებოდა.

33. მრავალი მევახშე იძულებული იყო თავისი მოვალეებისათვის დაებრუნებინა ხელწერილები და სესხის სანაცვლოდ უკან არაფერი მიეღო, სხვები კი თავისი ნების გარეშე ანთავისუფლებდნენ მონებს. 34. ამბობენ. რომ ქალებიც იყვნენ იძულებულნი მონებისთვის გაეკეთებინათ ის, რაც არ სურდათ. 35. ახალგაზრდებიც, რომლებიც ამ ვაჟბატონებთან იყვნენ დაკავშირებულნი, მშობლებს იძულებით აკეთებინებდნენ იმას, რაზედაც აღრე უარს იღებდნენ ხოლმე და ქონებას წინასწარ იკუთვნებდნენ. 36. მათგან მრავალი ყმაწვილი კაცი სტასიოტებს თავისი ნების გარეშე უღვთო კავშირით დაუახლოვდა, ისე რომ. მშობლებმა კიდევ იცოდნენ ამის შესახებ. 37. იგავეს განიცდიდნენ გათხოვილი ქალებიც. ამბობენ. ერთი ლამაზი და მდიდრულად ჩაცმული ქალი ქმართან ერთად ნავით მიცურავდა თავის მამულში, რომელიც მეორე ნაპირზე იყო. ამ მგზავრობის დროს მათ სტასიოტები შემოხვდნენ, ქალი ქმარს მუქარით წაართვეს და აიქულეს მათ გემზე გადასულიყო. ქალი დაჰყვა ყმაწვილების ნებას და გემზე გადავიდა, თან ქმარს საიდუმლოდ დაუბარა, ნუ შემფოთლები და მშვიდად იყავიო 38. რამეთუ რგი არავის მისცემდა ნებას შეურაცხყოფა მიეყენებინათ მისთვის. ქმარი ნაღელიანად უცქერდა ცოლს, რს კი ზღვაში გადახტა და თავი მოიკლა.

39. აი, როგორ თავხედურად იქცეოდნენ სტასიოტები მაშინ ბიზანტიონში. მაგრამ აზგვარი უბედურებების გადატანა უფრო იოლი

იყო. ვიდრე იუსტინიანეს მიერ სახელმწიფო მმართველობაში ჩადენილი შეცდომებისა. ბოროტმოქმედთაგან ყველაზე მძიმე ზოროტების ჩამდენსაც კი აღარ სწამდა, რომ მიეზღებოდა საპატიო კანონისა და სამართლისაგან. 40. როცა ხალხს მომავლის იმედი აქვს, უფრო იოლად მოინებებს ხოლმე თავს დატეხილ უბედურებას. მაგრამ როცა სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდანაც ძალადობას ჰედავს, რა თქმა უნდა, ისინი უფრო მწვავედ განიცდიან, რაც მათ შეემთხვათ, რადგან მათდამი მოვლენილი უბედურების საზღაურს ველარაფერში ხედავენ. 41. იუსტინიანე უკანონობას სჩადიოდა არა მხოლოდ ბოროტების ქმნისათვის, არამედ ღირსებადაც თვლიდა ყოფილიყო სტასიოტების ხელმძღვანელი და მფარველი. 42. იგი დიდ ფულად დახმარებას უწევდა ამ ყმაწვილებს, მრავალი მათგანი თავის სიაბლოვეს ჰყავდა, ბევრ მათგანს კი მმართველობაში იძახებდა ხოლმე, რათა უმაღლესი ხარისხის წოდებისა და ღირსების ნიშნები ებოძებინა.

VIII. 1. რაც ბიზანტიონში ხდებოდა, იგივე მეორდებოდა ყოველ ქალაქში. აქ დაწყებული ბოროტება, ავადმყოფობის მსგავსად, თანდათან ვრცელდებოდა და ერთიანად მოიცავდა ხოლმე მთელ რომაელთა სახელმწიფოს. 2. ბასილევს (იუსტინეს) სრულებით არ ედარდებოდა გარშემო დატრიალებული ამბები, თითქოს ვერაფერს ამხნევდა. თუმცა იპოდრომზე მის თვალწინ ხდებოდა ყოველივე. 3. ის ზედმეწეწით სულელი ადამიანი იყო. გასაოცრად ჰგავდა ვირს, რომელიც მხოლოდ ყურებს აპარტყუნებს და იმას მიჰყევბა, ვინც ლაგამს გამოსდებს. 4. იუსტინიანეც მხოლოდ ამას აკეთებდა, სხვაგან კი ყველაფერში უწესრიგობა სუფევდა. როგორც კი ბიძისაგან ძალაუფლება მიიღო, უმაღ სახელმწიფო ქონების ძარცვას შეუდგა, თითქოს ის იყო ყველაფრის სრულუფლებიანი ბატონ-პატრონი. 5. ამ ჰუნებს. ვისთანაც მას ურთიერთობა უხდებოდა, უზარმაზარ თანხას უხდიდა სახელმწიფო ხაზინიდან და ამ დროიდან მოყოლებული ისინი ხშირად დათარეშობდნენ რომაელთა მიწა-წყალზე. 6. გემო გაუგეს რა ბარბაროსებმა რომაელთა სიმდიდრეს, აღარ სურდათ იმ გზიდან გადახვევა, რომელზეც ისინი აქ მოიყვანა.

7. იუსტინიანეს საჭიროდ მიაჩნდა დაემორჩილებინა ბობოქარი ზღვის მღელვარე ტალღები და ამიტომ დიდი თანხები გაიღო საზღვაო მშენებლობისათვის. 8. სანაპიროზე ქერს დიდი ლოდები დააწყობნა და ისეთი დაყინებით ეტრძოდა პონტოდან მომავალ თავაშუებულ დინებას, თითქოს თავსაყრელად ჰქონდა ფული. 9. რომაელთა საკუთრებას სხვადასხვა მიზეზით ეპატრონებოდა; ერთნი პასუხს აგებდნენ დანაშაულისთვის, რომელიც მათ არ ჩადინათ, სხვებს

კი, მათდა გასაოცრად, ახსენებდა, რომ თითქოს ეს ქონება თვითონ ეჩუქებინოთ მისთვის. 10. ზოგიერთნი, სხვადასხვა დანაშაულში მხილებულნი, თუკი ბასილევსის სასარგებლოდ უარს განაცხადებდნენ მთელ ქონებაზე, თავიდან იცილებდნენ გასამართლებას და ზასაჯელსაც არ იხდიდნენ დანაშაულისათვის. 11. სხვებს კი, თუ შემთხვევით დავა მოუვიდოდათ მეზობლებთან მამულის გამო და ვერაფრით ვერ ახერხებდნენ სასამართლოში უკანონო საქმის მოგებას, ბასილევსს უძღვნიდნენ საჩუქრად სადავო ქონებას და ამგვარად ეძლეოდათ საშუალება, ჯერ ერთი, სახელი გაეთქვათ მასთან და მეორეც — სასამართლო მოევოთ და შური ეძიათ მოწინააღმდეგეზე.

12. ვგონებ, არ იქნებოდა უდროო ამ კაცის გარეგნობაც აღგვეწერა. ტანით მაღალი არ იყო, არც ძალიან დაბალი, არამედ საშუალო სიმაღლისა, არც გამხდარი იყო, უფრო მსუქანი ეთქმოდა. მიჯი პირმრგვალი სახე სილამაზეს არ იყო მოკლებული, ორი ღღის მარხულსაც კი ღაწვები ვარდისფრად ჰქონდა შეფაკლული. 13. ერთი ზიტყვით. შეიძლება ითქვას, რომ გარეგნობით იგი ძალიან ჰგავდა დომიციანეს², ვესპასიანეს³ შვილს. ამ ბასილევსის უსასრულო ბოროტება რომაელებს ისე ჰქონდათ ყელში ამოსული, რომ მისი ნაკუწებად გადაქცევის შემდეგაც კი ვერ დაიცხრეს აღშფოთება, ამის გამო იყო, რომ დაადგინა სენატმა, არსად არ მოეხსენებინათ მისი სახელი, არ შეენახათ მისი არც ერთი ქანდაკება⁴. 14. ამიტომ მისი სახელი ამოშლილია ყველა წარწერაში, რომელშიც ბასილევსები იხსენიებინან. აგრეთვე არ მოიძებნება მისი არც ერთი ქანდაკება, როგორც რომში, ასევე სხვაგან, იმ ერთი სპილენძის ქანდაკების გარდა, რომელიც შემდეგი მიზეზით გადაჩნა: 15. დომიციანეს ჰყავდა ცოლი, ყოველმხრივ შემკული, მას არასდროს არავინ გაუნაწყენებია და არც ქმრის საქციელს იზიარებდა. 16. ამის გამო ეს ქალი ძალიან უყვარდათ და პატივსაც მიაგებდნენ, იგი სენატში გამოიძახეს, რათა შეესრულებინათ მისთვის, რაც სურდა. 17. ქალმა მხოლოდ ერთი რამ ითხოვა, მიეცათ უფლება დაემარხა დომიციანეს სხეული და ერთი სპილენძის ქანდაკება დაედგა მისთვის, სადაც თვითონ მოისურვებდა. 18. მას სენატმა ნება დართო და ცოლმა, რომელსაც სურდა მომავალ თაობებს სცოდნოდათ ის საშინელება, რომელიც მის ქმარს გადახდა, შემდეგი რამ მოითქრა: 19. შეაგროვა დომიციანეს სხეულის ნაწილები, ერთად დაალაგა, გულმოდგინედ შეაკოწიწა და შეეკრა. შემდეგ მოქანდაკეებს უბრძანა ეს საშინელება აესახათ. 20. მოქანდაკეებმა მაშინვე გააკეთეს სპილენძის ქანდაკება, რომელიც ქალმა ფორუმიდან მარჯვნივ, კაპიტოლიუმისაკენ მიმავალ გზის პირას დადგა. მართლაც, ამ ქანდაკებამ დღემდე შემოინახა ამბავი დომიციანეს

თავს დატეხილი უბედურების შესახებ. 21. იუსტინიანე მხოლოდ გარეგნულად კი არ ჰგავს ამ ქანდაკებას, არამედ დამახასიათებელი სახის ნაკვთებითაც.

22. ასეთი იყო ის შესახედავად. მის ხასიათს კი ასე ზუსტად ვერ აღწერ. ის იყო მზაკვარი და მერყევი ბუნების ადამიანი. რომელსაც თავისუფლად შეიძლება ვუწოდოთ ბოროტი სულელი. თვითონ პირმართალი არასდროს იყო იმ ხალხთან, ვისაც მასთან საქმე ჰქონდა. ყოველთვის ცრუობდა სიტყვითა თუ საქმით, და თუ ვინმეს მისი გადაბირება სურდა, იოლად მიაღწევდა საწადელს. 23. მასში ერთმანეთს ერწყმოდა რაღაც უჩვეულო სისულელე და სიმდაბლე. სულელსა ჰგავდა, როგორც ჯერ კიდევ ძველ დროში ერთმა პერიპატეტიკოსმა ფილოსოფოსმა თქვა — ადამიანის ბუნებაში ისევეა ცენამებული ერთმანეთის საწინააღმდეგო თვისებები, როგორც საღებავები ერთმანეთთან შერევის დროს. 24. მე მხოლოდ იმას აღწერ. რისი წარმოდგენაც შემიძლია. ბასილევსი თვალთმაქცი, ეშმაკი, ელიდო, გულჩათხრობილი, ორპირა და საშიში ადამიანი იყო. მას თამაში ყოველთვის ბოლომდე მიჰყავდა, შეეძლო ცრემლი ეღვარა არა მარტო სიხარულს თუ სევდის ეამს, არამედ ნებისმიერ დროს, როცა დასჭირდებოდა. ყოველთვის ცრუობდა, და უნებლიეთ კი არა. განზრახ. ოფიციალური დადგენილების გაცემისას, ან ფიცის დადების დროს ატყუებდა თავის ქვეშევრდომებს. 25. თავის სიტყვას და პირობას ისევე სწრაფად გადათქვამდა ხოლმე, როგორც მდაბიო მონა, რომელსაც წინ დაწყობილი საწამებელი იარაღების შიშით იძულებულს ხდიან. დამოწმოს ესა თუ ის ჩვენება. 26. მეგობრებთან — ორგული, მტერთან — დაუნდობელი, ვერ ძღებოდა სისხლითა და ფულის სიყვარულით, ძალზე მოსწონდა ჩხუბი და ყოველგვარი ცვლილებები, რაც კი ხდებოდა. ბოროტებს ადვილად ჩაიდენდა, სიკეთის ქმნას კი ვერავითარი შეგონებით აიძულებდი. სწრაფად მოახერხებდა დანაშაულის ჩადენას, მაგრამ რაიმე მადლი მოსასმენადაც საწყყენი იყო მისთვის. 27. აბა, ვინ შეიძლება იუსტინიანეს ამგვარი სახის სრულად გადმოცემას. მას იმდენი ნაკლოვანებები ჰქონდა, რომ ადამიანს არ ჰგავდა. თითქოს ბუნებამ ადამიანთაგან შეკრიბა ყველა მდაბალი თვისება და ამ კაცში შთაბერა. 28. ამასთანავე, მამულარასთვის ყურას დაედებაც ძალიან უყვარდა, საქმეს არასდროს იძიებდა. როგორც კი დამბეზლებელს მოუსმენდა, მაშინვე გადაწყვეტილებას მიიღებდა და განაჩენს გამოიტანდა. 29. ყოველგვარი ჭოქმანის გარეშე აწერდა ხელს საბუთებს, რომელნიც ბრძანებდნენ. მიწასთან გაესწორებინა რომელიმე ადგილი, ცეცხლით გადაეხუთათ ქალაქები, ან მონებად ექციათ უდანაშაულო ტომები. 30. და თუ ვინმე მოისურვებდა დაე-

თვალა ის, რაც ხდებოდა, იმასთან შედარებით, რაც ადრეულ ხანებში იყო, ვფიქრობ, აღმოაჩენდა, რომ ამ ადამიანს უფრო მეტი მკვლევლობა ჰქონდა ჩადენილი, ვიდრე ეს საერთოდ მოხდა გასულ საუკუნეებში. 31. უკან არასოდეს დაუხვევია, თუკი შეეძლო მიეთვისებინა სხვისი ქონება, არც გასამართლებელი მიზეზი უძებნია და არც კანონი სჭირდებოდა ამ საქმის აღსასრულებლად. 32. მოკლედ რომ ვთქვათ, თვითონ მას ქონება არ ჰქონდა და არც სხვას აძლევდა უფლებას საკუთარი მოხმარა, თითქოს მას მხოლოდ სიხარბე კი არა, შური ამოძრავებდა. 33. ამგვარად გაფლანგა იუსტინიანემ რომაელთა სიმდიდრე და საყოველთაო სიღარიბის შემოქმედი და დამბაღებელი შეიქმნა.

IX. 1. იუსტინიანეს ხასიათი და მისი შინაგანი სახე მე აღწერე, რამდენადაც შევეძლი. ახლა კი ყველაფერი უნდა მოგახსენოთ იმ ქალის შესახებ, რომელიც მან ცოლად ითხოვა, მე მოგიტხრობო. როგორი ხასიათი ჰქონდა მას, როგორ იყო აღზრდილი და ბოლოს, იუსტინიანესთან ქორწინებით დაკავშირებულმა, როგორ გამოეთხარა საფუძველი რომაელთა სახელმწიფოს. 2. ბიზანტიონში ერთი კაცი ცხოვრობდა, სახელად აკაიოსი¹. იგი იპოდრომზე მსახურობდა არენაზე სანადიროდ განკუთვნილი (პრასინების მხრიდან) ცხოველების ზედამხედველად, რომელსაც „დათვების მეთვალყურეს“ ეწოდებდნენ. 3. როცა ეს ადამიანი რაღაც სნეულებით გარდაიცვალა. სამეფო ტახტი ჯერ ისევ ანასტასიოსს ეპყრა. აკაიოსს სამი მცირეწლოვანი ქალიშვილი დარჩა ობლად: კომიტო, თეოდორა და ანასტასია. 4. ცოლმა გადაწყვიტა სხვა ქმარი ეშოვნა, რომელიც ოჯახზე იზრუნებდა და გარდაცვლილი ქმრის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასაც იკისრებდა. 5. მაგრამ პრასინების მოცეკვავეთა უკროსმა, სახელად ასტერიოსმა, ყოველგვარი ფიქრის გარეშე. ამ თანამდებობაზე სხვა დააყენა ის, ვინც მას ქრთამად ფული მისცა, რადგან მათ უფლება ჰქონდათ ისე მოქცეულიყვნენ. როგორც სურდათ. 6. ერთხელ, როცა ქალმა დაინახა, რომ იპოდრომზე ხალხი იკრიბებოდა ნადირობის საცქერლად, გოგონებს თავი გვირგვინებით ეღუმკო, ხელში ყვავილწუნულები დაჰკერინა და მფარველობის სათხოვნელად შესასვლელთან დააყენა. 7. პრასინებმა უყურადღებოდ დატოვეს მათი მუდარა, მაგრამ ამ თანამდებობაზე ისინი ახლა ვენეტებმა აყვანეს. რადგან იმათაც რამდენიმე ხნის წინ გარდაცვლოდათ ცხოველთა ზედამხედველი. 8. როცა გოგონები წამოიზარდნენ. დედამ ისინი აქაურ სცენას მიაჩვია, რადგან ძალიან ლამაზები იყვნენ. მაგრამ ყველას ერთად კი არ დააწყებინა მუშაობა, არამედ თანდათანობით. იმას მიხედვით, თუ რომელი იყო ამ საქმისთვის მომწიფებული. 9. მათ შორის უფროსი, კომიტო, უკვე ბრწყინავდა თანატოლებში თავისი სი-

ლამაზით. მისი მომღევნო, თეოდორა, გრძელსახელოიან მოკლე ქა-
ტონში გამოწყობილი. როგორც პატარა მსახურ-მონას შეეფერება,
უკან დასდევდა თავის დას, როგორც მისი მოახლე და ერთთავად
მხრით დაჰქონდა სკამი. რომელზედაც თავყრილობების დროს ჯდება-
და ხოლმე კომიტო. 10. ამ დროს თეოდორა ჯერ კიდევ მოზარდი
იყო. მას, მამაკაცებთან სიახლოვე, როგორც ქალს, არ შეეძლო, მაგ-
რამ ეშმაკეული ვნებებით შეპყრობილ კაცებს ის რაღაც ბინძური
კავშირით უახლოვდებოდა. მათ შორის იყვნენ მონებიც. ისინი,
ომღლებიც თეატრში მოაცილებდნენ ხოლმე თავიანთ ბატონებს და
თავისუფალ დროს ამგვარი ზნედაცემულობით ერთობოდნენ. დიდ-
ხანს ცხოვრობდა თეოდორა ამ გარყვნილებაში და საკუთარ სხეულს
არაბუნებრივ ცოდვას უმონებდა. 11. როგორც კი წამოიზარდა, ფრი-
ად დამშვენდა, მაშინვე სცენაზე დაიწყო მოღვაწეობა და მეძავად
იქცა. როგორსაც ძველები უბრალოდ *პეზუ-ს* უწოდებდნენ². 12. მას
არ შეეძლო ფლეიტაზე დაკვრა. არც რომელიმე სხვა სიმებიან
საკრავზე, არც ცეკვა ეხერხებოდა მაინცა და მაინც. შეეძლო მხო-
ლოდ თავისი სიყმაწვილე მიეცა პირველი შემხვედრისათვის და მას
სხეულით მომსახურებოდა. 13. შემდეგ მან დაიწყო მიმებთან ერ-
თად გამოსვლა თეატრალურ წარმოდგენებში და მათთან ერთად მო-
ნაწილეობას იღებდა ყველა დადგმაში, რათა სიცილი გამოეწვია
ჯამბაზური ოინებით. დაჯილდოებული იყო გასაოცარი გონებამახვი-
ლობით და იმავ წამს იპყრობდა ყველას ყურადღებას. 14. ამ ქალს
არაფრის რცხვენოდა და არც არავის უნახავს იგი რაიმეთი დარცხვენა-
ლი. ყოველგვარი მორიდების გარეშე ავლენდა თავს. როცა შოლ-
ტით სცემდნენ ან სახეში ურტყამდნენ, მას შეეძლო გონებამახვილუ-
რად ეხუმრა და ხმამალლა სიცილი გამოეწვია, შემდეგ ტანსაცემის
გაიხდიდა და თავის შიშველ სხეულს, რაც ქმრისთვისაც დაფარული
უნდა იყოს, მაყურებელს სხვადასხვა მხრიდან აჩვენებდა.

15. თავის საყვარლებს ალაგზნებდა გარყვნილი ზუმრობებით.
ახალ-ახალი გამოგონებებით სიყვარულის ხელოვნებაში და სამუდა-
მოდ იმონებდა ამ გახრწნილი სულის ადამიანებს. ის არ თვლიდა სა-
ჭიროდ დალოდებოდა, რომ მისთვის მიემართათ საცთუნებლად, პი-
რიქით, თვითონ აღიზიანებდა პირველსავე შემხვედრს გამომწვევი
ზუმრობებით და თეძობის რხევით, განსაკუთრებით კი არ ინდობდა
უწვერულ ყმაწვილებს. 16. არავინ მოიძებნებოდა, მასზე მეტად რომ
დამორჩილებოდა ავხორცულ ვნებებს. ხშირად, სადილად მიწვეული,
სადაც ათი ან უფრო მეტი ყმაწვილი იყო, დიდი ფიზიკური ძალითა
და გამძლეობით გამორჩეულნი, ის მთელი დამის განმავლობაში ეძ-
ლეოდა ყველა თანამეინახეს, ხოლო როცა ისინი, დაქანცულნი,

უკვე უარს აცხადებდნენ, ის მსახურებთან გადადიოდა — თითქმის ოცდაათ კაცს სათითაოდ უწყვილდებოდა და ამის შემდეგაც კი არ გრძნობდა მოყირკებას.

17. რომელიმე ცნობილი პიროვნების სახლში მიწვეულს, როცა ყველა მოქეიფე თვალებით ჰამდა, მას, როგორც ამბობენ, სრულებით არ ეთაკილებოდა, საწოლზე ჩამომჯდარს კოჭებამდე დაშვებული კაბა აეწია და უტიფრად ეჩვენებინა სარცხვინელი. 18. ხანდახან ერთდროულად სამს თანაყოფოდა და ვნებიან ხმებს გამოსცემდა. სხეულის შელანძღვა არ ენაღვლებოდა, პირიქით, ამ ურთიერთობისათვის ახალ ფორმებს ეძებდა და კიდევ იგონებდა. 19. ხშირად ფეხმძიმდებოდა, მაგრამ სხვადასხვა საშუალებებით ახერხებდა მუცლის მოშლას.

20. თეატრში, ხშირად, უამრავი ხალხის წინ იხდიდა და შიმველი რჩებოდა, მხოლოდ სასირცხვო ორგანოებს იფარავდა საზარდულებზე შემოხვეული ქამრით, არა იმიტომ, რომ ხალხში ამ ადგილების გამოჩენის რცხვენოდა, არამედ იმიტომ, რომ არავის ჰქონდა უფლება სრულიად შიშველი გამოსულიყო სცენაზე და სასირცხვო ადგილები არ დაეფარა. ამ მდგომარეობაში ის ნელ-ნელა პირაღწა წვებოდა. 21. და მაყურებლებისათვის ასეთ სანახაობას აწყობდა: მას სარცხვინელზე ქერს დააყრიდნენ ხოლმე, შემოსული ბატები კი ქერის მარცვლებს მისი სხეულიდან კენკავდნენ. 22. ყოველივე ამის შემდეგ სირცხვილით სახე აჰარხლებული კი არ წამოდგებოდა, პირიქით ქება-დიდებას მოელოდა ასეთი სანახაობის წარმოდგენისათვის. იგი მხოლოდ ურცხვი კი არ იყო, არამედ ყოველგვარი უზნეობისა და ზნედაცემულობის შემოქმედი გახლდათ. 23. ხშირად, ტანსაცმლის გახდის შემდეგ, მიმებს შორის, სცენის შუაგულში იდგა ხოლმე და უსირცხვილოდ იგრიხებოდა და ისევ სწორდებოდა. ამაყად უჩვენებდა თავის გამოცდილებას იმათ, ვინც არაერთხელ ყოფილა მასთან ახლოს. 24. თეოდორა აულაგმავე თავხედობით ეპყრობოდა თავის სხეულს, ვფიქრობ, თვლიდა, რომ სარცხვინელი იქ კი არა აქვს, სადაც ჩვეულებრივ ყველა ქალს, არამედ სახეზე. 25. ის, ვინც მას უაზლოვდებოდა, მაშინვე ცხადი ხდებოდა, რომ ურთიერთობა არაბუნებრივი ჰქონდათ. ამიტომ წესიერი ადამიანები ხშირად მოედანზე შეხვედრისას თავს აარიდებდნენ და გაეცლებოდნენ ხოლმე, რათა მის ტანსაცმელს შეხებულნი რაიმე სიბინძურით არ წაბილწულიყვნენ. 26. სისხამ დილით მასთან შეხვედრა ავის მომასწავლებლად მიანიდათ. თეატრში, თანამოდვაწეებთან ისეთი დაუნდობელი იყო, როგორც საშინელი მორიელი. დიდი უნარი გააჩნდა ბილწისტიყვაობისა.

27. შემდეგ ის ვიღაც ტიროსელ⁴ კაცს გაჰყვა, ჰეკებოლოსს; რომელიც პენტაპოლისის მმართველად იყო დანიშნული, რათა მისი

ყველაზე სამარცხვინო ვნებები დაეკმაყოფილებინა, მაგარამ რაღაცის გამო ამ კაცის რისხვა დაიმსახურა და იძულებული შეიქნა სასწრაფოდ გასცლოდა იქაურობას. ამის გამო მძიმე მატერიალურ გაჭირვებაში აღმოჩნდა და პურის ლუქმას უკანონო გზით. საკუთარი სხეულის გაყიდვით შოულობდა. 28. ჯერ ალექსანდრიაში⁶ ჩავიდა, შემდეგ კი მთელი აღმოსავლეთი მოიარა და ისევ ბიზანტიონში დაბრუნდა. ყოველ ქალაქში ისეთ საქმეებს სჩადიოდა, რომ ღვთის წყალობა არ ეღირსება იმ ადამიანს. ვინც ყოველივეს თავისი სახელით მოიხსენიებს. ალბათ. თვით დემონს სურდა, რომ არსად დარჩენილიყო ისეთი ადგილი. სადაც თეოდორა გარყვნილებას არ ჩადენდა.

29. როგორც ჩანს, ბედად ეწერა ამ ქალს, ისე დაბადებულიყო და აღზრდილიყო. რომ გარყვნილებით გაეთქვა სახელი მრავალთა შორის. 30. როცა ის ხელახლა დაბრუნდა ბიზანტიონში, თავდავიწყებით შეუყვარდა იუსტინიანეს და სანამ დაუახლოვდა როგორც საყვარელს. უკვე პატრიკიოსის⁶ წოდება ჰქონდა მიღებული მისგან. 31. თეოდორა მაშინვე ძლიერ გავლენიანი შეიქმნა და დიდი ქონებაც მოიპოვა. ამ კაცისთვის ყველაზე დიდი ბედნიერება იყო, რაც სავრთოდ ემართებოდა ხოლმე შეყვარებულებს, რომ თავისი სატრფოსათვის ყველა შესაძლებელი ძღვენი მიერთმია და ყოველგვარი სიმდიდრე ებოძებინა. 32. თვით პოლიტიკური საქმეებიც ხელს უწყობდა ამ სიყვარულის გავლივებს. მასთან ერთად იუსტინიანემ უფრო მეტად გარყვნა ხალხი არა მარტო აქ (ბიზანტიონში), არამედ მთელს რომაელთა სახელმწიფოში. 33. ისინი ორივენი დიდი ხანია ვენეტთა პარტიის წევრები იყვნენ და ამ მემამბოხეთა ხელში აღმოჩნდა მთელი სახელმწიფო ძალაუფლება. 34. მრავალი წლის შემდეგ ამ უბედურებათა დიდი ნაწილი შემდეგნაირად დასრულდა:

35. ერთხელ იუსტინიანემ დიდხანს იავადმყოფა და ბოლოს ისე მძიმედ შეიქმნა, რომ თითქოს სიცოცხლე აღარ ეწერა, სტასიოტები კი, როგორც უკვე მოგახსენეთ, დანაშაულის ჩადენას განაგრძობდნენ, მათ დღისით-მზისით, წმინდა სოფიის ტაძარში, სახელოვანი ადამიანი — ჰიპატიოსი — მოკლეს. 36. როცა ეს საწინელება მოხდა, ჩადენილი დანაშაულის გამო შექმნილმა მღელვარებამ (იუსტინე) ბასილევსამდეც მიადწია. ყოველი მისი ქვეშევრდომი, სარგებლობდა რა იუსტინიანეს არყოფნით, ცდილობდა უფრო მეტად დაემძიმებინა ჩადენილი დანაშაული და თავიდანვე დაწვრილებით ყვებოდნენ ყველაფერს, რაც მოხდა. 37. მაშინ ბასილევსმა ქალაქის ეპარქოსს⁷ უბრძანა დაესაჯათ დამნაშავენი ყველა ჩადენილი დანაშაულის გამო. ამ კაცს თეოდოტოსი ერქვა, მეტსახელად კი „კოლოკინთიას“ („გოგარას“) ეძახდნენ. 38. როცა ის ამ საქმეებში გაერკვა, მრავალი დამნა-

შვეე დააპატიმრა და კანონის ძალით დასაჯა კიდეც, დანარჩენებმა მაინც მოასწრეს დამალვა და ცოცხლებიც გადარჩნენ. 39. ვფიქრობ, იმისათვის, რათა შემდგომშიც გაეგრძელებინათ ეს უკუღმართი თავ-
ნთი საქმე და რომელები დაელუპათ. მაგრამ იუსტინიანე, ყველასა-
თვის მოულოდნელად. გამოკეთდა და თეოდოტოსს მაშინვე ბრძოლა
გამოუცხადა. მას საწამლავების მომზადება და ჯადოსნობა დასწამა.
40. რადგანაც იუსტინიანე უტყუარ მიზეზს ეძებდა ამ ადამიანის დასა-
ლუბად. თეოდოტოსის ახლობელი რამდენიმე ადამიანი საშინელი ტან-
ჯვით აიძულა ზოგიერთი ცნობა დაემოწმებინათ მისთვის. 41. ყვე-
ლანი განზე გადგნენ და ჩუმად დასტიროდნენ ჩანაფიქრს თეოდო-
ტოსის წინააღმდეგ, მხოლოდ პროკლემ, რომელსაც კვესტორის თა-
ნამდებობა ეკავა, განაცხადა, რომ ეს ადამიანი სიკვდილს არ იმსა-
ხლებდა. 42. სწორედ ამიტომ ბასილევსის (იუსტინეს) ბრძანებით
თეოდოტოსი იერუსალიმში გაგზავნეს, იქ კი შეიტყო, რომ ვილაციე-
ეზი ჩამოვიდნენ იერუსალიმში მის მოსაკლავად და მთელი სიცოც-
ხლე ტაძარს აფარებდა თავს. ასე გასრულდა მისი ცხოვრება.

43. ასე იყო თეოდოტოსის საქმე. ამ დროიდან სტასიოტემ
სხვებზე პონივრულად იქცეოდნენ. 44. მსგავს შეცდომებს აღარ
უშვებდნენ. თუმცა კვლავ ჰქონდათ საშუალება სრული უკანონობა
ჩაედინათ. 45. ამას ამტკიცებს ისიც, რომ ვილაციეები მცირე ხნის შემ-
დეგ ამგვარსავე თავნებობას სჩადიოდნენ და არავითარი სასჯელი არ
ელოდათ. 46. ისინი, ვისაც მათი დასჯის უფლება ჰქონდა, ამ საშინე-
ლების ჩამდენთ დამალვის საშუალებას აძლევდნენ და ამგვარად
უმართავდნენ ხელს უკანონო საქმის ჩადენაში.

47. ვიდრე დედოფალი (ეფემია) ცოცხალი იყო, იუსტინიანემ
ვერაფრით შეძლო თეოდორა თავის კანონიერ ცოლად გამოეცხადე-
ბინა. მხოლოდ ეს წინააღმდეგობა შეხვდა თეოდორას, სხვა ყველა-
ფერი მისი ნება-სურვილით ხდებოდა. 48. როგორც უკვე მოგახსენ-
ეთ, თავად ბასილიდა ერთი უბრალო სოფლელი ქალი იყო, ბარბა-
როსთა მიწიდან, მისგან სრულიად შორს იყო გარყვნილება. 49. არა-
ვითარი განსაკუთრებული ღირსებებით არ გამოირჩეოდა, სახელ-
მწიფო საქმეებში სიცოცხლის ბოლომდე ვერ გაერკვა, როცა სასახ-
ლეში მოვიდა, საკუთარი სახელი, რომელიც სასაცილოდ ეღერდა,
უარყო და ეფემია დაირქვა. რამდენიმე ხნის შემდეგ ბასილიდა ღვთის
ნებით მიიცივალა. 50. იუსტინეს ღრმად მოხუცებულობის გამო გო-
ნება სულ დაებინდა, ვეღარ ერკვეოდა რა ხდებოდა ირგვლივ, ამიტომ
ქვეშევრდომები დასცინოდნენ, აბუჩად იგდებდნენ, ანგარიშს სრუ-
ლებით არ უწევდნენ. იუსტინიანეს წინაშე კი შიშით ქედს იხრიდნენ
და მის ყოველ ნება-სურვილს ასრულებდნენ, რადგანაც არეულობითა
და უწყესრიგობით ის ყველაფერს თავდაყირა აყენებდა. 51. სწორედ

მაშინ დაიწყო მან თეოდორასთან კანონიერი გზით შეუღლებისათვის ზომების მიღება. რადგანაც ადამიანს, რომელმაც მიაღწია სენატორის წოდებას. უფლება არ ჰქონდა ცოლად ეთხოვა თავისუფალი ყოფაქცევის ქალი (პეტერა), რამეთუ ეს აკრძალული იყო უძველესი კანონებით. მან აიძულა ბასილევსი იუსტინე შეეცვალა ეს კანონი და მის ნაცვლად ახალი კანონი გამოეცა. ამ დროიდან თეოდორასთან ცხოვრობდა როგორც ცოლთან და რა თქმა უნდა, სხვა დანარჩენებისთვისაც გახდა შესაძლებელი ასეთ ქალებთან ქორწინება. ამიერიდან იუსტინიანე ტირანიის გზას დაადგა და თავის ძალადობრივ მოღვაწეობას ავტოკრატორის დიდებული სახით ფარავდა. 52. ის ხომ თავის ბიძასთან ერთად რომაელთა ბასილევსად იქნა გამოცხადებული, თუ ეს შესაძლებელი იყო, მაგრამ მუქარით დაშინებულები (სენატი და ხალხი) ასეთ კენჭის ყრას დაეთანხმდნენ. 53. იუსტინიანემ და თეოდორამ ბასილევსის წოდებას მიიღეს სამი დღით ადრე აღდგომის დღესასწაულებამდე. ამ დროს კი ყოვლად დაუშვებელია სიყვარულით არ მიესალმო რომელიმე მეგობარს ან მშვიდობა არ უსურვო, 54. რამდენიმე დღის შემდეგ იუსტინე ავად გახდა და გარდაიცვალა. იგი 9 წლის მანძილზე ბატონობდა, ახლა კი ერთადერთ გამგებლად იუსტინიანე და თეოდორა დარჩნენ.

X. 1. აი, ამგვარად, როგორც მოვითხრეთ, დაიბადა და აღიზარდა თეოდორა. ისე მიაღწია დედოფლის მაღალ წოდებას. წინააღმდეგობას არსაიდან შეხვედრია. 2. იქორწინა რა მასზე, იუსტინიანემ ვერც კი იგრძნო თავისი მდგომარეობის სიმდაბლე. მას შეეძლო ცოლად შეერთო ქალი რომაელთა სახელმწიფოს უმაღლესი საზოგადოებიდან, აღზრდილი მაღალ არისტოკრატულ წრეში, კდემამოსილებისა და თავმდაბლობის გრძნობით აღვსილი, გონებით ბრძენი, სილამაზით დაჯილდოვებული ღმერთისაგან, ქალწულებრივი სინაზითა და მკვრივი მკერდით. 3. მაგრამ მან უფრო მეტ ღირსებად ჩათვალა ცოლად შეერთო ქალი — ადამიანთა საერთო ცოდვის მატარებელი, რომელიც არ ირცხვენდა იმას, რასაც მის შესახებ ამბობდნენ, ათას სხვა უნამუსობასთან ერთად ბავშვების მკვლელობა იყო, რადგანაც თავისი ნებით იშლიდა ხოლმე მუცელს. მე ვფიქრობ, ამ ადამიანის (იუსტინიანეს) ხასიათსა და ზნეობაზე ლაპარაკისას, არც ღირს სხვა საკითხზე ყურადღების გამახვილება. 4. ეს ქორწინება მნიშვნელოვნად ახასიათებს მის სულიერ ღირსებებსა და ხასიათს, განმარტავს და საბუთს გვაძლევს მისი ცხოვრების მნიშვნელოვანი მხარის შესახებ. 5. ის, ვინც არაფრად აგდებს თავის უღირს საქციელს და არ თვლის სამარცხვინოდ შემზარავი ჩანდეს ხალხის თვალში, მისთვის არ არსებობს უკანონო გზა, მას მუდამ სახეზე დასთამაშებს უსირცხვილობა და ძალზე იოლად და ყოველგვარი ძალდატანების გარეშე სჩადის ყვე-

ლაზე საშინელ ცოდვას. 6. მაგრამ თვით სენატორთაგანაც კი ვერა-
ვინ გაბედა თავისი სიტყვა ეთქვა და მას შეწინააღმდეგებოდა: თუმცა
ხედავდნენ, რა სიბინძურით ივსებოდა ქვეყანა, მაინც ყველანი მზად
იყვნენ ისე მოეყარათ მუხლი თეოდორას წინაშე, როგორც ამას
ღმერთის წინაშე აკეთებდნენ. 7. არც ეკლესიის მსახურთაგან გამო-
უთქვავს ვინმეს თავისი აღშფოთება და უსიტყვოდ იყვნენ მზად მბრძა-
ნებლად ელიარებიანთ იგი. 8. ხალხი, რომელიც ადრე მისი მაყურა-
ბელი იყო, ახლა სამართლიანობად მიიჩნევდა, დამონებოდა და ხელაპ-
ყრობით ქედი მოეხარა თეოდორას წინაშე. 9. არც ერთი მეომარი
არ განრისხებულა იმის გამო, რომ მის ისედაც ხიფათიან ცხოვრებას
დამატებოდა ბრძოლა თეოდორას ინტერესების დასაცავად და არც
ხალხში გამოუთქვამს ვინმეს საწინააღმდეგო აზრი, ყველანი, ალბათ,
იმ იმედით, რომ ყოველივე ღვთის ნებაა, ცდილობდნენ ხელი შეეწ-
ყოთ ამ წაბილწვისათვის, თითქოს ბედისწერას ეწადა თავისი ძლევა-
მოსილება გამოემჟღავნებინა. ის, ვინც განაგებს ადამიანთა საქმეებს,
ყველაზე ნაკლებ ზრუნავს, რომ ის, რაც ხდება ბუნებრივად მოგეჩვენ-
ნოს ან მიმდინარეობდეს ადამიანთა ნათქვამის თანახმად. 10. მართ-
ლაც, ვილაცას ბედი მოულოდნელად აამაღლებს და კაცს, ვის წინა-
შეც თითქოს ერთად მოეყარა თავი ყველა წინააღმდეგობას, ამიერი-
დან საქმეში ხელს აღარაფერი შეუშლის, ყველაფერი ისე მიმდინა-
რობს, როგორც ბედით არის გაპირობებული, თან ყველანი თავისი
ნებით უთმობენ გზას წინ მიმავალ ბედისწერას, მაგრამ, დე ილავა-
რაკონ ამაზე, და ყოველივე ისე მოხდეს, როგორც ღმერთს სწადია.

11. თეოდორას ლამაზი პირისახე ჰქონდა, ტანი პატარა, მაგრამ
მოხდენილი, კანი — ხორბლისფერი, მზერა — საშინლად ძლიერი და
გამქოლი 12. ვინმეს რომ მოესურვებინა, მოეყოლა ყველაფერი ის,
რასაც ეს ქალი სცენაზე სჩადიოდა, მთელი საუკუნე არ ეყოფოდა,
მაგრამ ის უმცირესიც, რაც ზემოთ მოგახსენეთ, სრულიად საკმარა-
სია იმისთვის, რომ შთამომავლობას სრული წარმოდგენა შეექმნას ამ
ქალის ხასიათსა და ზნეობაზე. 13. ახლა კი მოკლედ მოგითხრობთ მის
საქმეებზე და თან მისი ქმრის საქმეებზეც, რადგან ისინი ერთმანეთის
გარეშე არაფერს აკეთებდნენ. 14. დიდი ხნის განმავლობაში ყველას
ეჩვენებოდა, რომ, როგორც აზროვნებით, ასევე საქმით, ისინი სრუ-
ლიად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან. შემდგომ კი ცხადი შეიქნა,
რომ ასეთი წარმოდგენა განზრახ შექმნეს თვითონ, რადგან თუ მათ
ერთობას არ დაინახავდნენ. არც ამხედრდებოდნენ მათ წინააღმდეგ
და არც ერთიანი მტკიცე აზრი ექნებოდათ მათზე.

15. უპირველეს ყოვლისა, ერთმანეთს გადაამტერეს ქრისტიანები
და თეოლოგიურ კამათებში მათ ისე მოაჩვენეს თავი, თითქოს

ორივე (იუსტინიანეცა და თეოდორაც) ერთმანეთის მოწინააღმდეგე-ნი იყვნენ. და ამ გზით ყველანი დაქსაქსეს და ჯგუფებად დაყვეს. თუ როგორ. ამის შესახებ მცირე ხნის შემდეგ მოგახსენებთ. შემდეგ განხეთქილება მოახდინეს სტასიოტებში. 16. თეოდორა ისე აჩვენებ-და თავს, თითქოს მთელი ძალით მფარველობდა ვენეტებს და მათ უფლება მიანიჭა ემოქმედათ ყოველგვარი კანონის გარეშე თავიანთი მოწინააღმდეგეების წინააღმდეგ და საშინელი ძალადობა აღესრულე-ბინათ. 17. იუსტინიანეს კი თავი ისე ეკირა, თითქოს ძალზე აღშფო-თებული იყო. მაგრამ ძალა არ შესწევდა წინააღმდეგობა გაეწია ცო-ლისთვის. ხშირად ცვლიდნენ აზრებს ერთმანეთს შორის და ისე მოქ-მედებდნენ, თითქოს ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდნენ. 18. იუსტინია-ანე საჭიროდ თვლიდა დაესაჯა ვენეტები ჩადენილი დანაშაულის-თვის. თეოდორა კი სიტყვით გამოხატავდა თავის უკმაყოფილებას და ისე აჩვენებდა თავს, თითქოს აღშფოთების მიუხედავად იძულებულა იყო დამორჩილებოდა ქმრის ნებას.

19. როგორც უკვე ვთქვი, ვენეტთა სტასიოტები მოქმედებდნენ ყველაზე გონივრულად. ისინი თავს იკავებდნენ კვლავ ჩაედიანთ ძალა-დობა მოქალაქეთა მიმართ იმდენად, რამდენადაც შეეძლოთ, მაგრამ სასამართლოზე ისე ჩანდა, თითქოს ყველა მათგანი იცავდა ერთ-ერთი დამნაშავის ინტერესებს, ბოლოს კი აუცილებლად გამარჯვებული გამოდიოდა ის, ვინც იცავდა უსამართლობას. ამგვარად იტაცებდნენ მომჩივნთა ქონების დიდ ნაწილს. 20. ამ თვითმმართველს მრავალი მათგანი თავისი ახლობლების სიაში შეჰყავდა. და მათ ძალადობის და უკანონობის სრულ უფლებას აძლევდა სახელმწიფოებრივ ცხოვრება-ში, მაგრამ, როგორც კი ისინი დიდ ქონებას მოიხვეჭდნენ, მაშინვე, თეოდორასთან წაჩხუბებულნი, იუსტინიანეს მტრებიც ხდებოდნენ. 21. ვისაც თავდაპირველად არ თვლიდა ღირსად თავის მხარეზე ჰყო-ლოდა, შემდგომში განსაკუთრებულად კეთილგანწყობილი ხდებო-და მათ მიმართ და უცებ იფიწყებდა თავის აღრინდელ დამოკიდებუ-ლებას ამ ადამიანებისადმი. 22. და აი, სწორედ მაშინ იწყებდა თეო-დორა მათ წინააღმდეგ ყველაზე საშინელი საქმეების ჩადენას; იუს-ტინიანე კი ვითომ ვერაფერს ამჩნევდა, თუ რა ხდებოდა მათ თავს, უსირცხვილოდ ისაკუთრებდა მათ ქონებას და ამით ტყებოდა. 23. და მუდამ თაღლითობით. ურთიერთშორის შეთანხმების საფუძველზე, გა-რეგნულად უთანხმოების გამოხატვით, ახერხებდნენ თავიანთი ხელ-ქვეითების დაქსაქსვას და საკუთარი ტირანიის განმტკიცებას.

XI. 1. როგორც კი იუსტინიანემ ძალაუფლება იგდო ხელთ, მაშინვე ყველაფერი აურ-დაურია და რაც კი აღრე კანონით იყო აკრძალული სახელმწიფო ცხოვრებაში, დასაშვებად გამოაცხადა. ყვე-

ლაფერი, რაც ადრე არსებობდა. მან გაანადგურა, თითქოს იმისათვის იყო ბასილევსის დიდებით აღჭურვილი და დამშვენებული, რომ ყველაფრისთვის სხვა სახე მიეცა და შეეცვალა. 2. ადრე არსებული სახელმწიფოებრივი თანამდებობები გააუქმა და მათ ნაცვლად სხვა შემოიღო და სხვა სახელები უწოდა მათ. იგივე ჩაიდინა კანონებთან და ჯართან დაკავშირებით, არა აუცილებლობის გამო, არც სარგებლობის მოსატანად, არამედ იმისათვის, რომ ყველაფერი ახლებურად ყოფილიყო და მისი სახელი რქმეოდა, ხოლო თუ შეეცვლა არ შეეძლო, მაინც ახერხებდა იმისთვისაც დაედო თავისი სახელის დამლა.

3. არასდროს გრძნობდა მოყირქებას სხვისი ქონების ძარცვით ან სისხლისღვრით. ბევრი ადამიანის დიდძალ ქონებას დაპატრონებულს ხელახალი ძარცვისაკენ ეჭირა თვალი და ადრე მოპოვებულ ქონებას უკვე ბარბაროსებს ურიგებდა ან უგუნურ მშენებლობაზე ხარჯავდა. 4. ათი ათასობით უდანაშაულო ადამიანის დაღუპვის შემდეგ, უფრო მეტის მოსპობა სურდა. 5. მან ვერ აიტანა, რომ რომაელები მშვიდობიან ურთიერთობაში იყვნენ მეზობლებთან და სისხლისღვრის წყურვილით შეპყრობილი, ბარბაროსთა ტომებს ერთმანეთს უქსევდა. ყოვლად უმიზეზოდ გამოიძახებდა ხოლმე თავისთან ჰუნთა ბელადებს და გასაოცარი ხელგაშლილობით ურიგებდა დიდი რაოდენობის ფულს და რა თქმა უნდა, აცხადებდა, რომ ამ საჩუქრებს მეგობრობის განსამტკიცებლად აკეთებდა. როგორც უკვე ითქვა, ამას ჯერ კიდევ იუსტინე ბასილევსის დროს სჩადიოდა. 6. მათ კი ფულიც მიჰქონდათ და თან ამხანაგებს გზავნიდნენ თავისი რაზმებით, რათა ისინი ბასილევსის მიწებს თავს დასხმოდნენ და ამ გზით მიეღოთ მშვიდობის საზღაური იმისგან, ვისაც ეწადა მშვიდობის ასე უგუნურად შესყიდვა. 7. და აი, ისინიც ძარცვავდნენ და ატყვევებდნენ ადამიანებს რომაელთა სახელმწიფოს ფარგლებში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საზღაურს იღებდნენ ბასილევსისგან. მათ კვალდაკვალ მოსდევდნენ სხვები უბედური რომაელების საძარცვავად და ამ ძარცვის შემდეგ ისინიც გულუხვ საჩუქრებს იღებდნენ, თითქოსდა თავისი შემოჭრის საზღაურად. 8. მოკლედ რომ ვთქვათ, ისინი ერთმანეთის მიყოლებით ძარცვავდნენ და ირგვლივ ყველაფერს ანადგურებდნენ. 9. ბელადთა ასეთი დაჯგუფებები ბარბაროსებს მრავლად ჰყავდათ, ეს ომი კი დაიწყო ბასილევსის უგუნური ხელგაშლილობის გამო და ბოლო არ უჩანდა, პირიქით გამუდმებით ხელახლა იწყებოდა. 10. ამის გამო იმ ხანებში რომაელთა სახელმწიფოში არ დარჩენილა გაუძარცვავი ადგილი, არც მთები და არც გამოქვაბულები, ზოგიერთი ადგილები კი ხუთჯერ ან უფრო მეტჯერ გაძარცვეს. 11. ყველაფერი ის, რაც რომაელებმა მიდიელების, სარკინოზების, სლავების,

ანტების და სხვა ბარბაროსებისგან გადაიტანეს, მე ჩემს ადრეულ თხზულებებში მაქვს მოთხრობილი. აქ, კი, როგორც შეგპირდით. ამ თხზულების დაწყებისას, მსურს მოგახსენოთ ამ უბედურებათა მიზეზები

12. როცა იუსტინიანემ თავისი ნებით, ყოველგვარი მიზეზის გარეშე მშვიდობისათვის უზარმაზარი რაოდენობის კენტენარიონი ვადაუხადა ხოსროს². თვითონ შეიქნა მთავარი დამნაშავე, რომ მშვიდობიანი მოლაპარაკება დაირღვა, რადგანაც დაქინებით ცდილობდა თავისკენ მოემხრო ალამუნდარი³ და ჰუნები, რომლებიც სპარსელების მოკავშირეები იყვნენ. ჩემს თხზულებებში, ვფიქრობ, საკმაოდ ნათლად აღწერე ყველაფერი, 13. იმ დროს. როცა რომაელებს ათასგვარ უბედურებას ატეხდა თავს, აჯანყებებსა და ომებს აღვივებდა, მხოლოდ ერთზე ფიქრობდა: ადამიანთა სისხლით გაეცხო მიწა, რაც შეიძლება მეტი ფული მოეხვეჭა და ამისათვის ახლა სხვა სისხლიანი საქმე წამოეწყო თავისი ქვეშევრდომების წინააღმდეგ.

14. მთელ რომაელთა სახელმწიფოში მრავლად არსებობდა ქრისტიანული მოძღვრების უკუღმართი სწავლება, რომელსაც საერთოდ მწვალებლობას უწოდებდნენ: მონტანიელთა⁴, საბატიანელთა⁵ და სხვა მრავალი მოძღვრება, რომელიც ჩვეულებრივ ადამიანებს აზრს უბნევს ხოლმე. 15. მათ ყველას ძველი რწმენის შეცვლა უბრძანა⁶, ვინც არ დაემორჩილებოდა, ათასგვარ სასჯელს უქადდა. მან უფლება არ მისცა მათ თავიანთი ქონება შეიღებისა და შთამომავლობისათვის დაეტოვებინათ. 16. ამ ეგრეთ წოდებული მწვალებლების ტაძრები და განსაკუთრებით კი იმათი, ვინც არიოზობას⁷ ქადაგებდა, უზღვავე ქონებით იყო სავსე⁸. 17. ვერც მთელი სენატი და ვერც რომაელთა სახელმწიფოს ყველაზე დიდი ნაწილი სიმდიდრით ვერ შეედრებოდა ამ ტაძრებში დაგროვილ ქონებას. 18. აქ თავმოყრილი იყო ოქროსა და ვერცხლის ნივთები, უძვირფასესი თვლების უთვალავი რაოდენობა. მრავალ სახლისა და სოფლის მფლობელთ ქაეყნის ყველა ნაწილში ჰქონდათ მიწის დიდი ნაკვეთები. მათ სხვაც ბევრი ვააჩნდათ, რასაც ყველა ადამიანისათვის სიმდიდრე ჰქვია, რადგანაც არავინ ადრინდელ ბასილევსთაგან მათ არ აწუხებდა. 19. მათთან მრავალი ადამიანი მსახურობდა. მათ შორის მართლმადიდებლებიც იყვნენ, რომელნიც თავიანთ ხელობას მისდევდნენ და ამით პოულობდნენ არსებობას წყაროს. 20. და აი, უპირველეს ყოვლისა, ტაძრებს ჰქონება ჩამოართვა, შემდეგ კი მოულოდნელად წაართვა მთელი სიმდიდრე და ამის გამო მრავალმა ადამიანმა არსებობის წყაროც დაკარგა.

21. ამის შემდეგ ყოველი მხრით დაიგზავნა დიდძალი ხალხი, რომელიც აიძულებდა რწმენის შეცვლას იმათ, ვინც კი მამათა სარ-

წმუნობას გადასდგომოდა. 22. რადგანაც ეს ყველაფერი მდაბიობებს უწმინდურად ეჩვენებოდათ, ცდილობდნენ წინააღმდეგობა გაეწიათ მათთვის, ვინც რწმენის გამოცვლას მოითხოვდა. 23. ამიტომ უამრავი ხალხი მხედრობამ გაწყვიტა, ბევრმა თვითონ მოიკლა თავი, თავისი სისულელით სჯეროდათ, რომ ამ გზით განსაკუთრებით გამოამჟღავნებდნენ თავიანთ მორწმუნეობას, მაგრამ უმეტესობა ტოვებდა მამაპაპისეულ მიწებს და გარბოდა. ფრიგიაში მცხოვრები მონტანელები თავიანთ ტაძრებში ჩაიკეტნენ, ტაძრებს ცეცხლი წაუკიდეს და ასე დაიღუპნენ თავიანთ უგუნურობას აყოლილნი. ასე რომ, რომაელთა სახელმწიფო სავსე იყო სისხლით და ხალხი ჭკუფ-ჭკუფად გარბოდა იქიდან.

24. სულ მალე ამგვარივე კანონი გამოიცა სამარიელთა⁹. მიმართ და საშინელი მღელვარება გამოიწვია. 25. ისინი, ვინც ჩემს კესარიასა და სხვა ქალაქებში ცხოვრობდნენ, მიხედნენ, რომ უაზრო იყო მოწამეობა მიეღოთ რომელიღაც გაუგებარი დოგმატის გამო, ადრე დარქმეული სახელის ნაცვლად ქრისტიანთა სახელი მიიღეს და ამ გზით თავიდან აიცილეს საფრთხე, რომლითაც კანონი ემუქრებოდა. 26. მათ შორის კეთილგანწყობილი და წესიერი ადამიანები არ უკადრისობდნენ დამორჩილებოდნენ ახალ რელიგიურ მოძღვრებას, მაგრამ უმრავლესობა გაღიზიანებული იყო, რომ იძალადეს მათზე და უარი ათქმევინეს მამა-პაპათა რწმენაზე, მაშინვე მანიქვეელობას¹⁰ და ეგრეთწოდებულ მრავალმერთიანობას მიემხრნენ. 27. სოფლის მაცხოვრებლებმა კი ერთად მოიყარეს თავი და ბასილევსის წინააღმდეგ ბრძოლა განიზრახეს, თავის მეფედ ერთი ყაჩალი, საბარას შველი, ვინმე იულიანე აირჩიეს. 28. ბრძოლის დროს ისინი ერთხანს თავს იცავდნენ, მაგრამ შემდეგ დამარცხდნენ და ყველანი დაიღუპნენ თავის წინამძღოლთან ერთად. 29. ამბობენ, რომ ამ მძიმე დროში ასიათასამდე ადამიანი გაწყდა და ქვეყნის ეს ნაწილი, აქამდე ყველაზე ნაყოფიერი, ამიერიდან უდაბნოდ იქცა. 30. ეს საქმე ამ მიწების მფლობელი ქრისტიანებისთვისაც დიდი უბედურებით დამთავრდა. თუმცა მათ ამ მიწებიდან არავითარი შემოსავალი არ ჰქონდათ, მაინც გამუდმებით უხდიდნენ ბასილევსს ხარკს, რომელიც ხანდახან ძალზე იზრდებოდა. ამ გადასახადებს, ყოველგვარი შეწყნარების გარეშე ახდევინებდნენ, ხოლო მათ შეგროვებას დიდი ყურადღებით ეკიდებოდნენ.

31. ამის შემდეგ მან ეგრეთწოდებული ელინების წინააღმდეგ მიმართა თავისი რისხვა, დენა დაუწყო, აწამებდა და ქონებას ართმევდა. 32. ვინც თავიდანვე აღიარა ქრისტიანობა, ცხადია, მხოლოდ სიტყვით უარყვეს ის, რაც აქამდე ჰქონდათ, ცოტა მოგვიანებით ისინი გამოააშკარავეს, რომ მსხვერპლს სწირავდნენ ძველებურად და სხვა უწმინდურ მოქმედებებსაც სჩადიოდნენ. 33. ხოლო იმას, რაც

მან ქრისტიანთა მიმართ ჩაიღინა, მე ჩემს მომდევნო თხზულებებში გაუწყებთ¹¹.

34. შემდეგ იუსტინიანემ კანონით აკრძალა მამათმავლობა¹², ისჯებოდა არა მარტო ის, ვინც ამ საქმეს კანონის გამოცხადების შემდეგ სჩადიოდა. არამედ ისიც, ვინც ადრე იყო შემჩნეული. 35. ისინი ისჯებოდნენ ყოველგვარი წესების დაცვის გარეშე. ამისათვის საკმარისი იყო რომელიმე კაცის ან ყმაწვილის განცხადება, ამასთან შეიძლება მონისაც. რომელიც ხანდახან იძულებული იყო თავისი ნების გარეშე მიეცა ჩვენება თავის ბატონზე. 36. იმათ, ვინც ამ ცოდვაში იქნებოდნენ მხილებულნი, სასჯესო ორგანოებს აპრიდნენ და ასე დაატარებდნენ გაშიშვლებულებს. ასეთ სასტიკ სასჯელს თავიდან ყველას მიმართ არ იყენებდნენ, მხოლოდ პრასინების, ან დიდი ქონების მფლობელების, ან იმათ მიმართ, ვინც რალაცით უპირისპირდებოდა მმართველ ტირანებს.

37. სასტიკად ექცეოდნენ ვარსკვლავთმრიცხველებს, ამ უკვე ხან-შიშესულ და წესიერ ადამიანებს, მეცნიერების მსახურთ, რომელთაც ერთი სურვილი ჰქონდათ — ამ ქალაქში ეცხოვრათ. მათ კი ისევე დამამცირებლად ეპყრობოდნენ, როგორც ქურდებს, შოლტით უჭრელებდნენ ზურგს და შემდეგ აქლემებით მთელ ქალაქში სამარცხვინოდ დაატარებდნენ. 38. ამიტომ ხალხი ჭგუფ-ჭგუფად გარბოდა იქიდან, არა მარტო ბარბაროსებთან, არამედ შორს დასახლებულ რომაელებთან; ყოველ ადგილას და ყოველ ქალაქში შეიძლებოდა გენახათ სულ უფრო და უფრო დიდი რაოდენობის უცხოელები. 39. ოლონდ თავის სამშობლოს გასცილებოდნენ, ყოველი მათგანი დიდი სიამოვნებით გაცვლიდა მას ნებისმიერ უცხო მიწაზე, თითქოს მათი ქვეყანა მტრებს ჰქონდათ მიტაცებული. 40. აი. ამ ვზებით, როგორც მოგახსენეთ, იუსტინიანემ და თეოდორამ გაძარცვეს და მიიტაცეს იმათი ქონება, ვინც ბიზანტიონსა და სხვა ქალაქებში ცხოვრობდა და მართალია, სენატორთა წრეს არ ეკუთვნოდნენ, მაგრამ მდიდრები იყვნენ. 41. ხოლო იმის შესახებ, თუ რა გზით მოახერხეს თეოდორამ და იუსტინიანემ სენატორთა ქონების მიტაცება, ახლავე მოგიხსრობთ.

XII. 1. ბიზანტიონში ვინმე ზენონი ცხოვრობდა, დასავლეთის ადრინდელი ბასილევსის ანთემიოსის შვილიშვილი. იუსტინიანესა და თეოდორას ისე ეჭირათ თავი, თითქოს მისი ეგვიპტეში გაგზავნა და მმართველად დანიშვნა სურდათ. 2. ზენონი გასამგზავრებლად მოემზადა და გემი თავისი უძვირფასესი განძით დატვირთა. მას უთვალავი რაოდენობის ოქრო და ვერცხლი ჰქონდა, მარგალიტით, ზურმუხტითა და სხვა ამგვარივე ძვირფასი თვლებით მოჭედილი. იუსტინიანემ და თეოდორამ შეაგულიანეს ზოგიერთი თავიანთი ერთგული მსახურთაგანი, რაც შეიძლება სწრაფად გადმოეზიდიათ მთელი ქო-

ნება და შემდეგ გემი დაეწვათ. ზენონისთვის კი ეთქვათ, თითქოსდა მისი ქონება იმსხვერპლა ხანძარმა, რომელიც გემზე თავისთავად გაჩნდა. 3. ცოტა ხნის შემდეგ ზენონი მოულოდნელად მოკვდა, მათ კი მაშინვე ხელთ იგდეს მთელი მისი სიმდიდრე, როგორც შთამომავლებმა, 4. ეს საქმე ზენონის ანდერძის საფუძველზე მოახერხეს, რომელიც, როგორც ამბობენ, მისი დაწერილი არ იყო.

5. ამავე გზით შეიქმნენ ისინი მემკვიდრეებად ტატიანოსის. დემოსთენეს და ჰილაროსის, რომლებიც როგორც ბევრი სხვა რამით, ასევე თავისი მდგომარეობითაც უპირველეს ადამიანებად ითვლებოდნენ რომაელთა სენატში. იუსტინიანემ და თეოდორამ სხვებს ქონება წაართვეს რალაც შეთითხნილი წერილების წარდგენით. 6. ამგვარად გახდნენ ისინი ლიბანში⁶ მცხოვრებ დიონისეს მემკვიდრენი, აგრეთვე იოანესი, ბასილის ძისა, რომელიც ყველაზე სახელოვანი და მდიდარი კაცი იყო ედესელთა შორის და რომელიც ველისარიოსმა ძალით მისცა მძევლად სპარსელებს, როგორც ამის შესახებ წინა წიგნებში მოვახსენებდით⁷. 7. ხოსრო რომაელებს ადანაშაულებდა, რომ მათ დაარღვიეს ყველა მოლაპარაკება, რომლის შესრულების ნიშნად ველისარიოსს მძევლად იოანე ჰყავდა მიცემული და მოითხოვდა გამოესყიდათ იგი, როგორც ჩვეულებრივი ტყვე. 8. მაშინ იოანეს ბებია (ჯერ კიდევ ცოცხალი იყო) ორი ათასი ვერცხლის ლიტრა⁸ შეაგროვა შვილიშვილის გამოსასყიდად, როგორც მოსალოდნელი იყო. 9. მაგრამ, როდესაც ეს გამოსასყიდი დარაში⁹ მივიდა, ამის შესახებ ბასილევსმა შეიტყო და აუკრძალა მოლაპარაკება, რათა, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, რომაელთა სიმდიდრე ბარბაროსთა მხარეზე არ გადასულიყო. 10. რამდენიმე ხნის შემდეგ, იოანე დასნეულდა და გარდაიცვალა. ქალაქის უფროსმა (ყალბი) წერილი შეადგინა, რომელიც თითქოს იოანემ სიკვდილამდე რამდენიმე ხნით ადრე თავის მეგობარს მისწერა, სადაც აცხადებდა სურვილს, მთელი მისი ქონება ანდერძით ბასილევსს რგებოდა. 11. ძნელი იქნებოდა ჩემთვის, ყველა იმათი სახელების ჩამოთვლა. რომელთა მემკვიდრეებადაც იუსტინიანემ და თეოდორამ თვითნებურად გაიხადეს თავი.

12. ეგრეთწოდებულ „ნიკას“⁷ აჯანყებამდე ისინი თავს უფლებას აძლევდნენ მდიდრებისათვის ცალ-ცალკე წაერთმიათ ქონება, ამ აჯანყებების შემდეგ კი, როგორც მოვახსენებდით ადრეულ თხზულებებში⁸, სენატის ყველა წევრს ერთიანად ჩამოართვეს მთელი ქონება და საუკეთესო მამულები, რომელიც თვალში მოუვიდათ. დანარჩენიდან ამოარჩიეს დიდი და უსამართლო ხარკით დამძიმებული მიწები და ისინი, მოჩვენებითი ჰუმანურობით შენიღბულებმა, თავის ძველ პატრონებს დაუბრუნეს. 13. ხარკის ამკრეფთავან უზომოდ შევიწროებულნი, მუდმივად მზარდი გადასახადებით

თავზარდაცემული. სიკვდილთან ჰიდლიში მიათრევენ უმძიმეს ყოფას. 14. მე და ჩემისთანანი ვფიქრობდით, რომ ისინი (იუსტინიანე და თეოდორა) ადამიანები კი არა, ნამდვილი სულთამხუთავი დემონები იყვნენ ან. როგორც პოეტები ამბობენ, „ხალხთმშუსრველები“, რომელთაც ჩაიფიქრეს, როგორ უფრო იოლად და სწრაფად მოესპოთ ადამიანთა მოდგმა და მათი ნაშრომ-ნაღვაწი. ისინი მხოლოდ გარეგნულად ატარებდნენ ადამიანის სახეს, სინამდვილეში კი ადამიანისდარი დემონები იყვნენ და ამგვარად მიიყვანეს დაღუპვამდე მთელი სამყარო. 15. ეს მტკიცდება, სხვა ყველაფერთან ერთად, იმ უდიდესი დანაშაულებებით, რომლებიც მათ ჩაიდინეს. სწორედ ამით განსხვავდება დემონების მოქმედება ადამიანების მოქმედებისაგან. 16. უხსოვარი დროიდან სხვა მრავალი ადამიანიც დაბადებულა ამგვარი ბედისწერით, რომ ხალხის უბედურებად ქცეულიყვნენ. მათ გამო დაიღუპა მრავალი ქალაქი და ქვეყანა, მაგრამ მთელი კაცობრიობის უბედურებად ქცევა მხოლოდ ამ ორმა ადამიანმა შეძლო. 17. თითქოს ბედისწერაც ხელს უმართავდა მათი მიზნების განხორციელებას. ხალხის უბედურებას მიწისძვრები, შავი ჭირი და წყალდიდობებიც თან დაერთო. ამ დროის განმავლობაში მოსახლეობის უდიდესი ნაწილი გაწყდა, ამ საშინელებას ისინი ადამიანური ძალებით ვერ უმკლავდებოდნენ. თუ სხვა რაღაც ძლიერი ძალა არ შეეწეოდათ.

18. ამბობენ, იუსტინიანეს დედას ზოგიერთი თავისი ნათესავისთვის უთქვამს, თითქოს მას შვილი არც თავისი ქმრისგან — საბატიოსისაგან — ჰყავდა და არც სხვა რომელიმე ადამიანისაგან. 19. ვიდრე მუცლად იღებდა, ქალთან თურმე უხილავი დემონი დაიარებოდა. იგი საშუალებას აძლევდა ქალს, ეგრძნო იგი, ცოლქმრული ურთიერთობის შემდეგ კი სიზმარივით ქრებოდა.

20. იუსტინიანესთან დაახლოებულმა ზოგიერთმა წმინდა სულის ადამიანმა, რომელთაც მასთან გვიან ღამემდე უხდებოდათ ხოლმე სასახლეში დარჩენა, თქვეს, რომ მის ნაცვლად არაერთხელ იხილეს რაღაც უჩვეულო ჩვენება ეშმაკის სახით. 21. ერთი მათგანი ყვებოდა, რომ იუსტინიანე უეცრად წამოხტებოდა ხოლმე სამეფო ტახტიდან და მოჰყვებოდა გამალებულ ბოლთის ცემას. საერთოდ, დიდხანს ჯდომა ერთ ადგილას არ შეეძლო... და უეცრად იუსტინიანეს თავი ქრებოდა. დანარჩენი სხეული კი სიარულს განაგრძობდა წინ და უკან. მთხრობელი ამბობდა, რომ ის საკუთარ თვალებს არ უჩერებდა. და თავზარდაცემული დიდხანს იდგა ერთ ადგილას გახევებული. 22. შემდეგ კი თავი კვლავ უბრუნდებოდა იუსტინიანეს ტანს და სხეულის ის ნაწილი, რომელიც ამ ხნის მანძილზე არ ჩანდა, თავის ადგილს იკავებდა. 23. მეორე კი ჰყვებოდა, რომ სამეფო ტახტზე მჯდომი იუსტინიანეს გვერდით იდგა, როცა უეცრად მისი სახე უწარბოდ.

უთვალეზოდ და საერთოდ გამოხატული ნაკვეთების გარეშე, ზორცის დიდ მასად იქცა, ზოლო რამოდენიმე ხნის შემდეგ კი მას ისევ ჩვეულებრივი სახე დაუბრუნდა. მე ყოველივე ამას ვწერ არა როგორც თვითმხილველი, მაგრამ მოსმენილი კი მაქვს ისეთი პირებისაგან, რომლებიც დაჟინებით ამტკიცებენ, თვითონ ვნახეთ ეს ყველაფერიო.

24. ამბობენ, ერთი ღმრთივ სათნო ბერი უდაბნოს ზოგად ცხოვრებულთ დაიყოლიეს ბიზანტიონში წასვლაზე, რათა ახლო-მახლო მყოფ თანამოღვაწეთათვის, რომელნიც განუზომელ შევიწროებასა და უსამართლობას განიცდიდნენ, შემწეობა ეთხოვა. ჩამოვიდა თუ არა ბიზანტიონში, მან იოლად შეძლო მეფესთან დარბაზობის უფლების მოპოვება. 25. გადააბიჯა კიდევ ზღურბლს და ის-ის იყო ბასილევსის წინაშე უნდა წარმდგარიყო, რომ ყველასათვის მოულოდნელად უკან გამობრუნდა. 26. საქურისი, რომელიც მანამდე წინ მიუძღოდა, აგრეთვე ყველა იქ მყოფნი ცდილობდნენ შეეყვანათ დარბაზობაზე, მაგრამ თავზარდაცემული ბერი ხმას არ იღებდა. სასწრაფოდ უკან გამობრუნდა და თავის სადგომს მიაშურა. როცა თანამგზავრებმა ჰკითხეს, თუ რა იყო მიზეზი მისი ასეთი უცნაური საქციელისა, იგი არ მოერიდა ეთქვა: სასახლეში სამეფო ტახტზე ბოროტ სულთა მეუფე ვნახე აღზევებული და მასთან ურთიერთობა, მით უფრო რაიმეს თხოვნა. ჩემთვის მიუღებელი იყო. 27. მართლაც, როგორ შეიძლება ბოდა ამ კაცში ნამდვილი ხორცშესხმული სატანა არ შეგეცნო, როცა იგი უდიდესი ბოროტებითა და ცოდვებით იყო აღვსილი. ჰამა-სმას როდი ეძალებოდა, არც ძილი უყვარდა, წინ დადებულ სადილსაც მხოლოდ გემოს გაუსინჯავდა ზოლმე, დამ-დამობით გვიანობამდე ბოლთას სცემდა სასახლეში, მხოლოდ ავხორცულ ვნებებს ეძლეოდა თავდავიწყებით.

28. თეოდორას ზოგიერთი საყვარლები, როცა ის ჯერ კიდევ სცენაზე გამოდიოდა, ყვებოდნენ, რომ რაღაც დემონი შეიჭრა მათთან და ყველანი გარეთ გაყარა, რათა ამ ქალთან გაეტარებინა ღამე. ანტიოქიაში ვენეტების ერთმა მოცეკვავემ, სახელად მაკედონიამ, დიდი გავლენა მოიპოვა. 29. როცა ჯერ კიდევ ბასილევსი იუსტინე ცოცხალი იყო, ის ხშირად სწერდა იუსტინიანეს წერილებს და დაუბრკოლებლად ღუპავდა აღმოსავლეთში ყველაზე განთქმულ ადამიანებს, მათი ქონების გათავისების რეალური შესაძლებლობის მოსაპოვებლად. 30. ამბობენ, რომ მაკედონიამ, გაიგო რა ეკვიპტიდან და ლივიიდან თეოდორას დაბრუნების ამბავი, მას მეტად მეგობრულად შეხვდა, მაგრამ. როცა თეოდორა, ჰეკებოლისისაგან შეურაცხყოფილი, ამ მოგზაურობაში ფულის დახარჯვის გამო დანადვლიანებული ნახა, დაამშვიდა იგი და უთხრა, რომ ბედმა შეიძლება კიდევ მისცეს საშუალება დიდი ფულის შოვნისა, 31. მაშინ კი, როგორც ამბობენ, თე-

ოდროამ უთხრა, რომ იმ ღამეს სიზმარში ჩვენება ნახა, რომელმაც უბრძანა არ ედარდა სიმდიდრეზე. 32. რადგანაც ბიზანტიონში, მას თვით დემონთა მბრძანებელი აღიარებს, ხოლო თავისი ეშმაკობის წყალობით მის კანონიერ მეუღლედ შეიქმნება და მაშინ კი განდება ბატონ-პატრონი საყოველთაო სიმდიდრისა.

XIII. 1. ასეთი აზრისა იყო უმრავლესობა თეოდორაზე, იუსტინიანე კი ხასიათით ისეთი იყო, როგორც აღვწერე, ცდილობდა ყველაათვის. ვინც მას მიმართავდა. თავი გულკეთილად და გულუბრყვილოდ მოეჩვენებინა. მისი ნახვის უფლება ყველას ჰქონდა და აოც რისხვას გამოამჟღავნებდა. როცა მასთან მისული საუბრისას ეთიკეტით დაწესებულ ნორმებს არღვევდა. 2. სირცხვილისაგან არც კი გაწითლდებოდა, თუ ვინმე დასაღუბად ჰყავდა განწირული; უზომოდ განრისხებულს არასდროს გაუმჟღავნებია ზიზღი მისთვის საძულველი ადამიანების მიმართ. გამომეტყველება მუდამ მოწყალე ჰქონდა, ხოლო შუბლი — გახსნილი. მშვიდი ხმით გასცემდა ხოლმე ბრძანებებს, შოლტი დაეკრათ ათიათასობით უდანაშაულო ადამიანისათვის, დაუნგრათ ქალაქები, მავანთათვის ჰქონება ჩამოერთმიათ. 3. მისი ამგვარი საქციელის შემხედვარე კაცი იფიქრებდა, რომ ხასიათით ეს კაცი ცხვარივით იყო, მაგრამ, აბა, ვინმეს გაებედა მუდარით მიემართა და მოწყალედა ეთხოვა დაჩაგრულის დასაცავად, ისეთი რისხვითა და ბოროტებით აღევსებოდა, რომ დაახლოებულ პირთაც კი აღარ რჩებოდათ თხოვნის შესრულების იმედი.

4. ის თვლიდა, რომ მყარად იდგა ქრისტიანულ სარწმუნოებაში, მაგრამ ეს გზაც მისთვის მხოლოდ ქვეშევრდომთა დაღუპვის საშუალება იყო, ეკლესიის მსახურებს უფლებას აძლევდა დაუსჯელად აღუსრულებინათ ძალადობა თავის მოყვასზე, ხოლო როცა ისინი თავიანთ მოსაზღვრე მეზობლებსაც ძარცვავდნენ, აუცილებლად მხარს უჭერდა, რადგან ფიქრობდა, რომ ამით ამჟღავნებდა თავის ღვთისმოსაობას. 5. მას მიაჩნდა, რომ ძალზე სამართლიანად იქცეოდა, თუ რომელიმე ეკლესიის მსახური უკანონოდ მიითვისებდა რაიმეს, გინდაც ეკლესიის ინტერესებისათვის და სასამართლოდან მაინც გამარჯვებული გამოვიდოდა, რამეთუ სამართლიანობა, მისი აზრით, მხოლოდ იმას მოითხოვდა, რომ ეკლესიის მსახურნი ყოფილიყვნენ მუდამ გამარჯვებულნი თავიანთ მტრებთან. 6. როცა თვითონ უკანონოდ მიითვისებდა ხოლმე ცოცხალისა თუ გარდაცვლილი ქვეშევრდომის ჰქონებას, და მაშინვე ეკლესიას უძღვნიდა, ამაყოფიდა ამით, ერთის მხრივ — ცდილობდა ასეთი ღვთისმოსაობით მოეხიბლა ყველა, ხოლო მეორეს მხრივ — არ სურდა წართმეული ჰქონება კვლავ იმათ დაბრუნებოდათ, ვისაც ეს ძალადობა მისწვდა. 7. მან უთვალავი მკვლევლობა ჩაიღინა, როცა ქრისტიანული სარწმუნოების ერთიან აღიარებას

ესწრაფოდა, სხვა რწმენის ხალხს უსიტყვოდ ელტოდა და რა თქმა უნდა, ყოველივეს ღვთისმსახურების სახელს არქმევდა. ის თავს მკვლელად არ თვლიდა, თუ მისი ხელით სხვა სარწმუნოების ხალხი იღუპებოდა. 8. ამგვარად, ის, ერთთავად ადამიანთა განადგურების ლტოლვით შეპყრობილი, თავის მეუღლესთან ერთად დაუღლელად იგონებდა ახალ-ახალ ხერხებს ამ მიზნის მისაღწევად. 9. ისინი, ორთავე ერთი და იგივე სურვილებით იყვნენ შეპყრობილნი, როგორც და-ძმა და თუკი განსხვავდებოდნენ კიდევ რაღაცით ერთმანეთისაგან, მხოლოდ უარყოფითით და სწორედ ამით ღუპავდნენ თავიანთ ქვეშევრდომებს. 10. თავისი ხასიათით იუსტინიანე მტვერზე მსუბუქი იყო, თუ საქმე ადამიანთა სიყვარულს და უანგარობას არ ეხებოდა, ყველას იოლად შეეძლო იგი იქით წაეყვანა, საითაც სურდა. განსაკუთრებით პირმოთნე სიტყვები უყვარდა. 11. და ამ მლიქვნელებს იოლად შეეძლოთ დაერწმუნებინათ, რომ მას შეეძლო ჰაერში აკრულიყო და ცადაც ამაღლებულიყო.

12. ერთხელ მასთან მყოფმა ტრიბონიანემ უთხრა, რომ ძალზე ეშინოდა, იუსტინიანე თავისი ღვთისმოსაობის გამო ცაღ არ წაეყვანათ. ასეთი ქება, ან უფრო სწორად, დაცივნა მას სამუდამოდ ამბსოვრდებოდა. 13. თუ ვინმეს ვაჟკაცობით გაოცებული შემთხვევით შეაქებდა, რამდენიმე ხნის შემდეგ, აუცილებლად, მის ლანძღვას იწყებდა, როგორც უმაქნისის. როცა თავის ქვეშევრდომთ შეურაცხყოფდა და დაამპრობდა, მაშინვე ისევ იწყებდა მათ ქებას. მაგრამ ეს ცვლილებები ყოველგვარ საფუძველს მოკლებული იყო. 14. მისი ფიქრი, უმეტესად, პირდაპირ საწინააღმდეგო იყო იმისა, რასაც ამბობდა ან რისი ჩვენებაც ეწადა. 15. იმის შესახებ, თუ როგორი იყო იუსტინიანე მეგობრებთან ან მტრებთან ურთიერთობაში, მისი ქცევიდან გამომდინარე მოგახსენეთ. 16. როგორც მტერი ურყევი და შურისმაძიებელი იყო, მეგობრებისადმი კი უზომოდ ცვალებადი. ერთგულ ადამიანთა შორის მან მრავალი დაღუპა, ვინც ოდესმე აითვალწუნა, აღარასოდეს შეიწყნარა. 17. იგი, თავისი მეუღლის ან კიდევ ვინმე სხვის საამებლად, დაუფიქრებლად გაიმეტებდა ხოლმე დასალუპავად ყველაზე ახლო ნაცნობებსა და მეგობრებს, თუმცა კარგად ჰქონდა შეგნებული მათი ერთგულება. 18. არაადამიანობის და ანგარებიანობის გარდა, იუსტინიანე მოლალატე იყო, ვერავინ შეძლო იმის მოხერხება, რომ მასთან ურთიერთობისას იუსტინიანეს თავისი თვისებებისთვის ეღალატოს. 19. თუ ცოლი რაიმეში მის დარწმუნებას ვერ ახერხებდა, მაშინ სიტყვას გადაუყრავდა, რომ ამ საქმიდან ბევრი ფულის შოვნა შეიძლებოდა, და ნებისმიერ ვერაგობაში ჩაითრევდა ქმარს, თუნდაც მისი სურვილის წინააღმდეგ.

20. ამ ყოველად უღირსი გამოსარჩენის გამო, იუსტინიანე არც კანონების გამოცემას თაკილობდა და არც მათ გაუქმებას.

21. ასამართლებდა არა თავის მიერვე გამოცემული კანონებით, არამედ იმის მიხედვით, თუ უფრო მეტ სარგებლობას საიდან მოელოდა. 22. მას საპარტყვიზნოდ არ მიაჩნდა, წვრილ-წვრილად გაექურდა თავისი ქვეშევრდომები. თუ მთელი ქონების ერთად წართმევის საშუალება რაიმე მიზეზით არ ეძლეოდა, მაშინ რალაცაში დაადანაშაულებდა მათ. ან კიდევ ყალბ ანდერძს წარმოადგენდა. 23. როცა ის რომაელთა მბრძანებელი იყო, არც ღვთის მიმართ არსებობდა ურუკვი რწმენა ან აღმასრულებლობა, არ არსებობდა მტკიცე კანონები, არც საიმედო საქმეები, და არც საქმიანი გადაწყვეტილებანი. 24. თუ თავის ახლობლებს რაიმე საქმეზე გაგზავნიდა, ხოლო ისინი მრავალ აღაპიანს იმსხვერპლებდნენ თავიანთ გზაზე და მათ ქონებას მიიტაცებდნენ, მბრძანებელი მათ საუკეთესო მოღვაწეებად აღიარებდა, როგორც მისი დავალების საუკეთესო შემსრულებლებს, ხოლო თუ შეიტყობდა, რომ მათ გულმოწყალება გამოიჩინეს და ხალხი შეიბრალებს, მაშინვე ყველას აითვალწუნებდა და თავის მტრებად აცხადებდა. 25. ასეთებს უარყოფდა, ძველი წყობის აღამიანებად მიიჩნევდა და აღარც სამსახურს ავალებდა. ამიტომ უმეტესობა დიდი მონღომებოთ ცდილობდა, თავი უარყოფითი თვისებებით გამოემყლავნებინა, თუმცა ეს ხშირად მათთვის დამახასიათებელი სულაც არ იყო, 26. ბასილევსი წეგნებულად ივიწყებდა ფიცით ან წერილობით დამოწმებულ თავისსავე პირობას, რატომღაც ფიქრობდა, რომ ასეთი საქციელი მას სახელს გაუთქვამდა. 27. ამგვარად იქცეოდა იუსტინიანე არა მარტო თავის ქვეშევრდომთა მიმართ, არამედ მტრებისადმიც, რის შესახებ აღრეც გიამბეთ.

28. შეიძლება ითქვას, რომ ის თითქმის უძილო იყო და არც ზედმეტი ჰამა-სმის ნებას აძლევდა თავს. საჭმელს, როგორც კი მიეკარებოდა და გემოს გაუსინჯავდა, მაშინვე სუფრის ალაგებას ბრძანებდა. 29. თითქოს ყველაფერს ამას ამაოებად მიიჩნევდა, იძულებით მოთხოვნილებად თვლიდა. ხშირად ორი დღე და ღამე მშვიერი იყო, განსაკუთრებით, როცა აღდგომის დღესასწაული ახლოვდებოდა. 30. ამ ხანებში, როგორც უკვე აღვნიშნე, ორი დღის უქმელი, მხოლოდ წყალს და მცირე რაოდენობის ბოსტნეულს მიირთმევდა. თუ ძილი მოუწყვდა, მხოლოდ ერთ საათს დაიძინებდა, დანარჩენ დროს მოარაობაში ატარებდა. 31. და თუ ამ უნარსა და დროს სასიკეთოდ გამოიყენებდა, მაშინ საქმეები დიდად გაუმჯობესდებოდა და წინ წავიძლოდა. 32. ახლა კი ბუნებისაგან მოცემულ მთელ ძალასა და ენერჯიას რომაელთა საწინააღმდეგოდ იყენებდა, და სახელმწიფო წყობა საბოლოო განადგურებადღე მიიყვანა. იგი მუდამ ფხიზლობდა,

რომ თავისი ქვეშევრდომები ეწამებინა და გამუდმებული ტრაბახით ახალი სატანჯველი მოეგონებინა ყოველი მათგანისათვის. 33. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ის გასაოცრად საზრიანი იყო ამგვარ გამოგონებებში და ძალიან სწრაფი ამ უწმინდური საქმეების აღსრულებაში, ასე რომ, ბუნებით მომადლებული მისი ნიჭიც, მის ქვეშევრდომთა გაუბედურებას ეწესახურებოდა.

XIV. 1. საქმეები სულ აირ-დაირია, ძველებურად აღარაფერი შემორჩა.. ამის შესახებ მხოლოდ რამდენიმე სიტყვით მოგახსენებთ, უკვლა დანარჩენს კი. ჩემი მონათხრობი უსასრულოდ რომ არ გაგრძელდეს, ღუმლით მინდა ავუარო გვერდი. 2. უპირველეს ყოვლისა, იუსტინიანეს არაფერი გააჩნდა, რაც ბასილევსის ღირსებას შეეფერებოდა და არც საკიროდ მიაჩნდა დაეცვა ეს გარეგნული მხარე. იგი, როგორც მეტყველებით, ისე გარეგნულად და ცხოვრების წესითაც, ბარბაროსს ჰყავდა. 3. როცა მას წერილობითი სახით უნდა გამოეტანა გადაწყვეტილება, მის ჩამოყალიბებას კვესტორს კი არ ავალბედა, როგორც წესი და რიგია, არამედ თვითონ ადგენდა, თუმცა მეტყველების სტილი ძალიან ცუდი ჰქონდა. სასამართლოში მას დამხმარეთა მთელი ბრბო ჰყავდა გარშემორტყმული, ასე რომ, გამტყუნებულმა ხალხმა არც კი იცოდა ვის დამდურებოდა. 4. ის ეგრეთწოდებულ მდივნებს კი არ ავალბედა, თვალყური ედევნებინათ ბასილევსის საიდუმლო მიმოწერისათვის, როგორც ოდითგანვე იყო მიღებული, არამედ თვითონ, თავისი ხელით სწერდა ყველას ყველაფერს, განსაკუთრებით კი პროვინციული ქალაქების მოსამართლეებს, თუ როგორ უნდა გაეგოთ ესა თუ ის დადგენილება. 5. რომაელთა სახელმწიფოში იგი არავის აძლევდა უფლებას დამოუკიდებლად გამოეტანათ ესა თუ ის გადაწყვეტილება, მან თავისი ნება-სურვილით მიითვისა ეს უფლება და უგუნური თავნებობით თვითონ ამზადებდა მომავალ გადაწყვეტილებებს, როცა რომელიმე მომჩივანის საჩივარს მოისმენდა და ამის საფუძველზე, მაშინვე, გამოუძიებლად გამოჰქონდა განაჩენი, კანონით ან სამართლიანობით კი არ ხელმძღვანელობდა, არამედ დაუფარავად ნებდებოდა სამარცხვინო ანგარებას. 6. ბასილევსს არ რცხვენოდა ქრთამის აღებისა, რადგანაც დაუძლეველმა სიხარბემ ყოველგვარი სირცხვილი დააკარგვინა.

7. ხშირად, როდესაც სენატის გადაწყვეტილება ბასილევსთან მიდიოდა დასამტკიცებლად, ბოლოს და ბოლოს, სრულიად საწინააღმდეგო სახეს იღებდა. 8. საქმის არსი ის იყო, რომ სენატი მხოლოდ და მხოლოდ თვალის მოსატყუებლად იყო, რადგანაც არც დამოუკიდებელი გადაწყვეტილების უფლება ჰქონდა და არც ძალა გააჩნდა. მისი მოწვევა მხოლოდ ფორმალურ სახეს ატარებდა და ამით მხო-

ლოდ ტრადიცია იყო დაცული. მოწვეულთაგან არც ერთს არ ჰქონდა ხმის უფლება, დადგენილებანი ბასილევსს, თავის მეუღლესთან შეთანხმებით. უმეტესწილად სადავო საკითხებში ერთმანეთთან თათბირის შემდეგ. გამოჰქონდათ და ყოველთვის იმარჯვებდა ის, რასაც ისინი გადაწყვეტდნენ. 9. თუ ვინმეს სახიფათოდ ეჩვენებოდა, რომ საქმე არაკანონიერი გზით მოიგო, ბასილევსს ქრთამად ოქროს მიაჩთმევდა და იმ კანონის მიღებას ახერხებდა, რომელიც ყველა ადრეარსებულს ეწინააღმდეგებოდა. 10. თუ ვინმე გაუქმებული კანონის აღდგენას ცდილობდა, ბასილევსს არ რცხვენოდა — აუქმებდა ახალს და ძველს აღადგენდა. საერთოდ, რაიმე მტკიცე საყრდენი ქვეყანაში არ არსებობდა. კანონიერების სასწორი ხან ერთ და ხან მეორე მხარეს იხრებოდა, იმის მიხედვით, თუ ვისკენ უფრო ბევრი ოქრო იყო დაწყობილი. მოედანზე კი, სამეფო სასახლის სახელით, ხალხის თანდასწრებით, ვაქრობა მიმდინარეობდა, ისევე როგორც რომელიღაც ფარულში, არა მარტო სასამართლო გადაწყვეტილებებით, არამედ კანონმდებლობითაც.

11. ეგრეთწოდებული რეფერენდარიუმები არ კმაყოფილდებოდნენ მხოლოდ იმით, რომ ბასილევსს მოახსენებდნენ ხოლმე სხვადასხვათა სათხოვარს, არამედ მმართველებს აცნობდნენ მის აზრს, როგორც ჩვეულებრივ იყო მიღებული, თუ რა პასუხი უნდა გაეცათ მთხოვნელთათვის, მაგრამ მათ მიერ შეგროვილი მონაცემები ყოველმხრივ უსამართლო იყო და ასე ატყუებდნენ იუსტიციანებს, რომელიც თავისთავად ბუნებით მიდრეკილი იყო ამგვარი მოქმედებისკენ. 12. და იმავე წამს, ბასილევსისაგან გამოსულები, უმაღლავდნენ მომჩივანთ, თუ რა განაჩენი გამოუტანეს მათ და აქ უმწურო ადაშიანებს რამდენიც შეეძლოთ იმდენ ფულს სძალავდნენ. 13. ჯარისკაცები, რომლებიც სასახლეს იცავდნენ, მიდიოდნენ სასახლის სვეტებიან დარბაზში მსაჯულებთან და შეიარაღებული ხელით ახერხებდნენ მსჯავრის გამოტანას. 14. ყველამ მიატოვა, ასე ვთქვათ, თავისი სამსახურებრივი ადგილი და თვითნებურად დაადგა იმ გზას, რომელიც ადრე მათთვის მიუღწეველი და აკრძალული იყო. ყველა საქმე მცდარი გზით მიმდინარეობდა, აღარაფერს ჰქონდა თავისი სახელი და სახელმწიფო დამსგავსა ცელქი ბავშვების ხელში ჩაყარდნილ სათამაშო დედოფალს. 15. მაგრამ, როგორც დასაწყისში მოგახსენეთ, საჭიროდ ვთვლი ყოველივე ამის შესახებ თხრობა შევწყვიტო, რადგან მსურს ახლა იმ ადამიანის შესახებ მოგახსენოთ, რომელმაც პირველმა მოიხსიდა ბასილევსი ქრთამით, როცა მას მსჯავრი უნდა გამოეცნა.

16. იყო ვინმე ლეონი, კილიკიიდან, რომელიც საოცრად ანჯარებიანი იყო და უდიდესი მლიქვნელობით გამოირჩეოდა. მას დიდი

უნარი ჰქონდა გამორუცდელი და უგუნური ადამიანებისათვის საკუთარი აზრები მოეხვია თავს. 17. იგი ზემოქმედებას ახდენდა ტირანს უგუნურობაზე და მას არწმუნებდა, რომ ადამიანები დაეღუპა. პირველად ამ ადამიანმა დაარწმუნა იუსტინიანე, რომ სასამართლო გადაწყვეტილებანი ფულზე გაეყიდა. 18. და როცა მან ზემოთ აღნიშნულა გზით მოახერხა ქურდობა, ამ გზისთვის აღარ უღალატია, ზოროტე-ბაც სულ უფრო და უფრო შორს მიდიოდა და უსარმაზარი ხდებოდა. ვისაც სურდა წესიერი ხალხის წინააღმდეგ მოეგო სასამართლო პროცესი, მაშინვე ლეონს მიაკიოხავდნენ, მას და ტირანს სადავო ქონების ნაწილს შეჰპირდებოდნენ და სასახლეს უკანონოდ მოპოვებული გამარჯვებით ტოვებდნენ. 19. ყოველივე ამის წყალობით ლეონმა უსარმაზარი ქონება დააგროვა და დიდი მიწების მფლობელიც გახდა, მაგრამ ამავე დროს იგი გახდა უმთავრესი მიზეზი იმისა, რაკ რომაელთა სახელმწიფო წყობა დაცემის გზას დაადგა. 20. არც რაიე მოლაპარაკებას ჰქონდა მტკიცე საფუძველი, არც კანონი, არც ფიცი, არც წერილობითი საბუთი და არც მოლაპარაკების დარღვევაა შემთხვევაში დასჯის იმედი არ არსებობდა. ერთი სიტყვით, ვერაფერს გააწყობდა, თუ ლეონსა და ბასილევს ერთმანს არ მიართმევდა. 21. მაგრამ ლეონის თვალთახედვა უცვლელი არ იყო, მას სულაც არ ერცხვინებოდა ფული გამოეძალა მოწინააღმდეგე მხრიდანაც. 22. ორივეს, იმედით აღსავსეებს, ჯერ გაპარცავდა, შემდეგ საქმეს უყურადღებოდ მიატოვებდა და არასდროს სირცხვილის გრძნობა არ აწუხებდა მათ წინაშე. 23. ოღონდ საქმიდან რაიმე გამორჩენა ჰქონოდა, არც კი ფიქრობდა იმაზე, რომ მისთვის სამარცხვინო იყო ამგვარი ორპირობა.

XV. 1. ასეთი იყო იუსტინიანე, ხოლო რაც შეეხება თეოდორას, თავისი არაადამიანურობის წყალობით, ყოველივეს მუდამ ცივი გონებით საზღვრავდა. 2. შეუძლებელი იყო მისი გადარწმუნება და ვერაფრით აიძულებდი რაიმე გაეკეთებინა სხვისთვის, მუდამ უდრეკადეინებით იმას იქმნოდა, რაც გადაწყვეტილი ჰქონდა, ამასთან, ვერავინ გაბედავდა მოწყალუბის თხოვნას იმათთვის. ვინც მას ათვალწუნებული ჰყავდა. 3. არც უამთა სვლა, არც განაჩენის სისრულე ი მოყვანა, არც შეწყალუბის თხოვნა, არც შიში სიკვდილისა, — რაიმელიც შეიძლება ყველას მოეწიოს, როგორც ღვთის რისხვა — ვერ აიძულებდა რისხვა დაეცხრო. 4. არავის უნახავს, რომ თეოდორა შეერიგებოდა იმას, ვინც ოდესმე წინ აღდგომია, თუნდაც უკვე გარდაცვლილს. დედოფლის სიბელვილს შთამომავლობით იღებდა მკვდრის წვილი და ეს შურისძიება მესამე თაობამდე გრძელდებოდა. 5. რაოდენადაც სწრაფად აფეთქდებოდა და მუდამ მზად იყო ხალხის დასა-

ლუპად. იმდენად შეუძლებელი იყო მისთვის რაიმეს დაეცხრო ეს რისხვა და დამშვიდებულყო.

6. მხოლოდ თავის სხეულს უვლიდა დიდი მონდომებით, უფრო მეტად. ვიდრე ეს საჭირო იყო და უფრო ნაკლებად, ვიდრე მას ეწადა 7. გაღვიძებისთანავე აზნაოში მიდიოდა, იქ ძალზე დიდხანს რჩებოდა. როცა განიზანებოდა, შემდეგ საუზმობდა, საუზმის შემდეგ კი ისვენებდა. 8. საღებედ და სადილად ბრძანებდა ყველაზე საუკეთესო საკმელ-სასმელს მიერთმიათ. ძილიც ყოველთვის ძალზე დიდხანს გრძელდებოდა. დღისით — შებინდებამდე, ღამით — მზის ამოსვლამდე. 9. ასე ინებიერებდა თავს, ხოლო დღის უმცირეს ნაწილს სრულიად საკმარისად მიიჩნევდა იმისთვის, რომ რომაელთა სახელმწიფო ემართა. 10. თუ ბასილევსი მისი ნების გარეშე გაგზავნიდა ვინმეს ამა თუ იმ მოვალეობის შესასრულებლად, ამ ადამიანის საქმე ისე შეტრიალდებოდა ხოლმე, რომ რამდენიმე ხნის შემდეგ თვითონვე ამბობდა უარს თანამდებობაზე და სულ მალე სამარცხვინო სიკვდილით იღუპებოდა.

11. იუსტინიანესთან საქმიანი ურთიერთობა ბევრად უფრო იოლი იყო, არა მარტო დამყოლი ხასიათის გამო, არამედ იმიტომაც, რომ, როგორც უკვე აღვნიშნე, ძალზე ცოტა ეძინა და ყოველთვის შეიძლებოდა მისი ნახვა. 12. ყველასთვის, მათ შორის სრულიად უცნობი და უსახელო ადამიანებისთვისაც კი, შესაძლებელი იყო არა მარტო შეხვედროდნენ ტირანს, არამედ ესაუბრათ მასთან და საიდუმლოც ეთქვათ. 13. მაგრამ დედოფალთან შესვლა კი თვით უმაღლესი თანამდებობის პირთათვისაც კი სირთულეს წარმოადგენდა, რადგან დიდი დრო და შრომა იყო ამისთვის საჭირო. ერთთავად მის ოთახთან ვიწრო და ჩახუთულ დერეფანში უნდა მსხდარიყვნენ მონური მლოდინით და აქ არყოფნა რომელიმე თანამდებობის პირს სასიკვდილო საფრთხეს უქადდა. 14. ყოველი მათგანი, თითის წვერებზე შემდგარი, ცდილობდა თავის მეზობელზე მაღლა აეწია თავი, რათა ისინი დედოფლის აპარტამენტიდან გამოსულ საჭურისებს დაენახათ. 15. მათგან მხოლოდ ზოგიერთებს იწვევდნენ, ისიც რამდენიმე დღის ლოდინის შემდეგ და დიდი გაჭირვებით შესულნი, უმაღლესი ბრუნდებოდნენ, მხოლოდ მის წინაშე მიწამდე თავდახრილნი, ეამბორებოდნენ მისი ფეხსაცმლის ჰვინტს. 16. თუ თვითონ არ ბრძანებდა, არავის ჰქონდა უფლება მასთან დალაპარაკებისა და ამგვარად, სახელმწიფოს პოლიტიკური ცხოვრება მონობად იქცა, თეოდორა კი ამ მონების ზედამხედველი გახლდათ. 17. ერთის მხრივ, ტირანის თითქოსდა დამყოლმა ხასიათმა და ხელმისაწვდომობამ, ხოლო, მეორეს მხრივ, თეოდორას მიუღწევლობამ და ზვიადობამ რომა-

ელთა საქმეები დალუპვისაკენ წაიყვანა. 18. აუსტინიანეს დამყოლ ხასიათში იყო რაღაც არასაიმედო, ხოლო თეოდორას სიამაყე კი ხელს უშლიდა საქმეების წარმოებას.

19. ამაში მკლავდებოდა მათი აზროვნების ცხოვრებისეული განსხვავება, მაგრამ საერთოც ბევრი იყო მათ შორის: ანგარება, მკვლევობა და უსამართლობა. 20. მათ ერთავეს გასაოცარი უნარი ჰქონდათ ტყუილის თქმისა. თუ ვინმე თეოდორასთვის საძულველ ადამიანზე იტყოდა, რომ ის უკანონოდ მოიქცა, თუნდაც მისი დანაშაული სრულიად უმნიშვნელო ყოფილიყო, თეოდორა ისეთ ბრალდებებს მიაწერდა მას, ისე გააზვიადებდა ამ საქმეს, რომელშიც ეს ადამიანი სრულიად უბრალო იყო, როგორც რაღაც საშინელ დანაშაულს. 21. უთვალავი საჩივრები განიხილებოდა და სასამართლოც მზად იყო არსებული წესების დასარღვევად. რადგან თეოდორა თვითონ არჩევდა მსაჯულებს, ისინიც, დედოფლისთვის თავი რომ მოეწონებინათ, ერთმანეთს ერკინებოდნენ, რაც შეიძლება არაადამიანურა მსჯავრის გამოტანაში. 22. ამგვარად, ამ უბედურებაში ჩავარდნილ ადამიანს, ის მაშინვე ქონებას ართმევდა და უკიდურესად შერცხვენილი, თუნდაც უძველესი და ცნობილი გვარის წარმომადგენელი ყოფილიყო, შეეძლო გაეძევებინა ან სიკვდილით დაესაჯა. 23. თუ ვინმე ისეთი, რომელიც მას უყვარდა, უკანონო მკვლევობის მონაწილე ან რაიმე საშინელ დანაშაულში გახვეული აღმოჩნდებოდა, ბრალდებლებს აშინებდა, ან აბუჩად იგდებდა და მათი სურვილის წინააღმდეგ, აიძულებდა ხმა არ ამოეღოთ დანაშაულზე.

24. როცა მოისურვებდა, ყველაზე სერიოზულ საქმეებსაც კი სამასხროდ აქცევდა, თითქოს ყველაფერი ეს სცენაზე ან თეატრში ხდებოდა. 25. იყო ერთი ხანშიშესული პატრიკიოსი, რომელიც დიდი ხნის მანძილზე მაღალ თანამდებობებზე იღვწოდა. მისი სახელი კარგად ვიცო, მაგრამ აქ არ დავასახელებ, რათა საუკუნეებს არ გადავცე პირადად მისთვის მიყენებული შეურაცხყოფა. მან თეოდორას ერთ-ერთ დაახლოებულ პირს საკმაოდ დიდი რაოდენობის თანხა ასესხა, მაგრამ ამ ფულის უკან დაბრუნება ვერ შეძლო და ამის გამო დედოფალს ეახლა, რათა შეეჩივლა ამ ადამიანზე და სამართლად საქმეში დახმარება ეთხოვა. 26. თეოდორამ წინასწარ შეიტყუა პატრიკიოსის გადაწყვეტლების შესახებ და საჭურისებს უბრძანა, როცა ის დედოფალს ეახლებოდა, გარს შემოხვეოდნენ და მოესმინათ ყოველივე. დედოფალმა წინასწარ გაუმელა მათ, თუ რას იტყოდა თვითონ, ამასთან, საჭურისებსაც წინასწარ უკარნახა, რა პასუხი უნდა გაეცათ მისთვის. 27. როცა პატრიკიოსი საქალებოში შეიყვანეს, მან მდაბალი სალამი მოახსენა დედოფალს, როგორც წესით იყო მა-

ნაზული, და ცრემლმორეულმა უთხრა: „ო. მბრძანებლო! ძნელია პატრიკიოსის წოდების ადამიანისათვის ფულის გაჭირვება. 28. ის, რაც სხვებში თანაზრდობასა და სიბრალულს იწვევს, ჩემი წოდების ადამიანისთვის შეურაცხყოფელი და დამამცირებელია. 29. ყველა სხვას, ვინც დღლის გასაჭირს იგრძნობს. შეუძლია უთხრას მოვალეებს და წაშინევი ოდნევი ზაინცი გამოისწოროს მდგომარეობა. პატრიკიოსს კი, რომელსაც არ შეუძლია თავისი მოვალეებისათვის დღლის გადახდა, ძალზე სცხვენია ამის აღიარება. თუ იტყვის, ვერ დაარწმუნებს თავის ნათქვამის სიმართლენი, რადგან ეს წოდება შეუთავსებელია სიღარიბესთან. 30. და თუკი ზაინცი დაარწმუნებს, ამის საპასუხოდ უკიდურესად სპირიტუალურად დამცირებას მიიღებს. 31. დედოფალო, მეც მაქვს ჩემი ფულადი ვალდებულებანი, ზოგიერთებმა მასესხეს ფული, ზოგიერთებს კი მე ვასესხე. 32. იმათ, ვინც ფული მასესხა და ერთ-ერთად თავს შებეჭებენ, მე არ შემიძლია ხელი ვკრა. ჩემი წოდების გამო. ისინი კი, ვისაც მე ვასესხე ფული, პატრიკიოსები არ არიან და ყველაფერს კადრულობენ თავი რომ დაიმტკიცონ. 33. ახლა შენ გთხოვ. დამეხმარო ჩემს სამართლიან საქმეში და მიხსნა ამ სატანჯველისგან. 34. ასე უთხრა მან. ამ ქალმა კი სერიოზული ხმით უპასუხა: „ო. პატრიკიოს (მავანო და მავანო...), საქურისთა გუნდმა კი ერთხმად განაგრძო: „რამხელა თიაქარი გქონიათ“. 35. ამ ადამიანმა ისევ დაიწყო მუდარა და იმავე შინაარსის სიტყვა უთხრა, როგორც მოგახსენეთ, მაგრამ ქალმა ისევე უპასუხა და გუნდმაც ისევე აიტაცა მისი ნათქვამი, ვიდრე მის წინაშე თავი არ მოიხარა, გამოომწვიდობების ნიშნად და შინისაკენ არ გაეშურა. 36. წლის უმეტეს ნაწილს ის ქალაქგარეთა ზღვის სანაპიროზე ატარებდა. უმეტესად ცხოვრობდა ეკრეთწოდებულ ჰერეაში და ამის გამო მისი აშალის უძრავლესობა დიდ გაჭირვებას განიცდიდა. 37. ყოველმხრივ გაჭირვებაში მყოფი, ზღვის საფრთხეც ემუქრებოდათ, განსაკუთრებით თუ ქარიშხალი ამოვარდებოდა ან ზღვის ურჩხული გამოჩნდებოდა. 38. მაგრამ იუსტინიანე და თეოდორა არაფრად აგდებდნენ სხვა ადამიანების უბედურებას, ოღონდ თვითონ შეძლებოდათ ყველა შესაძლებელი სიკეთით ტკბობა. 39. როგორი იყო თეოდორა თავის მტრებთან მიმართებაში, ახლავე მოგახსენებთ, ცხადია, სულ რამდენიმე მაგალითით შემოვიფარგლები, რომ არ მოგეჩვენოთ, თითქოს დაუძლეველი ტვირთი ვიყისრე.

XVI. 1. როცა აშალასუნთამი გადაწყვიტა გუთებთან ურთიერთობისათვის თავი აერიდებინა და ცხოვრების წესიც შეეცვალა, ბიზანტიონში გადასახლება დააპირა, რის შესახებაც წინა თხზულებებში მოგახსენეთ. თეოდორამ იფიქრა: აშალასუნთა ცნობილი გვარის,

მეფური წარმომავლობის, გარეგნულად ძალზე ლამაზი ქალია და ძალზე მარჯვედ წეუძლია აასრულოს თავისი გეგმები. მისი დიდებული გარეგნობა და მაშაქაცური გონება საეჭვოს ხდიდნენ მას თეოდორას თვალში, რომელსაც ქმრის თავქარიანობის ეშინოდა. თავისი ეჭვი თეოდორამ წვრილმანებში კი არ გამოამჟღავნა, არამედ დაუზოგავად მტრობდა და ბოლოს მოაკვლევინა კიდევ. 2. ქმარი შეაგულიანა, ელჩად გაეგზავნა იტალიაში ვინმე პეტრე³. რა დავალებაც ბასილევსმა გამგზავრებისას პეტრეს მისცა, ადრე შესაბამის ადგილას გიამბეთ⁴, მაგრამ სიმართლის თქმა მაშინ შესაძლებლად არ მეჩვენებოდა დედოფლის შიშით. 4. თვით თეოდორამ პეტრეს მხოლოდ ერთი დავალება მისცა; რაც შეიძლება სწრაფად გაექროთ ამაღლასუნთა, თანაც შეჰპირდა, რომ სანაცვლოდ მრავალ სიკეთეს მიიღებდა, თუ ყოველივეს კარგად შეასრულებდა. 5. და აი, როცა პეტრე იტალიაში ჩავიდა (ცხადია, ის არათუ აღშფოთებული იყო, არამედ არც კი აწუხებდა, მკვლელობას რომ ამზადებდა, დიდი თანამდებობის თუ სიმდიდრის მოლოდინში), არ ვიცი როგორ მოახერხა თეოდატეს⁵ დაყოლიება, მაგრამ ამაღლასუნთა მოაკვლევინა, ჩისტისაც მაგისტროსობა⁶ მიიღო და უფლებამოსილიც გახდა, მაგრამ სხვათა უსაზღვრო სიძულვილი და ზიზღი დაიმსახურა.

6. ასეთი იყო ამაღლასუნთას აღსასრული. 7. იუსტინიანეს ერთი მდივანი ჰყავდა, ძალზე გაქნილი ავაზაკი, მას პრისკე ერქვა, წარმოშობით პალაგონიიდან⁷ იყო. თავისი ღასიათით ძალზე შესაძერი იმისთვის, რომ მზრანებელს, რომელიც პრისკეს მეტად უყვარდა, მოსწონებოდა. ამიტომ მან სულ მალე შეძლო უკანონოდ შეძენილი უდიდესი ქონების პატრონი გამხდარიყო. 8. მაგრამ, რადგანაც მას თეოდორასთან ძალზე ამაყად ექირა თავი და ცდილობდა შეწინააღმდეგებოდა კიდევ, ქმართან ცილი დასწამა. 9. თავიდან მიზანს ვერ მიაღწია, მაგრამ მცირე ხნის შემდეგ, შუა ზამთარში მან ბრანება გასცა იგი გემზე დაესვათ და იქით წაეყვანათ, საითაც მიუთითებდა. თეოდორამ იგი საკუთარი ნების გარეშე აიძულა ბერად აღკვეცილიყო. 10. თვით იუსტინიანეს თავი ისე ექირა, თითქოს არაფერი იცოდა პრისკეს შესახებ, არც ის, რაც მოხდა და არც შემდგომში მოუკითხია, თითქოს საერთოდ დაავიწყდა მისი არსებობა, ხმას არ იღებდა, ფული კი, რომელიც მას დარჩა, სულ მიითვისა, თუმცა ნათესაეები მას ბევრი ჰყავდა. 11. როცა ეჭვი გაჩნდა, რომ თეოდორა წეყვარებული იყო თავის ერთ-ერთ მონაზე, არეობინდონზე, ძალიან ლამაზ და ახალაზრდა ყმაწვილზე ზარბაროსთა ტომიდან, რომელიც თეოდორამ თავის მეკუქნავედ დანიშნა, თუმცა ამბობდნენ, რომ უგონოდ უყვარდა ეს ყმაწვილი, ეჭვების გაბათილების მიზნით გადაწყვიტა უსასტიკედ დაესაჯა იგი, შეჰდგომ კი მისი ბელი უცნობი დარჩა და

დღემდეც აღარავის უნახავს. 12. თუ თეოდორას ეწადა რალაც ფა-
რულად გაეკეთებინა, ამის შესახებ, მართლაც, ვერავინ შეიტყობდა,
ყველას ვინც კი ამ საქმეში სულ უმნიშვნელო მონაწილეობას მაინც
იღებდა. ეკრძალებოდა რაიმე გაემხილა, თუნდაც უახლოესი ადამი-
ანსაც და თუ ვინმე დინტერესდებოდა, კითხვაზეც არ უნდა
ეპასუხა მისთვის. 13. რაც ადამიანები არსებობენ, ჯერ არც ერთ ტირანს
არ ჩაუწერავს მათთვის ასეთი შიში. მოწინააღმდეგეთაგან მას ვერა-
ვინ გადაურჩა. 14. მთელი ბრბო ჯაშუშებისა აუწყებდა ყველაფერს
რაც კი ხდებოდა ან ითქმებოდა მოედნებსა თუ სახლებში. 15. თუ მას
არ სურდა გამოაშკარავებულიყო, რომ ვინმე მისი ბრძანებით დაისა-
ჯა, ასე იქცეოდა: 16. ამ ადამიანს, თუ ის ცნობილი წარმომავლო-
ბისა იყო, თავისთან გამოიძახებდა, ხელქვეითებს გადასცემდა და რა-
მეღათა სახელმწიფოს ყველაზე შორეულ ადგილებში ასახლებდა.

17. მას შუალამისას ერთ-ერთი ხელქვეითი გემზე სვამდა და იქით
მიჰყავდა, სადაც ნაბრძანები ჰქონდა. იქ უფრო საიდუმლოდ გადას-
ცემდა მეორე ხელქვეითს, საკმაოდ გამოცდილს ამგვარ საქმიანობაში,
უბრძანებდა ეთვალთვალა ამ ადამიანისათვის და მასთან დალაპარა-
კება ყველასათვის აეკრძალა. ისიც მანამდე ითმენდა, ვიდრე დედოფა-
ლი არ მოიღებდა მოწყალებას. ან დიდი ხნის შემდეგ, მძიმე ტანჯვით
ლონემიხდილი და გაუბედურებული არ აღესრულებოდა.

18. ერთი ცნობილი ახალგაზრდა ვასიანე, პრასინთა წარმოშედ-
გენელი. ერთობ ლანძღავდა თეოდორას და მისი რისხვა გამოიწვია.
როცა ვასიანემ შეიტყო ამის შესახებ, სასწრაფოდ მთავარანგელოზის
ტაძარს შეაფარა თავი. 19. თეოდორამ ხალხის მეთაურს, რომელიც
წესრიგის დამცველად იყო დანიშნული, მაშინვე ამ კაცის დაპატიმრე-
ბა უბრძანა. მაგრამ მიზეზად მისთვის მიყენებული შეურაცხყოფა კი
არ დაასაჩენლა. არაბედ მამათმავლობა დასწამა. 20. წესრიგის და-
მცველთა მეთაურმა ეს კაცი ტაძრიდან გამოიყვანა და აუტანელი
ტანჯვა-წაქება მიაყენა, ისე რომ, ხალხიც კი, ესოდენ ნატანჯ მის
სხეულს რომ ხედავდა, იმ ადამიანისა, რომელიც აქამდე ნებივრად
ცხოვრობდა, თანაგრძობით აღივსო, ცას სწვდებოდა მათი ღალადი,
ყმაწვილის გადარჩენას ითხოვდნენ. 21. ამის პასუხად თეოდორამ
ბრძანა. ყმაწვილი კიდევ უფრო მეტად ეწამებინათ, სასქესო ორგანო-
ები დააჭრეს და ასე დაღუპეს სრულიად უდანაშაულო კაცი, რაც
შეეხება მის ქონებას, რა თქმა უნდა, დედოფალმა მიითვისა. 22. ასე
რომ, როცა ამ დედაკაცს რისხვა შეიპყრობდა, არც ტაძარი იყო
საიმელო რაჟმესაფარი და არც კანონს შეეძლო ვინმეს დაცვა. მთელი
ქალაქის ეძვრება არ იყო საკმარისი, რომ უბედურებაში ჩავარდნილი
ადამიანი მისი ხელიდან გამოეხსნათ. მისთვის არავითარი დაბრკო-

ლუბა არ არსებობდა. 23. თეოდორა ასეთივე სიძულვილით და მტრობით აღიესო ვინმე დიოგენეს მიმართ, რადგან ის პრასინთა პარტიას ეკუთვნოდა. ეს კაცი ყველას უყვარდა, მათ შორის ბასილევსაც. სხვა რომ ვერაფერი გააწყო, მასაც მამათმავლობა დასწამა. 24. მისი ორი მონა, როგორც მოწმეები, ბატონის წინააღმდეგ გამოიყვანა. 25. მაგრამ, რადგანაც სასამართლო საიდუმლოდ კი არ მიმდინარეობდა, როგორც ჩვეულებრივ ხდებოდა ხოლმე, არამედ საჯაროდ და რადგანაც დიოგენეს მაღალი მდგომარეობის შესაბამისად, მოსამართლეთა უმრავლესობაც მაღალი წარმომავლობისა იყო, აშკარად ჩანდა, რომ გულმოდგინე გამოძიების შემთხვევაში, მონათა მონათხრობი შეიძლებოდა მოსამართლეთათვის სარწმუნო არ გამომდგარიყო, მით უმეტეს, რომ მონები ძალზე ახალგაზრდები იყვნენ. მაშინ თეოდორამ დიოგენეს ერთ-ერთი ახლობელი, თეოდორე, დააპატიმრა და ჩვეულებრივ საპატიმროში ჩასვა. 26. ჭერ მლიქვნელობით, შემდეგ კი — სასტიკი წამების მუქარით, თეოდორა ცდილობდა ეს კაცი დიოგენეს საწინააღმდეგოდ განეწყო, მაგრამ როცა მიზანს ვერ მიაღწია. ბრძანა ხარის ძარღვი მთელი ძალით შემოეკირათ მისთვის შუბლზე და ყურებზე, 27. და თუმცა თეოდორას ეგონა, რომ თვალები ბუდეებიდან ამოცვივდებოდნენ, მაინც არაფერი თქვა და დიოგენეს ცილი არ დასწამა. 28. ამის გამო მოსამართლეებმა ბრალდება დაუმტკიცებლად ჩათვალეს და დიოგენე უდანაშაულოდ ცნეს. მთელმა ქალაქმა დღესასწაულივით იზეიმა ეს დღე.

XVII. 1. აი, ასე მოხდა ყოველივე ეს. ჩემი თხზულების დასაწყისში მე გიამბეთ, თუ როგორ მოექცა თეოდორა ველისარიოსს, ფრტიოსს და ვუზეს. 2. ახლა კი შემდეგს გიამბობთ: ორი სტასიოტი, წარმოშობით კილიკიელები, ვენეტების პარტიის წევრი აღელვებულნი დაესხნენ თავს მეორე კილიკიის მმართველს კალინიკეს, სრულიად უმიზეზოდ ფიზიკურად შეურაცხვეს იგი, მისი მეჭინბე კი, რომელიც იქვე იღა და თავისი ბატონის დაცვას ლამობდა, ბატონისა და იქ მყოფი ხალხის თვალწინ მოკლეს. 3. კალინიკემ დამნაშავე სტასიოტები შეიპყრო, ამხილა ისინი არამართო ამ ადამიანის, არამედ სხვა მრავალთა მკვლელობაშიც და სამართლიანად დასაჯა სიკვდილით. თეოდორამ, რომელმაც შეიტყო რაც მოხდა, გადაწყვიტა ეჩვენებინა, თუ როგორ სწყალობდა იგი ვენეტებს და ბრძანა, კალანიკე, რომელიც ჭერ ისევ თავის თანამდებობაზე იმყოფებოდა, ყოველგვარი ბრალის გარეშე, მკვლელთა საფლავზე, სარზე ჩამოეგოთ. 4. ბასილევსი კი ყველას თვალწინ ტირიდა და ნაღვლობდა დაღუპულ კალინიკეს, ამ საქმის მონაწილეებს ვითომ ემუქრებოდა კიდევ, სინამდვილეში, სიამოვნებისგან ხელებს იფშენებდა, არც მუქარა შესრულებია და გარდაცვლილის ფულიც ყოვლად უტიფრად მიითვისა.

5. თეოდორა დიდი მონდომებით ზრუნავდა იმათ დასჯაზეც, ვინც თავიანთი სხეულთ სცოდნენ. მან ხუთასზე მეტი მეძავი ქალი შეკრიბა. რომელიც პურის ფულისთვის, სამ ობოლად პირდაპირ წუჯა მოედანზე. ყველას თვალწინ, ეძლეოდნენ გარყვნილებას. და ისინი ზღვის მეორე ნაპირზე, ეგრეთ წოდებულ „მონანიების“ მონასტერში გაგზავნა. უნდოდა აეძულებინა აღრინდელი ყოფა შეეცვალათ. 6. მაგრამ ზოგიერთი მათგანი ღამით სიმაღლიდან გადმოცვივდა და ასე იხსნეს თავი მათთვის ესოდენ არასასურველი ცელიდან.

7. ბიზანტიონში ორი და ცხოვრობდა, კონსულთა მესამე თაობის მოამბავალნი იყვნენ, სენატორთა საკრებულოში ყველაზე განწმენდილი სისხლისა. 8. ისინი გათხოვილები იყვნენ, მაგრამ ქმრები უკვე მოკვდომოდან და დაქვრივებულიყვნენ. თეოდორა ადანაშაულებდა მათ, თითქოს უწესო ცხოვრებას მისდევდნენ. ამიტომაც მთელი გულთ მოიხურვა მათი გათხოვება, საქმროებად ორი ყველაზე ხებრე და გაუთლელი კაცი ამოარჩია. 9. დები, ამის გამო შიშით დამცრთხალნი, წმინდა სოფიის ტაძარში გაიქცნენ, პირდაპირ სანათლაში შეცვივდნენ და იქიდან ფეხს არ იცვლიდნენ. 10. მაგრამ დედოფლისთვის წმინდა და ხელწეუხებელი ადგილი არ არსებობდა. ორივე და ისეთ უბედურებაში ჩაყარა, რომ ისინი იძულებული გახდნენ არჩევანი გაეკეთებინათ და ქორწინებაზე დათანხმებულიყვნენ. 11. იძულებულნი გახდნენ, ცოლად გაჰყოლოდნენ ღარიბ-ღატაკ და უმაჟნეს ადამიანებს, რომლებიც წარმომავლობით ბევრად უფრო დაბლა იდგნენ მათზე. თუნცა მთხოვნელები ბევრი ჰყავდათ ზღაღალი საზოგადოებიდანაც. 12. მათი დედა, ასევე ქვრივი, რომელიც ქორწინებას ესწრებოდა, ტირილს ვერ ბედავდა შვილების უბედურების შემხედვარე. 13. მაგრამ შემდეგ თეოდორამ გადაწყვიტა თავისი საშინელი საქციელი საზოგადოებრივი უბედურების სარჯზე გამოესყიდა. 14. ორივე დის ქმრებს დიდი თანამდებობები უბოძა, მაგრამ ამ ქალებისთვის ეს არ იყო გამოსავალი შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან. რამეთუ ამ კაცებმა აუტანელი ტანჯვა-წამება მიაყენეს ქვეშევრდობებს. რის შესახებაც ქვევით მოგახსენებთ. 15. თეოდორა არაფრად აცდებდა ვისივე მაღალ მდგომარეობას, არც ხელისუფლების სიწმინდესა და ღირსებას იცავდა, არც სხვა რამეს აქცევდა ყურადღებას. ოღონდ თავისი სურვილი აესრულებინა.

16. როცა იგი ჯერ ისევ სცენაზე გაშლილია, ერთ-ერთი საყვარლისგან დადებშიმდა. როგორც კი მან ეს ამბავი შეიტყო, ყველაფერი მოიმოქმედა, რომ ბავშვი მოეწორებინა, მაგრამ უკვე დაგვიანებული იყო, რადგან ნაყოფი ძალიან გარდადილიყო და ვერადერი

გაეწყობოდა. 17. ამის გარეშე მისი ყველა ცდა უშედეგოდ დამთავრდა და ბოლოს იძულებული გახდა ბავშვი გაეჩინა. ბავშვის შამამ ქალი ესოდენ დამწუხრებელი და მძიმე მდგომარეობაში ჩაუარდნილი რომ ნახა (რადგან, რაკი დედა გახდა, ბავშვებურად, საკუთარი სხეულით ველარ ივაქრებდა, ფჯლს ველარ იშოვიდა და ბავშვს ნამდვილად დატანჯავდა), შვილი წაართვა, სახელად (ბავშვი შამრობითი სქესისა იყო) იოანე დაარქვა, და არაბეთში წაიყვანა, საიდაც თვითონ მიემგზავრებოდა. 18. სიკვდილის წინ, როცა იოანე უკვე დავაჯკაცებული იყო, შამამ შვილს ყველაფერი უამბო და გაუძხილა ვინ იყო მისი დედა. 19. როცა შვილმა, გარდაცვლილ შამას ყველა წესი აღუსრულა, ბიზანტიონში ჩამოვიდა და სოველივე, რაც იცოდა, იმ ხალხს აცნობა, დედამისთან მიღებას რომ ხელმძღვანელობდნენ. 20. ვერავენ იფიქრებდა, თუ თეოდორა რაიმე ავს ჩაიდენდა შვილის შიმართ და ამიტომ მოახსენეს შენი შვილი იოანე შენს ნახვას თხოულობსო. 21. ქალს შეეშინდა, ეს ამბავი მის ქმარს არ შეეტყო და ამიტომ ბრძანა შვილი მასთან შეეყვანათ. 22. როცა იოანე მასთან შევიდა, იგი თეოდორამ ერთ-ერთ თავის მსახურს გადააბარა, რომელსაც, ჩვეულებისამებრ, ამგვარ საქმეებს ავალებდა ხოლმე. 23. თუ როგორ მოხდა ამ უბედურის გაქრობა, ამის შესახებ მე ვერაფერს გეტყვით. მაგრამ არც დედოფლის სიკვდილამდე და არც შემდეგ, იოანე აღარავის უნახავს.

24. იმ დროს კი ქალების უმრავლესობა წნობრივად ცაირყვნა, ისინი სრულიად თავისუფლად დალატობდნენ ქმრებს, იცოდნენ რა რომ ეს საქციელი მათ ცუდს აჩადერს უქადა, რადიანაც, ვისაც შემთხვევის ადგილზე წაასწრეს, დაუსჯელი დარჩა: თავის მხრივ, მაშინვე დედოფალს ეახლებოდნენ ხოლმე და სასამართლოში მსჯავრის გაუქმებას თხოულობდნენ, ხოლო როცა ამას მიაღწევდნენ, ახლა საკუთარი ქმრების წინააღმდეგ აღძრავდნენ საქმეს. 25. ამ უკანასკნელთ კი სოველგვარი ძიების გარეშე აიძულებდნენ, წარმის სახით გადაეხადათ მზითვის ორმაგი ფასი. შემდეგ მათ შოლტით გარონგავდნენ და უმეტესად საპატიმროში ამწყვედევდნენ. (ენდგომში, კვლავ იძულებული იყვნენ საკუთარი თვალთ ეხილათ, თუ როგორ უსიციხვილოდ ეძლეოდნენ გარყვნილებას. თავიანთ საყვარლებთან ეს ფერუშარილიანი მრუშები. მათ საყვარელთა უმრავლესობას უშაღლეს პატივს მიაგებდნენ ხოლმე, 26. ქმრები კი ითმენდნენ ცოლების უპატიოსნობას და ერჩივნათ გაიუმბებელიყვნენ, კიდრე როზგები ეწვნიათ. ცოლებს სრულ თავისუფლებას აძლევენ, იმასაც ცდილობდნენ მათთვის დანაშაულზე არ მიესწროთ.

27. თეოდორა უფლებამოსილად თვლიდა თავს სახელმწიფო საქმეები ემართა. მთავრობას და მღვდლებს თვითონ ირჩევდა, რა-

გორც იტყვიან, მათ ხელდასმას ხელმძღვანელობდა. ის მხოლოდ ერთ რამეს ცდილობდა და ზრუნავდა — დიდი თანამდებობა არ მიე-
 ლო ვინმე კეთილ და ღირსეულ ადამიანს. რომელიც მას არც ავენ-
 ტად დაუდგებოდა და არც რაიმე სხვა სამსახურს გაუწევდა.
 28. ქორწინებებს ვითომ ღვთის ნებით აწყობდა, ეს ადამიანები კი
 ქორწინებამდე თავისი სურვილით ერთმანეთზე დანიშნულნიც კი არ
 იყვნენ. 29. ესა თუ ის ქალი. ყველასათვის მოულოდნელად, ამა თუ
 იმ კაცის ცოლი ხდებოდა, და არა იმიტომ, რომ ამ კაცს ეს ქალი
 მოსწონდა, რაც ბარბაროსებთანაც კი ჩვეულებრივად ხდება ხოლმე,
 არამედ იმიტომ, რომ თეოდორას ასეთი სურვილი ჰქონდა. 30. თავის
 მზარც, იგივეს განიცდიდნენ. ვინც თხოვდებოდა, რადგან ცოლად
 იძულებით მიჰყვებოდნენ იმათ, ვინც მათ არ მოსწონდათ. 31. ხში-
 რად, ახლადდაქორწინებულ პატარძალს აიძულებდნენ მიეტოვებინა
 საწოლი ოთახი და ყოვლად უმიზეზოდ საქმრო მარტო დაეტოვებინა,
 ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ თეოდორა განრისხების ქამს იტყოდა,
 ასე მსურსო. 32. ასე მოექცა ბევრს, მათ შორის ლეონსაც, რომელსაც
 რეფერენდარიოსის საპატიო თანამდებობა ჰქონდა. სატორნინოსს, ყო-
 ფილი მაგისტროსის პერმოგენიუსის ვაჟს, საცოლედ დანიშნუ-
 ლი ჰყავდა თავისი დეიდაშვილი. ძალზე კეთილშობილი და ლამაზი
 ქალიშვილი. მაჟი ნიშნობა პერმოგენიუსის გარდაცვალების შემდეგ
 ქალიშვილის მამამ კირილემ მოაწყო. 33. როდესაც უკვე სა-
 ქორწინო სარეცელი მზად იყო, თეოდორას ბრძანებით საქმრო შეიპ-
 ყრეს და სხვა ქალთან წაიყვანეს, გაუბედურებული საქმრო იძულებუ-
 ლი გახდა ცოლად ეთხოვა ქრისომალოს ქალიშვილი. 34. ეს ქრისომა-
 ლო ადრე მოცეკვავე იყო და, თავისთავად ცხადია, პეტერაც ახლა კი
 სხვა ქრისომალოსთან და ინდაროსთან ერთად, სასახლეში ცხოვრობ-
 და. 35. და იმის ნაცვლად, რომ ფალოსებზე და თეატრის ინტრიგებ-
 ზე ესაუბრათ, მათ აქ დიდი საქმიანობა გააჩაღეს. 36. როცა სა-
 ტორნინოსმა ღამე თავის ახლადშერთულ ცოლთან გაათია და ის
 ნამუსახდელი იხილა, რომელიდაც თავის ახლობელს გაუმიხილა, ქალი
 უმწიკლო არ იყო. 37. თეოდორამ ყოველივე შეიტყო და მსახუ-
 რებს უბრძანა ამ ამბის გახმაურებისთვის იგი ყურებით აეწიათ, რო-
 გორც პატარა მოწაფე, ერთი გვირგვინად ეცემათ და გაეფრთხილები-
 ნათ. რომ შემდგომში აღარაფერი წამოსცდნოდა.

38. რაც თეოდორამ იოანე კაპადოკიელს დამართა, ამის შესახებ
 ადრეულ თხზულებებში უკვე მოგახსენეთ. ეს ყველაფერი იმიტომ
 კი არ მოიმოქმედა, რომ ეს ადამიანი სახელმწიფო საქმეებში სცო-
 დავდა (ამის დასადასტურებლად ისიც გამოდგება, რომ შემდგომში
 ვინც მის ხელქვეითებს მსგავსად მოექცა, ასე სასტიკად არც ერთი.

შათგანი არ დაუსჯია), არამედ იმის გამო, რომ იოანემ გაბედა თეოდორას წინააღმდეგ წასვლა და ბასილევსთან მისი დაბეჭელება, მან თითქმის შეძლო კიდევ იუსტინიანეში ცოლისადმი მტრული გრძობა გამოეწვია. 39. როგორც ზემოთ აღვნიშნე, აქ საჭიროა ყველაზე სარწმუნო მაგალითების დასახელება. 40. თუმცა თეოდორამ ეს კაცი ეგვიპტეში გაგზავნა და იქ სასტიკად დასაჯა, როგორც გიამბეათ სხვა თხზულებებში. მაინც ვერ ძღებოდა მისი წამებით და დაუცხრომლად დაეძებდა მის წინააღმდეგ ცრუ მოწმეებს. 41. მხოლოდ ოთხი წლის შემდეგ შეძლო მან ორი პრასინისთვის მიეგნო, იმ სტასიოტთა რიცხვიდან, ვინც კიზიკოსში იყო და როგორც ამბობდნენ, ეპისკოპოსის წინააღმდეგ აჯანყებებში მონაწილეობდა. 42. ხან ალერსით და ხან მუქარით ერთ-ერთმა შიშით თუ ათასგვარი იმედით აღვსილმა იტვირთა ეს საშინელი საქმე, იოანესთვის დანაშაული დაებრალებინა და დაღუპვამდე მიეყვანა. 43. მაგრამ მეორე სტასიოტა ვერ ბედავდა სიმართლის წინააღმდეგ წასვლას, თუმცა ისე იყო ნატანჯი, რომ საცაა მოკვდებოდა. 44. მიუხედავად გააფთრებული ცდისა, თეოდორამ ვერ შეძლო იოანეს მოკვლა. მაშინ მან ბრძანა ორივე ყმაწვილისთვის მოეკვეთათ მარჯვენა, ერთისთვის იმიტომ, რომ ცრუმოწმეობაზე უარი განაცხადა, ხოლო მეორესთვის იმიტომ, რომ ვერ შეძლო პირობის შესრულება. 47. ყოველივე ეს ყველას თვალწინ ხდებოდა, იუსტინიანე კი ისე იჭერდა თავს, თითქოს არაფერი იცოდა.

XVIII. 1. იუსტინიანე, როგორც უკვე ვთქვე, დემონი იყო, ადამიანის სხეულში ჩასახლებული, ამას ის უზარმაზარი უბედურება ამტკიცებს, რომელიც მან ხალსს მიაყენა. 2. სწორედ მისი ნამოქმედარის წრეგადასული უკიდურესობით მტლავნდება ჩამდენის ძალა. 3. ჩემის აზრით, ზუსტი რიცხვი მის მიერ დაღუპული ადამიანებისა მხოლოდ ღმერთს შეუძლია განსაზღვროს. 4. მე ვფიქრობ, უფრო ადვილად შეიძლებოდა ქვიშის დათვლა, ვიდრე იმათი, ვინც ამ ბასილევსმა დაღუპა. თუ გონების თვალთ გადახედავთ იმ ადგილებს, რომლებიც მისი ნება-სურვილით დაცარიელდა და უდაბნოდ იქცა, მე ვამტკიცებ, რომ მან ასეულობით მილიონი ადამიანი გაწყვიტა. 5. ლივია, რომელიც თავისი ფართობით ესოდენ ვრცელია, იმ ზომამდე იყო განადგურებული, რომ დიდი ხნის მანძილზე იქ გავლისას ერთ ადამიანსაც რომ შეხვედროდი, გასაოცრად მოგეჩვენებოდა. 6. როცა აქ ვანდალებმა ხელში იარაღი აიღეს, მათი რიცხვი ოთხმოცი ათასი იყო, ხოლო რაც შეეხება მათ ცოლ-შვილსა და მსახურებს, ვის შეუძლია მათი რაოდენობის (აღმნიშვნელი ციფრის) დადგენა. 7. ვის შეუძლია ზუსტად აღწესხოს იმ ლივიელთა რიცხვი, რომლებიც ადრე აქ ცხოვრობდნენ, მიწათმოქმედებას და საზღვაო ვაჭრობას მისდევ-

დნენ. რისი მოწმეც პირადად მე ვარ; აბა, ვის შეუძლია, ადამიანთა შორის მათი რაოდენობის დადგენა? ამათზე მეტი აქ მავრუსიელები იყვნენ. რომლებიც ცოლებთან და მთელ თავიანთ შთამომავლობასთან ერთად ამოწყდნენ. 8. ამას გარდა მრავალი რომაელი მეომარი და ისინიც ვინც მათ ბიზანტიონიდან წამოიყვანეს, მიწამ შთანთქა, ასე რომ. თუ ვინმე დაიწყებს მტკიცებას, რომ იმ დროს ლივიაში ხუთასი მირიადი (5000000) ადამიანი დაიღუპა, ჩემი აზრით, ის უმცირეს რიცხვს დაასახელებს. 9. ვანდალებზე გამარჯვების შემდეგ იუსტინიანემ იმაზე კი არ იზრუნა, რომ ქვეყანაში თავისი ძალაუფლება განემტკიცებინა; არც ის უცდია ახალი ქვეშევრდომების თანადგომა მოეპოვებინა. მან მაშინვე უკან იხმო ველისარიოსი და ცილადასწამა. ოთქოს მას ძალაუფლების ხელში ჩაგდება ეწადა, რაზეც ამ უკანასკნელს არც კი უფიქრია. სინამდვილეში მიზეზი ის იყო, რომ იუსტინიანეს სურდა ყველაფერი თავის ნებაზე მოეწყო: კარგად გამოეწურა ლივია და ძირიან-ფესვიანად გაეძარცვა.

10. ამიტომ მან იქ მაშინვე გაგზავნა მიწის შემფასებლები და უმაღლესი ხარკი დააწესა, რომლის მსგავსი ადრე არ ყოფილა. საუკეთესო მიწები თვითონ მიითვისა და არიანელებს კი თავიანთი მისტერიების შესრულება აუკრძალა. 11. ის არ იცავდა სამხედრო შეკვების ვადებს და საერთოდ, ჯარისკაცებს მის დროს ძალზე უჭირდათ. ამას შედეგად წარმოშობილ აჯანყებებს თან მუდამ დიდი მსხვერპლი სდევდა. 12. მას ერთხელ დაკანონებულის შენარჩუნება არ შეეძლო, ყველაფერი უნდა აერ-დაერია და ისევ თავიდან დაეწყო.

13. იტალია, რომელიც სამჯერ დიდი იყო, ვიდრე ლივია, კიდევ უფრო მეტად დაცარიელდა. აქედან გამომდინარე, შეიძლება დაახლოებით წარმოვიდგინოთ დაღუპულთა რაოდენობა. 14. თუ რა იყო იმ უბედურებების მიზეზი, რომელიც იტალიას დაატყდა თავს. მე ადრეც მოგახსენეთ¹. ყველაფერი ის, რაც იუსტინიანემ ლივიაში ჩაიდინა, აქ, იტალიაშიც გაიმეორა. 15. აქ მან ეგრეთ წოდებული ლოგოთეტები² გამოგზავნა, ყველაფერი თავდაყირა დააყენა და დაღუპა. 16. გუთების ხელისუფლება გალთა³ ტერიტორიიდან დაკიის⁴ საზღვრებამდე ვრცელდებოდა, სადაც ქალაქი სირმიონი მდებარეობდა. 17. როცა იტალიაში რომაელთა ჯარი მოვიდა, გალებისა და ვენეტების მიწები უმეტესწილად გერმანელებს ეკავათ. 18. სირმიონი და მის სიახლოვეს მდებარე ადგილები გეპიდებმა⁵ დაიკავეს და იქაურობა, მოკლედ რომ ვთქვათ, სრულიად უკაცური შეიქმნა. 19. ზოგიერთები ომმა შეიწირა, დანარჩენები ავადმყოფობა⁶ და ჭირმა, რომელიც ომს ყოველთვის თან ახლავს. 20. რაც შეეხება ილირიასა და მთელ თრაკიას⁷, იონიის⁸ ყურიდან მოყოლებული ბიზანტიონის სანახების,

მათ შორის ელადისა და ხერსონესის⁸ ქვეყნის ჩათვლით, იმ დროიდან, რაც იუსტინიანემ რომაელთა სახელმწიფო ძალაუფლება ხელთ იგდო, ჰუნები, სლავები და ანტები ყოველწლიურად ამ ადგილებზე თავდასხმებს აწყობდნენ და მოსახლეობას აუნაზღაურებელ ზიანს აყენებდნენ. 21. მე ვფიქრობ, რომ ყოველი თავდასხმის დროს აქ განადგურეს და ტყვედ ჩაიგდეს ორასი ათასი რომაელი, ასე რომ, ეს მხარე სკვითთა უდაბნოს დაემსგავსა.

22. აი, რა მოხდა ლივიასა და ევროპაში იმ ომის შემდეგ. რომაელთა აღმოსავლეთის საზღვრებს, ეგვიპტიდან დაწყებული სპარსეთის საზღვრების ჩათვლით, მთელი ამ ხნის განმავლობაში განუწყვეტლივ არბევდნენ სარკინოზები და ისე უმოწყალოდ აცარიელებდნენ იქაურობას, რომ მთელი ეს ადგილები ხალხნაკლები გახდა. ჩემი აზრით, ვერც ერთი ადამიანი ვერ შეძლებს, როგორც არ უნდა იკვლიოს, დაიანგარიშოს აქ დაღუპული ხალხის რაოდენობა.

23. სპარსელებიც, ხოსროს წინამძღოლობით, ოთხჯერ შემოიჭრნენ რომაელთა სახელმწიფოს დანარჩენ ნაწილებში, იღებდნენ ქალაქებს და ხალხს ატყვევებდნენ, ყოველ დაპყრობილ ქალაქსა თუ მხარეში ისინი ხალხის ნაწილს ხოცავდნენ, დანარჩენებს ტყვედ მიერეკებოდნენ, ამგვარად, მიწას, რომელსაც ისინი დაიპყრობდნენ ხოლმე, უსათუოდ უკაცრიელ უდაბნოდ აქცევდნენ. 24. ხოლო მას შემდეგ, რაც მათ კოლხიდის დალაშქვრა დაიწყეს, დღემდე იქ თვითონაც იღუპებიან, ლაზებიც და რომაელებიც.

25. თუმცა ვერც სპარსელები და სარკინოზები, ვერც ჰუნები, სლავთა ტომები და ვერც ბარბაროსთა სხვა ტომები ახერხებდნენ დანაკარგის გარეშე წასვლას რომაელთა მიწიდან. 26. როგორც შემოჭრის ეამს, კიდევ მეტად ალყისა და ზრძოლის დროს, როცა ისინი მარცხდებოდნენ, არანაკლებ იღუპებოდნენ. 27. ასე რომ, არა მარტო რომაელები, არამედ თითქმის ყველა ბარბაროსი იუსტინიანეს უამებდა სისხლის სიყვარულის დაუოკებელ ჟინს. 28. ცხადია, ხოსრო თავისთავად ცუდი ხასიათის იყო, მაგრამ ომის გამომწვევი მიზეზი, როგორც ადრე აღვნიშნე, ყოველთვის იუსტინიანე იყო. 29. იგაველაფერს უდროოდ აკეთებდა, რადგან საჭიროდ არ თვლიდა თავისი საქმიანობისათვის შესაფერისი დრო შეერჩია. მშვიდობიანობის თუ ზავის დროს, თავისი მზაკვრული გონებით დაუღალავად ეჭებდა მეზობელთან საომარ მიზეზებს, ომის დროს კი ყოველად უმიზეზოდ, სჯლით ეცემოდა და საჭირო საქმეს ანგარების გამო ძალზე ნელა აკეთებდა. საქმეზე ზრუნვის ნაცვლად ამალეებულ საკითხებზე ფიქრობდა და ერთთავად ღვთის ბუნებაზე მსჯელობით იყო დაკავებული, თან ომს არ წყვეტდა სისხლისადმი სიყვარულისა და მკვლელობის წყურვილის გამო. მაგრამ ამავე დროს უნარი არ შესწევდა მტე-

რი დაქალა და თავისი წვრილმანი ბუნების გამო უსარგებლო საქმე-
ებით ერთობოდა. 30. ამიტომ იყო, რომ იუსტინიანეს მმართველო-
ბის დროს მთელი დედა-მიწა როგორც რომაელთა, ასევე თითქმის
ყველა ბარბაროსის სისხლით იყო მოარწყული.

31. აი, ყოველივე ის, მოკლედ რომ ვთქვათ, რაც ბრძოლის
დროს ხდებოდა ამ ხნის განმავლობაში რომაელთა მიწა-წყალზე,
32. ხოლო თუ იმათაც დავთვლით, ვინც აჯანყების დროს დაიღუპა ბი-
ზანტიონსა და ყოველ ცალკეულ ქალაქში, ვფიქრობ, აქ არანაკლე-
ბად გაწყდა ხალხი, ვიდრე ომში. 33. რადგანაც სამართლიანობა სა-
ერთოდ არ არსებობდა და დამნაშავეებისადმიც არ იყო ერთნაირი
დამოკიდებულება. ვინაიდან ერთ-ერთი პარტია მუდამ მეტ ერთგუ-
ლებას ამჟღავნებდა ბასილევსისადმი, დამშვიდებებს არც ერთი მხარე
არ აპირებდა, ერთნი იმის გამო, რომ ბასილევსის სიყვარულით არ
სარგებლობდნენ, მეორენი იმიტომ, რომ ბოლომდე არ იყვნენ ამაში
დარწმუნებულნი. ისინი სასოწარკვეთილებაში ვარდებოდნენ ან უგუ-
ნური თვითდაჭერებულობა იპყრობდათ და შეკრებილნი ერთმანეთს
ებრძოდნენ ხოლმე, ხანდახან პატარ-პატარა ჯგუფებად ესხმოდნენ
ერთმანეთს თავს, ხან კი ცალკეულ პიროვნებებს უსაფრთებოდნენ.
ოცდათორმეტი წლის განმავლობაში მათ არც ერთი შემთხვევა ხე-
ლიდან არ გაუშვიათ, ერთმანეთის წინააღმდეგ აუტანელ ძალადობას
სჩადიოდნენ და სისხლის სამართლის დანაშაულსაც მრავალგზას
ახდენდნენ. 34. სასჯელის მოხდა უმეტესწილად პრასინებს უწევდათ,
მაგრამ სამართლებრივად და ეგრეთ წოდებულ ერეტიკოსთა მოთვინიე-
რებაბაც რომაელთა სახელმწიფო გვამებთა და სისხლით აავსო.
35. ახლა ამის შესახებ მე მოკლედ მოგახსენებთ, რადგანაც ადრე ყოვე-
ლივე დაწვრილებით ვიამბებ¹⁰.

36. აი, რა გადაიტანეს ადამიანებმა ამ კაცში ჩასახლებული დე-
მონის წყალობით. იგი ამ ცოდვას იმ წუთიდან ატარებდა, რაც ბა-
სილევსი გახდა და თუ როგორ შეძლო ადამიანთათვის ამდენი უბე-
დურება მიენიჭებინა თავისი საიდუმლო ძალებით და დემონური
ბუნებით, ახლავე გაუწყებთ. 37. იუსტინიანეს მმართველობის დროს
რომაელთა სახელმწიფოს მრავალი უბედურება დაატყდა თავს, ერთ-
ნი ამ უბედურებას დაჟინებით მიაწერდნენ მის სხეულში არსებულ
ბოროტ სულს, მეორენი კი ამბობდნენ, რომ უფალმა შეიძულა მისი
საქმენი, რომაელთა სახელმწიფოსგან პირი იბრუნა და ქვეყანა სის-
ხლისმსპელ დემონებს მიუგდო. 38. ასე მაგალითად, მდინარე სკირ-
ტოსი¹¹ ნაპირებიდან გადმოვიდა და ედესი დატბორა, მის მაცხოვრებ-
ლებს დიდი უბედურება შეამთხვია, რის შესახებაც შემდგომში მო-
გახსენებთ¹². 39. ნილოსი წყალიდობის შემდეგ, ჩვეულებრივ, უკან

კი აღარ დაბრუნდა, არამედ მის ნაპირზე მაცხოვრებელ ხალხს მრავალი უბედურება მიაყენა, როგორც უკვე გვიამბეთ ამის შესახებ¹³. 40. მდინარე კიდნოსი ტარსოსზე¹⁴ გადმოიღვარა და რამდენიმე დღის განმავლობაში ქალაქი დატბორა; წყალდიდობა მანამდე გაგრძელდა, ვიდრე ქალაქს აურაცხელი უბედურება არ მიაყენა¹⁵. 41. მიწისძვრამ აღმოსავლეთში პირველი ქალაქი ანტიოქია დაანგრია, დაინგრა აგრეთვე მის მეზობლად მდებარე სელევკია და კილიკიის ყველაზე ცნობილი ქალაქი — ანაზარბოსი. 42. ვინ მოთვლის ამ ქალაქებში მაწისძვრისგან დაღუპული ხალხის რაოდენობას? ამას დაუშმატოთ იბორი და ამასია (ევექსინის), პონტოს პირველი ქალაქი; პოლიბოტოსი ფრიგიასში და ის ქალაქი, რომელსაც პისიდელები¹⁶ ფილომედეს უწოდებენ. აგრეთვე ლიხნიდოსი ეპიროტებში¹⁷ და კორინთო¹⁸, რომლებიც ძველთაგანვე ყველაზე ხალხმრავალი ქალაქები იყვნენ. 43. ყველა ეს ქალაქი ამ დროის მანძილზე მიწისძვრებმა დაანგრია და მასთან ერთად დაიღუპა აქ მცხოვრები ხალხიც. 44. ამასთანავე ახლა ჭირმა, რის შესახებ მე ადრეც გვიამბეთ¹⁹, იმსხვერპლა გადარჩენილი ხალხის ნაწილი. 45. აი, რამდენი ხალხი დაიღუპა იმ ხნის მანძილზე, რაც იუსტინიანემ რომაელთა სახელმწიფოს მართვა დაიწყო, შემდეგ კი თვითმპყრობელი მმართველიც გახდა.

XIX. 1. ახლა მე მოგითხრობთ, როგორ წაართვა მან ყველას სიმდიდრე, მაგრამ მანამდე იმ სიზმარს აღწერ, რომელიც ბასილევს იუსტინიანეს მმართველობის დასაწყისში ერთ-ერთმა დიდებულმა იხილა. 2. იგი ყვებოდა, რომ ესიზმრა, თითქოს ბიზანტიონში ზღვის სანაპიროზე იდგა ქალკედონის საპირისპირო მხარეს და ხედავს, რომ იუსტინიანე ყურის შუაგულში დგას. 3. მან ჯერ ზღვის წყალი შთანთქა და თითქმის მშრალ ხმელეთზე დარჩა, რადგან ყურედან წყალა ველარ აღწევდა, შემდეგ კი ასევე შთანთქა სიბინძურითა და ნაგვიით სავსე სხვა წყალიც, რომელიც საკანალიზაციო მილებიდან აქეთ მოეშურებოდა ყოველი მხრიდან და ყურის პირი კვლავ მოამშრალა.

4. ეს სიზმარი შემდეგს ნიშნავდა: როდესაც იუსტინიანეს ბიძა იუსტინე ბასილევსი გახდა მას სახელმწიფო ხაზინა ფულით სავსე დაუხვდა. 5. ბასილევსი ანასტასიოსი თვითმპყრობელთა შორის ყველაზე წინდახედული და მომჭირნე იყო, მას ეშინოდა, რაც მოხდა კიდევ, რომ მის შემცვლელს ქვეშევრდომნი არ ეძარცვა ფულის უკმარისობის გამო და ამიტომ, ვიდრე სიცოცხლეს აღასრულებდა, სახელმწიფო საგანძურები ოქროთი აავსო. 6. მთელი ეს სიმდიდრე იუსტინიანემ ძალიან სწრაფად გაფლანგა, ნაწილობრივ, უგუნურ საზღვაო მშენებლობათა გამო, ნაწილობრივ, ბარბაროსთა გულის მოსაგებად, თუმცა შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ გადაქარბებულად ხელ-

გაწლილი ცხოვრების მოყვარე ბასილევსისთვისაც კი, ეს ფული ასა
წლას წინააღმდეგ მაინც იქნებოდა საკმარისი. 7. სახელმწიფო ხაზინას
მეთაურები და ყველანი ვინც სამეფო შემოსავალს განაგებდნენ, ამტ-
კაცებდნენ, რომ ანასტასიოსმა თავისი მმართველობის 29 წელზე მე-
ტას განმავლობაში სახელმწიფო სალაროში 3200 ოქროს კენტენა-
რიონი დატოვა. 8. მაგრამ იუსტინიანემ, ჯერ კიდევ იმ ცხრა წლის
განმავლობაში, როცა თვითმპყრობელობა იუსტინეს ეპყრა, მთელი
სახელმწიფო მმართველობა მოშალა და გაანადგურა. მათივე თქმით,
სახელმწიფოში ყოველად უკანონოდ შეგროვდა ოთხი ათასი კენტენა-
რიონი, მაგრამ იქიდანაც არაფერი დარჩა. ამ კაცმა ეს ფულიც იუს-
ტინეს სიცოცხლეშივე ისევე გაფლანგა, როგორც ადრე მოგახსენეთ.
9. ხოლო იმის მოთხოვნა ან აღნუსხვა, თუ რა რაოდენობის ფული
მიითვსა და დახარჯა უკანონოდ, ყოველად შეუძლებელია. 10. იუს-
ტინიანე, როგორც მდინარე, რომელიც განუწყვეტლივ მოედინება, გა-
მუდმებით ძარცვავდა და აღატაკებდა თავის ქვეშევრდომებს, და ყვე-
ლაფერს მაშინვე ბარბაროსებს უგზავნიდა, ან...

11. ამგვარად მან გაფლანგა სახელმწიფოს ქონება და მზერა ან-
ლა თავისი ქვეშევრდომების სიმდიდრეს მიაპყრო. მრავალს მაშინვე
ჩამოართვა მთელი ქონება და ისინი ყოველგვარი მიზეზის გარეშე და-
საჯა, იგი ყოველად უმიზეზოდ დებდა მსჯავრს იმ ხალხს, ვინც ბიზან-
ტიონში და ყველა დანარჩენ ქალაქში ყველაზე მდიდრებად ითვლე-
ბოდა. ზოგიერთებს მრავალმერთიანობას სწამებდა, სხვებს —
ერეტიკოსობას და ქრისტიანული რელიგიის არასწორ გააზრებას, ზო-
გიერთებს მამათმავლობას, ან მონაზვნებთან სასიყვარულო კავშირს,
ან სხვა რომელიმე უკანონო სიყვარულს, ან მისწრაფებას აჯანყებისა-
კენ, ან პრასინთა პარტიის წევრობას, ან ბასილევსის პიროვნების
შეურაცხყოფას, ან უადგილო სიტყვის წამოცდენას, ან მოულოდნე-
ლად გარდაცვლილის მემკვიდრე, ხოლო ხანდახან ჯერ ისევე ცოცხა-
ლი ადამიანის შთამომავალი ხდებოდა. 12. ეს იყო მისი საქმეთაგან
ყველაზე სასიქადულო, ხოლო თუ როგორ ისარგებლა მის წინააღ-
მდეგ მომხდარი აჯანყებით, რომელსაც „ნიკას“ უწოდებდნენ და მა-
შინვე ყველა სენატორთა შთამომავალი შეიქმნა, ამ აჯანყებამდე კი
როგორ წაართვა ყოველ მათგანს (მათი რიცხვი არამცირე იყო)
საკუთარი ქონება, ამის შესახებ სულ ახლახანს მოგახსენეთ. 13.
ბარბაროსებს, ყოველ ხელსაყრელ შემთხვევაში, უზარმაზარი თან-
ხებით აჭილდოვებდა, აღმოსავლეთელებსა და დასავლეთელებს,
ჩრდილოეთსა და სამხრეთში მცხოვრებლებს, თითქმის ბრიტანეთამ-
დე — ერთი სიტყვით, დედამიწის ზურგზე მცხოვრებ მთელ ტომებს,
რომელთა შესახებ ადრე არაფერი გვსმენია და რომელნიც უფრო
ადრე ვიხილეთ, ვიდრე მათი ტომის სახელს შეეიტყობდით. 14. მათ-

თვის ცნობილი გახდა ამ აღამიანის ჩვეულება და ამიტომ ბიზანტიონისკენ ყოველი მხრიდან მოემგზავრებოდნენ. 15. იგი დაუფიქრებლად ფლანგავდა რომაელთა სიმდიდრეს. რაც მას დიდ სიხარულსა და ბედნიერებას ანიჭებდა. ახმარდა საზღვაო მშენებლობას. ურიცებდა ბარბაროსებს, გულუხვად აჯილდოვებდა თითოეულს და შემდეგ თავის სამშობლოში გზავნიდა. 16. რის შედეგადაც ყველა ბარბაროსი რომაელთა სიმდიდრის სრულუფლებიანი პატრონი გახდა, ისინი ბასილევსისაგან იღებდნენ ფულს ოარკით, ან ტყვეების დაბრუნებისათვის ან დაზავებისთვის. აი, როგორ ახდა ის სიზმარი, რომელიც სულ ცოტა ხნის წინათ გაიმბეთ. 17. იუსტინიანემ თავისი ქვეშევრდომების ძარცვისათვის სხვა ხერხების მოგონებაც შეძლო, რაც შეიძლება მოკლედ გაიმბობთ მათ შესახებ, რისი მეშვეობითაც მან შეძლო თანდათან სრულიად გაეძარცვა ყველა თავისი ქვეშევრდომი.

XX. 1. უბირველეს ყოვლისა, მან ბიზანტიონში ხალხის ეპარქოსი დანიშნა და უდიდესი უფლებები მიანიჭა. მის მოვალეობას წარმოადგენდა ყოველწლიურად ფარდულის მფლობელებზე გაენაწილებინა ხარკი და ამით ვაჭრებისათვის საშუალება მიეცა, მათ მიერვე დადგენილ ფასად გაეყიდათ საქონელი. 2. მოქალაქეებიც ისეთ მდგომარეობაში ჩააყენა, რომ, თუმცა ბაზრებში საქონელზე სამმაგად გაიზარდა ფასი, ვერსად იჩივლებდნენ. 3. ამის გამო მოსახლეობამ დიდი ზარალი განიცადა. ხარკის ნაწილი სახელმწიფოს სასარგებლოდ იგზავნებოდა, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში, ამ გზით მდიდრდებოდნენ ის მოხელეებიც, ვისაც ამ საქმეზე თვალყურის დევნა ევალებოდა. 4. ყოველივე ამის შედეგად ამ ხელისუფალთა სამარცხვინო სამსახურში სიხარბით აღძრული მოხელეები და ფარდულთა მეპატრონეები, რომელთაც კანონის დარღვევის მიუხედავად მაინც არ სჯიდნენ, აუტანელ თვითნებობას სჩადიოდნენ იმათ მიმართ, ვინც იძულებული იყო საქონელი ეყიდა. ისინი არა მარტო უსაშველოდ აძვირებდნენ საქონელს, არამედ სხვადასხვა გზებით, ათასგვარი ეშმაკობით ატყუებდნენ კიდევ მყიდველთ.

5. შემდეგ იუსტინიანემ ეგრეთ წოდებული მონოპოლიები დააწესა და ამით თავის ხელქვეითთა კეთილდღეობა იმ ხალხს მიჰყიდა, რომელნიც ხელის მოთბობას არ თაკილობდნენ, სანაცვლოდ სათანადო თანხას იღებდა მათგან, და თვითონ საქმეს სცილდებოდა, ფულის შემომტანს კი საშუალებას აძლევდა, ყველაფერი თავის ნებაზე მოეგვარებინა. 6. ასევე იოლად და დაუფარავად არღვევდა სამართალს სხვა შემთხვევებშიც. ყოველ საქმეზე მიჩენილი უფროსები და მათი რწმუნებულნი ბასილევსს ნაძარცვი ფულიდან გარკვეულ, საკმაოდ მცირე თანხას უხდიდნენ, შემდეგ კი უშიშრად ძარცვავდნენ

ხალხს. 7. მან ოდივან დაწესებული საგანმგებლო ორგანოები არ იკმარა, სახელმწიფოს სამართავად კიდევ ორი საშუალებაც მოიგონა, თუმცა ადრე ყველა საჩივარს ხალხის მეთაურები არჩევდნენ. 8; იმისათვის, რომ უფრო მეტი დამსმენები და ცილისმწამებლები ჰყოლოდა და უფრო სწრაფად და იოლი გზებით ეწამებინა ყოვლად უღანაშულო ხალხი. მან ეს ორი თანამდებობაც დააწესა. 9. ამ თანამდებობაზე დანიშნულთ, რომელთაც სახელად „დიმთა პრეტორები“² უწოდა, ევალეობდათ მხოლოდ ქურდობის საქმეთა წარმოება, ცხადია, ეს მხოლოდ მოჩვენებითად. მეორე თანამდებობაზე დანიშნულს კი ევალეობდა მამათმავლებისა და ქალებთან არაბუნებრივ კავშირში მყოფ პირთა დასჯა და იმათიც, ვინც ჯეროვნად არ ემსახურებოდა ღმერთს. მათ სახელად კვესტორი უწოდა. 10. თუკი პრეტორი ნაქურდალ ნივთებში ძვირფას და ყურადღასღებ ნივთს მიაგენბდა, აუცილებლად თვითმპყრობელს მიმართავდა, თითქოსდა იმიტომ, რომ ნივთის პატრონისათვის ვერ მიეგნო. 11. ამით ბასილევსის უძვირფასესი ნივთები ერგებოდა ხოლმე, ხოლო ეგრეთ წოდებული კვესტორი კი, მის ხელში ჩავარდნილ ნაძარცვს ბასილევსსაც უნაწილებდა და თვითონაც დაუსჯელად ითვისებდა სხვის ქონებას. 12. ამ თანამდებობის პირებს არც ბრალის დადება ევალეობდათ და არც სასამართლოში მოწმედ წარდგომა, მომხდარი ამბის დაწვრილებითი გამოძიებისას ბრალდებულთ. გამოძიებისა და გასამართლების გარეშე, მალულად კლავდნენ და ქონებას ართმევდნენ. 13. მოგვიანებით მკვლელმა ამ თანამდებობის პირებს და იმასაც, ვინც ხალხის მეთაურად იყო დანიშნული, უბრძანა ერთგვარად განეხილათ ყველა საჩივარი, ერთმანეთთან შეჯიბრებაც კი დაუწესა, ვინ უფრო წარჩინებით და სწრაფად შეძლებდა ხალხის ამოხოცვას. 14. ამბობენ, თითქოს ერთ-ერთმა მათგანმა იუსტინიანეს ჰკითხა: რომელ უწყებას უნდა მოეხდინა ძიება, თუკი სამივე ერთდროულად მიიღებდა დასმენას? მან დაუფიქრებლად უპასუხა: „იმან, ვინც შეძლებს სხვებს დაასწროს“. 15. კვესტორის წოდება მის დროს უზნეობად იქცა. ადრინდელი ბასილევსები, შეიძლება ითქვას, განსაკუთრებით ზრუნავდნენ და ცდილობდნენ მცოდნე და გამოცდილი პირები დაეყენებინათ ამ თანამდებობაზე, რადგან თვლიდნენ, რომ სახელმწიფო დიდად იზარალებდა, თუ ასეთ საპაპუხისმგებლო ადგილზე ამ თანამდებობაზე საქმის უტოდინარ და ანგარებიან ადამიანს დანიშნავდნენ. 16. ბასილევსმა კი ამ თანამდებობაზე პირველი ტრიბონიანე დანიშნა, რომლის უზნეობაზეც პირველ წიგნებში საკმარისად ვილაპარაკეთ³. 17. როცა ტრიბონიანე აღესრულა, ბასილევსმა მიითვისა მისი ქონების დიდი ნაწილი, თუმცა გარდაცვლილს ვაჟი და მრავალრიცხოვანი ნათესავები დარჩა. შემდეგ ამ თანამდებობაზე ბასილევსმა ლივიელი იუნილოსი დანიშნა,

რომელმაც ყურმოკვრითაც არ იცოდა კანონი, რადგან არ ეკუთვნოდა „რიტორთა“⁴ რიცხვს, კანონების ცოდნა რომ ევალეობოდათ. ლათინური მან იცოდა, ელინური კი არ ჰქონდა. შესწავლილი, რადგან დაწყებით სკოლაში არ ევლო და ენა მისი ძლივს წარმოთქვამდა ელინურ სიტყვებს (არაერთხელ მომხდარა, როცა ელინურად ცდილობდა ლაპარაკს, მსახურები სიცილს ვერ იკავებდნენ); უზომო ანგარებით შეპყრობილი, არაფერს ერიდებოდა და დღისით-მზისით ბასილევსის ხელმოწერილი ქაღალდებით ვაჭრობდა. 18. არც იმის რცხვენოდა, რომ ერთი ოქროს სტატერისთვის გაეწოდებინა ხელი. 19. არაუმცირეს შვიდი წლისა სახელმწიფო მის გამო იტანდა დაცივნას. 20. როცა იუნილოსიც აღესრულა, ბასილიევსმა ამ მალალ თანამდებობაზე კონსტანტინე დასვა. მან კარგად იცოდა კანონები, მაგრამ ძალზე ახალგაზრდა იყო და ჭერ გამოუცდელი, თუმცა მძარცველური მიდრეკილებით და ზვიადობით ყველას აჭარბებდა. 21. იუსტინიანე მას განსაკუთრებულად თბილად ეპყრობოდა და თავის უახლოეს მეგობრად თვლიდა. მისი დახმარებით ახერხებდა ხალხი ეძარცვა და ყველა სასამართლო საქმე სათავისოდ გადაეწყვიტა. 22. ამიტომ მოკლე ხანში კონსტანტინემ უზარმაზარი ქონება დააგროვა. ის ისეთ ზებუნებრივ ზვიადობას ავლენდა და ისეთი ზიზლით ექცეოდა ყველას, რომ გეგონებოდა ცა ქუდად არ მიაჩნიაო. ზოგიერთები, საკუთარი საქმის კეთილად წარსამართავად, დიდი რაოდენობის ფულის გადახდას არ ერიდებოდნენ, მხოლოდ საიმედო კაცის ხელით ახერხებდნენ ფულის გადაცემას. 23. მასთან შეხვედრას ან საუბარს ვერაფერს ახერხებდა; ეს მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა, როცა ბასილევსთან მიდიოდა ან მისგან ბრუნდებოდა. მაშინაც სწრაფად, ნაჩქარევად ლაპარაკობდა, რომ მთხოვნელებს დიდი ღრო არ წაერთმიათ მისთვის.

XXI. 1. აი, რა შეიძლება ითქვას ამ ბასილევსზე. ამის გარდა პრეტორიათა ეპარქოსს ყოველწლიურად სახელმწიფო საგანძურში შეჰქონდა ოცდაათ კენტენარიონზე მეტი ღირებულების ხარკი. 2. ამ ფულს ციდან ჩამოკვენილს უძახდნენ. ამგვარი სახელი, ჩემის აზრით, იმაზე მიანიშნებს, რომ ეს ხარკი დაკანონებული ან დადგენილი არ იყო, მართლაც, ციდან ვარდებოდა, მაგრამ აჯობებდა ავაზაკობის სახელით მოენათლათ. 3. ეპარქოსები ამ სახელწოდებით სარგებლობდნენ და ქვეშევრდომებს უფრო უშიშრად ძარცვავდნენ. 4. ხარკს ვითომდა თვითმპყრობელის საჭიროებებისათვის აგროვებდნენ, მაგრამ, მისი წყალობით, თვითონაც უშრომელად ითვისებდნენ სახელმწიფო ქონებას. 5. იუსტინიანე თავიდან თითქოს არაფერად აგდებდა ამ ძარცვას, ხელსაყრელ ღროს ელოდა და როგორც კი დიდძალი ქონება

დაუვროვდებოდათ. უცლობელ ბრალდებას წაუყენებდა და მთელ მათ ქონებას მიითვისებდა. ასევე მოექცა იოანე კაპადოკიელს. 6. მართლაც ყველა ვინც კი პატივით იყო გამორჩეული, შემთხვევითა სარგებლობდა და უზომოდ მდიდრდებოდა, ყველა, ორის გარდა: ადრე ნახსენები დოკა¹. საოცრად სავართლიანი კაცი, — ამ თანამდებობაზე რომ არ შეხებია ანგარება, და ბასოსი, რომელმაც მოგვიანებით მიიღო ეს თანამდებობა. 7. ამთვან ვერც ერთმა ვერ შეიძლო წელაწაღზე მეტ ხანს ყოფილიყო ეპარქოსად, ისინი დროს არ შეეფერებოდნენ და სულ რამდენიმე თვეში იძულებულნი გახდნენ მიეტოვებინათ თავიანთი თანამდებობა. 8. ყოველ ასეთ უსინდისო მოქმედებაზე რომ არ მოგითხოვოთ და უსასრულოდ არ გავავროცო ჩემი მონათხრობი, აღვნიშნავ, რომ ბიზანტიონის მმართველობაში ყველგან იგივე ხდებოდა.

9. იუსტინიანე ერთნაირად მოქმედებდა მთელ რომაელთა სახელმწიფოში. ყველგან უვარგის ადამიანებს არჩევდა, დიდი ქრთამით უმალეს თანამდებობაზე ნიშნავდა და საძარცვად უხდიდა სახელმწიფოს. 10. გონიერი, თუნდაც ცოტათი მიხვედრილი ადამიანისთვის ყოველად მიუღებელი უნდა ყოფილიყო ჭერ უზარმაზარი ფული გადაეხადა, რათა შემდეგ ყოველად უდანაშაულო ხალხი ეძარცვა. 11. იუსტინიანე იმათგან, ვინც მოელაპარაკებოდა, დიდ თანხას იღებდა და სრულ თავისუფლებას ანიჭებდა, ქვეშევრდომთაგან ყველანაირი გამორჩენა ჰქონდათ. 12. მათ დაღუპვამდე მიჰყავდათ ოლქები და მოსახლეობა და მხოლოდ ერთ მიზანს ისახავდნენ — მომავალში თვითონ გამდიდრებულიყვნენ. 13. ისინი, ვინც ქალაქებში ინიშნებოდნენ თანამდებობაზე, ფულს სესხულობდნენ მევანშეებისაგან დიდი გადასახადის ფასად და იმათ აძლევდნენ, ვინც მათ ამ თანამდებობაზე ნიშნავდა. შემდეგ კი ყოველი უსამართლო გზით ცდილობდნენ ხელქვეითთა დაჩაგვრას, რათა მევანშეებისთვისაც ვალი დაებრუნებინათ და თვითონაც გამდიდრებულიყვნენ. ამ უსამართლობისათვის მათ არაფერი ეშუქებოდათ, სახელსაც კი იხვეჭდნენ, იმისდა მიხედვით, რაც უფრო მეტ ხალხს ჩაიგდებდნენ ხელში, უსამართლოდ გაძარცვავდნენ და დასჯიდნენ. 14. მკვლელისა და მძარცველის სახელი საქმის კაცის გამომხატველად იქცა 15. როგორც კი იუსტინიანე შენიშნავდა, რომ მის მიერ დანიშნულმა ადამიანმა უკვე დიდი ქონება დააგროვა, მაშინვე მახეს დაუგებდა ამა თუ იმ მიზეზით და ყველაფერს ერთიანად ჩამოართმევდა ხოლმე.

16. შემდეგ მან კანონი გამოსცა თანამდებობის პირთათვის, მათ ფიცით უნდა დაემტკიცებინათ, რომ თავიანთი სამსახურის დროს ძარცვაში არ მიიღებდნენ მონაწილეობას, არც ქრთამს აიღებდნენ

ან მისცემდნენ ვინმეს. 17. კანონს ათასგვარი წყევლა-კრულვაც დაუ-
მატა, რომელიც წესის მიხედვით ძველთაგანვე წარმოითქმოდა ამ
კანონის დამრღვევთა მიმართ. 18. მაგრამ კანონის გამოსვლიდან ერ-
თი წელიც არ იყო გასული, თვითონვე არაფრად ჩააგდო კანონი და
წყევლა-კრულვა და ისევ უსირცხვილოდ, დაფარულად კი არა, ყვე-
ლას დასანახად დაიწყო თანამდებობაზე დასანიშნი ხალხისაგან
ქრთამის აღება. 19. ისინიც, ვინც თანამდებობები იყიდეს, არად და-
გიდევდნენ ამ წყევლა-კრულვას და უფრო მეტი გააფთრებით ძარ-
ცვავენ ხალხს.

20. მოგვიანებით, იუსტინიანემ უფრო დაუჭერებელი რამ მო-
იმოქმედა. მან გადაწყვიტა, რომ ეს თანამდებობები, რომლებსაც ყვე-
ლაზე მნიშვნელოვნად თვლიდა ბიზანტიონსა თუ სხვა ქალაქებში,
აღარ გაეყიდა როგორც უწინ, არამედ საგანგებოდ შერჩეული ხალხი
დაეგზავნა და ხელფასი დაენიშნა, რათა მათ, ხელფასის სანაცვლოდ
შისთვის მიეცათ ნაბარცვი თანხა. 21. ისინი კი ხელფასსაც იღებდნენ
და ხალხსაც შიშის გარეშე ძარცვავენდნენ სახელმწიფო მოხელეების
სახელით. ყველგან მსგავსი ძალადობა მძვინვარებდა. 22. ბასილევსი
დიდი გულმოდგინებით ნიშნავდა ამ თანამდებობაზე ყოველად გამოუ-
სადეგარ და შეუფერებელ ხალხს, ყოველთვის კარგად მიაგნებდა
ხოლმე ყველაზე ბოროტს მათ შორის და ამას თავის დიდ მიღწევად
თვლიდა. 23. და აი როცა მან ეს, მართლაცადა, სიმდაბლით გამორ-
ჩეული ხალხი დანიშნა ამ თანამდებობებზე და მათაც, ძალაუფლე-
ბის უმადლესი ძალადობის გამოვლენისას, თავიანთი ზნეობაც კარ-
გად წარმოაჩინეს, ჩვენ ისღა დაგვრჩენოდა გავოცებულებით, რო-
გორ შეეძლო ადამიანთა მოდგმას დაეშვა ესოდენი დანაშაული. 24.
და როცა მცირე ხნის შემდეგ მათ ნაცვლად იგივე თანამდებობაზე
ახლად დანიშნული პირები ბევრად უსწრებდნენ ბოროტებაში თავი-
ანთ წინამორბედთ, ქვეშევრდომთ მხოლოდ ისღა აოცებდათ, როგორ
ზნებოდა, რომ ადრე უსაბაგლეს, მდაბალ ადამიანად მიჩნეული მო-
ხელენი, ახლა, თავიანთ შემცვლელებთან შედარებით, წესიერნი და
კეთილსინდისიერნი ჩანდნენ. შემდეგ ვილაც მესამე მოდიოდა, და
სიმდაბლით იმდენადვე აჭარბებდა იმ მეორეს. ამ შემცვლელებმა,
თავიანთი არაკეთილსინდისიერებითა და სიმდაბლით, თავიანთ წი-
ნამორბედებს პატიოსანი ადამიანის სახელი მიაკუთვნეს. 25. უბედუ-
რების ზრდასთან ერთად, ყველა დარწმუნდა, რომ ადამიანის ბუნების
სიმდაბლეს საზღვარი არ ჰქონია. ეს სიმდაბლე, ბოროტმოქმედებასა
და განუკითხაობაზე აღმოცენებული, როცა უფლება ჰქონდათ ეწვა-
ლებინათ და ეძარცვათ ყოველად დაუცველი ხალხი, ისეთ საზღვრებს
აღწევდა, რომლის გაზომვაც მხოლოდ მათგან წამებაგადატანილ ადამი-
ანებს თუ შეეძლოთ.

26. ასე წარმართავდნენ საქმეებს რომაელნი თავიანთ სამეფო-ში. ხშირად ხდებოდა, რომ ჰუნები შემოიჭრებოდნენ ხოლმე რომაელთა სახელმწიფოში. ოლქებს ააოხრებდნენ, ტყვეებს წაასხამდნენ და მთავარსარდლები თრაკიასა თუ ილირიაში დააპირებდნენ უკან დადევნებას. ბასილევსი იუსტინიანე ბრძანებას გზავნიდა, თავი შეეკავებინათ ბარბაროსებთან ბრძოლისაგან, თითქოს იმ მიზეზით, რომ ჰუნები რომაელთა მოკავშირეები იყვნენ გუთებთან ბრძოლაში. 27. ამიტომ ბარბაროსები მტრებივით უმოწყალოდ ძარცვავდნენ და ატყვევებდნენ რომაელთა და ალაფთა და ტყვეებით ხელდამშვენებულნი, მეგობრებივით და მეკავშირეებივით ბრუნდებოდნენ შინ. 28. დატყვევებული ცოლებისა და ნათესავების სიყვარულით შეძრული მიწათმოქმედნი ხშირად თავს მოიყრიდნენ, ბარბაროსებს დაედევნებოდნენ, ბევრს ხოცავდნენ, ავლადიდებას წაართმევდნენ და მათ ცხენებსაც წამოასხამდნენ ხოლმე, მაგრამ ამის გამო დიდი უსიამოვნება ხდებოდათ. 29. ბიზანტიონიდან გამოგზავნილი მოხელენი საჭიროდ მიიჩნევდნენ ეწამებინათ, აბუჩად აეგდოთ ეს ხალხი და ყოვლად უსინდისოდ გადაეხდევინებინათ ჯარიმა, ვიდრე ბარბაროსებისგან მიტაცებულ ცხენებს არ დააბრუნებდნენ.

XXII. 1. როცა ბასილევსმა და თეოდორამ თავიდან მოიშორეს იოანე კაპადოკიელი, გადაწყვიტეს, მისი შემცვლელი ეპონათ. ისინი ერთად აკვირდებოდნენ ადამიანებს, უღირსთა შორის უღირსს ეძებდნენ, რათა საკუთარი ტირანიის ერთგული მსახური აღმოეჩინათ და მისი მეშვეობით დაეღუპათ თავიანთი ქვეშევრდომნი. 2. მათ იოანეს თანამდებობაზე დროებით თეოდოტე დანიშნეს, არცთუ კარგი ზნეობის კაცი, მაგრამ არც ისეთი, ხელმწიფეებს რომ მოსწონებოდათ. 3. ძებნა და ძიებაც არ შეუწყვეტიათ და აი, სრულიად მოულოდნელად ვინმე პეტრეს¹ მიაპყრეს ყურადღება, ხელობით მეკერამეს, წარმოშობით სირიელს, რომელსაც ზედმეტსახელად ბარსიმეს ეძახდნენ. ის ერთთავად ბაზარში იჯდა მაგიდასთან, ფულს ახურდავებდა და თავისი სწრაფი თითების წყალობით, სარგებელს ამ სამარცხვინო გზით შოულობდა. 4. მას შეეძლო სწრაფად და იოლად აეწაპნა ფული იმ ხალხისგან, ვინც მას მიმართავდა, ხოლო თუ დანიშნულზე წაასწრებდნენ, ფიცს მოჰყვებოდა და თითების შეცდომას თავხედი ლაპარაკით ფარავდა. 5. ეპარქოსთა რაზმში ჩარიცხულმა, იმდენი უსინდისობა ჩაიდინა, თეოდორას თვალში მოუვიდა და პეტრეც, თეოდორას ნებისასასრულებლად, ყოვლად უმსგავსოდ იქცეოდა, 6. მათ მაშინვე განთავისუფლეს თეოდოტე, რომელიც იოანე კაპადოკიელის თანამდებობაზე იყო დანიშნული და მის ნაცვლად პეტრე დანიშნეს, რომელიც ორივე ხელმწიფის ნება-სურვილის აღმსრულებელი იყო. 7. ჯარისკაცებს მან ხელფასი და ყოველგვარი დახმარება უშიშრად და ურ-

ცხვად შეუწყვიტა. თანამდებობებს ის უნამუსოდ ყიდდა იმ ხალხზე, ვინც უყოყმანოდ უხდიდა ფულს და განუკითხავად უბოძებდა თავის ქვეშევრდომთა სულსა და ქონებას. 8. ამით ფულის გადამხდელს სრული თავისუფლება ენიჭებოდა, ეჭურდა და ეძარცვა. 9. სახელმწიფოს სათავედან იწყებოდა ადამიანთა სიცოცხლის გაყიდვა, გამოიციმოდნენ. ქალაქთა დამლუპველი ბრძანებები, უმაღლეს სასამართლო უწყებებში და მოედნებზე გამართულ სახალხო თავყრილობებზე კანონიერი მძარცველი დადიოდა, რომელიც ხარკს კრეფდა და ამ ფულს თავისი თანამდებობის ღირებულების საზღაურად თვლიდა. დაზარალებულთ არავითარი იმედი აღარ დარჩენოდათ, რომ სიმართლეს მიაგნებდნენ. 10. ამ მოხელეთაგან — ისინი კი მრავლად იყვნენ და ზოგი ძალზე პატივსაცემიც — პეტრე ყველაზე უსინდისობებს იახლოვებდა. 11. კანონს მართო ის როდი არღვევდა, არამედ ყველანი, ვისაც კრეს თანამდებობა ეკავა მანამდე, ან მის შემდეგ.

12. ასევე არღვევდნენ კანონს ეგრეთ წოდებული „რეგისტროსის“ თანამდებობაზე დანიშნულნი და „პალატინოსები“, რომლებიც, ჩვეულებისამებრ, სახელმწიფო საგანძურს იცავდნენ, აგრეთვე „პრივატები“ და „ატრიმონიონი“². მოკლედ რომ ვთქვათ, კანონს ყველა არღვევდა, ყველა არსებული განმგებლობა ბიზანტიონსა თუ სხვა ქალაქებში, 13. მას შემდეგ, რაც ამ ტირანმა მმართველობა იგდო ხელთ, ყოველი განმგებლობიდან თვითონ, ან თანამდებობის პირის მეშვეობით იღებდა ფულს, მოხელეებს კი ისღა რჩებოდათ, აღესრულებინათ ზემდგომთა ბრძანებები და სანამ მსახურობდნენ, უკიდურეს სიღარიბეში, მონებივით დამორჩილებოდნენ მათ.

14. როცა ბიზანტიონში მოულოდნელად ძალზე ბევრი ხორბალი მოვიდა, მისი უმეტესი ნაწილი დალპა. მაშინ პეტრემ აღმოსავლეთის ქვეყნებში დაგზავნა დამპალი ხორბალი, თუმცა იგი უკვე გამოუსადეგარი იყო საჭმელად; თან ის ფასი კი არ დაადო, ჩვეულებრივ, უმაღლესი ზარისხის ხორბალი რომ ღირდა, არამედ ბევრად მეტი. ასე და ამრიგად, მყიდველებს ბევრად მეტი თანხა უნდა გადაეხადათ, შემდეგ კი ზღვაში ან წყალსადინარში გადაეყარათ ეს დამპალი ხორბალი. 15. მაგრამ როცა ბიზანტიონში სუფთა და კარგი ხორბალი დაგროვდა, მან გადაწყვიტა იმ ქალაქებისთვის მიეყიდა, რომელთაც პური უჭირდათ, 16. ამ გზით მან ორჯერ მეტი მოიგო, ვიდრე სახელმწიფო ხაზინა უხდიდა ადრე ხორბლის შემომტანთ, 17. მაგრამ როცა მომდევნო წელს მოსავალმა იკლო და ბიზანტიონში შედარებით მცირე რაოდენობის პური შემოვიდა, ვიდრე ეს ქალაქის მოთხოვნილებებს სჭირდებოდა, პეტრე უკიდურეს მდგომარეობაში აღმოჩნდა და ბრძანა ბითინიის, ფრიგიისა³ და თრაკიის მოსახლეობისაგან დიდი

რაოდენობით შეესყიდათ ხორბალი. 18. ამ ადვილებს მცხოვრებლებს დაევალოთ. რაღაც არ უნდა დაჯდომოდათ, ხორბალი ჯერ ზღვამდე. შემდეგ კი დიდი საფრთხის გამოვლით ბიზანტიონში მიეტანათ. იქ კი პეტრესაგან ძალზე უმნიშვნელო ანაზღაურება მიეღოთ. თან ისეთ დიდი ჯარმას ახდევინებდნენ, რომ ჩამოსულები მოხარულად იყვნენ სახელმწიფოსთვის უფასოდ გადაეცათ ხორბალი და თვითონვე შემდეგ ორმაგ ფასად წეესყიდათ. 19. ამ მძიმე ტვირთს, პურის ამგვარ შესყიდვას „სინონეს“ ემახდნენ. მაგრამ როცა ამ ლონისძიებათა მიუხედავად ბიზანტიონს მაინც არ ჰყოფნიდა პური, ხალხი საჩივრებით მიმართავდა ბასილევსს. 20. ჯარისკაცებიც აღშფოთდნენ. ისინი კუთვნილ ხელფასს არ იღებდნენ და დიდი აურზაური ატეხეს ქალაქში. 21. შორიდან ისე ჩანდა, თითქოს ბასილევსი პეტრეს უქმყოფილო იყო, უნდოდა კიდევ გაენთავისუფლებინა თანამდებობიდან იმ მიზეზთა გამო, რაც ახლა მოგახსენეთ და იმ მიზეზითაც, რომ ყური ჰქონდა მოკრული, თითქოს პეტრეს გასაოცრად დიდი ფული ჰქონდა გადამალული, რომელიც სახელმწიფო ხაზინიდან მოეპარა. 22. სინამდვილეში ეს ასეც იყო. მაგრამ თეოდორამ ნება არ დართო ქმარს. თავის ნებაზე მოქცეულიყო, მას უგონოდ უყვარდა ბარსიმე, როგორც მგონია, სწორედ მისი ავკაცობისა და იმის გამო, რომ ქვეწევრობითა ჩაგვრის გასაოცარი უნარი შესწევდა. 23. თვითონ თეოდორა უზომოდ დაუნდობელი იყო, აღსავსე არაადამიანური თვისებებით, და ხელქვეითებისგანაც ითხოვდა — მის ხასიათსა და თვისებებს მისადაგებოდნენ. 24. ამბობდნენ, თითქოს პეტრეს თეოდორა მოეჭადოებინა და ამიტომ თავისდაუნებურად უსრულებდა ყველა სურვილს. 25. ეს ბარსიმე ძალზე მიდრეკილი იყო ჯადოქრობისაკენ და გატაცებით მისდევდა ამ საქმეს. მანიქეველებს აღმერთებდა და დასაშვებადაც მიაჩნდა დაუფარავად ედიღებინა ისინი 26. თუმცა დედოფალმა იცოდა მისი ეს გატაცება, მაინც დიდად აფასებდა და უყვარდა, ეგებ ამიტომაც უფრო იფარავდა და წყალობდა. 27. თვითონაც ხომ ადრეული ასაკიდან მოგვებთან და ჯადოქრებთან ჰქონდა კავშირი, თავადაც მისდევდა ამ საქმეს — თვით მისი ცხოვრების წესი აიძულებდა გამოეყენებინა ისინი. მთელი სიცოცხლე სჯეროდა და ეიმედებოდა კიდევ. 28. ამბობენ, თითქოს იუსტინიანე მართო თავისი სილამაზითა და ალერსით კი არ მოხიბლა, არამედ დემონური ძალით. 29. ცხადია, იუსტინიანე არც დიდი გონების კაცი იყო, სამართლიანი ან კეთილის მოსურნე, რომ ამ ბოროტ განზრახვავზე ძლიერი აღმოჩენილიყო: ის დაუფარავად ემორჩილებოდა მკვლევარებისა თუ ანგარების ვნებას და ადვილად ნებდებოდა იმათ, ვისაც მისა მოტყუება ან პირმოთნეობა შეეძლო. 30. განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეებში ის ყოვლად უმიზეზოდ იცვლიდა ხოლმე აზრს და

ყოველთვის მსუბუქი მტვერით იქცეოდა. 31. ამიტომ არავის, არც ნათესავებსა და არც ახლობლებს, მისი იმედი არ ჰქონიათ, ხოლო რაც შეეხება მოქმედებას, გადაწყვეტილება წამიერად ეცვლებოდა. 32. ამიტომ, როგორც ადრე აღვნიშნე, იოლი იყო ჯადოქრებს ხელში ჩაეგდოთ და თეოდორას კლანჭებშიც ადვილად აღმოჩნდა. დედოფალსაც პეტრე იმიტომ უყვარდა ასე თავდაიწყებით, რომ ამ ბნელ საქმეებში გულმოდგინედ ეხმარებოდა. 33. თანამდებობებიდან, რომლის შესახებაც ადრე მოგახსენეთ, ბასილევსმა პეტრე დიდი გაქირკების განთავისუფლა, მაგრამ სულ მალე თეოდორას დაიწინებთ, ხაზინის ზედამხედველობიდან რამდენიმე თვის წინათ დანიშნული იოანე განთავისუფლა და პეტრე დანიშნა. 34. ეს იოანე პალესტინელი იყო, ძალზე ლმობიერი და კეთილი კაცი. მას უკანონო გზით არ შეეძლო შემოსავალი ეძებნა და არც არავისთვის ეწყენინებინა ამქვეყნად. 35. ცხადია, ხალხს უყვარდა იოანე, ამიტომაც ვერაფრით მოეწონებოდა იუსტინიანეს და მის მეფლეს, როგორც კი თავიანთ ხელქვეითებში ვინმე პატიოსან და ღირსეულ ადამიანს შენიშნავდნენ, გუნება ეცვლებოდათ და უკმაყოფილონი, ყოველნაირად ცდილობდნენ, როგორმე თავიდან მოეშორებინათ.

36. აი, სწორედ ეს იოანე შეეცალა პეტრემ, სახელმწიფო ხაზინას ჩაუდგა სათავეში და მოსახლეობის უბედურებათა უმთავრესი უზღუად იქცა. 37. ის ფული, რომელსაც ბასილევსი ყოველწლიურად, ოლითგან დახმარებასავით ურიგებდა უმდაბლეს ფენებს, თვითონ მიითვისა, უკანონოდ მდიდრდებოდა, ნაწილს კი ბასილევსსაც უნაწილებდა. 38. ისინი კი, ვისაც დახმარება მოაკლდა, დიდ უბედურებაში ჩააცვიფდნენ, რადგან ოქროს ფულიც, მისი ნება-სურვილით, ისეთი კი აღარ იჭრებოდა, როგორც ადრე, არამედ წონით ნაკლები, რაც ადრე არასოდეს მომხდარა⁵. 39. აი, ასეთი იყო მმართველობა ამ ბასილევსის დროს. ახლა კი მოგიხსრობთ, როგორ გააღატაკა მემამულეები. 40. საკმარისი იქნება გავიხსენოთ ყოველ ქალაქში დაგზავნილი მოხელეები, რის შესახებაც ცოტა ხნის წინათ მოგახსენეთ, და აღვნიშნოთ მათგან მიყენებული უბედურება. ისინი, უპირველეს ყოვლისა, ძალადობით მარცვავენ მინათმფლობელთ, ვფიქრობ, ამით ყველაფერია ნათქვამი.

XXIII. 1. ძველთაგანვე ასეთი ჩვეულება არსებობდა, რომ რომელთა სახელმწიფოს ტახტზე მჯდარი ხელმწიფე, ერთხელ კი არა, მრავალგზის მიუტევებდა ხოლმე დაგროვილ ვალს იმათ, ვისაც არ ჰქონდა ხარკის გადახდის შესაძლებლობა, რათა ისინი სამუდამო მოვალეებად არ დარჩენილიყვნენ. ამასთანვე, ხარკის ამკრეფთ არ ეწეოდნენ საშუალება თავიანთი უფლებებით ესარგებლათ და იმ ხალხს გადაჰკიდებოდნენ, რომელთაც არაფერი ებადათ. ბასილევს იუსტინი-

ანეს კი თავისი მმართველობის 32 წლის განმავლობაში არაფერი უპატივებია თავისი ხელქვეითებისათვის. 2. ამიტომ გადატყვებულნი იძულებულნი ხდებოდნენ გაქცეულიყვნენ და არც უკან დაბრუნების იმედი რჩებოდათ. 3. დამსმენები კი პატიოსან ხალხს აშინებდნენ და ცილს სწამებდნენ, თითქოს მათ აღრე მთლიანად არ ჰქონდათ ხარკი გადახდილი. 4. ამ უბედურებს მარტო ის კი არ აშინებდათ, რომ ახალ ხარკს დაადებდნენ, არამედ ისიც, რომ ვალდებულნი გახდებოდნენ ვითომდა ამდენი ხნის წინათ გადაუხდელი ვალიც გადაეხადათ, 5. ამიტომ მრავალი მათგანი ამ დამსმენებსა თუ სახელმწიფოს უტოვებდნენ თავიანთ მამულებს, თვითონ კი მიდიოდნენ. 6. და მიუხედავად იმისა, რომ აზიის დიდი ნაწილი მიდიელთა და სარკინოზთა მიერ იყო დაცარიელებული, მთელი ევროპა კი ჰუნების, სლავებისა და ანტების მიერ განადგურებული, ქალაქთა უმეტესობა ძირფესვიანად იყო დანგრეული, დანარჩენები კი, ფულადი კონტრიბუციის წყალობით, ერთიანად გაძარცვული, ბარბაროსებს მთელი მოსახლეობა, მთელი თავისი ავლადიდებით, ჰყავდათ ტყვედ წაყვანილი და ლამის ყოველდღიური თავდასხმების შედეგად მრავალი ოლქი გაუკაცრიელებული და დაუშუშავებელი იყო, ბასილევს მაინც არ გაუუქმებია ხარკი, ერთხელ გააუქმა და ისიც მხოლოდ ერთი წლით, მხოლოდ იმ ქალაქებში, რომლებიც იეროზოთ აიღო. 7. იუსტინიანე, ბასილევსი ანასტასიოსის მსგავსად რომ მოქცეულიყო და მტრისგან დაპყრობილი ქალაქებისთვის შეიდი წლით გაუუქმებინა გადასახადი, ვფიქრობ, მაინც ვერ მოიქცეოდა დროის შესაფერისად: კავადმა! ხომ ერთიანად მოსპო ყველა შენობა, ხოსრომ კი ძირფესვიანად გადაწვა ქალაქები, სადაც კი შეიჭრა და დიდზე დიდი უბედურება მოაწია ხალხს. 8. და ამ ხალხისათვის, ვისაც ესოდენ სასაცილო თანხა შეუმცირა და ყველა იმ ხალხებისათვის, ვისაც თავიანთ მიდამოებში არაერთხელ უნახავთ მადიელთა ჭარი და შეიძლება ითქვას, ყოველთვის ხედავდნენ ჰუნებსა და (ბარბაროსს) სარკინოზებს, იმათ, ვინც ერთიანად გაძარცვეს აღმოსავლეთის მიწები, როცა ევროპელი ბარბაროსებიც იგივეს ჩადიოდნენ რომაელთა მიმართ — მათთვის ეს ბასილევსი ბარბაროსებზე დიდი ბოროტება იყო. 9. მტრის გაძევებისთანავე მამულთა მუპატრონეები, „სინონეს“, პურის იძულებითი. შესყიდვის, ეგრეთწოდებული „ეპიბოლეს“² და „დიავრაფეს“³ წყალობით, მაშინვე ბასილევსის ხელში აღმოჩნდებოდნენ, თუ რა იყო ეს დეკრეტები და რა მიზანს ისახავდნენ ისინი, ახლავე მოგახსენებთ.

11. მამულთა პატრონებს, იმის მიხედვით, თუ რამდენი ჰქონდა ხარკი შეწერილი, აიძულებდნენ რომაელთა სახელმწიფო ჭარის შენახვას, ამასთან, გადასახადის ნორმის მიღებისას იმდროინდელ პი-

რობებს კი არ ითვალისწინებდნენ, არამედ იმას, თუ რამდენის მიღება შეიძლებოდა მათგან საერთოდ და რა რაოდენობის მიღება იყო დაწესებული, თან არავის ეკითხებოდნენ, შეეძლო თუ არა დადგენილი რაოდენობის გადახდა. 12. და ეს უბედურებიც იძულებულნი იყვნენ ჯარისკაცებისა და მათი ცხენებისათვის მიეწოდებინათ დადგენილი საკვები, რომელსაც უმეტეს შემთხვევაში ძალზე შორეულ მხარეებში დიდ ფასად ყიდულობდნენ, შემდეგ ჯარის განლაგების ადგილას ჩაჰქონდათ და სამხედრო მეურნეობას აბარებდნენ, არა ყოველი ადამიანისათვის განკუთვნილ ფასად, არამედ როგორც სამხედრო მეურნეობა მოისურვებდა. 13. ასეთი იყო ის წესი, რომელსაც სინონე ეწოდებოდა და ამგვარად მამულთა მფლობელებს უქანასკნელ სახსარს ართმევდნენ. 14. ამდენად, ისინი დადგენილ ხარკზე ათჯერ მეტს იხდიდნენ, რადგან, როგორც ზევით აღვნიშნე, ჯარის გამოკვების გარდა, მათ, ესოდენ ჭირგამოვლილთ, ევალებოდათ ბიზანტიონიც მოემარაგებინათ პური. ამ უსამართლობასა და უქანონობას მარტო ის კი არ სჩადიოდა, ვისაც ბარსიმეს უწოდებდნენ, მანამდეც ასევე იქცეოდა იოანე კაპადოკიელი და მოგვიანებით ისინიც, ვინც ბარსიმესაგან მიიღო ეს მაღალი თანამდებობა.

15. ასეთი იყო „სინონე“ — პურის შესყიდვის საქმე. „ეპიბოლე“ კი გაუთვალისწინებელი უბედურება იყო, მოულოდნელად რომ თავს დაატყდათ მამულთა მფლობელებს და სიცოცხლის უქანასკნელი იმედი წარტაცა. 16. დაცარიელებულ ან მითრევებულ მამულებზე შეწერილი ხარკი, იმ მამულებისა, რომელთა პატრონებიც ან მიწათმფლობელებიც დაიღუპნენ ან მიეტოვებინათ და თავს დატეხილ უბედურებათა გამო სადღაც იმალებოდნენ, ის ხარკი მმართველებმა არ მიიჩნიეს შეუფერებლად, სხვებისთვის მიეწერათ, იმათთვის, ვინც ჯერ კიდევ არ იყო საბოლოოდ გადატაკებული.

17. აი, რას ნიშნავს სიტყვა „ეპიბოლე“, რომელიც, თავისთავად ცხადია, სწორედ ამ დროს იყო განსაკუთრებით გავრცელებული. „დიავრაფე“ კი, მოკლედ რომ ვთქვათ და ამაზე ყურადღება არ გავამახვილოთ, აი, რასაც წარმოადგენდა. 18. აუცილებლობა ითხოვდა, განსაკუთრებით ამ მძიმე დროს, ქალაქებისთვის დიდი გადასახადი მიეწერათ. გადასახადის პირობებზე და მათი გადახდის წესებზე ახლა ყურადღებას არ შევაჩერებ, რომ ჩემი მონათხრობი უსასრულოდ არ გაგრძელდეს. 19. ამ თანხას მემამულეები იხდიდნენ, პროპორციულად ემატებოდა რა ყოველ მათგანზე დაკისრებულ ხარკს. 20. მაგრამ ამით არ მთავრდებოდა მათი უბედურება. შავი ჭირი, რომელმაც დედამიწის დიდი ნაწილი მოიცვა, რომის სახელმწიფოშიც შეიჭრა და მრავალი მიწათმფლობელი გამოასალმა წუთისოფელს. ამიტომ, ბუნებრივია, მამულები ცარიელდებოდა, მაგრამ იუსტინიანეს არ მო-

ლობა გული. 21. ყოველწლიურად ახდევინებდა ხარკს. მსბოლოდ იმას კი არა, რისი გადახდაც ეკუთვნოდათ, არამედ დაღუპულ მეზობელთა წილსაც. 22. თან მრავლად სხვა გადასახადსაც იხდიდნენ. ამაზე ადრეც მოგახსენეთ. რაც უფრო ამაიშებდა საქმის ვითარებას. გარდა ამისა, ისინი ემსახურებოდნენ საუკეთესო შენობებში მოთავსებულ ჯარსკაცებს. თვითონ კი ყველაზე ცუდ და შიშველებულ ბინებში უნდა ეცხოვრათ.

23. ყოველივე შვავისის ატანა უხდებოდა ხალხს იუსტინიანესა და თეოდორას მმართველობის დროს, რადგან არც ომი და არც სხვა უბედურებანი ამ ხნის მანძილზე არ წყდებოდა. 24. და რაკი სახლები ვახსენე. დუმილით გვერდს ვერ ავუვლი იმასაც, რომ ბიზანტიონში სახლების მფლობელები ვალდებულნი იყვნენ თავიანთ ბინებში შეესახლებინათ ზარბაზნოები, რომელთა რაოდენობა აქ 70.000 აღემატებოდა. აღარაფერს ვიტყვი იმის შესახებ, რომ თვითონ არ შეეძლოთ ესარგებლათ თავიანთი საკუთრების სიკეთითა და შემოსავლით, მათ სხვა მრავალი უსიამოვნებაც ხვდებოდათ.

XXIV. 1. ცხადია, ისიც აღსანიშნავია, რაც იუსტინიანემ იმ ჯარისკაცების მიმართ ჩაიდინა, რომელთა მეთაურებადაც ყველაზე გარეწარი ხალხი დანიშნა, უბრძანა, შეძლებისდაგვარად მეტი ფული შეეკრიფათ, თან მეთაურებმა იცოდნენ, რომ ფულის მეთორმეტე დი ნაწილი მათ დარჩებოდათ, ამ ხალხს ლოგოთეტებს უწოდებდნენ. 2. ისინი ყოველ წელს ერთსა და იმავე მეთოდს იყენებდნენ. კანონით და ადამ-წესით დადგენილი იყო, რომ სამხედრო ხელფასი ყველას ერთნაირად არ მიეღოთ, ახალგაზრდა ჯარისკაცებს, ახალხანს რომ დაიწყეს ლაშქრობები, ხელფასი დაბალი ჰქონდათ, გამოცდილებს, საშუალო ასაკის ხალხს — უფრო მაღალი ხელფასი ეძლეოდათ. 3. ხნიერი ჯარისკაცებისა და ჯარიდან წასული მებრძოლებისათვის კი მაღალი ხელფასი იყო გათვალისწინებული, რათა შემდგომში დამოუკიდებლად ცხოვრებისას, თავის სარჩენად საკმარისი თანხა ჰქონოდათ და აღსასრულის შემდეგ კი შეძლებოდათ ოჯახისთვისაც გარკვეული რაოდენობა დაეტოვებინათ. 4. ამგვარად, დაბალხელფასიან მეომრებს წოდებას უმატებდნენ და დაღუპულთა თუ სამხედრო სამსახურიდან განათავისუფლებულთა ადგილას აყენებდნენ, რათა მეტი ხელფასი მიეღოთ სახელმწიფო ხაზინიდან. 5. მაგრამ ევრეთ წოდებული ლოგოთეტები დაღუპულებს სიიდან არ აშლევინებდნენ, თუმცა მათი რიცხვი საკმაოდ დიდი იყო, რადგან ომი უსასრულოდ მიმდინარეობდა. ამას გარდა, წლების მანძილზე ახალ ჯარისკაცებს არ ღებულობდნენ. 6. ამიტომ სახელმწიფოში ჯარისკაცთა რიცხვი საგრძნობლად იკლებდა, ხოლო მათ, ვისაც კარგა ხნის წინათ დაღუპული ჯარისკაცებ-

საშუალებას უსწობდნენ სიაჴი წინ წაეწიათ. თავიანთი დამსახურებების მიუხედავად, ისევ დაბალი წოდება ჰქონდათ და იმაზე ნაკლებ ხელფასს იღებდნენ, ვიდრე ეკუთვნოდათ. ამ ლოგოთეტთა წყალობით, ჯარისკაცთათვის მისაცემი ფული იუსტინიანეს ემატებოდა. 7. ისინი ჯარისკაცებს სხვა საშუალებებითაც ტანჯავდნენ, ვარდა იმ ტანჯვისა, რასაც მათ სამსახური აყენებდა. ზოგიერთებს ცილს სწამებდნენ. თითქოს ბერძნები იყვნენ, რატომღაც დადგენილი იყო, რომ ელინებს არ შეეძლოთ ვაჟკაციური და პატიოსანი ხალხი ყოფილიყვნენ. სხვენს აბრალებდნენ, თითქოს ბასილევსის თანხმობის გარეშე მსახურობდნენ ჯარში, მიუხედავად იმისა, რომ ჯარისკაცები წარმოადგენდნენ ხოლმე ბასილევსის მიერ ხელმოწერილ ქაღალდს, ლოგოთეტები მაინც უმტკიცებდნენ, თითქოს ქაღალდი ყალბი იყო. ზოგიერთებს კი აბრალებდნენ, თითქოს რამდენიმე დღით მიეტოვებინოთ თავიანთი ამხანაგები. 8. ამის გარდა, ზოგიერთებით, სასახლის მცველთა უმრავლესობა მთელ რომაელთა სახელმწიფოში დაგზავნეს, ცხადია. იმ მიზეზით, რომ მუდმივი ჯარი შეემოწმებინათ და გამოეაშკარავენინათ, ვინ იყო სავსებით გამოუსადეგარი სამხედრო სამსახურისათვის, ზოგიერთებს ასაკის ან სხვა რაიმე მიზეზის გამო დაწუნებულებს, ისინი ქამარს ხსნიდნენ და ჯარიდან ანთავისუფლებდნენ. შემდგომში ეს უბედურები პურის ფულისთვის მოედნებზე მათხოვრობდნენ და ძმრავალი კეთილშობილი ადამიანის გულში სიბრალულს იწვევდნენ. სხვები კი, ასეთი უბედურების თავიდან ასაცილებლად, დიდ თანხას იხდიდნენ. ამგვარად, ჯარისკაცები, რომელთაც სისხლი გამოსწოვეს და ძალა გამოაცალეს, მათხოვრულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ და ცხადია, მათ აღარც ბრძოლის სურვილი ჰქონდათ. 9. ამიტომ რომაელებს იტალიაში საქმე უკუღმა წაუვიდათ. იტალიაში გაგზავნილი ლოგოთეტი ალექსანდრე¹, ყოვლად უსირცხვილოდ ჩაგრავდა ჯარისკაცებს, იტალიელებსაც ხარკს ახდევინებდა, თითქოს იმის სასჯელად, რომ მათ თევდერიქოსი და გუთები შეიწყალეს. 10. მარტო ჩვეულებრივი ჯარისკაცები კი არ იყვნენ მათხოვრობამდე მისული და ლოგოთეტების წყალობით უკიდურესად ტანჯულნი, არამედ თვით სახელგანთქმული მხედართმთავრებიც, რომელნიც სიდატაკისა და შიმშილისთვის იყვნენ განწირულნი. 11. მათ აღარც ფული ჰქონდათ, აღარც ფულის შოვნის საშუალება.

12. რაკი ჩემს მოთხრობაში ჯარისკაცებზე მომიწია ლაპარაკი, ერთსაც დაეძენ. ადრეულ ხანაში რომაელთა ბასილევსები სახელმწიფოს განაპირა ადგილებში დიდძალ ჯარს ინახავდნენ საზღვრების დასაცავად, განსაკუთრებით აღმოსავლეთით, საიდანაც სპარსელებისა და სარკინოზების შემოსევებს იგერიებდნენ. ეს ჯარი ასევე იწოდებოდა — „სასახლგრო“. 13. მათ ბასილევსი იუსტინიანე თავიდანვე

ისე უყურადღებოდ და აგდებით მოეკიდა, რომ ის ხალხი, ვისაც შათთვის ხელფასი უნდა გადაეხადა, ოთხი-ხუთი წლით უგვიანებდნენ ფულს. რომაელებსა და სპარსელებს შორის მშვიდობის დამყარების შემდეგ, ეს უბედურები, თითქოს თვითონაც ისარგებლებდნენ მშვიდობის სიკეთით, იძულებულნი გახდნენ უარი ეთქვათ ამდენი ხნის გადაუხდელ ხელფასზე და მთელი თანხა სახელმწიფო ხაზინას გადასცეს. მოგვიანებით კი, ჭარის ამ ნაწილის დასახელებაც გაქრა. 14. ამგვარად, რომაელთა სახელმწიფოს საზღვრები დაუცველი დარჩა, ჭარისკაცებს კი ხელში უნდა ეცქირათ იმათთვის, ვინც, ჩვეულებისამებრ, მოწყალებას მოიღებდა და მათ დაეხმარებოდა.

15. დანარჩენი ჭარისკაცები, არანაკლებ 3500 კაცისა, თავიდანვე სასახლის მკველებად დანიშნეს. მათ სქოლარიოსებს უწოდებდნენ. 16. ადრეულ ხანაში ისინი სახელმწიფო ხაზინიდან სხვებთან შედარებით, დიდ ხელფასს იღებდნენ. ადრინდელი ბასილევსები დამსახურების მიხედვით ირჩევდნენ მათ არმენიელთაგან და ამ მაღალ თანამდებობაზე აყენებდნენ. 17. მაგრამ იმ დროიდან, რაც ბასილევსის წოდება ზენონმა მიიღო, ყველას, მხდალებსა და ბრძოლებში გამოუცდელ ყმაწვილებსაც კი ჰქონდათ უფლება ამ გვარდიაში 'მესულიყვნენ. 18. დროთა განმავლობაში, თუკი დანიშნულ თანხას გადაიხდიდნენ, მონებსაც კი შეეძლოთ ამ სამხედრო წოდების ყიდვა. როცა ბასილევსი იუსტინე გახდა, იუსტინიანემ მრავალი ადამიანი დანიშნა ამ მაღალ თანამდებობაზე, ცხადია, დიდი თანხის საფასურად. 19. მოგვიანებით მან აღმოაჩინა, რომ სიაში ერთი თავისუფალი ადგილიც აღარ იყო და ადგილები დაამატა, მათი რიცხვი ორიათასამდე გაიზარდა და მათ „სათადარიგო“ უწოდა. 20. მაგრამ, როცა ბასილევსი გახდა, სასწრაფოდ დაითხოვა ეს სათადარიგოები და არც შეტანილი თანხა დაუბრუნა მათ.

21. სქოლარიოსებს კი სხვაგვარად გაუსწორდა. როცა ცნობილი ხდებოდა, რომ ჭარი ლივიაში, იტალიაში ან სპარსელთა წინააღმდეგ უნდა წასულიყო, სქოლარიოსებსაც თავშეყრას უბრძანებდნენ, ვითომდა ლაშქრობაში მონაწილეობის მისაღებად, თუმცა იუსტინიანემ იცოდა, რომ საბრძოლო საქმეში ისინი არაფრად ვარგოდნენ. ისინი კი, ლაშქრობიდან თავის დასაღწევად, გარკვეული ვადით უარს ამბობდნენ ხელფასზე. ასეთი ამბები სქლარიოსებს არაერთხელ განუცდათ. 22. პეტრე, როდესაც მაგისტროსის წოდებას ატარებდა, გამუდმებით ტანჯავდა მათ და ფულს სძალავდა. 23. მართალია, მეტისმეტად რბილი კაცის გარეგნობა ჰქონდა, უხეშადაც არავის მიმართავდა, მაგრამ ადამიანთა შორის უთაღლითესი იყო და ყველა სიბინძურის ჩამდენი. ეს პეტრე მე ადრეც მოვიხსენიე, როგორც თევდერიქოსის ქალიშვილის, ამალასუნთას სიკვდილის მონაწილე.

24. სასახლის კარზე სხვა უფრო მაღალი სამხედრო წოდებებიც არის. ამ თანამდებობებზე, ცხადია, უფრო მეტ ხელფასს იღებდნენ, რადგან თვით მათაც დიდი თანხა ჰქონდათ გადახდილი სამხედრო წოდების მისაღებად. ისინი დომესტიკოსებისა² და პროტიქტორების სახელს ატარებდნენ. ეს ადამიანები იმთავითვე სამხედრო საქმის უცოდინარნი იყვნენ. 25. ისინი სამეფო კარის სიებში მხოლოდ საზეიმო დარბაზობისა და საჩვენებელი გამოსვლებისთვის ირიცხებოდნენ. ზოგიერთები ბიზანტიონში ცხოვრობდნენ, ზოგიერთები — გალატების ოლქსა და სხვა ადგილებში. 26. იუსტინიანე მათაც აფრთხობდა ზემოხსენებული ხერხით და აიძულებდა უარი ეთქვათ კუთვნილ ხელფასზე. 27. ამგვარად, მოკლედ მოეპყრი, კანონი არსებობდა, რომლის მიხედვითაც ბასილევსს ჯარისკაცები ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ გარკვეული რაოდენობის ოქროთი უნდა დაეჯილდოებინა. 28. ყოველ ხუთ წელიწადში საგანგებოდ დაგზავნილი მოხელეები რომაელთა სახელმწიფოს ყოველ მეომარს ხუთ ოქროს სტატერს ურიგებდნენ. 29. შეუძლებელი იყო არ შესრულებულიყო ჩვეულებად ქცეული ეს წესი, მაგრამ იმ დღიდან, რაც ეს ადამიანი სახელმწიფოს მმართველი გახდა, ერთხელაც არ განუხორციელებია და არც აპირებდა ამ წესის განხორციელებას, თუმცა უკვე 32 წელი იყო გასული მისი გამეფებიდან, და ადამიანებსაც მიავიწყდათ ხსენებული ჩვეულება. 30. ახლა ქვეწევრომთა ძარცვის სხვა საშუალებებზე მოგითხრობთ, რომელიც მან მოიფიქრა. ბიზანტიონში ბასილევსთან სხვა განმგებლებთან მომსახურე ხალხს, სამხედროები არიან ისინი, გადამწერლები თუ სხვა თანამდებობის მატარებელნი, თავდაპირველად სიის ბოლოში წერდნენ, დროთა განმავლობაში კი თანდათან ემატებოდათ წოდება და დახოცილთა თუ სამსახურიდან წასულთა ადგილებს იკავებდნენ. ასე აღიოდა ყოველი მათგანი სამსახურებრივ კიბეზე და აღწევდა უმაღლეს საფეხურს, თავისი ღირსეული სამსახურის საზღვარს. 31. და აი, ამ მაღალ თანამდებობებზე მიღწეულთ, იმთავითვე ყოველწლიურად დაახლოებით ას კენტენარიონ ოქროს უხდიდნენ. ეს უზრუნველყოფდა მათ სიბერეს და მათთან ერთად სხვებიც მრავალ სარგებელს ხედავდნენ აქედან. სახელმწიფოს საქმეებიც სრულიად მოწესრიგებული იყო. 32. მაგრამ ამ ბასილევსმა ყველას ყველაფერი წაართვა და უზარმაზარი უბედურება მოუტანა ხალხს. მათზე დამტყდარი სიღარიბე სხვებზე გავრცელდა, იმათზეც, ვინც ადრე ამ ხალხის საკეთილდღეოდ იღვაწა. 33. და თუკი ვინმე დაითვლის ოცდათორმეტი წლის განმავლობაში წართმეულ თანხას, გასაგები გახდება, რა რაოდენობის თანხა მიითვისა იუსტინიანემ.

X XV. 1. ასე მოექცა ეს ტირანი ჯარისკაცებს. ხოლო როგორ მოექცა ვაჭრებს, მეზღვაურებს, ხელოსნებსა და ბაზრის მოვაჭრეებს,

მათი საშუალებით კი, საერთოდ მთელ ხალხს, ახლავე მოგახსენებთ. 2. ბიზანტიონის ორივე მხარეს ორა ყურე არსებობს, ერთი — ჰელესპონტის, სისტოსსა და აბიდოსს შორის; მეორე — ეგრეთწოდებულა ექსინის პონტოს შესართავთან, სადაც ცნობილი ტაძარი დგას. 3. ჰელესპონტის ყურეში სახელმწიფო საბაჟო არ იყო, აბიდოსში კი ბასილევსის მიერ დანიშნული უფროსი იმყოფებოდა, რათა თვალყური ედევნებინა ბიზანტიონში შემოსული; იარაღით დატვირთული გემები ბასილევსის ნებართვის გარეშე არ გაეტარებინათ, ან ბიზანტიონიდან პასუხისმგებელი პირის მიერ ხელმოწერილი ქაღალდის გარეშე არავინ გასულიყო ღია ზღვაში. ბიზანტიონიდან გამგზავრება ყველას ეკრძალებოდა, თუკი ეგრეთწოდებულ მავისტროსის მოადგილისაგან არ მიიღებდნენ ქაღალდს. ის ახდევინებდა გემის მფლობელებს გადასახადს, რომელიც იმდენად მცირე იყო, აღნიშვნის ღირსადაც რომ არ ღირს, ეს მოხელე კი გარკვეულ ანაზღაურებას იღებდა თავისი შრომის საფასურად. 4. ხოლო იმას, ვინც მეორე ყურეს დარაჯობდა, ბასილევსი უხდიდა საკმაოდ დიდ თანხას და ავალებდა გულმოდგინედ შემოწმებინა გემები და ტვირთი, რათა ექსინის პონტოს ნაპირებთან დასახლებულ ბარბაროსებს რომაელთა მიწაწყლიდან რაიმე აკრძალული ხელთ არ ჩავარდნოდათ. ამ მოხელეს ეკრძალებოდა რაიმე აედო მეზღვაურთაგან. 5. მაგრამ იუსტინიანეს გამეფების შემდეგ ორივე ყურესთან საბაჟო დაწესდა, იქ ორი მოხელე იყო გაგზავნილი, რომელთაც გარკვეული რაოდენობის ხელფასი ეძლეოდათ და ევალებოდათ, ყოველგვარი ხერხით წაერთმიათ მეზღვაურებისათვის რაც შეიძლებოდა დიდი თანხა. 6. ეს მოხელეები, ბასილევსისთვის ერთგულების დასამტკიცებლად, ლამის პოელი ტვირთის საფასურს ახდევინებდნენ მეზღვაურებს და მხოლოდ ამის შემდეგ უშვებდნენ ზღვაში.

7. აი, რა ხდებოდა ორივე ყურეში. ბიზანტიონში კი იუსტინიანემ შემდეგ ხრიკს მიმართა: საქმის სათავეში თავისი ერთ-ერთი ახლობელი კაცი დააყენა, სახელად ადემოსი, რომელიც წარმოშობით სირიელი იყო, და უბრძანა ყველანაირი გამორჩენა ენახა ბიზანტიონში შემოსული გემებიდან. 8. და ისიც მხოლოდ მას შემდეგ უშვებდა ბიზანტიონის ნავსადგურში გემებს, როცა მეზღვაურები მათსავე გემზე მოთავსებული ტვირთის თანხას გადაუხდიდნენ, თუ არა და ლივიაში ან იტალიაში გზავნიდა. 9. ზოგიერთი მათგანი, რომელთაც აღარ სურდათ უკანა გზაზე ახალი ტვირთის ტარება და არც საზღვაოსნო საქმიანობის გაგრძელება, იქვე წვედნენ თავიანთ გემებს და კმაყოფილნი, უკან ბრუნდებოდნენ. 10. ხოლო ისინი, ვინც იძულებული იყო ამ გზით ეშოვნა ლუკმა-პური, კვლავ განაგრძობდნენ ტვირთის შემოტანას, ოღონდ სამმაგ თანხას ახდევინებდნენ იმ ვაჭ-

რებს, ვინც მათ ტვირთის გადასატანად ჭირაობდა. ხოლო ისინი, თავის ზხრივ, ამ დანაკლისს საქონლის გაყიდვისას ინაწლავებდნენ. აგვარად, რომაელ ხალხს ყოველი მხრიდან შემოილით სიკვდილი მოელოდა.

11. ასეთი იყო სახელმწიფოში ვაჭრობის საქმე, ხოლო რაც ამ ბასილევებმა ფულის გაცვლასთან დაკავშირებით ჩაიდინეს. ესეც, ვგონებ, აუცილებლად უნდა მოვისხენიოთ. 12. ადრე, ჩვეულებრივ, მეკერძეები ერთ ოქროს სტატერში მის შესაბამის 210 ობოლს იხდიდნენ, რომელსაც ისინი „ფოლებს“ უწოდებდნენ. იუსტინიანემ და თეოდორამ საკუთარი ხაზინის გასამდიდრებლად დაადგინეს: სტატერის³ სანაცვლოდ 180 ობოლი გადაეხადათ. ამით ყოველი ოქროს სტატერიდან მათ მეშვიდედი ნაწილი მიითვისეს... ყველა აღამიანსაგან.

13. მათ საქონელზე ე. წ. მონოპოლიები შემოიღეს და მყიდველებს აიძულებდნენ, მათ მიერ დადგენილ ფასად ეყიდათ. მათ მხოლოდ ტანსაცმელს არ დაადეს მონოპოლია. თუმცა აქაც მოიგონეს გამოსარჩენი. 14. აბრეშუმის ტანსაცმელს ოდითგან ფინიკიის ორ ქალაქში ამზადებდნენ: ბერიტოსში⁴ და ტიროსში. ამ საქონლით მოვაჭრენი, მათი წარმომადგენელი და ხელოსნები ოდითგან ამ ქალაქებში ცხოვრობდნენ და საქონელს მსოფლიოს ყოველ მხარეს გზავნიდნენ. 16. იუსტინიანეს მმართველობის უანს საქმის მწარმოებლებმა ბიზანტიონსა და სხვა ქალაქებში საქონელზე ფასი გაზარდეს, იმ მიზეზით, რომ ადრინდელთან შედარებით სპარსელებმა ნედლეული გააძვირეს, რომაელებმა კი საბაჟო გადასახადი. ამის გამო ვითომდა დამწუხრებულმა ბასილევსმა ბრძანება გამოსცა, რომ ლიტრა აბრეშუმის ფასი რვა ოქროზე მეტი არ ყოფილიყო. 17. ვინც ამ კანონს დაარღვევდა, სასჯელი და საქონლის კონფისკაცია ელოდა. საქონლით მოვაჭრეებს კანონი სრულიად გამოუვალ მდგომარეობაში აყენებდა. ვაჭრები, რომელთაც ეს საქონელი დიდ ფასად ჰქონდათ ნაყიდი, ვერ გაყიდდნენ დაბალ ფასად. 18. ამიტომ შეუძლებლად თვლიდნენ სარფიანად ვაჭრობის გაგრძელებას, მაგრამ თანდათან, დაფარულად დაიწყეს საქონლის გაყიდვა, ცხადია, მხოლოდ ნაცნობებს ენდობოდნენ, რომელთაც კარგი ჩაცმა უყვარდათ, ანდა იმათ. ვისთვისაც ამა თუ იმ მიზეზთა გამო აუცილებელი იყო ტანსაცმლის შექმნა. 19. დედოფალმა ამის შესახებ თავისი ჯაშუშებისგან შეიტყო და გამოუძიებლად ჩამოართვა ვაჭრებს მთელი საქონელი, თან ოქროს კენტენარიონიც გადაახდევინა ჭარიმად. ამ საქმეს რომაელთა მიწაზე სათავეში ედგა ბასილევსის საგანგებო მცველი. 20. მათ პეტრე, ზედმეტსახელად ბარსიმე, დანიშნეს ამ თანამდებობაზე და მოკლე ხანში უფლება მიანი-

ქვეს უღმერთო საქციელი ჩაედინა. 21. სხვებისთვის ის უცილობლად მიიჩნევდა კანონის უმკაცრეს დაცვას, თვითონ კი, ამ საქმეში დახელოვნებული. თავის საწარმოში ამუშაებდა და დაუფარავად, მოედანზე ექვს ოქროდ ყიდდა სხვადასხვაფრად შეღებილ ერთ უნცია აბრეშუმს. ხოლო სამედო საღებავით შეღებილ ქსოვილს, რომელსაც „ოლობერი“ ერქვა — 24 ოქროდ. 22. ამ გზით მან ბასილევსისათვის საკმარის დიდი თანხა მოიგო და თვითონაც, მის სახელს ამოფარებულნი, უზარმაზარ ფულს იპარავდა. ამ დროიდან აღარ შეცვლილა დადგენილი სისტემა. 23. რადგან აქამდე ის რჩება საქონლის ერთადერთი მომწოდებელიც და გამყიდველიც. 24. ის ვაჭრები, რომელთაც ადრე ბიზანტიონსა და სხვა ქალაქებში ზღვითა თუ ხმელეთით შემოჰქონოდათ საქონელი, ცხადია, გრძობდნენ, რა მძიმე შედეგები მოჰყვა ამ კანონს. 25. ხოლო ქალაქებში, რომლებიც ადრე ვახსენე, უბრალო ხალხი ერთიანად გადატყდა. ხელოსნებს შიმშილით სიკვდილის თავიდან ასაცილებლად ისლა დარჩენოდათ, მოწყალება ეთხოვათ. მრავალმა ადამიანმა იმავე მიზეზით მოქალაქეობა შეიცვალა და სპარსეთში გაიქცა საცხოვრებლად. 26. და მხოლოდ ბასილევსის განძეულის მცველი, რომელიც ხელსაყრელად ყიდდა ამ საქონელს, შემოსავლის ნაწილს ბასილევსს აძლევდა, უმეტესს თვითონ ითვისებდა და სხვისი უბედურებით მდიდრდებოდა. მაგრამ სჯობს შევწყვიტოთ ამის შესახებ.

XXVI. 1. თუ როგორ შეძლო მან ბიზანტიონსა და დანარჩენ ქალაქებში მოესპო ყოველივე, რაც სახელმწიფოს დიდებას წარმოადგენდა, ახლავე მოგახსენებთ. 2. უპირველესად, მან გადაწყვიტა გაეუქმებინა ვეჟილ-რიტორთა საპატიო წოდება. ჩამოართვა მათ ჰონორარის აღების უფლება. თუკი ადრე, დასაცავი სიტყვებით გამოსვლისას ისინი ფულად საჩუქარს იღებდნენ, ხელგაშლით შეეძლოთ ცხოვრება, ბასილევსის ბრძანებით, ამიერიდან ორივე მხარეს დაეფიცა და იმ ხნიდან დამამცირებელ მდგომარეობაში ჩაყენებულ მოხელეებს (ვეჟილებს) საქმე ცუდად წაუვიდათ. 3. როგორც ადრე აღვნიშნე, როცა მან ქონება ჩამოართვა სენატის წევრებსა და ყველა დანარჩენს, ვინც კი ბიზანტიონსა და საერთოდ, მთელ რომაელთა სახელმწიფოში მდიდრად ითვლებოდა, ვეჟილებს, ისლა რჩებოდათ, გულზე ხელდაკრეფილი მსხდარიყვენენ, 4. რადგან მდიდრებს აღარაფერი დარჩენოდათ ღირებული, რის გამოც ერთმანეთთან დავა შეიძლებოდა. ამდენად, მრავალრიცხოვან ვეჟილთა რაოდენობამ იკლო და ყველგან თავისი წოდებისთვის ერთობ დამამცირებელ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. ცხადია, ყველანი უკიდურეს გაჭირვებას განიცდიდნენ და მხოლოდ დაცინვასა და შეურაცხყოფას იღებდნენ.

5. მან ისე მოაწყო საქმე, რომ დიდ გაჭირვებას განიცდიდნენ ექიმები და თავისუფალ მეცნიერებათა მოძღვარნიც, ხოლო ის თანხა, რომელსაც ადრინდელი ხელმწიფეები სახელმწიფო ხაზინიდან უზღიდნენ ამ ადამიანებს, იუსტინიანემ გააუქმა. 6. უფრო მეტიც, მთელი თანხები, რომელსაც მოქალაქენი აგროვებდნენ საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ან თავიანთ სახლებში სასცენო წარმოდგენების მოსაწყობად, მან დაუბრკოლებლად მიათვალა სახელმწიფო ხარკს! 7. იმ დროიდან ყურადღებას აღარავინ აქცევდა ექიმებსა და მასწავლებლებს. უკვე აღარავის შეეძლო მოსახლეობის კეთილდღეობაზე ეზრუნა, არც სახელმწიფოს ხარჯზე ანათებდნენ ქალაქებს და არც გასართობი იყო მოქალაქეთათვის. 8. თეატრალური წარმოდგენები, დოდი, ნადირობა თითქმის აიკრძალა, მიუხედავად იმისა, რომ ბასილევსის მეუღლე აქ დაიბადა, აღიზარდა და გამოიწროთ. 9. მოგვიანებით, ხაზინიდან ფული რომ არ გასულიყო, მისი ბრძანებით ამგვარი წარმოდგენები ბიზანტიონშიც აიკრძალა, თუმცა ამ წარმოდგენების წყალობით უამრავი ხალხი შოულობდა პურის ფულს. 10. პირად და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მხოლოდ ნაღველი და უსასოება სუფევდა, თითქოს ციდან დასტეხოდა ხალხს მეხი და ყოველი კაცის ცხოვრება უსიხარულო გამხდარიყო. 11. შინ თუ ბაზარსა და ტაძრებში შეხვედრისას, ადამიანები მხოლოდ იმაზელა ლაპარაკობდნენ რა უბედურება და სატანჯველი სჭირდათ, რაოდენ უსაზღვრო იყო ჭერ არნახული უბედურება.

12. ასეთი მდგომარეობა სუფევდა ქალაქში. ახლა კი იმას გაუწყებთ. რასაც ჭერ არ შეეხებივარ ჩემს მოთხრობაში. ყოველწლიურად რომეღათა სახელმწიფოში ორ იპატოსს ირჩევდნენ: ერთს — რომში, მეორეს — ბიზანტიონში. 13. ამ მაღალ თანამდებობაზე დანიშნული ადამიანი ვალდებული იყო თანამდებობის აღსრულების ეამს სახელმწიფოს საჭიროებისათვის ათ კენტენარიონ ოქროზე მეტი დაეხარჯა. ამ თანხის უმცირეს ნაწილს იგი საკუთარი სახსრებიდან გაიღებდა, უმეტესი ნაწილი კი — ბასილევსის ქონებიდან იყო აღებული. 14. ეს თანხა, როგორც აღვნიშნე, ადამიანთა დასახმარებლად გამოიყენებოდა, უმეტესად კი, იმათ დასახმარებლად, ვინც უსახსრობით გაჭირვებას განიცდიდა, და ვინც სცენასთან იყო საქმით დაკავშირებული. ამის წყალობით ქალაქს მუდამ ჰქონდა ეკონომიკური მხარდაჭერა. 15. მაგრამ იუსტინიანეს გამეფების შემდეგ, ეს დახმარება დროულად აღარ გაიცემოდა. ჭერ იყო და რომის იპატოსი ძალზე დიდხანს დარჩა თავის ადგილას, ბოლოს და ბოლოს კი აღარ ფიქრობდნენ ახალ არჩევნებზე. ამიტომ ხალხი იძულებული გახდა სიღარიბეში გაეტარებინა უსიხარულო ცხოვრება, რადგან ბასილევსი უკვე აღარ აძლევდა თავის ხელქვეითებს დახმარებას, პირიქით, თუკი რაიღე

ჯაჩნდათ. იმასაც ყოველი საშუალებებით ართმევდა. 16. თუ როგორ შე'ლო ამ გაუზღაპარმა ურჩხულმა მთელი სახელმწიფოს ქონება გადაეჯღაპა. შემდეგ კი სენატის წევრებისთვის, ყველასთვის ერთად და ცალ-ცალკე ჩამოართმია მამულები და ქონება, ვგონებ, უკვე გა-უწყეთ. 17. საკმარისად მოვითხრეთ იმაზეც, დასმენებისა და დაბე-ღებების გზით, როგორ გაპარცვა მდიდარი მოქალაქენი, ესენი იყვნენ ჯარისკაცები, საჯანმგებლოთა მოსამსახურენი, სასახლის მცველები. შიწათმოქმედნი — კოლონები და მემამულეები, სიტყვის მსახურები, ისინი. ვინც თავის ხელობად მეცნიერებანი აირჩია, აგრეთვე ვაჭრე-ბიც, გემთმფლობელები და მეზღვაურები, ხელოსნები, ბაზრის მოვა-ჭრენი და ისინი, ვისაც საარსებო წყაროდ სცენა გაეხადა, თითქმის არ არსებობდა ადამიანი, ვისაც იუსტინიანეს ბრძანებით რაიმე უბე-ღურება არ დასტეხოდა თავს.

18. როგორ მოექცა მათხოვრებს, ამ უბედურ და არაფრისმქონე ხალხს, ისედაც უზომო გაჭირვებასა და დამცირებაში რომ იმყოფებო-დნენ, ახლაც მოგახსენებთ. ხოლო ის, რაც ეკლესიის მსახურთ და-მართა, შემდგომ გაუწყებთ. 19. უპირველესად, როგორც გიოხარით, ფარდულები ჩაიგდო ხელში და პირველი აუცილებლობის საქონელსე თავისი მონოპოლია დააწესა, სამმაგ ფასზე მეტის გადახდა მოით-ხოვა მოქალაქეთაგან. 20. მონოპოლიებთან დაკავშირებული იმ უთვალავი უსამართლობის აღწერა თავს რომ მედო, მაშინაც ვერ გავებედავდი, უსასრულოდ გრძელი მოთხრობა რომ მქონდეს დასა-წერი. მაგრამ ყველაზე მწარე ის იყო, რომ პურის მყიდველთ ძარ-ცკავდა, ხოლო უპუროდ დარჩენა არ შეეძლოთ არც ხელოსნებს, არც იმ ადამიანებს, რომელნიც უკიდურეს სიღარიბეში იმყოფებოდნენ. 21. ბასილევს არ ეთაკილებოდა და ამ გზით ყოველწლიურად საქ-კენტენარიონ ოქროს შოულობდა. პური კი გაძვირდა და ნაცრით იყო სავსე. ანგარებით აღძრული, არც აქ მოერიდა უღვთო საქმის ჩადე-ნას. 22. ამითვე სარგებლობდნენ ისინიც, ვისაც ეს საქმე, პურის წახდენა ევალებოდა, ძალზე მოხერხებულად ისქელებდნენ ქისას და დიდძალ ქონებას აგროვებდნენ. ყველაზე მოსავლიან წლებშიც კი ისინი, ყველასათვის მოულოდნელად, ადამიანთა ხელით იწვევდნენ 'ნიმშილობას უქონელთათვის, რადგან ვაჭრებს ეკრძალებოდათ ხორბ-ლის შემოტანა და ყველა იძულებული იყო ნაყიდი პური ეჭამა.

23. თუმცა იუსტინიანე და თეოდორა ხედავდნენ, რომ ქალაქის წყალგაყვანილობა ჩაინგრა² და მხოლოდ წყლის უმნიშვნელო ნაწილს აწვდიდა მოქალაქეებს, თავს მაინც არ იწუხებდნენ, რომ წყალსადე-ნი შეეკეთებინათ, წყალსაცავებთან კი ხალხი ლამის ერთმანეთს ხო-ცავდა, ყველა აბანო დაკეტილი იყო. ამავე დროს, უთვალავი თანხა

იხარჯებოდა საზღვაო და სხვა უგუნურ მშენებლობებზე. ქალაქარეთ მამულებში დიდებულ სასახლეებს აგებდნენ, თითქოს ის სასახლეები არ ჰყოფნიდათ, ადრინდელ ხელმწიფეებს რომ უყვარდათ ცხოვრება. 24. ფულის დასაზოგად კი არ მიატოვა მან წყალგაყვანილობა, არამედ ადამიანთა დასალუპად. ჯერ არავის ასე უსინდისოდ არ მიუთვასებია სხვათა ჭონება და როგორც მას სამარცხვინო საქიროებებისთვის არ დაუხარჯავს. 25. უკიდურეს გაჭირვებასა და სიღარიბეში ჩაცვნილი ხალხის ერთადერთი საკვები და სასმელი, სახელდობრ, პური და წყალი, ბასილევსმა, როგორც აღვნიშნე, თავის გასამდიდრებლად გამოიყენა, ხალხს წყალი არ ჰყოფნიდა, პური კი საგრძობლად გააძვირა.

26. და არა მარტო ბიზანტიონში გაიმეტა ასე ლატაკები, არამედ სხვა ადგილას მცხოვრებნიც. ახლა სწორედ მათზე მოგახსენებთ. 27. იტალიის დაპყრობის შემდეგ, თევდერიქოსმა იქ ის მოხელენი დატოვა, ვინც რომის სასახლის კარზე სამხედრო წოდებას ატარებდა. ამით ეწადა ძველი სახელმწიფოებრივი მმართველობის ნაწილი და ეტოვებინა, თან ყოველ მათგანს ყოველდღიური ხელფასი დაუნიშნა. ასეთი ხალხი ბევრი იყო. 28. მათ შორის იყვნენ ეგრეთ წოდებული სილენციარიოსები, დომესტიკოსები, სქოლარიოსები, რომელთაც მხოლოდ ეს სამხედრო წოდება და ხელფასილა დარჩენოდათ, ძლივს რომ ჰყოფნიდათ საარსებოდ. თევდერიქოსმა ბრძანა, მათი ხელფასი მათ შეილესა და შთამომავლებს გადასცემოდა. 29. ხოლო მოციქულ პეტრეს ტაძართან მცხოვრებ ლატაკებს მან ყოველწლიურად 3000 შედიმნი პური დაუნიშნა სახელმწიფოს ხარჯებიდან. ერთთაც და მეორეთაც მანამ უხდიდნენ ამ თანხას, ვიდრე იტალიაში ალექსანდრე ფსალიდიოსი არ ჩავიდა. 30. ამ კაცმა უყოყმანოდ გააუქმა ყველაფერი. როცა რომაელთა თვითმპყრობელმა იუსტინიანემ ეს ამბავი შეიტყო, სრულიად სამართლიანად მიიჩნია მისი მოქმედება და იმ ხნოდან უფრო მეტად აფასებდა ალექსანდრეს. ამავე მოგზაურობას დროს ალექსანდრე ელინებს შემდეგნაირად მოეცა:

31. ოდითგან თერმოპილეს გასასვლელს ამ მიწაზე მომუშავე შიწათმოქმედები იცავდნენ და როცა ბარბაროსების პელოპონესში შემოჭრა იყო მოსალოდნელი, რიგრიგობით გამოდიოდნენ აქ არსებულ კედელთან სადარაჯოდ. 32. აქ ჩამოსულმა ალექსანდრემ ისე დაიჭირა თავი, თითქოს ერთობ აწუხებდა პელოპონესის მცხოვრებთა ბედი და თქვა, რომ არ შეიძლებოდა ამ გასასვლელის დაცვა გლეხებისათვის მიენდოთ. 33. ამიტომ აქ ჭარისკაცების რაზმი ჩააყენა. დაახლოებით 2000 კაცი, და დაადგინა, რომ ჭარისკაცებს ხელფასი სახელმწიფო ხაზინიდან კი აღარ მიეღოთ. არამედ ღულრი. რომელიც განკუთვნილი იყო ელადის ქალაქების კეთილმოწყობისა და სასცე-

ნო საქართვებისათვის, ხაზინაში გადაერიცხათ და ამ თანხით შეენახათ ეს სამხედრო რაზმი, ამის შედეგად მთელს ელადაში, თვით ათენშიც კი აღარ ჰქონდათ შესაძლებლობა შენობები შეეკეთებინათ, ან რაიმე კეთილი საქმე ექმნათ. 34. იუსტინიანემ უყოყმანოდ დაამტკიცა ფსალიდიოსის დადგენილება.

35. აი, რა მოხდა მაშინ ელადაში. ახლა ალექსანდრიელ ლატაკებზე უნდა მოგიხროთ. იყო ვინმე ჰეფესტო, ვეჟილთა წოდების კაცი, რომელმაც მას შემდეგ, რაც ალექსანდრიის მმართველობა ხელთ იგდო, აჯანყება ჩააქრო. აჯანყებულნი დააშინა და საშინელზე საშინელი უბედურებანი მოაწია მცხოვრებლებს. 36. ვაჭრობა ქალაქში ეგრეთწოდებულ მონოპოლიად აქცია, ვაჭრებს უკრძალავდა საქმეს გაყოლოდნენ, ერთადერთ ვაჭრად თვითონ იქცა, თვითონ ყიდდა ყველა საქონელს, ცხაღია, იმგვარ თავაწყვეტილ ფასად, რის უფლებასაც თანამდებობრივი მდგომარეობა ანიჭებდა. ალექსანდრიის მცხოვრებნი სულს ღაფავდნენ. მათ აღარ გააჩნდათ პირველი საქიროების ნივთები, რომლის ყიდვაც ადრე თვით უღარიბეს კაცსაც შეეძლო. განსაკუთრებით საგრძნობი გახდა პურის უკმარისობა. 37. ეგვიპტეში პურის შესყიდვაც მხოლოდ მას შეეძლო, სხვას არავის ჰქონდა უფლება თუნდ ერთი მედიმნი ხორბალი შემოეტანა, ამიტომ პურის ხარისხსაც და ფასსაც (ჰეფესტო) თვითონ აწესებდა, საკუთარი სურვილით. 38. ამის შედეგად უმოკლეს დროში მან ზღაპრული ქონება დააგროვა და ბასილევსსაც დაუკმაყოფილა ფულის სურვილი. 39. ჰეფესტოს შიშით დაზაფრული ალექსანდრიელი ხალხი უსიტყოდ იტანდა თავსდატეხილ უბედურებას, თვითმპყრობელი კი, უწყვეტად ნომდინარე ფულის წყალობით, მას დიდად აფასებდა.

40. ბასილევსის გულის უფრო მეტად მოსაგებად, ჰეფესტომ შემდეგი გადაწყვიტა. 41. როცა რომაელთა თვითმპყრობელი დიოკლეთიანეს გახდა, ბრძანა ყოველ წელს სახელმწიფო საწყობებიდან გაჭირვებაში ჩაცვენილ ალექსანდრიელთათვის დიდი რაოდენობით პური დაერიგებინათ. 42. მას შემდეგ ქალაქის უღარიბესი მოსახლეობა ერთმანეთში ინაწილებდა და შთამომავლებს გადასცემდა ამ მოწყალებას, ვიდრე აღწერილ დრომდე. 43. მაგრამ, ჰეფესტომ ისედაც გაჭირვებულ და გაღატაკებულ ხალხს 2 000 000 მედიმნი პური წაართვა, სახელმწიფო საწყობიდან აღარ გამოიტანა და ბასილევსს მიჰწერა, რომ ხალხისათვის დაუნსახურებლად გაცემული მოწყალება სახელმწიფოს არ არგებდა. 44. ამიტომ ბასილევსმაც დიდი სიამოვნებით დაამტკიცა ეს დადგენილება, და უფრო მეტად დააფასა ალექსანდრე. ხლო იმ ალექსანდრიელებმა, რომლებიც ამ მოწყალებაში ხედავდნენ ერთადერთ საარსებო წყაროს, უცებ შეიგრძნეს აპგვარი არაადამიანურობის ყველა სიკეთე.

XXVII. 1. იუსტინიანემ იმდენი დანაშაული ჩაიდინა, რომ მთელი საუკუნე არ შეუდგოდა ყოველი მათგანის ასაწერად. 2. მე თავს ნებას მიეცემ რამდენიმე მაგალითი ამოვარჩიო ამ გროვიდან, რომლის წაკითხვაც შთამომავალთ თვალნათლივ დანახებს მის ხასიათს, დაარწმუნებს, რა ორპირი იყო, როგორ არ ედარდებოდა არც ღმერთი, არც ღვთისმსახურება, არც კანონი და არც ის ხალხი, რომელზეც უნდა ეზრუნა, რომ არასოდეს უფიქრია ვინმეს პატივისცემაზე, არც სახელმწიფოს კეთილდღეობაზე, არც იმაზე, რომ სიტყვითა და საქმით ემსახურა სახელმწიფოსათვის, ან რაიმე მიზეზით როგორმე გაემართლებინა მაინც თავისი დანაშაული. მას მხოლოდ ერთი მიზანი ამოძრავებდა: როგორ ეძარცვა მთელი ქვეყანა. აი, საიდან დავიწყებ.

3. ალექსანდრიაში მან თვითონ დანიშნა მღვდელმთავრად ვინმე პავლე. ისე მოხდა, რომ ამ დროს ალექსანდრიის მმართველი ვინმე როდონი იყო, წარმოშობით ფინიკიელი. 4. იუსტინიანემ მას დაავალა ყოველმხრივ დახმარებოდა პავლეს, და მისი ყველა სურვილი შეესრულებინა. 5. ის ფიქრობდა, რომ ამ გზით შეძლებდა ალექსანდრიელი მწვალებლების გადმობირებას ქალკედონის კრებისკენ. 6. იყო ვინმე არსენიოსი, წარმოშობით პალესტინიდან, რომელიც დედოფალ თეოდორას დაახლოებული ადამიანი ბრძანდებოდა და ამიტომ დიდი გავლენით სარგებლობდა, თუმცა ძალზე ბინძური კაცი იყო. მან უზარმაზარი ქონება დააგროვა, და სენატორის მაღალ წოდებასაც მიაღწია. 7. იგი სამარტელი იყო, მაგრამ მოპოვებული ძალაუფლების შესანარჩუნებლად, ქრისტიანობას ამოეფარა. 8. და აი, სკითოპოლისში² მცხოვრები მისი მამა და ძმა, ასევე რომ მაღავედნენ მამა-პაპათა რწმენას, მისივე თანხმობით ათას უსამართლობას აწევდნენ ქრისტიანებს. 9. ამიტომ მოქალაქენი აუჯანყდნენ და ორივე უმოწყალოდ გამოასალმეს სიცოცხლეს, რის გამოც ათასი უბედურება დაატყდა პალესტინის მცხოვრებთ. 10. იუსტინიანემ და დედოფალმა საყვედურით კი არ უთხრეს არსენიოსს, თუმცა ის იყო ამ უბედურებათა თავი და თავი, ის კია, სასახლეში გამოჩენა აუკრძალეს, რადგან მის გამო ქრისტიანებისგან უთვალავ საჩივრებსა და საყვედურს იღებდნენ. 11. ამ არსენიოსმა იფიქრა, რომ კვლავ მოიპოვებდა ბასილევსის კეთილგანწყობას და ცოტა ხნის შემდეგ პავლესთან ერთად ალექსანდრიაში გაემგზავრა, რათა ყოველმხრივ დახმარებოდა ალექსანდრიელთა მოქცევაში. 12. ვიდრე სასახლის კარზე გამოჩენა ეკრძალებოდა, იგი საქვეყნოდ ავლენდა ქრისტიანული დოგმებისადმი ერთგულებას. 13. ამით მან თეოდორას უკმაყოფილება გამოიწვია, რადგან, როგორც ადრე მოგახსენეთ, დედოფალი ამ სარწმუნოებრივ საკითხებში ხელმწიფეს არ თანაუგრძნობდა. 14. ალექსანდრიაში ჩასვლისთანავე პავლემ დასაძგელად როდონს გადასცა ვინმე დიაკონი ფსოესი, ვითომდა

ის ერთი უშლიდა ხელს ბასილევსის წება-სურვილის აღსრულებას. 15. ბასილევსის ხშირ და ერთობ დაჟინებულ წერილებს დანდობილმა როდონმა გადაწყვეტა დაესაჯა ეს კაცი და ისიც, საწინელი ტანჯვა-წამების შემდეგ, გარდაიცვალა. 16. როგორც კი ამ ამბავმა ხელმწიფემდე მიაღწია, მან, დედოფალის დაჟინებული მოთხოვნით, ფსოვის სიკვდილში პავლე, როდონი და არსენიოსი დაადანაშაულა, საკუთარი ბრძანებები კი აღარ გახსენებია. 17. მან ქალაქ რომის ერთ-ერთი პატრიკიოსი ლიბერიოსი დანიშნა ალექსანდრიის მმართველად და რამდენიმე პატივსაცემი მღვდელთმსახურიც გაგზავნა, რათა ეს საქმე გამოეძიებინათ. მათ შორის იყო რომის არქიდიაკონი პელაგიუსი. რომელსაც ამ საქმის გამოძიება რომის პაპმა ვიგილიუსმა დაავალა. 18. მათ გამოიძიეს ეს საქმე, და პავლეს მღვდელმთავრის წოდება ჩამოართვეს, ბასილევსმა ბრძანა, ბიზანტიონში გაქცეული როდონ-სათვის თავი მოეკვეთათ, მისი ქონება კი მიითვისა, თუმცა როდონმა ბასილევსის მიერ გაგზავნილი 13 წერილი წარმოადგინა, ამ წერილებით ბასილევსი უბრძანებდა, ყოველმხრივ დამორჩილებოდა პავლეს, მის ბრძანებას არ შეწინააღმდეგებოდა, რათა პავლეს შეძლებოდა იმის აღსრულება, რაც საეკლესიო კრებით იყო დადგენილი. 19. თეოდორას გადაწყვეტილებით ლიბერიოსმა არსენიოსი ძელზე გასვა, ბასილევსმა კი ბრძანა, ქონება ჩამოერთმიათ მისთვის, თუმცა არსენიოსს ბრალი მხოლოდ იმაში მიუძღოდა, რომ პავლესთან ერთად ცხოვრობდა.

20. სწორად მოიქცა ამ საკითხში თუ არა, ამას დანამადვილებით ვერ ვიტყვი, მაგრამ ახლავე გაუწყებთ, რისთვის მოგიტხრეთ ეს ყველაფერი. 21. რამდენიმე ხნის შემდეგ პავლე ბიზანტიონში ჩავიდა. ბასილევსს წვიდი კენტენარიონი ოქრო მიაართვა და მღვდელმთავრის ღირსების დაბრუნება სთხოვა, დაუმტკიცა, რომ უკანონოდ ჰქონდა ჩამორთმეული. 22. იუსტინიანემ მოწყალედ მიიღო ფული, ეს კაცი დიდი პატივით გაისტუმრა და შეპირდა, რომ მოკლე ხანში ალექსანდრიის მღვდელმთავრად დანიშნავდა, თუმცა ამ ადგილზე უკვე სხვა იყო დანიშნული. ამასთან, იუსტინიანეს ისე ეპირა თავი, თითქოს არ ახსოვდა, რომ ის, ვინც პავლესთან ცხოვრობდა და ისიც, ვინც მას ემსახურებოდა, თვითონვე მოაკვლევინა და ქონება ჩამოართვა. 23. მისი უდიდებულესობა ბასილევსი დაჟინებით ცდილობდა აღესრულებინა დანაპირები, უკვე სხვებიც თვლიდნენ, რომ პავლე აუცილებლად დაიბრუნებდა დაკარგულ მღვდელმთავრობას, 24. მაგრამ იმ ხანად ბიზანტიონში მყოფი პაპი ვიგილიუსი არა და არ თანხმდებოდა ბასილევსის ამ გადაწყვეტილებას, პელაგიუსს იმორწმებდა და ამტკიცებდა, რომ ამ საქმის ხელახლა გადასინჯვის დრო თუ იდგა, მაშინ

არასგზით არ შეიძლებოდა მისი სახელით მოლაპარაკე პელაგიუსის მოსაზრებათა უარყოფა. 25. ამგვარად, ცხადია, რომ ბასილევსი მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, რაც შეიძლებოდა მეტი ფული წაეგლიჯა ხალხისათვის. კიდევ ერთ შემთხვევას გვიამბობთ.

26. იყო ვინმე ფაუსტინოსი, წარმოშობით პალესტინელი, ადრე სამარიელი, მაგრამ კანონისა და აუცილებლობის გამო ქრისტიანობა მიიღო. 27. ამ ფაუსტინოსმა სენატორის წოდება მოიპოვა და ოლქის განმკვეთელი გახდა. მალე გაანთავისუფლეს ამ თანამდებობიდან და ბიზანტიონში დაბრუნებული, ეკლესიის მსახურებმა დაადანაშაულებს თითქოს ფარულად სამარიელთა საზოგადოების წევრი ყოფილიყო და პალესტინაში მცხოვრებ ქრისტიანთა მიმართ მრავალი დანაშაული ჰქონდა ჩადენილი. 28. იუსტინიანემ თავი ისე დაიჭირა, თითქოს განრისხებული იყო, რომ მისი მმართველობის ქაშს ვიღაც ბედავდა ქრისტეს სახელის აბუჩად აგდებას. 29. სენატმა საქმე გამოიძია, ბასილევსის მოთხოვნით ფაუსტინოსს გაძევება მიუსაჯეს. 30. მაგრამ როგორც კი ბასილევსმა ფაუსტინოსისაგან იმდენი ფული მიიღო, რამდენიც ეწადა, უკანონოდ მიიჩნია დადგენილება და ბრძანა ხელმეორედ განეხილათ საქმე. 31. ფაუსტინოსმა კვლავ დაიბრუნა ადრინდელი წოდება, ბასილევსმა იგი თავის მეგობრად აღიარა და ნაცვალის თანამდებობა უბოძა პალესტინასა და ფინიკიაში, რის შემდეგაც იგი უფრო მეტი გაბოროტებითა და ენერგიით სჩადიოდა იმას, რაც ეწადა. 32. აი, რა გზებით ცდილობდა იუსტინიანე ქრისტიანული მართლმადიდებლობის განმტკიცებას. მართალია, მე ბევრი მაგალითი არ მომიყვანია, მაგრამ ამ მოკლე მონათხრობითაც შეიძლება შესაბამისი დასკვნების გამოტანა. 33. ხოლო კანონებს როგორ ცვლიდა ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე, თუკი ამისთვის ღულს შესთავაზებდნენ, სულ რამდენიმე სიტყვით გვიამბობთ.

XXVIII. 1. იყო ვინმე პრისკე ემესელი, რომელიც განსაკუთრებული წარმატებით დაუფლებოდა სხვისი ხელმოწერის ნიშნავსებას. ბადალი არ მოეძებნებოდა ამ საპარცხვინო საქმეში. 2. მრავალი წლის წინათ ერთ-ერთმა წარჩინებულმა მოქალაქემ თავისი ქონების მფლობელად ემესისი ეკლესია დაასახელა. 3. ეს კაცი, რომელსაც პატრიკიოსის წოდება ჰქონდა და სახელად მამიანოსი ერქვა, იყო ძალზე სახელოვანი წარმომავლობისა და გასაოცრად მდიდარიც. 4. იუსტინიანეს მმართველობის დროს ზემოხსენებულმა პრისკემ მიიღო ბრძანება ქალაქის ყველა სახლი დაეთვალიერებინა და თუკი მიაგნებდა ისეთ სახლს, სადაც დიდი სიმდიდრე იყო, შესაძლებელი გაეხადა დიდძალი ფულის წართმევა. ისიც გულდაგულ გამოიძიებდა ხოლმე წინაპართა შესახებ, მათ ძველ წერილებს მიაკვლევდა და მათი სახელისა საბუთებს ადგენდა. სადაც მიცვალებულნი ამტკიცებდნენ, რომ ვალ-

დებულნი იყვნენ დიდი თანხა გადაეხადათ მამიანოსისათვის, რომელ-
 თანაც თითქოს დაგირავებული ჰქონდათ ქონება. 5. ამგვარი ყალბი სა-
 ბუთები დიდი რაოდენობით. დაახლოებით ასი კენტენარიონი ოქროს
 ღირებულებისა დაჯროვდა. 6. შემდეგ იმ ადამიანის ხელმოწერას მიამ-
 სავასა. ვისაც ჯერ კიდევ მამიანოსის სიცოცხლეშივე, თავისი სამართ-
 ლიანობით და ყოველი ღირსებით სახელი ჰქონდა განთქმული, მოე-
 დანზე ადგენდა მოქალაქეთათვის საბუთებს და ყოველ მათგანს სა-
 კუთარი ხელმოწერით ამკიცებდა — რომაელები ასეთ ადამიანს
 „ტაბელიონს“ უწოდებდნენ — და აი, თითქოს მის მიერ ხელმოწე-
 რილი საბუთები პრისკემ ემესის ეკლესიის საქმეთა მწარმოებელს
 გადასცა და მოელაპარაკა, რომ ამ გზით მიღებული ფულის ნაწილს
 მისცემდა. 7. მაგრამ წინ კანონი ედგათ, რომლის მიხედვითაც სასა-
 მართლო საქმეებზე სიპელის ვადას — 30 წელს — ადგენდა, გამონაყ-
 ლის შემთხვევაზე კი, მათ შორის, გირაობის საქმეზე — 40 წელს. მათ
 კი, აი, რა მოიგონეს: 8. ისინი ბიზანტიაში გაემგზავრნენ, ბასილევსს
 დიდი თანხა მიართვეს და დახმარება სთხოვეს დაეღუპათ ის ხალხი, რო-
 მელთაც არავისი არაფერი ემართათ. 9. ამ ფულის მიღებისთანავე
 იუსტინიანემ ჩამოსცა კანონი, რომლის მიხედვითაც, საეკლესიო სასა-
 მართლოს საქმეებში ქონების კუთვნილების შესახებ ახალი ვადა
 მტკიცდებოდა, 100 წელი. და ეს კანონი არა მარტო ემესაში, არა-
 მედ მთელ რომაელთა სახელმწიფოში ყველგან უნდა გატარებული-
 ყო. 10. ამ კანონის ემესაში გატარება ბასილევსმა ვინმე ლონგინოსს
 დაავალა, ენერგიულ და უდიდესი სიძლიერით გამორჩეულ კაცს, რო-
 მელიც შემდგომ ბიზანტიონში ხალხის მეთაური გახდა. 11. ეკლესიის
 საქმეთა მწარმოებელმა ჯერ ვილაც მოქალაქეს წარუდგინა ბრალ-
 დება ამ საბუთებით და მისგან მაშინვე მიიღო ორი კენტენარიონი
 ოქრო, რადგან მან საქმის სიძველის გამო, ვერაფრით შეძლო თავი-
 დაეცვა. 12. ემესელი მოქალაქეები, და განსაკუთრებით სახელოვანი,
 ცილისწამებლების განუკითხაობით დიდ განსაცდელში ჩაცვიფდნენ.
 13. როცა ეს უბედურება უმეტესობას შეეხო, ღვთის ნებით ერთი
 ამბავი მოხდა. 14. სამარცხვინო საქმის მქმნელს პრისკეს ლონგინოსმა
 უბრძანა, მისთვის გადაეცა ყველა საბუთი, და როცა უარი მიიღო,
 სილა გააწნა. 15. პრისკე მიწაზე დაეცა. მან იფიქრა, რომ ლონგინო-
 სმა მიაკვლია სიცრუეს, აცახცახებულმა და შეშინებულმა სიმართლე
 აღიარა. ამგვარად, ნათელი მოეფინა ამ სისაძაგლეს და ამით დასრულ-
 და ყველაფერი.

16. იუსტინიანე არა მარტო რომაელთათვის სცემდა ყოველ
 დღე ახალ-ახალ კანონებს, არამედ იმ კანონებსაც ხელყოფდა, რო-
 მელთაც ებრაელები ემორჩილებოდნენ. 17. თუკი მოხდებოდა, რომ

პასეკის დღესასწაული ქრისტიანულ აღდგომას უძლიდა წინ, ბასილევსი იუდეველებს ნებას არ აძლევდა დადგენილ დროს აღენიშნათ დღესასწაული, ელოცათ ან წმინდა ადათი შეესრულებინათ. 18. მრავალ მათგანს, იმ მიზეზით, რომ აკრძალულ დღეებში შეექცეოდნენ ბატკნის ხორცს, თანამდებობის პირნი სახელმწიფო კანონის დარღვევაში სდებდნენ ბრალს და უზარმაზარი თანხით აჯარიმებდნენ. 19. მემრავალი მსგავსი საქმე ვიცი იუსტინიანეს შესახებ, მაგრამ არ მოყვები მათზე ლაპარაკს, რადგან ბოლოს და ბოლოს უნდა დავასრულო თხრობა, ხოლო ის, რაც აღვწერე, უკვე საკმაოდ ნათლად წარმოაჩენს ამ ადამიანის ხასიათს.

XXIX. 1. ორპირი და თვალთმაქცი რომ იყო, ახლავე დაგიტკიცებთ. მან დაკავებული თანამდებობიდან გაანთავისუფლა ის ლიბერიოსი, რომლის შესახებაც ცოტა ხნის წინათ მოგახსენებდით, და მის ადგილას იოანე დააყენა, წარმოშობით ეგვიპტელი და ზედმეტსახელად ლაქსარიონი. 2. როცა ლიბერიოსის მეგობარმა პელაგიოსმა შეიტყო ეს ამბავი და თვითმპყრობელს ჰკითხა, მართალი იყო თუ არა ის, რაც ლაქსარიონზე შეიტყო, 3. იუსტინიანემ იუარა და უმტკიცებდა, რომ ასეთი არაფერი გაუკეთებია. მან ლიბერიოსისთვის გადასაცემი სიგელები მისცა, უბრძანებდა განეგრძო თავისი მოვალეობის აღსრულება და არავისთვის დაეთმო. 4. ირწმუნებოდა, რომ არავითარ შემთხვევაში არ აპირებდა მის გადაყენებას, მაგრამ იოანეს ბიზანტიონში ბიძა ჰყავდა, სახელად ევდემონი. მან იპატოსის წოდებას მიადწია, ძალზე მდიდარი იყო და აქამდე ბასილევსის პირადი ქონების მეურვეც იყო. 5. ამ ევდემონსაც მისწვდა ხმები და იმანაც ჰკითხა ბასილევსს, მართლა ნინავდა თუ არა მის ძმისშვილს აღნიშნულ თანამდებობაზე. 6. იუსტინიანემ იქვე უარყო ის, რაც ლიბერიოსის მისწერა, ასეთივე წერილი გაუგზავნა იოანეს და უბრძანა, მთელი ძალებით ებრძოლა ოლქში მმართველობის შესანარჩუნებლად. 7. თან უმტკიცებდა, რომ ეს საკითხი მას სხვაგვარად არ გადაუჭრია. ამ წერილით გამხსნევებულმა იოანემ ლიბერიოსს მოსთხოვა განმგებლის სამყოფელი დაეტოვებინა, რადგან ამ თანამდებობიდან განთავისუფლებული იყო. 8. ლიბერიოსი კი, თავისთავად ცხადია, ბასილევსის წერილით ხელმძღვანელობდა და პასუხობდა, რომ მას არ დაემორჩილებოდა. 9. იოანემ თავისი ამაღა შეაიარაღა, ლიბერიოსს შეუტია, ლიბერიოსმა კი, თავისი მომხრეებიანად წინააღმდეგობა გაუწია. სასტიკ ბრძოლაში მრავალი ადამიანი დაიღუპა, მათ შორას იოანეც, ალექსანდრიის მმართველად რომ იყო დანიშნული. 10. ევდემონის დაყინებული თხოვნით, ლიბერიოსი მაშინვე იხმეს ბიზანტიონში, სენატმა მისი საქმე გამოიძია და გაამართლა, რადგან თვითონ კი არ დაესხა თავს იოანეს, არამედ თავდაცვის დროს მოუხდა ამ დანა-

შაულის ჩადენა. 11. ბასილევსმა გადაწყვეტილება მხოლოდ მას შემდეგ დაამტკიცა. რაც ლიბერიოსისგან ჭარიმის სახით, საიდუმლოდ დიდი ფული მიიღო.

12. აი, როგორ ამბობდა სიმართლეს იუსტინიანე და როგორ სამართლიანად მოქმედებდა. ამ მონათხრობის დამატების სახით, სრულიად სამართლიანად მიმაჩნია ერთი ამბავიც მოგახსენოთ. რამდენიმე ხნის შემდეგ ვედემონი გარდაიცვალა და მრავალი ნათესავი დარჩა. მას ანდერძი არ დაუტოვებია და არც სხვაგვარად გამოუხატავს თავისი ნება-სურვილი. 13. დაახლოებით იმავე დროს გარდაიცვალა ევფრატა, სასახლის საჭურისთა უფროსი. მას ძმისშვილი დარჩა, მაგრამ არც მას დაუტოვებია ანდერძი თავისი უზარმაზარი ქონების თაობაზე. 14. ბასილევსმა ორივეს ქონება მიითვისა, თვითნებურად დაინიშნა თავი მათ მემკვიდრედ, ნაზღვილ მემკვიდრეებს კი სამი ობოლიც არ არგუნა. 15. აი, ასეთი პატივისცემით ეკიდებოდა ხელმწიფე კანონებს და მასთან დაახლოებულ ადამიანთა ნათესაებს. 16. სწორედ ასევე, დიდი ხნით ადრე, ირინეოსის სიკვდილის შემდეგ, მიითვისა მთელი მისი ქონება. თუმცა ამის უფლება არ ჰქონდა. 17. დაახლოებით იმავე დროს კიდევ მოხდა ერთი ამბავი, რომლის დამალვაც არ ძალმიძს. იყო ვინმე ანატოლიოსი, რომელსაც ასკალონის სათათბიროს ნუსხაში უპირველესი ადგილი ეჭირა. მისი ქალიშვილი ცოლად შეირაო კესარიის ერთ-ერთმა მცხოვრებმა, სახელოვანი წარმომავლობის კაცმა, სახელად მამილიანოსმა. 18. ეს ქალიშვილი ერთადერთი შთამომავალი იყო მისი, რადგან ანატოლიოსს სხვა შვილი არ ჰყავდა. 19. ძველთაგანვე კანონით იყო დამტკიცებული, რომელიმე ქალაქის სენატორის გარდაცვალების შემდეგ, თუ გარდაცვლილს მემკვიდრედ ვაჟი არ ჰყავდა, ქონების მეოთხედი ქალაქის სენატს რჩებოდა, დანარჩენი კი — გარდაცვლილის შთამომავალთ, მაგრამ ამ შემთხვევაშიც თვითმპყრობელს თავისი ჩვეულებისათვის არ უღალატია. ლამის იმ დილასვე გამოსცა კანონი, რომელიც ერთიანად ცვლიდა საქმეს, სახელდობრ: თუკი გარდაცვლილ სენატორს შთამომავალი ვაჟი არ რჩებოდა. მაშინ შთამომავალი ქონების მეოთხედს იღებდნენ, დანარჩენი კი სახელმწიფო ხაზინას და ქალაქის სენატს გადაეცემა. 20. თუმცა ჯერ არასოდეს ყოფილა, რომ ხაზინას ან ბასილევსს უფლება ჰქონოდათ მიეღოთ სენატორის ქონების ნაწილი. 21. და აი, ამ დღეს, როცა ეს კანონი გამოვიდა, ანატოლიოსმა კი სული განუტევა, მისმა ქალიშვილმა სახელმწიფო ხაზინასა და სენატში შეიტანა კუთვნილი თანხა, მას ბასილევსმა სიგელი უწოდა და ასკალონის სენატორებმა ხელწერილი დაუდეს, რომ სრული თანხა ჰქონდა გადახდილი და ველარაფერს მოჰკითხავდნენ. 22. რამდენიმე ხნის შემდეგ მამი-

ლიანოსიც გარდაიცვალა. ანატოლიოსის სიძე. მასაც ერთადერთი ასული დარჩა, რომელიც ასევე, ცხადია, ერთადერთი შთამომავალი იყო მამის ქონებისა. 23. შემდეგ ეს უკანასკნელიც გარდაიცვალა, ისე რომ, ქმრისგან, რომელიც სახელოვანი წარმომავლობის იყო. შვილი არ შესძენია, დედა კი ისევ ცოცხალი ჰყავდა. 24. იუსტინიანემ მაშინვე მიისაკუთრა მათი ქონება და ერთობ უცნაური აზრი გამოთქვა: თითქოს რელიგია და კეთილშობილება უფლებას არ აძლევდა ანატოლიოსის ქალიშვილი და ხანდაზმული ქალბატონი ქმრისა და მამის ქონებით გამდიდრებულიყო. 25. და იმისათვის, რომ ეს მოხუცი ქალი მთლად არ გადატაკებულიყო, ბასილევსმა დაადგინა, რომ მისთვის საარსებოდ სიცოცხლის ბოლომდე, ყოველდღიურად, გადაეხადათ ერთი ოქროს სტატერი. იუსტინიანემ თავისი დადგენილება იმ საბუთში შეიტანა, რომლის მეშვეობითაც მითვისა მთელი მისი ქონება და თან განაცხადა, რომ ეს სტატერიც მხოლოდ კეთილგანწყობის გამო დაუნიშნა: „ჩემთვის ჩვეული, — ამბობდა იგი — ღვთის მოშიშობითა და კეთილშობილებით“.

26. მაგრამ კმარა ამის შესახებ, რათა ჩემი მონათხრობი უზომოდ არ გაგრძელდეს, ვერც ერთი ადამიანი ვერ ამოწურავს ჩემს მოგონებებს. 27. ის კი უნდა გითხრათ, რომ ფულის გამო ის თავის მომხრეებს, ვენეტებსაც არად აჯღებდა. 28. კილიკიაში ვინმე მალთანესი იყო, ლეონის სიძე, რომელიც, როგორც ადრე აღვნიშნე, რეფერენდარიუსის თანამდებობაზე იყო დანიშნული: 29. იუსტინიანემ მალთანესი კილიკიაში გაგზავნა, რათა ამბოხება ჩაეხშო, რწმუნებულმა კი ამ დავალების საფარქვეშ, მრავალი კილიკიელის მიმართ საშინელი დანაშაული ჩაიდინა, ძარცვავდა მათ, ფულს და ქონებას სტაცებდა, რომლის ნაწილს იგი ტირანს უგზავნიდა, დანარჩენს კი თვითონ ისაკუთრებდა. 30. სხვები უსიტყვოდ იტანდნენ თავსდატეხილ უბედურებას, ტარსოსში მყოფი ვენეტები კი, რომლებიც ბასილევსისაგან იყვნენ გამხნეებულნი, მოედანზე სასტიკად ლანძლავდნენ მალთანესს მისი იქ არყოფნის დროს, 31. მალთანესმა ეს რომ შეიტყო, ჯარისკაცების რაზმი შეკრიბა, ღამითვე გაეშურა ტარსოსში, დილაუთენია დაგზავნა ჯარისკაცები სასახლეში და უბრძანა ვენეტები გაენადგურებინათ. 32. ვენეტებმა ჯარისკაცები მტრებად მიიჩნიეს, და როგორც შეეძლოთ თავს იცავდნენ. სიბნელეში მრავალი უბედურება მოხდა. სხვებთან ერთად ისრით განგმირეს სენატორი დამიანე. 33. დამიანე ვენეტთა აქაური დაჭვუფების მეთაური იყო. როცა სმამბიზანტიონს მისწვდა, აღშფოთებულმა ვენეტებმა მთელი ქალაქი აავსეს, ისინი ბასილევსს სთხოვდნენ პასუხს, ლეონსა და მალთანესს ლანძლავდნენ და ემუქრებოდნენ. 34. თვითმპყრობელიც აღშფოთებულად აჩვენებდა თავს, ვითომდა მომხდარი ამბისა გამო მან მაშინვე

გამოსცა ბრძანება. გამოეკვლიათ ეს ამბავი და მალთანესი დაესაჯათ შისი პოლიტიკური დანაშაულისათვის. 35. მაგრამ ლეონმა ოქროს დიდი რაოდენობა მიართვა, და ბასილევს მაშინვე დაუცხრა აღშფოთებაცა და ვენეტებისადმი სიყვარულიც. საქმე გამოუთიებელი დარჩა, ზოლო როცა მალთანესი ბიზანტიონში დაბრუნდა და ბასილევს ეაჩლა. მან იგი დიდი პატივით მიიღო. 36. ვენეტები ჩაუსაფრდნენ ბასილევსისაგან გამოსულ მალთანეს, თავს დაესხნენ და სასახლეშივე დაქრეს. მოკვლასაც უპირებდნენ, მაგრამ იმ ხალხმა შეუშალა ხელი, ვისაც ადრე ლეონისაგან ჰქონდა ქრთამი აღებული. 37. ვინ არ მიიჩნევს სავალალოდ ისეთ პოლიტიკურ წყობას, რომელშიც ბასილევსა ქრთამის აღების გამო საქმეს გამოუძიებლად ტოვებს, აჯანყებულნი კი სასახლეში, ბასილევსის თანდასწრებით უშიშრად თავს ესხმიან უმაღლესი თანამდებობის პირთ და უკანონოდ ხელს აღმართავენ მათზე? 38. და რადგან არც მალთანესი დასჯილა და არც ისინი, ვინც მას თავს დაესხა. ამიტომ თქვენთვის მომინდვია იუსტინიანე ბასილევსის ხასიათისა და ზნეობის გარკვევა.

XXX. 1. ზრუნავდა თუ არა იგი სახელმწიფოს კეთილდღეობისათვის. ყველასათვის ნათელი გახდება, როდესაც შეიტყობს, როგორ იქცეოდა ფოსტისა და მზვერაგების მიმართ. 2. ადრე რომაელი თვითმპყრობელები ყოველთვის ზრუნავდნენ, რომ დროულად და ყოველგვარი შეფერხების გარეშე მიეღოთ შეტყობინებანი იმის შესახებ, თუ რას სჩადიოდნენ მტრები ამა თუ იმ მხარეში, სახელმწიფო მოხელეთა თუ ვინმე სხვათა წყალობით ხდებოდა აჯანყებები ან კედევ სხვა მოულოდნელი უბედურებები სხვადასხვა ქალაქებში და საერთოდ მთელ რომაელთა სახელმწიფოში. იმაზეც ზრუნავდნენ, რომ გადასახადების გამოგზავნაც დაუხანებლად და უხეფათოდ შეძლებოდათ, ამიტომ ბასილევსები საფოსტო შეტყობინებებს ყველგან შემდეგნაირად წარმართავდნენ, 3. ერთი დღის სავალ გზაზე, რომლის გავლაც შეეძლო უტვირთოდ აღამიანს, ისინი ფუნდუეებს აგებდნენ, რვას ან უფრო ნაკლებს, მაგრამ მათი რიცხვი ხუთს არ ჩამოუვარდებოდა. 4. ყოველ ასეთ ფუნდუეში 40-მდე ცხენი იდგა: ცხენთა რაოდენობის შესაბამისად, ფუნდუეებში მეჭინბეებიც იყვნენ. 5. საუკეთესო ჯიშის ცხენების სწრაფად გამოცვლის წყალობით, ის აღამიანები, რომელნიც ამ მოვალეობას ასრულებდნენ და რომელთა შესახებაც ახლა მოგახსენებდით, ხანდახან ერთ დღეშიც გადიოდნენ ათი დღის სავალს. ამას გარდა, როგორც თვით ქვეყნის შიგნით მცხოვრები, ასევე ირგვლივ მყოფი მემამულეებიც მდიდრდებოდნენ. 6. წინა წლებში მორჩენილ სარჩოს, ყოველ წელს ცხენებისა და მეჭინბეების შესანახად სახელმწიფოს მიყიდდნენ ხოლმე და ამით დიდ ფულს

შოულობდნენ. 7. ასე რომ, სახელმწიფო ყოველი მათგანისგან იღებდა შეწერილ გადასახადს, ხოლო თავის მხრივ, შემოსავლის შემომატანიც მაშინვე იღებდა კუთვნილ ფულს და ეს ყოველივე სახელმწიფოს საკეთილდღეოდ ხდებოდა.

8. ასე იყო ადრე, მაგრამ ამ თვითმპყრობელმა ფუნდუკები უპირველესად გააუქმა ქალკედონიდან დაკიბისამდე და ბიზანტიონიდან წასული მგზავრები აიძულა, უნდათ თუ არა, გემით ემგზავრათ ჰელენოპოლისამდე. 9. გემები კი ისეთი მცირე ზომისანი იყვნენ, რომ მხოლოდ ყურეში გამოდგებოდნენ, ქარიშხლის ამოვარდნისას კი, დიდი საფრთხე ემუქრებოდათ. ამიტომ, თუ აუცილებლობა არ ითხოვდა, არ ჩქარობდნენ და ზღვის დაწყნარებას ელოდნენ. 10. ფუნდუკებს მხოლოდ სპარსეთის საზღვრის გაყოლებაზე არ ახლო ხელი, აღმოსავლეთის სხვა მხარეებში კი, თვით ეგვიპტემდე, თითო-თითო ფუნდუკი დატოვა და ცხენები ვირებით შეცვალა, ისიც მცირე რაოდენობით. 11. ამიტომ სხვადასხვა ოლქებში მომხდარ ამბებს დაგვიანებით იგებდნენ და ცხადია, საქმეს ველარაფრით შეველოდნენ. მემამულეებს სარჩო უღებოდათ, ან გამოუყენებლად უფუჭდებოდათ და ვერავითარ სარგებელს ველარ ხედავდნენ.

12. რაც შეეხება მწვერავებს, საქმე ასე იყო. ადრეულ ხანაში ადამიანები სახელმწიფოსგან იღებდნენ გასამრჯელოს და ვაჭრებად გადაცმულნი ან რაიმე სხვა გზით შედიოდნენ მტრის საზღვრებში და თვით სპარსეთის მეფის სასახლეშიაც კი შეაღწევდნენ ხოლმე. ისინი დაწვრილებით იკვლევდნენ ყველაფერს და რომის სახელმწიფოში დაბრუნებულებს, უფროსებისთვის შეეძლოთ შეეტყობინებინათ მტრის ზრახვანი. 13. გაფრთხილებული უფროსებიც ზომებს იღებდნენ და ყოველგვარი მოულოდნელობაც გამორიცხული იყო. ოდითგან იგივე ხერხს მიმართავდნენ მიდიელებიც. როგორც ამბობენ ხოსრომ ხელფასები გაუზარდა მწვერავებს და ძალიან წინდახედულადაც მოიქცა. 14. მისთვის არაფერი იყო დაფარული, რაც კი რომაელებთან ხდებოდა. იუსტინიანე არ იხარჯებოდა მწვერავთა შესანახად, პირიქით, მათი სახსენებელიც კი გააქრო რომის სახელმწიფოში, რის გამოც მრავალგზის დაუშვა შეცდომა. სხვათა შორის, მტრებმა იმიტომაც მოახერხეს ლაზიკის დაპყრობა, რომ რომაელებს არავითარი ცნობები არ გააჩნდათ იმის თაობაზე, თუ საით წავიდოდა სპარსეთის მეფე თავისი ჯარით. 15. ადრეულ ხანაში სახელმწიფო ხარჯით დიდი რაოდენობის აქლემები ინახებოდა, რომლებიც რომაელთა ჯარს მისდევდნენ და ყველაფერი მიჰქონდათ ჯარის საჭიროებისათვის. 16. ამის გამო არც მიწის მუშებს უწევდათ სარჩო-საბადებლის ტარება და ჯარსაც არაფერი აკლდა. მაგრამ იუსტინიანემ აქლემებიც გაანად-

გურა. ამიტომ ახლა, როცა რომაელთა ჯარი მტრის შესამუსრავად მიემართება ხოლმე, შეუძლებელი ხდება იმის წაღება, რაც ჯარისთვის არის აუცილებელი.

17. ასე ეპყრობოდა ყველაფერს, რასაც სახელმწიფოს კეთილდღეობისათვის განსაკუთრებული გულისყურით უნდა მოჰკიდებოდა. აქვე უნდა გავიხსენოთ მისი ერთ-ერთი ხუმრობაც. 18. კესარიამი ვეჭილთა შორის იყო ვინმე ევანგელოსი, არცთუ უჭკუო კაცი, რომელსაც ბედმა გაუღიმა, საკმაოდ დიდი ქონების პატრონი გახდა და საკმაოდ დიდი მიწათმფლობელიც. 19. მოგვიანებით, მან სამ კენტენარიონ ოქროდ ზღვისპირა სოფელი იყიდა, სახელად „პორფირიონი“. როგორც კი იუსტინიანე ბასილევსმა ეს ამბავი შეიტყო, გადახდილი ფულიდან მცირე ნაწილი დაუბრუნა და სოფელი მაშინვე ჩამოართვა, თან დასძინა, რომ ვეჭილ ევანგელოსს არ შეეფერებოდა ამ სოფლის („პორფირიონის“) ფლობა. 20. მაგრამ ჯობს ამაზე სიტყვა აღარ გავაგრძელო, ისიც საკმარისია, რაც მოგახსენეთ.

21. იუსტინიანესა და თეოდორას მიერ სახელმწიფო მმართველობაში შემოღებული ახალი წესებიდან ერთი უნდა აღვნიშნოთ. ოდითგან ბასილევსთან მისვლისას, სენატის წევრები შემდეგნაირად ესალმებოდნენ მეფეს: პატრიკიოსები მას მკერდის მარჯვენა მხარეს ემთხვეოდნენ. 22. ბასილევსი საპასუხოდ, თავზე ეამბორებოდა. დანარჩენები კი ბასილევსის წინაშე მარჯვენა მუხლს მოიყრიდნენ ხოლმე. 23. მისალმება და დედოფლის წინაშე ქედის მოხრა უწინ არ იყო მიღებული. იუსტინიანესა და თეოდორას დროს კი, წვეულის პირველ ემხობოდნენ, მთელ სიგრძეზე ხელეგ და ფეხებზე გაჭიმულნი, შემდეგ ორივე ფეხზე ემთხვეოდნენ ხელმწიფესა და დედოფალს და ისევ დგებოდნენ, ასე იქცეოდნენ თვით პატრიკიოსთა მალალი წოდების წარმომადგენლებიც. 24. ამგვარად, თეოდორაც იღებდა ასეთ თაყვანისცემას. ის საჭიროდ თვლიდა სპარსელთა და სხვა ბარბაროსთა ელჩები ხლებოდნენ, თვითონაც უბოძებდა ხოლმე ათასგვარ საჩუქრებს, თითქოს ის იყო რომაელთა სახელმწიფოს მმართველი — ეს კი სხვა დროს დაუშვებელი იყო. 25. ადრეულ ხანაში, სასახლეში წვეულნი „ხელმწიფის“ სახელდებით ესალმებოდნენ ბასილევსს, მის მეუღლეს — „დედოფლის“, ყველა დანარჩენს კი იმ თანამდებობის მოხსენებით, რომელიც მათ იმ დროს ეკავათ. 26. ახლა კი, თუკი ვინმე იუსტინიანესა და თეოდორასთან საუბარში „ხელმწიფესა“ და „დედოფალს“ ახსენებდა და „მბრძანებელს“ არ დასძენდა, ანდა სახელმწიფო მოხელეს, რა მალალი თანამდებობაც არ უნდა ჰქონოდა მას, „მონად“ არ მოიხსენიებდა მათ წინაშე, ასეთ ადამიანს უზრდელად მიიჩნევდნენ და ისიც დატოვებდა სასახლეს, თითქოს უმძიმესი დანაშაული ჩაედინოს, გაუგონარი და დაუშვებელი თავხედობა გამოეჩინოს.

27. ადრეულ ხანაში, ხალხი არც ისე ხშირად დადიოდა ხოლმე სასახლეში, მაგრამ მას შემდეგ, რაც იუსტინიანე და თეოდორა გაზეფდნენ, სახელმწიფო მოხელეები და სხვა მაღალი წოდების კვეშევრდომნი განუწყვეტლივ სასახლეში უნდა ყოფილიყვნენ. 28. საქმის არსი ისაა, რომ ადრე თანამდებობის პირებს ჰქონდათ უფლება დამოუკიდებლად გაესამართლებინათ და კანონი აღესრულებინათ. 29. დანიშნული უფროსები თავიანთ ჩვეულებრივ მოვალეობას ასრულებდნენ, დანიშნულების ადგილზე რჩებოდნენ, კვეშევრდომნი კი, რომლებიც იძულებას ვერ ხედავდნენ, ცხადია, არც აწუხებდნენ ბასილევსს. 30. ამ ბასილევებმა კი, რომელთაც თავიანთი ხელქვეითების დალუპვითა და გაუბედურებით, ხელთ იგდეს ყველა საქმე, სახელმწიფო მოხელეებს უკანასკნელი მონებივით აიძულებდნენ, მუდამ მათ გვერდით მსხდარიყვნენ. ამიერიდან სასამართლოები უმეტესად ცარიელი იყო, ბასილევსის მისაღებში კი ზღვა ხალხი ირეოდა, ისინი მონებივით შეურაცხყოფილნი და დამცირებულნი იყვნენ. 31. იუსტინიანესა და თეოდორას დაახლოებული პირნი მთელ დღეებს, ხანდახან ღამეებსაც, შესასვლელში ატარებდნენ, უქმელები და უძინარნი, ცხოვრების არანორმალური პირობების გამო უდროოდ იღუპებოდნენ. აი, როგორ უნაზღაურდებოდათ მათი მოჩვენებითი ბედნიერება. 32. ისინი კი, ვინც თავისუფალი იყო ყოველგვარი სადარდელისაგან, ერთმანეთს შორის მხოლოდ იმაზედა ლაპარაკობდნენ, სად უნდა გამქრალიყო რომის სახელმწიფოს ადრინდელი სიმდიდრე. 33. ერთნი ამტკიცებდნენ, რომ ბარბაროსებს ჰქონდათ მიტაცებული, მეორენი კი ამბობდნენ, რომ ბასილევსი სამალაევებში მალავდა ამ ქონებას. 34. როცა იუსტინიანე მიღმიერ სამყაროში გადავა (თუკი იგი აღამიანია), ან განთავისუფლდება მტანჯველი სხეულისგან (თუკი იგი დემონია), შემთხვევით ცოცხლად გადარჩენილნი, ალბათ, შეიტყობენ სრულ სიმართლეს მის შესახებ.

ПРОКОПИЙ КЕСАРИЙСКИЙ

ТАЙНАЯ ИСТОРИЯ

Резюме

Труд византийского историка VI века Прокопия Кесарийского «Тайная история» или «Анекдота» по своему содержанию резко отличается от других сочинений того же автора, а именно от «Историй войн» и трактата «О постройках».

«Тайная история» в высшей степени важный источник по истории Византии VI века, т. к. здесь сохранились сведения о таких событиях из дворцовой жизни, которых вообще нет в официальной историографии; помимо этого негативный пафос, присущий этому произведению, помогает критически воспринять и оценить панегирические сведения официальной историографии.

С другой стороны, гиперболизировано отрицательное изображение персонажей этого произведения, явно просвечивающее в ряде мест, заставляет усомниться в объективности характеристик, даваемых автором. Поэтому имеющиеся здесь сведения обязательно нуждаются в критической оценке.

Нескрываемая ненависть Прокопия Кесарийского к историческим персонажам своего произведения и его остро негативное отношение к их деятельности следует полагать были определены причинами субъективного характера, хотя помимо этого здесь явно сказывались и социально-политические, а возможно и конфессиональные факторы, которые несомненно должны стать объектом специального исследования. В книге дан полный грузинский перевод всего сочинения, текст снабжен кратким историческим комментарием.

კ ო მ ე ნ ტ ა რ ე ბ ი

I ო ბ ა ზ ი

1. სემირამისი — იგივე სემირამიდა, შამურამატი — ასურეთის დედოფალი ძვ წ. IX ს-ში.
2. სარდანაპალი — იგივე ასურბანიფალი, ასურეთის მეფე (669—633).
3. ნერონი — იულიუსებისა და კლავდიუსების დინასტიის წარმომადგენელი, რომის იმპერატორი (54—68).
4. ველისარიოსი — ბიზანტიელი სარდალი, იმპერატორ იუსტინიანეს თანამოღვაწე. 527—532 წლებში თავი გამოიჩინა სპარსელების წინააღმდეგ ბრძოლაში, 533—534 წლებში ჩრდილოეთ აფრიკაში ვანდალთა სახელმწიფო გაანადგურა. 535 წელს სიცილია დაიპყრო, 536 წელს — ნეაპოლი და რომი, ხოლო 559 წელს ჰენებისაგან იხსნა კონსტანტინოპოლი.
5. ანტონინა — სარდალ ველისარიოსის მეუღლე. ახლო მეგობრულ ურთიერთობაში იყო დედოფალ თეოდორასთან და აქტიურ მონაწილეობას იღებდა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. თან ახლდა ველისარიოსს ლაშქრობაში აფრიკაში, აღმოსავლეთში და იტალიაში.
6. სილბერიოსი — რომის პაპი.
7. იხ. ქვემოთ I, 29.
8. იოანე კაპადოკიელი — დაწინაურდა იმპერატორ იუსტინიანეს დროს და მიიღწია პრეტორიის პრეფექტის მაღალ თანამდებობას. მის შესახებ დაწვრილებით იხ. „ომი სპარსელებთან“, XXV.
9. სირაკუზი — ქალაქი კუნძულ სიცილიაზე.
10. ეფესო — ქალაქი მცირე აზიაში.
11. კონსტანტინე — მხედართმთავარი, ძალზე ცნობილი და ენერგიული მებრძოლი, მის შესახებ იხ. ომი გუთებთან I/V/, 5, 27, 7, 26—36; II/VI/30, 2, III/VII/, 2, 8—9 და სხვ.
12. პრესიდიას შესახებ იხ. „ომი გუთებთან“, II/VI/, 8.
13. ფოტიოსი — ანტონინას აჯიშვილი პირველი ქორწინებიდან.
14. კენტენარიონი — ფულის ერთეული ბიზანტიაში, ერთი კენტენარიონი უდრიდა 100 ლიტრა ოქროს.

II ო ბ ა ზ ი

1. ხოსრო I ანუ შირვანი — კავად I-ის შვილი, სასანიანთა დინასტიის წარმომადგენელი, მეფობდა ირანში 531 წლიდან. გარდაიცვალა 579 წ.
2. იპატოსი — იგივე რომაელი კონსული, უმაღლესი სამოხელეო წოდება სამეფო კარზე.
3. სისაერანონი — ციხე-სიმაგრე ნისიბინის ჩრდილო-აღმოსავლეთით.

4. იხ. ომი სპარსელებთან, II, 19. პროკოპი მოგვითხრობს, რომ ბანაკში გაჩნდა შავი კირი.
5. არეთა — ხარიგ იბნ-გაბალას ძე, ჩრდილოეთარაბული ჰასანიდების სამეფოს მეფე (531—570), ირანის მოკავშირე.
6. ნისიბინი — ჩრდილოეთ შუამდინარეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქალაქი.
7. ქტესიფონი — სასანური ირანის დედაქალაქი.
8. იხ. ომი სპარსელებთან, II, 17.
9. პეტრა — ბიზანტიელთა მიერ ეგრისში დაარსებული ქალაქი თანამედროვე ციხისძირის ადგილას. მის შესახებ დაწვრილებით იხ. ომი სპარსელებთან, II, 15; 17 და სხვ.
10. ლაზიკე — ძველი კოლხეთის (დასავლეთ საქართველოს) სახელწოდება IV საუკუნის შემდგომ, იგივე ქართული ეგრისი.
11. ნაბელი — სპარსელი სარდალი.
12. სარკინოზებში ამ დროს იგულისხმება არაბები.
13. ქუნები — ცენტრალური აზიის ტრამპლებიდან გამოსული თურქული მოდგმის ტომები.
14. ვალერიაზე — არმენიელთა სარდალი.
15. იხ. ომი გუთებთან, VIII/IV/7, 4.
16. მიდიელებში იგულისხმებიან სასანური ირანის მცხოვრებნი.

III ტ ა ვ ი

1. კილიკია — ქვეყანა მცირე აზიის სამხრეთ-დასავლეთით, სირიის პეზობლად.
2. ფოტიოსმა სახელი შეიცვალა და ფოტინი დაირქვა, იგი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა აღმოსავლეთში, საეკლესიო საქმეებში იუსტინე II-ის (565—578) დროს.
3. კალინიკე — ქალაქი მდ. ეფვრატზე ოსროენის ოლქში.

IV ტ ა ვ ი

1. იხ. ომი სპარსელებთან, II, 22.
2. გელიმერი — ვანდალების მეფე, გეიზერიხთა სამეფო გვარიდან, გამეფდა 530 წ.
3. ვიტიგისი — ოსტგუთების მეფე, გამეფდა 536 წ.

V ტ ა ვ ი

1. იხ. ომი გუთებთან, VII/III/, 35.
2. ტოტილა — გუთების წინამძღოლი. მის შესახებ დაწვრილებით იხ. ომი გუთებთან (VII/ III/ და VIII/IV).
3. ჰეროდიაზე — რომაელთა ბელადი, მის შესახებ უფრო დაწვრილებით იხ. ომი გუთებთან, V/1/, 5, VI/II/16, VII/III/1 და სხვა.
4. სპოლიციოსი — იტალიის ქალაქი, ახლანდელი სპოლეტო.
გერმანე — გამოჩენილი მთავარსარდალი იუსტინე I და იუსტინიანე I დროს
6. როგორც ირკვევა, ეს ქორწინება შედგა, ამის შესახებ იხ. ომი გუთებთან VII/III/, 12.
7. პერუსია — ქალაქი იტალიაში, თანამედროვე პერუჯი.
8. იხ. ომი გუთებთან VI/ III/, 35.

9. იქვე, VII/III/, 30.
10. ომი ვანდალებთან, IV, 21.
11. ლეია — იგულისხმება ჩრდილოეთ აფრიკა.
12. სერგუსი — აფრიკის პროვინციის მმართველი და აქ მდგომი ბიზანტიური ჯარის სარდალი.
13. ლევათები — ერთ-ერთი აფრიკელი ტომი.
14. სოლომონი — აფრიკის პროვინციის მმართველი და აქ მდგომი ბიზანტიური ჯარის სარდალი, სერგუსის (იხ. შენ. 12) წინამორბედი.
15. იოანე — 336 წ. კართაგენში (აფრიკის პროვინცია) მდგომ ბიზანტიურ ჯარში დაიწყო აჯანყება ბიზანტიური ხელისუფლების წინააღმდეგ. აჯანყებათა ერთ-ერთი დაჯგუფების მეთაური იყო ვინმე სტოდუსი, რომელიც დიხანს ებრძოდა ბიზანტიურ ხელისუფლებას, მაგრამ 545 წელს ერთ-ერთ ბრძოლაში დაიღუპა. მისი ადგილი დაიკავა იოანემ, სისინიოლას ძემ. 346 წ. იოანე შეპყრობილ იქნა და სიკვდილით დაისაჯა.

VI ტ ა მ ი

1. ლეონ I — აღმოსავლეთ რომის იმპერიის მეფე (457—474).
2. ილირია — ბალკანეთის ნახევარკუნძულის ჩრდილო-დასავლეთი ოლქი.
3. იუსტინე I — ბიზანტიის იმპერატორი (518—527).
4. ბედერიანა — ციხე-სიმაგრე ზემო მაკედონიაში სოფელ ტაურიზიას მახლობლად.
5. ანასტასიოსი — ბიზანტიის იმპერატორი (491—518).
6. ისაყრიელები — შკირეაზიული ტომი, პრივილეგირებული მდგომარეობა ჰქონდათ იმპერატორ ლეონ I (457—473) და ზენონის (474—475), (476—491) დროს.
7. კვესტორი — „წმინდა სასახლის კვესტორი“, სასახლის კანცელარიის უფროსი. ვანაგებდა იმპერატორის ბრძანებათა შედგენასა და დაგზავნას; ჰქონდა სასამართლო ხელისუფლება.
8. იხ. ომი სპარსელებთან II, 22.
9. უფრო დაწვრილებით იხ. მალაღა (410, 9), თეოფანე (1, 165, 24).
10. იოანე — კონსტანტინოპოლის პატრიარქი იოანე II კაპადოკიელი (518—526).
11. ვიტალიანე — ბიზანტიელი მხედართმთავარი, რომელიც 513 წ. იყო პროვინცია სკითიის მოკავშირე ჯარების სარდალი (ფედერატების კომიტი) და მოაწყო აჯანყება ანასტასიოსის წინააღმდეგ. შემდეგ იმპერატორსა და მას შორის მოხდა მორიგება და ვიტალიანემ მიიღო მაღალი სამოხელეო თანამდებობა.

VII ტ ა მ ი

1. იხ. „ომი სპარსელებთან“ (I, 24).
2. საციკო პარტიები, რომელთაც ამავე დროს პოლიტიკური შინაარსი ჰქონდათ: ვენეტები („ციცფრები“), მათ სათავეში ედგა ბერძნულ-რომაული მიწათმფლობელი არისტოკრატია. პრასინები („მწვანეები“) გამოხატავდნენ სავაჭრო-მეცავზური წრეების ინტერესებს.
3. სტასიოტები — პოლიტიკურ პარტიათა უკიდურესი ფრთის წარმომადგენლები.
4. მასაგეტები — ტომები ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთში.

- სიმპორია — შეძლებული ფენის წარმომადგენელთა თავისებური ორგანიზაცია ძველ ათენში; პროკოპი კესარიელთან იგულისხმება კონსტანტინოპოლის მოქალაქეთა თვითმმართველი ორგანიზაცია.

VIII ტ ა 3 0

- საზღვაო მშენებლობის შესახებ პროკოპი კესარიელი ლაპარაკობს აგრეთვე თხზულებაში „შენობათა შესახებ“ I.
- დომიციანე ტიტუს ფლავიუსი — რომის იმპერატორი (81—96), ფლავიუსების დინასტიის წარმომადგენელი.
- ამის შესახებ მოგვითხრობს სვეტონიუსი „დომიციანე“, 23.
- პერიპატეტიკოსი — არისტოტელეს მიერ ათენში დაარსებული ფილოსოფიური სკოლის წარმომადგენელი.

IX ტ ა 3 0

- XIII საუკუნის მონოფიზიტი მამების გადმოცემით, აკაიოსი იყო ხუცესი, მონოფიზიტური მსოფლმხედველობის ერთგული დამცველი.
- ამ სიტყვით „ΑΕΝΩ“ იხსენიებენ მსახიობთა დაბალ ფენას, რომლებიც თავის გამოვლენებს სცენაზე მუსიკისა და სიმღერის თანხლების გარეშე წარმართავენ.
- ბიზანტიონში მართლაც იყო ასეთი თეატრი, მას „პორნაი“ ერქვა.
- ტიროსი — ქალაქი სირიაში.
- ალექსანდრია — ქალაქი ეგვიპტეში, ნილოსის შესართავთან.
- პატრიკიოსი — არისტოკრატული წრეების წარმომადგენელი, იგივე ლათინური „პატრიცი“.
- ეპარქოსი — იგივე პრეფექტი, ქალაქის მმართველი, რომელიც უშუალოდ იმპერატორს ექვემდებარებოდა.
- იხ. თეოფანე (I, 173, 13), კუდრენე (64I, 23).
- იხ. მაღალა 424, 14.

XI ტ ა 3 0

- ანტები — აღმოსავლური სლავური ტომების სახელი IV—VII სს-ში, ცხოვრობდნენ დნესტრისა და დნეპრის შუამდინარეთში და დნეპრის აღმოსავლეთით.
- იხ. „ომი სპარსელებთან“, I, 22.
- ალამუნდარი — იგივე მუნხირ III, ლახმიდთა არაბული სამეფოს ხელმწიფე (505—554).
- მონტანელები — მონტანისტები, ქრისტიანული სექტა, რომელიც დაარსა II-ის შუა წლებში ფრიგიკაში ქურუმმა მონტანუსმა. მონტანისტები ილაშქრებდნენ ეპისკოპოსების ხელისუფლების თვითნებობის წინააღმდეგ და უახლოეს მომავალში მოელოდნენ ქრისტეს მეორედ მოსვლას.
- საბატიანელები — მეშაბათენი, იუდეველთა ქრისტიანული სექტა.
- ეს საკითხი განხილული აქვს მაღალას (478, 12), თეოფანეს (I, 196, 17).
- არიოზობა — იგივე არიანელობა; მიმდინარეობა, რომელსაც ქრისტიანულ ეკლესიაში საფუძველი ჩაუყარა ალექსანდრიელმა ხუცესმა არიოზმა დაახლოებით

- 318 წ. მისი თვალსაზრისით ქრისტე არ არსებობდა მამა ღმერთთან ერთად, იგი შემდეგშია შექმნილი ადამიანის მსგავსად.
8. უფრო დაწვრილებით იხ. მაღალა (449,3); თეოფინე (I, 180, 11).
 9. სამარტელები — პალესტინის ტერიტორიაზე ერთ-ერთი ეთნიკური ჯგუფი და ამავე დროს რელიგიური სექტა, რომელიც იუდაიზმს გამოეყო ძვ. წ. VI საუკუნეში.
 10. მანიქეელები — მანიქეიზმი, III ს-ში ახლო აღმოსავლეთში წარმოშობილი რელიგიური მოძღვრება, რომელიც წარმოადგენდა ქალდეურ-ბაბილონური, სპარსული და ქრისტიანული მითების და რიტუალების სინთეზს. მანის მიმდევრები.
 11. პროკოპი კესარიელი ამის შესახებ არსად არ მოგვითხრობს.
 12. ამ საკითხის შესახებ იხ. მაღალა (436,3), თეოფინე (I, 177, 11).

XII ტ ა 3 0

1. ანთემიოსი — დასავლეთ რომის იმპერატორი (467—472).
2. ლიბანი — სახელმწიფო დასავლეთ აზიაში, ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე.
3. ედესა — ქალაქი მცირე აზიაში.
4. იხ. „ომი სპარსელებთან“, II, 21.
5. ლიტრა — რომაულ-ბიზანტიური წონის ერთეული, თავდაპირველად ტოლი იყო 327, 45 გ, შემდეგ მისი მასა გაიზარდა.
6. დარა — ბიზანტიელთა მიერ ირანის საზღვართან მესოპოტომიაში აგებული ციხე-ქალაქი.
7. „ნიკას“ აჯანყება — 532 წ. კონსტანტინოპოლში მომხდარი დიდი სახალხო აჯანყება, რომლის დროს აჯანყებულთა მოწოდება იყო სიტყვა „ნიკა“! („გაიმარჯვე“!). აჯანყებას მეტად რთული სოციალური, პოლიტიკური და რელიგიური მიზეზები ჰქონდა. ამ დროს დროებით გაერთიანდნენ ვენეტების და პრასინების პარტიები.
8. იხ. „ომი სპარსელებთან, I, 24.

XIV ტ ა 3 0

1. რეფერენდარიუმი — ბიზანტიის სამეფო კარის მოხელე, რომლის ფუნქციაში შედიოდა სხვადასხვა პირთა თხოვნის მოხსენება იმპერატორისადმი და უკანასკნელის ნება-სურვილის გამოცხადება მთხოვნელთადმი.

XV ტ ა 3 0

1. ამის შესახებ პროკოპი დაწვრილებით მოგვითხრობს თხზულებაში „ომი გუთებთან“, VII/111/29.

XVI ტ ა 3 0

1. ამალასუნთა — ამალასენთა, ოსტგუთების სამეფოს განმგებელი (526—534) მეფე თევდერაქოსის ასული.

2. იხ. „ომი გუთებთან“, V/1/2.
3. პეტრე პატრიქიოსი, ცნობილი ბიზანტიელი ისტორიკოსი და რიტორი. ამ პეტრესადმია მიძღვნილი იუსტინიანეს ორი ნოველა, 123 და 137. სვიდა იტყობინება, რომ მან დაწერა თავისი დროის ისტორია.
4. იხ. „ომი გუთებთან“, V/1/, 3, 4.
5. თეოდატე — ოსტგუთების მეფე.
6. მაგისტროსი — მაღალი სამოხელეო თანამდებობა ბიზანტიის საიმპერატორო კარზე. მაგისტროსები სხვადასხვა უწყებებს ედგნენ სათავეში: სამხედრო, საგადასახადო, დიპლომატურ და ა. შ.
7. პაფლაგონია — ქვეყანა მცირე აზიაში, გვიან რომაულ ხანაში ერთ-ერთ პროვინციად გამოცხადდა.

XVII ტ ა ვ ი

1. იხ. „შენობათა შესახებ“, I, 192.
2. პროკოპი ამ აღაშიანების შესახებ არსად არ ვეიამობს.
3. იხ. ქვევით 29, 28.
4. კიზიკოსი — ქალაქი მარმარილოს ზღვის სამხრეთ სანაპიროზე.

XVIII ტ ა ვ ი

1. იხ. „ომი გუთებთან“, VII/III/, 1.
2. ლოგოთეტები — ფინანსური უწყების მაღალი მოხელეები, ზოგჯერ მათ ისეთი საგანგებო რწმუნებებიც ეძლეოდათ, რომელთაც არაფერი საერთო ფინანსებთან არ ჰქონდათ.
3. გალია — სამხრეთ ევროპის ვრცელი ტერიტორიის მოსახლეობა.
4. დაკია — რომის პროვინცია, რომელიც შოიცავდა ახლანდელი რუმინეთის ტერიტორიის ნაწილს.
5. გეპიდები — ღუნასიპირეთის მცხოვრებნი.
6. თრაკია — სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ჩრდილოეთ ბალკანეთის ვრცელი ოლქი.
7. იონია — მცირე აზიის დასავლეთ სანაპირო.
8. ხერსონესი — ქალაქი ყირიმში.
9. იხ. „ომი სპარსელებთან“, II, 14.
10. იხ. ზემოთ II, 14.
11. სკირტოსი — მდინარე მცირე აზიაში ოდესის მახლობლად.
12. იხ. „შენობათა შესახებ“, II, 7,2.
13. იხ. „ომი გუთებთან“ VII, 29.
14. ტარსოსი — კილიკიის დედაქალაქი.
15. იხ. „შენობათა შესახებ“, V, 5, 14.
16. პისიდელები, — მცირე აზიის ოლქის, პისიდიის მცხოვრებლები.
17. ეპიროტები — ბალკანეთის ნახევარკუნძულის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარე ოლქის, ეპირის მცხოვრებნი.
18. კორინთო — საბერძნეთის ცენტრალურ ნაწილში მდებარე ძველი ქალაქი.
19. იხ. „ომი სპარსელებთან“, II, 22.

XX ობი

1. ეპარქოსი — კონსტანტინოპოლის მოქალაქეთა ზედამხედველი, რომელსაც საპოლიციო ფუნქციები ჰქონდა.
2. დიშთა პრეტორები — საციკო პარტიების — დიშების — სათავეში მდგომი პირები, იგივე დიშარქოსები.
3. იხ. „ომი სპარსელებთან“, I, 24.
4. რიტორებს ამ დროს უწოდებდნენ კანონმდებლებს, ვეპილებს; პროკოპი თეონაც რიტორი იყო.

XXI ობი

1. ფოკას შესახებ უფრო დაწვრილებით იხ. „ომი სპარსელებთან, I, 24.

XXII ობი

1. პეტრეს შესახებ იხ. აგრეთვე მალალო, 491, 6.
2. პრეიატები — იმპერატორის პირადი მიწები, პატრიმონიანი — მიწები, რომელთაც იმპერატორები ფლობდნენ, როგორც სახელმწიფო მეთაურები, ამ მიწების მართვა ასევე შედიოდა პალატინოსის ფუნქციაში.
3. ბითინია და ფრიგია, მცირე აზიის ოლქები.
4. სინონე — სურსათის შესყიდვა მოსახლეობისაგან იძულებითი წესით, მთავრობის მიერ დადგენილი ფასებით.
5. იხ. „ომი გუთებთან“, VII/III/ 1.

XXIII ობი

1. კავად I — სასანიანთა სახელმწიფოს მეფე (488—496 და 499—531).
2. ეპიბოლე — დამატებითი გადასახადი, თემის წევრთა ვალდებულება სხვა მეფეთა მიტოვებული ან დაუმუშავებელი მიწებიდან გადასახადის გადახდისა.
3. დიავრაფე — დამატებითი ექსტრაორდინალური გადასახადი, რომელსაც სახელმწიფო დროდადრო შეაწერდა ამა თუ იმ ქალაქს ან პროვინციას.

XXIV ობი

1. იხ. „ომი გუთებთან“ VII/III/ 1.
2. დომესტიკოსი — იმპერიის სამხედრო ძალების სარდალი. იმპერიაში იყო ორი დომესტიკოსი, აღმოსავლეთის და დასავლეთის.

XXV ობი

1. სისტოსი და აბიდოსი, პელესპონტის (დღევანდელი დარდანელის) სრუტესთან მდებარე ქალაქები.
2. ობოლი, ფულისა და წონის ერთეული ძველ საბერძნეთში, დრაქმის (წონა 4.366 გ) ერთი მეექვსედ.

3. სტატერი — ძველი ბერძნული მასის ერთეული და მონეტა, კრიდნენ ელექტრუმს, ვერცხლის და ოქროს სტატერებს. მასა სხვადასხვა პუნქტში სხვადასხვა იყო.
4. იხ. მაღალა 480, 19.
5. ბერიტოსი — ნავსადგური ფინიკიაში, ახლანდელი ბეირუთი.

XXVI ტ ა ვ ი

1. იხ. მაღალა 470, 19.
2. თეოფანე (1,237,8, 239, 24), ზონარა (XIV, 63) მოგვითხრობს; რომ იუსტინიანეს სურვილით დაანგრიეს ერთ-ერთი წყალსადენი, რადგანაც სპილენძის მიწები სჭირდებოდათ. ეს მოხდა იუსტინიანეს მმართველობის მე-16 წელს.
3. სილენციარიოსები — ძველი რომაული სამოხელეო თანამდებობა, რომელიც შემორჩა ადრეულ ბიზანტიაში, როგორც საპატიო წოდება.
4. იხ. „ომი გუთებთან“, VII/III/ 1.
5. დიოკლეთიანე — გაიუს ავრელიუს ვალერიუსი, რომის იმპერატორი (284—305).

XXVII ტ ა ვ ი

1. ქალკედონის კრება, მეოთხე მსოფლიო საეკლესიო კრება, 451 წელს ქალკედონში მოიწვია იმპერატორმა მარკიანემ. კრებამ განიხილა არქიმანდრიტ ევტიქეს ახალი ქრისტიანული მიმდინარეობა, რომლის მიხედვით იესო ქრისტე იყო არა ორბუნებიანი, არამედ ერთბუნებიანი.
2. სკითხოპოლისი — ქალაქი სამხრეთ გალილეაში.

XXVIII ტ ა ვ ი

1. ემესა — ქალაქი სირიაში.

XXIX ტ ა ვ ი

1. იხ. „ომი გუთებთან“, VIII/IV/, 2.

შინაარსი

წინასიტყვაობა	3
ტექსტი	19
Прокопий Кесарийский, Тайная история (резюме)	116
კომენტარები	117

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის-
სამეცნიერო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

სბ 3731

გამომცემლობის რედაქტორი ლ. ჯეგბენავა.
მხატვარი ნ. ნარიშანიძე
მხატვრული რედაქტორი გ. ლომიძე
ტექნორედაქტორი ნ. ბოკერია
კორექტორი ე. ჩხარტიშვილი
გამომწვები ე. მაისურაძე

გადაეცა წარმოებას 4. 4.89; ხელმოწერილია დასაბეჭდად 26.10. 89;
ქალაქის ზომა 60×90¹/₁₆; ქალაქი №1; ბეჭდვა მაღალი;
გარნიტურა ვენური; პირობითი საბეჭდო თაბახი 8; პირ. გატ. 8. 25;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 6. 87;

შე 02396; ტირაჟი 6000; შეკვეთა № 1032;

ფასი 1 მან. 40 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19.
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქართველოს სსრ მეც. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

1989 წ. გამოცემლობა „მეცნიერება“ გამოსცემს:

1. ნ. თარგამაძე, სპარსული და ქართული მყარი სალექსო ფორმები.
2. ტიპოლოგიური ძიებანი;